

ს ე ვ ი

საქართველოს
საგარეო
მედიაციის
სამსახური

საგარეო საზღვარების
სამსახური
2000-2001

517 (02)

შ. 25 — დ.

სტილისტი: ს. ყაუხჩიშვილი
კორექტორი: შ. დოლაჭიძე
გადაეცა წარმოებას 21/III-34
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/X-34
სტ. ქ. 62X94. ს. 6. ფ. 37.000
მოთვლიტის რწმ. № ა — 120
ტირაჟი 2000. შეკვ. № 233
სახელგამის 1-ლი სტ., პლენანოვის პრ. 91

ყაუხჩიშვილი


ამ წიგნს ვუძლვნი მშინვარება დალუხული მგობრის
შოთა შიქელაძის ხსოვნას.

17 12 682
3

მე 8

„მთის შვილო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდი მოგიშვიდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ
გული არ შეგიშინდება,
სისხლისა ნაგზბარზედა
ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი
გული რო გაგიხურდება“.

(ნაწევები მოქეურ სიმღერიდან).



ს. შაკალაძე.

წინასიტყვაობა

[ხევი განთქმულია თავისი ბუნების მონუმენტულობით, სადაც დარიალის ვიწრო ხევში შმაგი თერგი იბრძვის და გუგუნებს. ჟრუანტელის მომგვრელია დარიალის ხეობა: ირგვლივ ზეცამდის აწვეტილი სალი კლდეები, ძირს დაკლანძილი ვიწრო ბილიკი, რომელსაც აქაფებული თერგის ზვირთები გამალებით ეხეთქებიან. მაღალი წვერიდან ამაყად გადმოიქცირებიან ბახტრისა და დარიალის ძველი ციხე. მაგრამ ხევის სიამაყე მაინც მყინვარწვერია, რომლის შევერცხლილი წვერი შარავანდედივით ანათებს. ხევის ამ დიადი ბუნებით ადამიანის არა ერთი მოდგმა დამტკბარა და შთაბეჭდილებით დატვირთულს მისთვის მრავალი ქება-დიდება უძღვნია. ი. ლერმონტოვმა, ა. პუშკინმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. ორბელიანმა და სხვა პოეტებმა ხევის ეს ბუნება რომანტიკულად განიცადეს, ალექსანდრე ყაზბეგმა კი რეალისტურად და ეს რეალობა მან მოგვცა თავის მხატვრულ თხზულებებში, რომლებშიაც აღბეჭდილია მოხვედრების სოციალური ყოფის მომენტები. ამ მხრივ დიდია ალ. ყაზბეგის ღვაწლი და შემოქმედება.]

ა. ყაზბეგი ნამდვილი მხარეთმცოდნე მწერალია, რომელიც უშუალო დაკვირვების მიზნით ხალხში ტრიალებდა და მასთან ერთად ცხოვრების სიდუხჭირეს განიცდიდა. ის მე-19 საუკუნის ხევის მემკვიდრეა, რომლის შემოქმედების მხატვრული ფურცლები მუდამ გატაცებით იკითხება.

დღეს ხევი სოციალისტურ მშენებლობაშია ჩაბმული, სადაც წარმოებს ანდეზიტის დამუშავება. ამასთანავე ხევი ტურისტებისა და ალპინისტების აღთქმის ქვეყანაა, რომლებიც მყინვარწვერის ხშირი სტუმრები არიან. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს კუთხე მხარეთმცოდნურად დღემდის არ ყოფილა შესწავლილი და გამოკვლეული. არ კმარა რომანტიკული ხევის გაცნობა, საჭიროა მისი სოციალ-ეკონომიური სინამდვილის სწორი გაგება. მით უმეტეს ხევი ბუნების საწარმოო ძალებისა და ეკონომიკის მხრივ მნიშვნელოვანი კუთხეა, რომლის შესწავლასა და გაცნობას უადრესი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა.

ხევის მხარეთმცოდნური შესწავლის მიზნით 1930 წელს ჩვენ მუშაობას ვაწარმოებდით მოხვევებში, სადაც შეეკრიბეთ მათი ყოფაცხოვრების დამახასიათებელი უხვი მასალები. 1931 წ. მთელი ეს მასალა დამუშავდა და დასაბეჭდად გადაეცა სახელმწიფო გამომცემლობას. მაგრამ სამწუხაროდ წიგნი დროზე ვერ იქნა დაბეჭდილი და გამოცემული. ხევის საზოგადოებრივი ცხოვრება კი ამ ოთხი წლის მანძილზე სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით საგრძნობლად დაწინაურდა და ამიტომ ჩვენს შრომას ბევრი რამ აკლია. იმედია ხევის ახალი მშენებლები ამ ნაკლს შეავსებენ.

დასასრულ ამ მუშაობაში შეგნებული დახმარებისა და ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ: სერგო ოდიშვილს, ნიკოლოზ ავსაჯანიშვილს, ნიკიფორე ესტატესძე ბედოშვილს, იაგორა ღუდუშაურს, ჯახოტა და შალიკო ხუციშვილს, არჩილ და ქეთო გიგაურს, იოსებ შიოსძე ფიცხელაურს, იობა და ციკო თოლიკეეთ ფიცხელაურს, ნინუა ქირიკაშვილს, დარო ხეთაგურს და ივანე ფიცხელაურს. განსაკუთრებით დიდ მადლობას მოვახსენებ პატივცემულ მოხუცს გახუტა იასესძე ხეთაგურს, რომლის ამაგი და შრომა დაუფასებელია.

წიგნში მოთავსებული ფოტო-სურათები გადაღებულია ჩემ მიერ. ნახაზ-ნახატები შეასრულა მხატ. უჩა ჯაფარიძემ.

ყდა დაამზადა მხატ. ნინო თამამშევმა.

სერგი მაკალათია.

24/VII—1934.

ტფილისი.

1. გეოგრაფიული მდებარეობა.

ხევი მდებარეობს კავკასიონის გადაღმა მის ჩრდილო მხარეზე — ჩრდილოეთის სიგანედის $42^{\circ}45'$ — $42^{\circ}30'$ და აღმოსავლეთის სიგრძედის $44^{\circ}30'$ — $44^{\circ}45'$ შუა. ის მოქცეულია მდინარე თერგის ვიწრო ხეობაში და უჭირავს დაახლოვებით 520 კვად. კილომეტრის სიბრტყე, რომლის მთელი სიგრძე ჯვრის უღელტეხილიდან დარიალის ხეობამდის, საქართველოს სამხედრო გზით დაახლოვებით 50 კილომეტრია. მისი სახელი — ხევიც ამ გეოგრაფიული მდებარეობის სრული შესატყვისობის შემცველია და აქ მოხინაღრე მთიელებსაც, ამიტომ მოხევეები ეწოდებათ.

ხევის საზღვრებია: აღმოსავლეთით — ხეესურეთი, დასავლეთით — საქართველოს ოსეთი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა), ჩრდილოეთით — ჩრდილო კავკასია (ჩრდილო ოსეთი და ქისტეთი) და სამხრეთით — კავკასიონის მთავარი ქედი (ჯვრის უღელტეხილი, რომელიც მთიულეთ-ხევის გამყოფია). ტერიტორიალურად ხევი იყოფა სამ ხეობად: თრუსოს, თერგის და სნოს ხეობა. თრუსოს ხეობაში ოსები მოსახლეობენ, სნოსა და თერგის ხეობაში სამხედრო გზის პირისპირ კი მოხევეები.

ხევის მთავარი მდინარე — თერგია, წინათ არაგვად წოდებულ, გეოგრაფი ვახუშტის აღწერით: „მდინარესა ხევისასა ეწოდების არაგვი ჩერქეზამდე და შუნილომეკის მდინარე ძველამდე და აწ უწოდებენ თერგსა“-ო.¹

აღსანიშნავია, რომ მოხევეები თერგს დღესაც არაგვს უწოდებენ. თერგი გამოდის თრუსოს ხეობიდან, რომლის სათავე მყინვარ ზილ-გა-ხოხში და ჯი მარაი-ხოხშია. სათავედან თერგი თრუსოს ხეობის აღმოსავლეთით მოედინება, კობთან ის გამოდის საქართველოს სამხედრო გზაზე და ჩრდილოეთისაკენ უხვევს. ყაზბეგიდან² (სოფ. სტეფანწმინდა) მდინარე თერგი შევიწროებულია, ერთის


¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი 1904 წ. გვ. 96.

² ყაზბეგი და სტეფანწმინდა ერთიდაიგივე სოფლის სახელია. სტეფანწმინდა ამ სოფლის ძველი სახელია, ყაზბეგი კი მას რუსეთის შემოსვლის შემდეგ ეწოდა. დღეს მისი ოფიციალური სახელი ყაზბეგია და ჩვენც აქ ყაზბეგს ვხმარობთ.

მხრით, მყინვარის მთის ტოტებით და, მეორეს მხრით, ყუროსა და შინოს მთებით ქმნის ცნობილ დარიალის ხეობას, სადაც მისი აქაფებული ზეირთები არღვევენ ხოხის გრანიტიან ქედს და ის დიდის სისწრაფით ჩრდილო კავკასიისაკენ მიეჭანება.

ხევის ტერიტორიის ფარგლებში თერგს ერთვის: სნოს წყალი, რომელიც შედგება ჯუთისა და ართხმოს წყლისაგან, ჩხერი, ყუროს წყალი, ორწყალი (დევდორაკისა და ჩათის წყალი) და ხდეს წყალი (ქისტინკა). სნოს ხეობით ყაზბეგიდან (სნო — კარკუჩა — ბურსაქილის უღელტეხილი — ფასანაური — დუშეთი — მცხეთა — ტფილისი) გადიოდა საქართველოს ძველი სამხედრო გზა.

თავის გეო-ფიზიკური აღნაგობით ხევი სამართლიანად ითვლება დედამიწის ერთ-ერთ იშვიათ კუთხედ, სადაც ბუნების მონუმენტალობა წარმოდგენილია მთელი თავისი სიძლიერით. მას არტყია კავკასიონის მაღალი და დაწვეტილი მთები და მყინვარები: ყურო, ვე-




სურ. 1. მყინვარწვერი.

შანროვანი, ნაროვანი, ხვედისი, შინო, ქაშარჯინა, ართხმო, ლეკია, ბახნო, ლიჯე, საკეცენი, ჩათა, ქუბასწვერი, დიდო, ნახერეთი, ხდე, დარიალა, გვირგვალის წვერი, ყინვარი ორწვერი, აბანო, დევდორაკი და სხვა, რომელთა სიმაღლე აღწევს ზღვის დონედან 2000-5000

მეტრადის. მათ შორის ხევის ბუნების სიამაყე მყინვარწვერია, რომლის სიმაღლე 5,043 მეტრია. კავკასიონის ეს თეთრწვერა ბუმბერაზი გეოლოგიური ფორმაციის ხანაში ცეცხლისმფრქვევ ვულკანს წარმოადგენდა, რომელიც გრგვინავდა, ირყეოდა და დედამიწის წიაღიდან გაფარვარებულ ლავას ანთხევდა.

ვულკანურმა ცეცხლმა და გამხვალმა დედამიწამ ის თანდათანობით მალლა ამოხდა, ცეცხლი განელდა და მისი მაღალი წვერიც თოვლით დაიბურა. დღეს მოხვევების ეს „ყირვან-წვერი“ უკვე ჩამქრალია და საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ მისი სიდიადის წინაშე ხალხი მაინც ქედს იხრის და ცრუმორწმუნე მოხვევ ამ მყინვარწვერის გადალახვას ჯერ კიდევ ვერ ბედავს.


მაგრამ ცნობის მოყვარე ადამიანმა არა ერთი ცდისა და დამარცხების შემდეგ ცრუმორწმუნეობის ეს ბურუსიც გაფანტა და პირველი ტურისტ-მოგზაურები, რომლებმაც შესძლეს 1868 წელს მყინვარწვერზე ასვლა იყვნენ ინგლისელები: ფერშვილი, ტუკერი და მორი. მას შემდეგ მყინვარწვერისა და დედორაკის ყინვარის შესწავლის მიზნით ასვლაც გახშირდა და 1923 წელს მყინვარწვერზე პირველად ავიდა ქართული ექსპედიცია გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით.¹ მყინვარწვერზე გამკოლთა შორის ცნობილია



სურ. 2. გახა წიკლაური.

¹ გ. ნიკოლაძე, პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე, საქარ. გეოგრაფიკულ-საზოგადოების მოამბე № 1. ტფილისი 1924 წ. სავა ამსუვლელთა შორის აღსანიშნია ტაოგრაფი. ა. ვ. პასტუხოვი, რომელმაც ტაოგრაფიულად გადაიღო მყინვარი და აწარმოებდა მეცნიერულ დაკვირვებებს. აგრეთვე ალბინისტი ქალი მ. პ. პრეობრაჟენსკაია, რომელმაც მყინვარწვერზე მეტეოროლოგიური ბუდრუგუნა დადგა (М. П. Преображенская, четыре восхождения вершину Казбека, Землеведение 1912 г. № 1, 2).

სოფ. ცდოს მცხოვრები აწ განსვენებული მოხევე გახა წიკლა-



სურ. 3. დარილის ხეობა.

ური (ასულა 16 ჯერ) და დღეს კი ცნობილია იაგორა კაზალიკა-
 შეილი (ასულა 14 ჯერ). მყინვარწყვერისაქენ ორი ასასვლელი გზაა—

გერგეტისა და დევდორაკის ყინვარით. მათ შორის შედარებით უფრო შესწავლილი და გამოკვლეულია დევდორაკის ყინვარი, რომელმაც იცის დიდი ზეგებები. 1832 წელს დევდორაკის ყინვარიდან დაშვებულმა ზეგებმა მდინარე თერგი ასი მეტრის სიმაღლით დააგუბა და ამით დიდი ზარალი მიაყენა სამხედრო გზას და ადგილობრივ მოსახლეობას.¹

თვით ხევი წარმოადგენს ყოფილ ყინვარის ძირს. ეს ყინვარი გეოლოგიურ პერიოდში ჩამოდიოდა მყინვარიდან და მიემართებოდა თერგის ხეობით კავკასიის. ამის უტყუარი ნაშთია ის მორენები, რომლებიც მიმოფანტულია სოფ. გერგეტისა და ყაზბეგის მიდამოში.²

ხევის გეომორფოლოგიურ აგებულებას ნალექ ჯიშებიდან უმთავრესად ახასიათებს პალეოზოის ფიქლები და იურას კიროვან-მერგელიანი ფენები. ამ ფიქალებს მოხევეები „ქაქს“ უწოდებენ და მას სააღმშენებლო მასალად ხმარობენ, განსაკუთრებით პალეოზოური ფენის რუხი და შავი ფიქლები გამოყენებულია სახლის სახურავად.

ამასთანავე აქ ვულკანური ჯიშებიც³ ბლომად მოიპოვებიან, წითელი, რუხი და შავი ანდეზიტის სახით. დღეს ანდეზიტს ამ რაიონში დიდი საწარმოო მნიშვნელობა ეძლევა. აქ უკვე წარმოებს რუხი ანდეზიტის დამუშავება კობში, არშაში და ცდოში (საქეცე).

მოიპოვება აგრეთვე გრანიტი, განსაკუთრებით დარიალის ხეობაში.⁴



¹ Сборник сведений о завалах, упавших с гор Казбека на Военно-Груз. дорогу, Тифлис 1884 г.

² А. Д у х о в с к и й, Исследование Казбекских ледников в 1909-13 г.г. (Изв. Кавк. Отд. Рус. Географ. о-ва, XXV, 1, 1917 г.); А. Рейнга р д, Крестовый перевал и Военно-Груз. дорога (Изв. КОРГО, XXII, 1913-14 г.); Н. Д и н н и к, Современные и древние ледники Кавказа (Зав. КОРГО, XIV, I, 1890); Г. А б и х, Исследов. настоящих ледников Кавказа (Сбор. Свед. о Кавк., I.); Л е в и н с о н - Л е с с и н г, Вулканическая область Центр. Кавказа, (Геол. наблюд. в обл. перев. жел. дор. через Гл. Кавк. хребет. СПб. 1914 г.). პ რ о ფ. ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფია ტ. I, გეომორფოლოგია, ტფ. 1928 წ. გვ. 78—79.

³ В. В. Д у б я н с к и й, о горных породах Казбека (Зап. КОРГО, кн. XXIV, вып. 3-й, Тифлис 1904 г.); Ф. Ю. Л е в и н с о н - Л е с с и н г, Исследов. по теоретической петрографии в связи с изучением изверж. пород Центр. Кавказа, Юрьев 1898 г.; მისივე, Геол. изследов. в массиве и отрогах Казбека, произв. 1899 г. (Мат. по геол. России XXXI, 1).

⁴ Д. Б е л я н к и н, О Дарияльском граните (Геол. изслед. в области перев. жел. дороги через Глав. Кавк. хребет СПб. 1917 г. გვ. 1—48).

რაც შეეხება აქაურ მთებში ჩამარხულ მადნეულობას ის ჯერ კიდევ გამოკვლეული და სათანადოდ შესწავლილი არარის, მაგრამ მცირე რაოდენობით მოიპოვება: ანთიმონი (სურმა), ტყვია და თუთია, სპილენძის საკმაო ბუდობია დევდურაჯზე და მრავალია მთის ბროლი.

ამ რაიონში მინერალური წყაროებიც მოიპოვება: კობში, გორის-ციხეში, ყაზბეგში და სხვა. მინერალურ წყაროებს აქ „ვეძა“-ს უწოდებენ და თავიანთი თვისებებით ყველა ნახშირმჟავიანებია. მათ შორის საყურადღებოა კობისა და ყაზბეგის ვეძა. კობის ვეძა აქ ცნობილია თავის სამკურნალო თვისებებით და ყოველ ზაფხულს კობს ჩრდილოეთ კავკასიიდან აწყდებიან მოაგარაკენი. ყაზბეგში ვეძის სამი წყაროა. სამივე ეს წყარო ქიმიურად გამოკვლეულია რ. კუპცისის მიერ. მათში თავისი სამკურნალო თვისებებით ხალხში ცნობილია პირველი წყარო და ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ მისი ქიმიური შემადგენლობის ანალიზს. ერთ ლიტრა წყალში ნახულია:

ნატრიუმი	0,2097 გრ.
ნატრიუმის ქანგი	0,2825 „
კალციუმის „	0,2602 „
მაგნიუმის „	0,0648 „
ალუმინიუმის „	0,0080 „
რკინის ქვეყანგი	0,0120 „
ქლორი	0,3226 „
გოგირდის სიმჟავე	0,0288 „
აზოტის „	0,0004 „
ნახშირის ორჟანგი შეერთებ.	0,4676 „
	0,0601 „

სულ . . 1,7170.

ნახშირმჟავა თავისუფალი	1,54.
„ ნახევრად თავისუფალი	0,6588
მაგარ. ნივთ. გაშრობილი 120°C	1,800 გრ.
დაკლება გაზურების დროს	0,093 „
რადიოაქტიობა	2,53 „
წყლის ტემპერატურა	16°C
ღებეტი	2000 ვერამდის.

ამ პირველ ვეძას ხალხი უმთავრესად სასმელად ხმარობს, ზოგჯერ მის აბაზანებსაც იღებენ.¹ თერგის მარცხენა ნაპირზე ყოფილი ძლიერი ვულკანის მოქმედებათა ნიშნად აქა-იქ ჩქეფს გოგირდოვანი ცხელი წყაროებიც.

¹ რ. დ. ნუპცის; Минеральные воды Пшавии, Хевсурии и Хевии (Закавказье. Краеведческий Сборник. Серия А. Естествознание I, Тифлис 1930 г. გვ. 222—224).

ჰავა საქართველოს ამ მთიან მხარეში ცვალებადია. წლის საშუალო ტემპერატურა სიმაღლის ზონალობის მიხედვით ყოველი 200 მეტრის მანძილზე ცელსიუსის 1° -ით კლებულობს ე. ი. თერგის ხევიდან რამდენიც მყინვარწვევრს უახლოვდებით ჰაერიც უფრო ცივია. მუდმივი თოვლის მიწნამდის (3000 მ.) ხევში ალპური ზოლის ჰავაა გავრცელებული. აქ მთელი წლის განმავლობაში ცივი ამინდებია (წლის საშუალო ტემპერატურა 5° -ია), ზამთარი ძლიერ ცივია და თოვლ-ყინვებიანი. იანვრის ტემპერატურა (-12°)-დან (-18°)-დის, გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა ადრე, ზაფხული გრილი (ივლისის ტემპერატურა 10° -დან 14° -დისა), მოკლე და ნესტიანია. ატმოსფერის დანალექის რაოდენობა 1000 მმ. აღწევს და უმთავრესად თოვლის სახით მოდის. 3000 მეტრიდან, მუდმივი თოვლის ზონალობაში, პოლარული ჰავაა გავრცელებული, რომელსაც მეტად დაბალ ტემპერატურასთან (ივლისის საშუალო ტემპერატურა 0° დაბალია) თოვლის სახით ატმოსფერული დანალექის დიდი რაოდენობა ახასიათებს.¹

თუ როგორ დამოკიდებულებაშია წლიური ტემპერატურის საშუალო ცვლა და ატმოსფერული დანალექის რაოდენობა ადგილის სიმაღლის ცვლასთან (ზღვის დონედან), ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სამხედრო გზაზე (ხევის მიმართულებით) მდებარე სამი პუნქტი, რომლის თვალსაჩინო ცხრილსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ.

ადგილი	სიმაღლე ზღვის დონე- დან მეტ.	საშუალო ტემპერატურა იანვარში.	საშუალო ტემპერატურა ივლისში	საშუალო ტემპერატურა წლიურად	ნალექები წლის მთლი მეტრებში.
ჯვრის უღელ- ტეხილი .	2.350	—11,6	11,2	—0,2	1.693 ✓
კობი	1.987	— 8,1	13,6	3,3	1.192
ორჯონიკიძე (კავკავი) .	679	— 4,6	20,3	8,5	840

¹ И. В. Фигуровский, Опыт исследования климатов Кавказа, т. I, СПб. 1912 г.; В. Кочергин, Атмосферные осадки Закавказья, Тифлис 1898 г.

ფლორისტულად ხევის რაიონი ალბების სარტყელშია მოქცეული, რომლის ბუნებას ახასიათებს ალბების ტიპური მცენარეულობა.¹ ფოთლოვანი თუ წიწვიანი ტყით ეს რაიონი ღარიბია. ტყის მცირე ნაშთები ზოგან აქ დაცულია „ხატის ტყის“ სახით. ამ ტყეს არ კრიან და არც საქონელს აძოვებენ. ბოტანიკურად ეს კორომები ბუნების ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომლებიც ადამიანის დაუწოდებელი ხელის განადგურებას გადარჩენილან. ამ ხატის ტყეებს შორის ყველაზე დიდი და ლამაზი სიონის ტყეა, სადაც იზრდება: არყი, ვერხვი, წორო, ფიჭვი და ტირიფი. გერგეტის ხატის ტყეში კი არყი და ვერხვია. კობიდან დაწყებული მაღლობებზე აქა-იქ ფიჭვნარიც გვხვდება. ფიჭვნარია აგრეთვე დარიალის კლდეებზე, მაგრამ აქ ფიჭვს ტანი დაკლანელი აქვს და დიდიც არ იზრდება.

ხევის ვიწრო ხეობა დაფარულია სუბალპური მდელოთი. ყაზბეგის ტაფობში, რომელსაც ჰავის სიმშრალე ახასიათებს, მრავალი ველისა და კლდის ქსეროფიტების მცენარეულობა. მის ზომიერად ნესტიან ადგილებზე კი მშვენიერი მარცვლოვანი მდელოებია აღმოცენებული, რომელთა შორის ზოგიერთი ნაკვეთი მდიდარია სამეურით, მთის იონჯით და სხვა, რაც კარგი ღირსების თივას იძლევა. ამ სუბალბების მდელოს ცვლის ალბების ხალი, რომელიც აჭრელებულია მრავალნაირი ყვავილებით, ბალახებით და ის თითქმის თოვლის ხაზამდის აღწევს. ეს ალპური ხალი წარმოადგენს ფართო საძოვრებს, სადაც ზაფხულის პერიოდში მრავალი ათასი სული საქონელი იკვებება.

ხევის ამ კლდე-მინდვრებში ბუნაგობენ ნაღირები: ჯიხვი, მგელი, მელა, კურდღელი, მაჩვი, დათვი, ფოცხვერი და სხვა. ფრინველები: არწივი, შურთხი, ბელურა ჩიტი, მწყერი, კაკაბი, შაშვი, მერცხალი, ჭკა, ყორანი, კრუხა, ტყის ქათამი, ყურვილა, კაგები, წაპაი, მტრედი, ოფოფი, გუგუტი (გუგული), მახნოველა და თავწითელა.

ქვეწარმავალნი: გველი შხამიანი, ბაყაყი შხამიანი, ფსვენი (ხელიკი), ლაფოჩქინა (ლოკოკინა) ძუძაძალა, თაგვი და სხვა. თევზებს შორის აქ თერგში და მის შენაკადებში კალმახია გაგრელებული.

¹ ა. ა. გროსჰეიმი, დ. ი. სოსნოვსკი, Е. ა. ტროიცკი, საქართველოს მცენარეულობა, ტფილისი 1928 წ. გვ. 105—110; П. Т. Муромцев, Ботаническая Экскурсия на Казбеке летом 1871 г. (Изв. Имп. Рус. Геогр. Об-ва 1872 г., 6).

მე-18 საუკუნის დასაწყისში გეოგრაფი ვახუშტი ხევს ასე აგვიწერს: „ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს კევი, გარდავალს გზა კევს, კადის დასავლეთიდან, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო, ზამთარს ვერავლის ამას ზედა ცხენი, თოვლის სიდიდითა. ზაფხულ არს ბალახიან-ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩდილოთკენ ერთვის კევის მდინარეს კევი და უწოდებენ შთასავალს (კობის წყალი). აქა არს წყარო სპეტაკი ვითარცა თოვლი და ჰყრიან ბროლი მრავალი. არამედ მდინარესა კევისასა ეწოდების არაგვი ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის მდინარე ძველადვე და აწ მალრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდან, კავკასის მხრიდან, დის აღმოსავლეთად ჩასავლამდე (კობამდე). ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ კევად, მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქვეით მოდრკების არაგვი და დის ჩდილოთ ვიდრე ქისტის წყლამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არ არს თევზი მდინარესა ამას შინა, თვინიერ კალმახისა. და არს კეობა ესე მოზღუდვილი კავკასითა. რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულთი შეკვერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თავაურს, ჩიმსა და კევსა. აღმოსავლით უძევს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და კევსა. სამკრით აქუს კედელი კვალად კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და კევსა... აღმოსავლიდან არავალს ერთვის, არშას ქვეით, აჩხოტის კევი... გერგეთს ქვეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდან ერთვის კევი გელათისა, ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი. ხოლო აწ უწოდებენ გველეთს. ამ გველეთს ქვეით ერთვის არაგვსვე კევი... ამას ქვეითს არს დარიელა... ხოლო კეობა კევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა, შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თვინიერ მთის ხილითა: არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ქალათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილნი მთისანი მრავალნი. პირუტყვნი, რაცოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი არს ფრინველი შურთხი, გლონი, და ზაფხულს მწყერი ურიცხნვი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა. არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ. ჰავით არს კეთილმშენი. კაცნი არიან ბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰეროვანნი ვითარცა მთიულნი, განაესენი უმჯობესნი ყოველთა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.“ (გეოგრაფია გვ. 96-99).

ხევის მოსახლეობას შეადგენენ ქართველი მოხევეები და ოსები. მოხევეებს უჭირავთ სნოს ხეობა და თერგის ხეობის ნაწილი, სოფ. თოთიდან (კობიდან 5 კილომეტრია) დარიალის ხეობამდის. ოსებს კი უკავია მთელი თრუსოს ხეობა და კობი.

ადმინისტრაციულად ხევი წარმოადგენს რაიონს, რომელიც დაყოფილია თემსაბჭოებად: ყაზბეგისა (ყაზბეგში), არშისა (სიონში), კობისა (კობში), თრუსოსი (აბანოში) და ახალციხისა (სნოში). ეს თემსაბჭოები ემორჩილებიან ხევის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ყაზბეგშია მოთავსებული და რომელსაც ეკისრება რაიონის კულტურულ-ეკონომიური და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა.

1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით რაიონში ირიცხებოდა:

ყაზბეგის თემი

№№ რიგზე	სოფელი	მეცამეტა რიცხვი	მოსახლეობა				მათ შორის			მოხევეების გვარები
			მამაკაცი	ქალი	დედა	ოჯახი	ქართველი	ოსი	ქისტი	
1	ართხმო . .	20	36	34	70	70	—	—		არაბული (ხევსურებია)
2	არშა . . .	26	61	79	140	140	—	—		ბაზალი, გოგბაძე
3	ახალციხე .	38	70	85	155	155	—	—		ქერაშვილი, ჩაბაიძე
4	აჩხოტი . .	16	33	40	73	9	64	—		(ოსებია)
5	გაიბოტენი	27	60	78	138	138	—	—		ხულელიძე, ჩაბაკაური
6	გარბანი . .	49	119	131	250	250	—	—		ქუჭიშვილი, გუჯარაძე
7	გველეთი .	4	6	8	14	6	—	8		(ქისტებია)
8	გერგეტი .	84	199	265	464	464	—	—		სუჯაშვილი, ქისტაური, ხუციშვილი, წიკლაური
9	გორისციხე	71	174	211	385	385	—	—		ავსაჯანიშვილი, ჩქარაული, ელოშვილი.

№ რიგზე	სოფელი	მკომუროთა რიცხვი	მოსახლეობა			მათ შორის			მოხვევების გვარები
			მამა- კაცი	დედა- კაცი	ორივე სქესი	ქართ- ველი	ოსი	ქისტ	
10	დარიალი .	7	14	14	28	28	—	—	ომიაშვილი, გიგაური
11	თოთი . . .	24	56	74	130	130	—	—	წიკლაური, ავსაჯანი- შვილი
12	კარკულა . .	60	121	173	294	294	—	—	მარსაგიშვილი, ყამარა- ული
13	მალსაგინი	7	15	13	28	28	—	—	მარსაგიშვილი
14	მიგულა . .	1	1	3	4	4	—	—	როსტომაშვილი
15	სიონი . . .	96	196	257	453	453	—	—	ფაჯიშვილი, ოდიშელი, კობაიძე, სეთურიძე, და- ვითაშვილი.
16	სნო	132	272	333	605	605	—	—	ლუდუშაური, გოდერძი- შვილი, გელაძე.
17	ტყარშეთი .	23	58	70	128	128	—	—	ნარიშვანიძე, მაისურაძე.
18	ფანშეთი .	24	63	88	151	151	—	—	სამქანაშვილი, საბაური, ჩონიაშვილი.
19	ფხელშე . .	39	79	87	166	166	—	—	ელაშვილი, ჩქარეული.
20	ქოსელი . .	23	44	65	109	109	—	—	ფიცხელაური
21	ყაზბეგი . .	213	484	485	969	954	15	—	ჩოფიკაშვილი, ხეთაგუ- რი, შადური, ქირიკა- შვილი, გომიაშვილი, გი- გაური, ქუშაშვილი, ალი- ბეგაშვილი.
22	ყანობი . .	59	131	154	285	285	—	—	კურკუმული, კობიშვი- ლი.
23	ცდო	31	60	101	161	161	—	—	ზაგაშვილი, წიკლაური
24	ხურთისი .	56	114	152	266	266	—	—	ჩოჩოშვილი, ჩქარეული, გოგიშვილი, ტუჩაშვილი
25	ჯუთა ¹ . . .	35	60	74	134	134	—	—	არაბული, წიკლაური. (ხეცსურები).
ს უ ლ .		1160	2524	3074	5598	5507	79	8	

¹ ჯუთასა და ართხმოში ცხოვრობენ გადმოსახლებული ხეცსურები.

კობის თემი¹

№ რიგზე	სოფელი	მეცამეტა რიცხვი	მოსახლეობა			მათ შორის		
			მამ- კაცი	დედა- კაცი	ორვე სქესი	ქართ- ველი	ოსი	ქისტ
1	აბანო . . .	23	51	70	121	—	121	—
2	აგანთყაუ .	4	14	21	35	—	35	—
3	ალმასიანი .	35	107	94	201	14	183	—
4	ბურმასიგი	13	36	33	69	—	69	—
5	გიშრა . . .	19	80	106	186	—	186	—
6	განისი . . .	6	30	28	58	—	58	—
7	განისი ზემო	5	13	8	21	—	21	—
8	დესი	26	76	81	157	—	157	—
9	ერეტო . . .	11	38	40	78	—	78	—

¹ კობის თემში ცხოვრობენ ხევში გადმოსახლებული ოსები, რომლებიც ადმინისტრაციულად და კულტურულ-ეკონომიურად ხევის რაიონში შედიან.

ოსებს აქვთ თავიანთი ენა და ისტორიული წარსული და საჭიროა მათი ცალკე შესწავლა. ამიტომ ამ გამოკვლევაში ჩვენ არ ვეხებით ხევში მოსახლე ოსებს და განზრახული გვაქვს შემდეგში საქართველოს ოსების ცალკე შესწავლა.

№№ რიგზე	სოფელი	მეცამეტა რიცხვი	მოსახლეობა			მათ შორის		
			მამა- კაცი	დედა- კაცი	ლოვე სქესი	ქართ- ველი	ოსი	ქისტი
10	ზავაგორი .	7	19	26	45	—	45	—
11	კარატყავი .	14	45	46	91	—	91	—
12	კეტირისი .	34	88	126	214	—	216	—
13	კობი . . .	35	102	103	205	—	205	—
14	მეჭეთი . .	7	18	23	41	—	41	—
15	მნა	16	67	55	122	—	122	—
16	ნოგკაუ . .	9	44	42	86	—	86	—
17	ოქროყანა .	23	89	86	175	—	175	—
18	რესი . . .	27	77	89	166	—	166	—
19	სივრაუტა .	5	9	9	18	—	18	—
20	სოყურიანი	10	39	49	88	—	88	—
21	სუაჭისი . .	25	77	93	170	—	170	—
22	ტეპი . . .	23	73	91	164	—	164	—
23	ჟრმისსოფ.	7	21	23	44	—	44	—
24	უხათი . .	24	90	81	171	—	171	—
25	ქუმლის ციხე	15	72	57	129	—	129	—
26	შვარდენი .	9	24	28	52	—	52	—
27	ცოცოლტა .	16	40	43	83	—	83	—
28	ციხის სოფ.	20	65	72	137	—	137	—
ს უ ლ		468	1504	1625	3127	14	3115	—

2. ისტორიული მიმოხილვა.

ხევი თავისი მდებარეობით ისეთ გეოგრაფიულ არეშია მოქცეული, რომ მას უთუოდ მდიდარი ისტორიული წარსული უნდა ჰქონოდა.

ისტორიის მანძილზე ხევის ეს ვიწრო ხეობა ერთ-ერთი გზა და ხიდთაგანი იყო, რომელიც კულტურულ-ეკონომიურად აკავშირებდა არა მარტო ამიერ და იმიერ-კავკასიას, არამედ ამასთანავე დედამიწის ორ დიდ მატერიკს—აზიასა და ევროპას. თერგის ხევის ეს ვიწრო გასავალი, შემდეგ დარიალად წოდებული, უხსოვარი დროიდან არსებობდა, სადაც ისტორიის წინა ხანაშიაც ადამიანთა არა ერთ მოდგმას უცხოვრია და თავიანთი არსებობის უტყუარი კვალიც დაუტოვებიათ.

პრეისტორიულ ხანაში ხევის მიდამოში ადამიანს რომ უცხოვრია, ამას მოწმობენ აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური ნაშთები.


1874 წელს ყაზბეგში (სტეფანწმინდა) თერგის მარჯვენა მხარეზე, ყუროს ფერდობზე, ყაზბეგიანთ სახლისა და სტეფანწმინდის ეკლესიის მახლობლად, სამხედრო გზაზე მომუშავე მუშებმა შემთხვევით იპოვნეს ბრინჯაოს ნივთები და სამკაულები. 1876 წელს ეს ნივთები მოსკოვში გაიტანეს, სადაც დადასტურდა მათი დიდი მეცნიერული ღირებულება და მოსკოვის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებამ 1877 წელს დაავალა არქეოლოგს გ. დ. ფილიმოვნოვს ყაზბეგში გამგზავრება და იქ არქეოლოგიური გათხრების წარმოება. გ. ფილიმოვნოვი ამავე წელს ყაზბეგში ჩავიდა და გათხრის საქმეს შეუდგა, რომელმაც არქეოლოგიური გათხრა შიგ ყაზბეგიანთ ეზოდან დაიწყო და აქ მეტრნახევრის სიღრმეში ბრინჯაოს ნივთების მთელი განძი აღმოაჩინა.

ეს ნივთები ვერცხლის ჯამში და სპილენძის ჭურჭელში ყოფილა ჩაწყობილი და ძეწკვის ხლართებით შეკრული. ნაპოვნი განძი შეიცავს მრავალგვარ ნივთებს, რომელთა კულტურული ღირებულება დიდია.

მათ შორის თავისი მხატვრული გაფორმებით განსაკუთრებით საყურადღებოა ვერცხლის ჯამი, რომელსაც ძირი გედის თავებით აქვს შემკული (იხ. სურ. 4).

აღმოჩენილ სამკაულებში მრავალია: დაქრელებული „ფიბულები“ (ენიანი ქინძისთავი), სამაჯურები, საყურეები და ბალთები. ზოგიერთ ბალთებზე ტეხილი და ხვეული ხაზებით გამოსახულია გეომეტრიული ფიგურები და სხვა (იხ. სურ. 5, 6, 7).

ყაზბეგის განძში მრავალია აგრეთვე ადამიანისა და ცხოველების
ბრინჯაოს ქანდაკებები. მათ შორის საყურადღებოა ფალოსიანი ზან-



სურ. 4. წვერცხლის ჯამი.

ზალაკები. ეს ზანზალაკები ჩამოკიდებულია ჯიხვის თავზე, რომლის
სამ-ოთხ სართულიან რქებზე დგას შიშველი მამაკაცი გალიზიანე-

ბული სქესობრივი ასოთი (ფალოსი) და ხელში მას იარაღი (ჩაქუჩი) უჭირავს. ერთ ასეთ ზანზალაკზე მდგომარე მამაკაცია გამოქანდაკებული, რომელიც ხუთ ლარიან ჩანგზე უკრავს (იხ. სურ. 9, 10, 11, 14).

ყაზბეგის განძში ბევრია ცხენის მოსართავის სამკაულები: ბალთები, ღილეები, ჟღარუნები და სხვა. იარაღიდან ნაპოვნია: შუბის წვერები, დანები, ხანჯლის ტარები, ისრის წვერები და სხვა.

პროფ. ფილიმონოვის გამოკვლევით ყაზბეგის ეს განძი ეკუთვნის ბრინჯაოს ხანას და მას დაახლოვებით ათარიღებს მე-X საუკუნით ქრისტიანობის წელთაღრიცხვამდის. ფილიმონოვის აზრით ყაზბეგის ეს ბრინჯაოს კულტურა ენათესავება სამხრეთ ოსეთისას, სახელდობრ კობანის კულტურას და ორივე ადგნლობრივი კავკასური წარმოშობისაა.¹

შემდეგ 1879 წელს ყაზბეგიანთ ეზოს იმავე ადგილზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ: უვაროვეები, ანტონოვიჩი, ოლშევესკი და ფრ. ბაიერნი. ამ წლის გათხრებში აქ უკვე ქვით დახურული სამარხები იყო აღმოჩენილი შიგ ადამიანის ნეშტით და მისი უფრო გვიანდელი კულტურის ნაშთებით. ვ. ბ. ანტონოვიჩის აღწერით² სამარხში მიცვალებული პირადმა სვენებულა, რომლის ჩონჩხი შემკული ყოფილა ბრინჯაოსა და ოქროს სამკაულებით. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ოქროს ნივთების სიმრავლე: სხვადასხვა სახისა და ფორმის ოქროს საყურეები, ყელსაბამის ოქროს ნაწილები, ოქროს ღილეები, ოქროს მხედარი და ფრინველები. (იხ. სურ. 8).


მრავალია მძივები: მინისა, თიხისა, სარდიონისა და სხვა. ყაზბეგში ეს 1879 წელს აღმოჩენილი კულტურა უკვე ქრისტიანობის ხანას ეკუთვნის და თავისი წარმოშობით ის ბიზანტიურ-სასანიდური კულტურის მონათესავეა და დაახლოვებით დათარიღებულია მე-IV—VI საუკ. ქ. შ.

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ ყაზბეგიანთ ეზოში არქეოლოგიურ გათხრებს სხვათაშორის ფრ. ბაიერნიც აწარმოებდა. ბაიერნის

¹ Г. Д. Филимонов, „О доисторической культуре в Осетии“, Антропол. выставка 1879 г. т. II, Москва 1878—1879, приложение к XXXI тому Известий о-ва любителей естествознания, Москва 1878 г. გვ. 26—33; Уварова, Степан-Цмипда у станции Казбек, Материалы по археол. Кавказа, вып. VIII, Москва 1900 г. გვ. 139—151.

² В. Б. Антонович, Дневник раскопок веденных на Кавказе, осенью 1879 года, Пятый археологический съезд в Тифлисе, Москва 1879 г. гв. 253—255; Уварова, op. cit. გვ. 152—155; Коллекции Кавказского Музея, Археология, т. V, Тифлис 1902 г. გვ. 11—19.

აღწერით ამ მუშაობის დროს ერთ-ერთი სამარხიდან წყარომ ამო-
 ხეთქა, დაახლოვებით ნიადაგის ნახევარი მეტრის სიღრმიდან. ამ წყა-
 როს ფსკერიდან ბ ა ი ე რ ნ მ ა ამოკრიბა სრულიად მთელი და დაუზი-
 ა



სურ. 5. ყაზბეგის განძი: ჯიზვის რქიანი ბრინჯაოს ზანზალაყები, ბალთები, შარნები
 და სხვა.

ნებელი ოქროს სამკაულები. მიწის ნიადაგში კი ის პოულობდა ბრინჯაოს დამსხვრეულ იარაღებს.



ფურ. 6. ყაზბეგის ვანძი: მძივები, ბრინჯაოს ზანზალაქები, რგოლები, ყოჩის ქანდაკება და სხვა.

ბაიერნის აზრით ეს მიწიდან ამოხეთქილი წყარო უეჭველია ძველი წყაროა, რომელსაც აქაური მოსახლეობა ძველად ხმარობდაო. დღევანდელ ყაზბეგში (სტეფანწმინდაში) წყარო არარის და წყალს თერგის გაღმიდან ეზიდებიან. ბაიერნის თქმით ძველად თერგზე რასაკვირველია ხიდი არ იქნებოდა და გქიდან წყლის ზიდვაც შეუძლებელი იქნებოდაო, ამიტომ ყაზბეგის ძველ მოსახლეობას უეჭველად აქ თავისი წყარო უნდა ჰქონოდა და სწორედ ეგ არის ის ძველი წყარო, რომელიც შემდეგ ყუროდან წამოსულმა მეწყერმა ალბად თუ დაიტანა და მიწის ქვეშ მოაქციაო. ბაიერნს ეს წყარო ღვთაება პრიპი¹ (ნაყოფიერების) წმინდა წყაროდ მიაჩნდა, სადაც მლოცავები სხვა და სხვა საწირით მოდიოდნენო.

ნაყოფიერების ამ ღვთაებას ქალები განაყოფიერებას შესთხოვდნენ და თავიანთ სამკაულებს სწირავდნენ, რომლებსაც შიგ წყაროში ჰყრიდნენ, რომ არავის წაეღო. მამაკაცები კი მას იარაღებს სწირავდნენ და იქვე ტოვებდნენო.

შემდეგ ყუროდან ზევეი დაიძრა, ეს წყარო და სალოცავიც დაიტანაო, მაგრამ მის ძირში მოთავსებული ოქროს სამკაულები დამსხვრევას გადაურჩა, იარაღები კი ზევემა დაიტანა და დაამსხვრიაო.

შემდეგ ამ წმ. ადგილზე ხალხმა ქრისტიანული ნიში და ბოლოს სტეფანწმინდის ეკლესია ააშენაო.⁽²⁾


პროფ. ფილიმოხოვის მიერ 1877 წელს ყაზბეგში აღმოჩენილი საგანძურის ვრცელი და ახალი გამოკვლევა ეკუთვნის პროფ. ა. მ. ტალგრენს.³ ჩვენთვის საინტერესოა აქ ზოგადად მაინც გავეცნოთ მის ზოგიერთ მოსაზრებას. პროფ. ტალგრენის ეს ვრცელი შრომა იწყება ყაზბეგის არქეოლოგიური აღმოჩენების ისტორიის განხილვით, სადაც დაწვრილებით აღწერილია ნაპოვნი ნივთები, სხვა ანალოგიურ ნივთებთან შედარებით. ანალიზის საშუალებით გამოკვლეულია, ლითონის ქიმიური და მისი შენადნობის პროპორციონალური შემადგენლობა. შესწავლილია და დადგენილია ბრინჯაოს ნივთების ორნამენტიკა. დასასრულ, ყაზბეგის ამ არქეოლოგიური აღმოჩენისა და მისი კულტურული ღირებულების შესახებ ავტორის დასკვნა ასეთია:

¹ პრიპი (Priapus) ბერძნულ მითოლოგიაში მიწდერისა და საქონლის ნაყოფიერების ღვთაებაა, განსაკუთრებით ცხვრებისა და თხების მფარველად ითვლებოდა. პრიპი წარმოდგენილი იყო წვერიანი მამაკაცის სახით, ტიტველი და გაღიზიანებული სქესობრივი ასოთი.

² Fr. Bayern's, Untersuchungen über die ältesten Gräber-und Schatzfunde in Kaukasien. Berlin 1885, გვ. 41—51.

³ A. M. Tallgren, Caucasian monuments. The Kazbek Treasure, Eurasia Septentrionalis antiqua, V, Helsinki 1930, გვ. 109—181.

ყაზბეგის ამ განძეულობას კულტურული კავშირი აქვს ჩრდილო-კავკასიის, სახელდობრ, კობანის კულტურასთან, სადაც ანალოგური



სურ. 7. ყაზბეგის განძი: მძივები, ბრინჯაოს სამკაულები, ფიბულები, ირმის ქან-
დაცება, ძეწვეი და სხვა.

ხასიათისა და ფორმის ნივთები აღმოჩენილი, რომლებიც ეკუთვნიან მე-X საუკ. ქრ. წ. ყაზბეგისა და კობანის¹⁾ ბრინჯაოს ნივთები: ქინძისთავეები, საყურეები, ქამრის ბალთები, ცხოველების ფიგურები და სხვა ერთმანეთს ემსგავსებიან თავიანთი ნაკეთობის ტექნიკით, ფორმითა და ორნამენტით. მაგრამ, აგრეთვე, სხვაობაც არის. მხოლოდ ეს სხვაობა, ამბობს ტალგრენი, შესაძლებელია იმით აიხსნებოდეს, რომ ყაზბეგის განძში ~~ჩავემოყრილია~~ ისეთი ნივთები, რომლებსაც უფრო რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, როგორცაა, მაგალითად, ბრინჯაოს კერპები და მათი მსგავსი ნივთები. ჩვეულებრივად სამარეებში ასეთი კერპები არ გვხვდება. ამას გარდა ყაზბეგისა და კობანის კულტურულ ნაშთებს შორის სხვა სხვაობაც არსებობს. ყაზბეგის გათხრები ღარიბია იარაღებით. მასში არ მოიპოვებიან ხანჯლები და ცულები, რომელთა სიმრავლე განსაკუთრებით კობანის კულტურას ახასიათებს. ამ ჰოსაზრებას ტალგრენი ასეთ დასკვნას უკეთებს: „ის კულტურული წრე, რომელთანაც ყაზბეგის განძეულობა უფრო დაკავშირებულია არის ჩრდილო ოსეთი (კობანი) და ქისტეთი, მაგრამ ეს კულტურული წრე იმავე დროს განაყოფიერებული იყო ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით მცირე აზიის ცივილიზაციის ელემენტებით“-ო.


ამიტომ ყაზბეგის განძს, ტალგრენის აზრით, მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე მცირე აზიურ-ხეთურ კულტურასთან, რომლის ორიენტაციაზე აშკარად მიგვიჩივებენ ყაზბეგში აღმოჩენილი ჯიხვის რქებზე მდგომი მამაკაცის კერპები. ვერცხლის ჯამს, ცხენის მოსართავის ნაწილებს და ფრინველის ქანდაკებებს აშკარად ეტყობა ჩრდილო სირიის კულტურის ზეგავლენაო.

¹ კობანი თავაურის ხეობაშია, სადაც მდ. გიზელ-დონი და კობანის წყალი ერთდება. ეს ხეობა თერგის ჩრდილო აუზშია მოქცეული. კობანის არქეოლოგიურ გათხრებზე 1877 წ. პროფ. ფილიმონოვი მუშაობდა, შემდეგ ვირხოვი, შანტრი და სხვ. კობანში აღმოჩენილ ბრინჯაოს კულტურას არქეოლოგიურ მეცნიერებაში მსოფლიო მნიშვნელობა ეძლევა, რომელსაც მე-XII—X საუკ. აკუთვნებენ ქრ. წინ.

მისი მდიდარი კოლექცია დაცულია ევროპის სხვა და სხვა მუზეუმებში: ვენის, ბერლინის, პარიზის, მოსკოვისა და ტფილისის მუზეუმებში. კობანის პრეისტორიულ კულტურაზე საკმაოდ დიდი მეცნიერული ლიტერატურა არსებობს:

Уварова, Могильники Северного Кавказа, Мат. по арх. Кавказа, т. VIII М. 1900; Ern. Chantre, Le Caucasic, t. I და II, Paris 1886; R. Wirschow, Die grabfelder von Koban im Lange der Osseten, Berlin 1886. Проф. Ю. В. Готье, Очерки по истории материальной культуры Восточной Европы I, Ленинград 1925 г. გვ. 101—109.

ტალგრენის აზრით, საეჭვოა, რომ ყაზბეგის ნივთები ერთი წარმოშობისა იყოს, ამიტომ მათი რაობის გარკვევაც ერთგვარ




სურ. 8. ყაზბეგში ნაპოვნი: ოქროს სამკაულები და მიძივები.

სიძნელეს შეიცავს. ყაზბეგის ნივთები შემთხვევითაა ერთად დაჯგუფებული, შესაძლებელია როგორც განძი ან ღვთაებისადმი მისართ-

მევი საწირის სახით. მითუმეტეს, რომ ყაზბეგის ნივთების უმრავლესობა საკულტო ხასიათისანი არიან: მამაკაცის იტიფალური კერპები, ცხოველების ქანდაკებები, ზანზალაკები და სხვა. მამაკაცის ეს იტიფალური კერპები ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლური გამოსახულებათაა და ყველა ამ რიტუალურ ნივთებს, ტალგრენის თქმით, ხალხი თავიანთ ღვთაებებს სწირავდა.

რაც შეეხება ყაზბეგის ამ განძის ხნოვანობის დადგენას მკვლევარი აქაც ელოდება ერთგვარ დაბრკოლებას, რადგანაც მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროისა და კულტურული ელემენტების მატარებელი ნივთები. მაგრამ ეს ნივთები ხნოვანობით ერთმანეთს დიდი




სურ. 9. ფალური კერპები.

სურ. 10. ზანზალაკიანი ფალური კერპი.

მანძილით მაინც დაშორებული არ უნდა იყვნენ, რომლებიც წარმოშობით ეკუთვნიან კულტურის განსაზღვრულ წრეს და აქვე კავშირი კავკასიის ანალოგიური კულტურის სხვა ნაშთებთან. ამიტომ მისი აზრით ყაზბეგის არქეოლოგიური განძის ხნოვანობა უნდა განისაზღვროს 1000—600 წლით ქრ. წ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით პროფ. ტალგრენის ამ საყურადღებო მოსაზრებების კრიტიკულ განხილვას. მხოლოდ მისი მეტი გარკვეულობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი განმარტების შეტანა.

ყაზბეგის ბრინჯაოს კულტურას უეჭველია კავშირი აქვს ჩრდილო ოსეთის (კობანის) პრეისტორიულ კულტურასთან, რომელთანაც ის თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც (თერგის ხეობით) დაკავშირებულია. მაგრამ ამავე დროს ყაზბეგის ნაშთებს უშუალო კავშირი აქვთ საქართველოს აწინდელ ტერიტორიაზე, ქსნისა და ლიახვის ხეობაში აღმოჩენილ პრეისტორიული ხანის ბრინჯაოს ნაშთებთან. უეჭველია, როგორც დღეს ისე ძველად ხევის მოსახლეობა განიცდიდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კულტურულ-ეკონომიურ ზეგავლენას,



სურ. 11. რიტუალური ფალური
 ხანზალაკის აღდგენილი სახე.

ჯგებას შესთხოვს. აქაური ხატები დღესაც-ჯიხვების რქებით არიან შემკული.

ხევის პრეისტორიული ხანის ადამიანიც უეჭველია ჯიხვებზე ნადირობდა და მათი ხორცი იკვებებოდა, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ის მადლობისა თუ ჯიხვების გამრავლების მიზნით მის

რადგანაც ასეთია მისი გეოგრაფიული მდებარეობა იმ დიდ შარავნაზე, რომელსაც დღეს საქართველოს სამხედრო გზა ეწოდება. მაგრამ ამასთანავე ყაზბეგის განძში მოიპოვება ისეთი ნივთებიც, რომლებიც თავიანთი წარმოშობით უფრო ადგილობრივი (ხევის) ხასიათისანი არიან. ასეთია სხვათა შორის ჯიხვის თავების მრავალსართულიანი ქანდაკებები ზედ იტიფალური მამაკაცის კერპით. ჯიხვი ადგილობრივი ცხოველია და ხევში დღესაც მრავალია. ჯიხვის რქას ხევში ერთგარი რიტუალური დანიშნულება ეძლევა და ყოველი მონადირე მოკლული ჯიხვის რქებს ხატს სწირავს და მას ნადირობაში გამარ-

რქებიან ბრინჯაოს ქანდაკებებს ნაყოფიერების ღვთაებას სწირავდა, რომლის სახე ზოგიერთ შემთხვევაში ზედვე იყო გამოქანდაკებული შეიარაღებული მონადირისა თუ მეომრის სახით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყაზბეგის გარდა ფალოსის ასეთივე კერპები საქართველოს სხვა რაიონებშიცაა აღმოჩენილი.

სხვათა შორის ამ მხრივ ცნობილია სოფ. ზეკარში (ბაღდადის რაიონი) აღმოჩენილი იტიფალური ბრინჯაოს კერპი, რომელსაც ადამიანი თავყვანსა სცემდა, როგორც განმანაყოფიერებელ ძალას.¹ საყურადღებოა, რომ ამ ფალოსის კულტის ზოგიერთი ნაშთი ჩვენში დღემდის შემონახულა: ბერიკაობა, ყეენობა, განსაკუთრებით სვანურ „საქმისა“² და „ადრეკილა“³-ს სახით. ქრისტიანობის ხანაში ეს წარმართული ფალოსიც ამა თუ იმ წმინდანის სახით გაქრისტიანდა და მთიულ-მოხვეებიც დღეს განაყოფიერებას (შვილიერობას) შესთხოვენ ღუდას ყოვლადწმინდას (ღუდას ხეობაშია) და ღომისას (მღეთაშია).⁴

ამასთანავე ხევის იმდროინდელი მოსახლეობა მეცხვარეობას მისდევდა, სადაც აღმოჩენილია შინაური ცხვრისა და განსაკუთრებით რქებუ დაგრეხილი ყოჩების მრავალი ქანდაკება.

ეტყობა საზოგადოებრივი დიფერენციაციასაც ადგილი ჰქონებია, რასაც ჰმოწმობს ხელებ შეკრული კერპის ქანდაკება (ტყვე), რომელსაც გამარჯვებული ეწევა (იხ. სურ. 13).

არის აგრეთვე ბრძოლის სცენები, სადაც ერთი კერპი მეორეს ებრძვის ფართითა და იარაღით.

ხელოვნება და მუსიკა საკმაო სიმაღლეზე მდგარა. უკვე ჰქონიათ ხუთლარიანი ჩანგი, რომელსაც დახელოვნებული პირები უკრავდნენ. (იხ. სურ. 14).

ეს ბრინჯაოს კერპები თავიანთი ფუნქციონალობით უნდა დაკავშირებული ყოფილიყვნენ ამა თუ იმ ღვთაების რწმენასთან, განსაკუთრებით ნაყოფიერების (ფალოსი), მძლეობისა (ლაშქრობა) და ხელოვნების (მუსიკა) ღვთაებასთან.



სურ. 12. ყოჩის ქანდაკება.

¹ ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, ჟურ. „მომზილველი“ საქარ. საისტ. და საეთნოგრ. საზ. ორგანო. № 1 ტფილისი 1926 წ. გვ. 122—136.; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. I, ტფილისი 1928 წ. გვ. 57—70.

² ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი 1930 წ. გვ. 166—178.

ს. მაკალათია, ხევი

რაც შეეხება ყაზბეგის საგანძურში თავმოყრილ ქურქელს, სამკაულებს და იარაღებს ამათაც რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდეთ. რასაც, სხვათა შორის თვით მოხვევებში დღემდის დაცული წესებიც ჰმოწმობენ. აქ წესადაა მიღებული ხატისადმი საწირის სახით: ბეჭდისა, საყურეებისა, საყელურებისა, ჯამებისა, ყანწებისა, შამფურებისა და სხვათა მირთმევა, რომლებითაც სავსეა ხევის ნიშ-სამლოცველოები.



სურ. 13. ბრძოლის სცენა და
ხელმძღვანელი ტყვე


შემდეგ ყაზბეგის არქეოლოგიურ აღმოჩენებში საყურადღებოა ბრინჯაოს ზანზალაკების სიმრავლე. ჩვენის აზრით ეს ზანზალაკებიც რიტუალურია. ზანზალაკების შეწირვა ხატში ჩვენს მთიელებში ახლაც გავრცელებულია. რაიმე შემთხვევის გამო ზანზალაკს ხატს შეუთქვამენ და ყელზე შეიბამენ, ან საკლავს ჩამოკიდებენ, ხატობას დეკანოზთან მივლენ და ის დამწყალობნების შემდეგ ზანზალაკს ახსნის და ხატის ნიშში შედებს. ამ ზანზალაკებით სავსეა მოხვევ-მთიულების ხატის ნიშები.

ყაზბეგში აღმოჩენილი ზანზალაკებიც უმკველია რიტუალურია და ღვთაებათა კერპებს ეყიდა, რომლებსაც შუაში ჯოხი უნდა ჰქონოდა გაყრილი და კულტის შესრულების დროს ქურუმები მათ ხელით აჟღარუნებენ, (იხ. სურ. 11), ისევე როგორც ამას ჩვენ დღეს გხვდავთ მოხვევ-მთიულ-ხევსურების ხატების დროშებზე. ამ ზანზალაკიან დროშის ჟღარუნით პრეისტორიული ხანის ქურუმი, როგორც დღევანდელი დეკანოზები მლოცველებს თუ ამწყალობნებდა.

ერთი სიტყვით, ყაზბეგში აღმოჩენილი ბრინჯაოს კულტურის ნაშთები ადგილობრივად დღესაც კი პოულობენ თავიანთი დანიშნულების ზოგიერთ ახსნას. ეს გარემოება უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ პრეისტორიული ხანიდან დღემდის ამ რაიონში მოსახლეობას უწყვეტი ბინადრობა ჰქონია და საუკუნეებით შემუშავებული კულტურული ტრადიციებიც თაობიდან თაობაზე გადადიოდნენ, რომლებსაც თითქ-

მის დღემდის მოუღწევია. რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია და ამის არც რაიმე საშუალება მოგვეპოვება, რომ ხევის პრეისტორიული ხანის მოსახლეობის ტომობრივი ვინაობა გავარკვიოთ და განვსაზღვროთ. ეს უკვე ისტორიის საიდუმლოებას შეიცავს და ჩვენთვის ბუ-რუსითაა მოცული. მაგრამ მათი კულტურული მემკვიდრეობის ზოგი ფაქტი კი ჩვენს მოხვევებში დღემდის შემონახულა.

ხევის ამ პრეისტორიული ხანიდან ჩვენ თუ მის ისტორიულ წარსულზე გადავალთ, პირველყოვლისა საჭიროა დარიალის ხეობის ისტორიული მნიშვნელობის მოკლე მიმოხილვა, რადგანაც ხევის ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა მუდამ იყო და არის დარიალის კარებთან გადახლართული. დარიალის ეს ვიწრო გასავალი კორიდორი ისტორიაში უძველესი დროიდან იყო ცნობილი, რომელშიაც ჩრდილოეთის გზა გადიოდა, დღეს საქართველოს სამხედრო გზად წოდებული.



სურ. 14. ჩანგზე დამკვრელი (წინ და უკან)

ამ გზას განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საქართველოს (იბერიის) სამეფოსათვის, რომლის სატახტო ქალაქი — მცხეთაც არაგვ-მტკვრის გზაჯვარედინზე მდებარეობდა და არაგვის ეს ვიწრო და ძნელი გზა დარიალის კარებით იყო ჩაკეტილი.

საქართველოს სამეფოსათვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო დარიალის ამ ვიწრო კარების დაცვა და შენარჩუნება; მით უმეტეს, რომ ეს ხეობა კავკასიონის მაღალი ქედით მოწყვეტილია საქართველოს ბუნებრივ საზღვარს და მოქცეულია ჩრდილო-კავკასიის ფარგლებში.

კლასიკურ მწერლებს შორის დარიალის ამ გზის ყველაზე სწორი აღწერილობა გეოგრაფ სტრაბონს მოეპოვება (პირველი საუკუნე ქ. წ.). იბერიის სამეფოს გეოგრაფიულ აღწერაში სტრაბონი ამ-

ბობს: „... მეორე გზა შემოდის (იბერიაში) ჩრდილოეთიდან, სადაც საქონლის მიმდევარი ხალხი სცხოვრობს. ეს გზა მეტად ძნელია, რადგან მგზავრი ჯერ სამ დღეს უნდა მოუხდეს იმას, რომ ავიდეს საშინელ ვიწრო ქედზე, რომელიც ისე ვიწროა, რომ ორი კაცი ერთად ვერ გაივლის; ასვლის შემდეგ ამ ქედზე უნდა იაროს მგზავრმა კიდევ ოთხი დღე და ბოლოს შეხვდება მიუდგომელი ციხე, რომელიც იცავს ამ გზას“-ო¹. ქართულ მატიაზეში ამ კარს „არაგუის კარი“ ეწოდება. ისტორიკოსი ლეონტი მროველი აღწერს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზებს და ამბობს: „არს ზღუის კარი — დარუბანდი და არაგუის კარი, რომელ არს დარიალანი“-ო.² მას აგრეთვე სხვა სახელიც რქმევია. იოანე საბანისძე თავის აბო ტფილელის ცხოვრებაში მოგვითხრობს, რომ არაბების მიერ დევნილმა ნერსე ქართლის ერისთავმა: „განვლო კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის“-ო.³ ერთი სიტყვით ქართულ მატიაზეში არაგვისა და თერგის ხეობაში მიმავალ გზას ეწოდებოდა „გზა დარიელისაჲ“ ან უფრო სწორად „გზაჲ დარიალანისაჲ“.⁴

საისტორიო მწერლობაში საბოლოოდ გამორკვეული არ არის თვით ამ გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობის სადაურობა. არსებობს მისი ორგვარი ახსნა: უმრავლესობას დარიალა სპარსულ სახელწოდებად მიაჩნია, რომელიც შესდგება ორნაწილედ სიტყვისაგან „დარიალან“ ე. ი. კარი (დარი) ალანთა (ოსთა). მ. ჯანაშვილის აზრით კი „დარლ“ ოსური სიტყვაა და ნიშნავს გრძელს (შეად. დარღხოხ გრძელი მთა), ალანი — სახელია ერისა (ოსებისა) „დარლ-ალანთ-კარი“ — ალანების გრძელი კარი“.⁵ ყოველ შემთხვევაში ორივე ამ განმარტებაში დარიალის გაგების მნიშვნელობა ერთია — კარი ალანთა“ (ოსთა).

¹ საქართველოს ნაწილების აღწერა სტრაბონის მიერ 66 წ. ქრ. წ.—24 წ. ქ. წ. (ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი, ტფილისი 1890 წ. გვ. 210—211.)

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ტფილისი 1906 წ. გვ. 8—9 ექვ. თაყაიშვილის გამოცემა.

³ აბო ტფილელი, ტფილისი 1899 წ. გვ. 17.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. II ტფილისი 1914 წ. გვ. 336—337.

⁵ ჯანაშვიტის გეოგრაფია, მოსე ჯანაშვილის რედაქციით გამოცემული; ტფილ. 1904 წ. (იხილეთ მისი წინასიტყვაობა გვ. 98, შენიშვნა 184.).

⁶ ალანები ირანელთა მოდგმის ხალხი იყო, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნე ქრ. წინ. ჩრდილო კავკასიის ველებზე ბინადრობდა. მათი სამეფო მდინარე დონამდე აღწევდა. მეხუთე საუკუნიდან ქრ. შემდეგ ალანები ისტორიის არე-ნიდან ჭრებიან და მათ მემკვიდრეებად ოსები (ირონები) ითვლებიან. (იხილეთ

დარიალის ამ კარებით საქართველოს ეტანებოდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე მობინადრე ტომები: ალანები, ხაზარები,¹ ყივჩაყები და სხვა. მათი შემოსევის წინააღმდეგ საქირო იყო დარიალის ამ ვიწრო ბუნებრივი სიმაგრის ციხე-კოშკებით ჩაკეტა. სტრაბონის აღწერით ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ქრ. წ. დარიალის ხეობაში მიუღდგომელი ციხე მდგარა, რომელიც ამ გზას იცავდა. ამავე ციხის შესახებ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში მოჰყავს ზოგიერთი საეკვო ცნობები, რომელსაც ჩვენ აქ მხოლოდ ცნობისათვის მოვიყვანთ: „... არს დარიელა, არაგვის აღმოსავლეთ კიდეა ზედა გ (3) მეფის მირვანის მიერ (აშენებულნი?): შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე, ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერლარა ვიდოდნენ (და არს სახელი ისე მომრევი)“. (იხ. გვ. 98).

ამ ცნობაში ისტორიული შეუსაბამობაა და ის სინამდვილეს მოკლებულია. მირვან მეფის პიროვნება პრობლემატურია, რომელიც ქართული მატიანის მიხედვით მეორე საუკუნეში ქრ. წ. მეფობდა, ხაზარები კი ისტორიის არენაზე მესამე საუკუნიდან ქრ. შემდეგ გამოჩნდნენ. მიუხედავად ამისა ვახუშტის ეს ცნობა მაინც საგულისხმოა, რომელშიაც გადმოცემულია ოსებისა და ხაზართაგან თავდაცვის მიზნით დარიალის გამაგრების ზოგი ფაქტი.

მეხუთე საუკუნეში დარიალის სიმაგრეები ოსებმა გადმოლახეს და საქართველოს დარბევა დაიწყეს. მათ წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლანმა გაილაშქრა, რასაც ქართველი მემკვიდრე ასე მოგვითხრობს: „... განვლო (ვახტანგმა) კარი დარიალისა: შესავალსა ოვსეთად... მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი მოირთეს ძალი ხაზარეთით და მოეგებნეს მდინარესა ზედა რომელი გავლის დარიალას, ჩავლის ველსა ოვსეთისასა და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამე თუ ერთისა მთისაგან გამოვალს თავი ორთავე ქართლისა არაგვისა და ოსეთისა“-ო (ქარ. ცხოვრება გვ. 129). აქ

Ю. Кулаковский, Аланы по сведениям классических и византийских писателей, Киев 1899 г.; Проф. Ю. Готье, Железный век в Восточной Европе, М. 1930 г., გვ. 85—87.).

¹ ხაზარები ბინადრობდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე და თურქთა მოდგმად ითვლებიან. მათ შესახებ ცნობები მეორე საუკ. ქ. შ. მოიპოვება. მე-VI საუკუნიდან ხაზარეთის სამეფო გაძლიერდა, რომელიც ებრძოდა სპარსეთსა და ბიზანტიას. IX საუკ. ხაზართა სამეფო ძლიერდება, რომლის საზღვარი ჩრდილო კავკასიიდან მდინარე დესნამდის აღწევდა. მე-XVI საუკ. კი მათი სამეფო თანდათანობით იშლება და შემდეგ ქრება. (იხ. Проф. Ю. Готье, Железный век в Вост. Европы, „Хозарская держава и ее культура“ გვ. 70—90.).

ადგილი ჰქონია ოსებსა და ქართველებს შორის ძლიერ შეტაკებას, სადაც ვახტანგს გაუმარჯვია და დამარცხებული ოსები უკუუქცევია. ამ ბრძოლის გმირული ეპიზოდები ვრცლად არის შეტანილი ქართულ მატრიანეში და ხალხურ თქმულებებში დაცული.

გამარჯვებულმა ვახტანგმა მემათიანის თქმით დარიალის კარი გაამაგრა: „ხოლო დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი — იგი მთეულნი: არა კელმწიფების გამოსვლად დიდთა — მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა, თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ —ო (იხ. ქარ. ცხოვრება ზ. კიკ. გამოცემული გვ. 166).

აქიდან აშკარაა, რომ ვახტანგს ოსებისა და ყივჩაყთა წინააღმდეგ დარიალის ხეობაში „გოდოლნი მაღალნი“ აუგია, (გოდოლი მაღალი კოშკია, იხ. ს. სულხან ორბელიანის ლექსიკონი 59). და მცველად დაუყენებია „მახლობელნი მთეულნი“ ე. ი. მთიელები, რომელთა შორის ამ შემთხვევაში მოხევეები უნდა ვიგულისხმოთ.

მეექვსე საუკუნეში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელები გაბატონდნენ და მეფობაც მოსპეს, მემათიანის თქმით სპარსელები მაშინვე შედგომიან ჩრდილოეთის გზის გამაგრებას: „ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს (სპარსელებმა) და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და იგი მთეულნი¹ გომარდად (მცველად) დაადგინეს“ —ო.² ერთი სიტყვით მემათიანეების ამ ცნობებიდან ირკვევა, თუ რა დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლეოდა ქართლის სამეფოსათვის დარიალის გზის დაცვას, საიდანაც მას ჩრდილოეთის ტომები ემუქრებოდნენ და ამიტომ ის ჩაკეტილი იყო დარიალის ციხით. ეს ძველი ციხე აქ დღესაც ამაყად დგას და დასცქერის დარიალის ბუმბერაზ ხეობას, რომელიც აწ უკვე ცნობილია თამარის ციხედ.³

¹ მთეულნი — ქართულ საისტორიო წყაროებში შემკრებელობითი მნიშვნელობით იხმარება და მთიელების ზოგადი სახელია. მაგალითად თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარმა მოუწოდა: „ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოკვეთთა, კადელთა, კართალთა და სხვა“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი op. cit. წ. II, გვ. 337).

² მოქცევა ქართლისად (იხ. Е. Такайшвили, Описание рукоп. о-ва распр. грам. т. II, вып. 4. Тиф. 1906—1912 г. გვ. 723).

³ ეს სახელწოდება ლეგენდარულია და მას არავითარი კავშირი არა აქვს მე-XII საუკუნის თამარ მეფის პიროვნებასთან. დარიალის ციხე თამარის სახელით ქართულ საისტორიო მწერლობაში არსად იხსენება. მხოლოდ მე-XIX საუკ.

მაგრამ დარიალის ამ კარების გამაგრება მარტო ციხე-კოშკებით არ კმაროდა, საჭირო იყო ამასთანავე მისი ცოცხალი ძალებითაც დაცვა. ამ მიზნით იბერიის მეფეს უნდა გაეჩინა მათი ერთგული და გულადი მოსახლეობა, რომელიც დარიალის სადარაჯოზე მუდამ მზად ყოფილიყო. ასეთი მოსახლეობაც მემატიანეების ცნობებით ძველად აქ მართლაც არსებულა, რომელსაც ისინი მთიელებად იხსენიებენ. ამ მთიელებს დაკისრებული ჰქონიათ დარიალის სიმაგრის დარაჯობა. მათ შორის დარიალის სიმაგრის დაცვაში პირველობა ხევის რაიონში მობინადრე მოხვედრებს უნდა ჰქონოდა, რომლის ფარგალშიაც მოქცეულია თვით დარიალის სიმაგრე. აქიდან აშკარაა, რომ დარიალის ციხის აგებასთან, ციხის დასაცავად, მოსახლეობაც ადრევე უნდა გაჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს პირველი საუ-უკუნისა ქრ. წ., რომელსაც მთიელები ეწოდებოდა.¹ ეს ზოგადი სახელწოდება ხევის რაიონის მოსახლეობას თითქმის მე-12 საუკუნემდის შერჩა და მხოლოდ თამარ მეფის დროს ისინი პირველად მოხვედრებად იხსენებიან. მემატიანის თქმით, როდესაც მთაში ამბოხება დაიწყო მათ წინააღმდეგ თამარმა მოუწოდა: ყოველთა მთეულთა: დეაღთა, ცხრა-ზმელთა, მოკეცეთა, კადელთა“ და სხვა. (იხ. ქარ. ცხოვრ. გვ. 527—528). ამ დროიდან ეს კუთხე უკვე ცნობილია ხევის სახელწოდებით.

რუსმა მწერალმა ლეონტოვმა თავისი პოემის „დემონი“-ს სიუჟეტად გამოიყენა ერთი თქმულება, რომელიც ეხებოდა სილაშხით განთქმულ იმერეთის დედოფალს თამარს. ეს თამარი მე-17 საუკ. ცხოვრობდა და მეფე-მთავართა შორის საცილობელ საგნად იყო გამხდარი. თავის დემონში ეს ლეგენდარული თამარი პოეტმა დაუჟავშირა დარიალის ხეობას და მის ციხეს. აქიდან მას ეწოდა თამარის ციხე, რომელ სახელითაც ეს ციხე დღეს ცნობილია რუსულ მწერლობაში და ამ ბოლო ხანებში ჩვენშიაც თამარის ციხეს უწოდებენ. ეს ლეგენდარული თამარი ჩვენში ცნობილია „თამარ ცბიერის“ სახელით.

¹ ს. კაკაბაძეს ხევის რაიონის ძველ მობინადრედ, ქართულ მატიანეში მოხსენებული „წანარი“ მიაჩნია. მისი აზრით, როდესაც ვახტანგ გორგასლანმა საქართველოს საზღვარი დარიალამდის გააფართოვა დაიპყრო აქ მოსახლე წანარნი და ამ დროიდან დაიწყო მათი გაქართველებაო. („Действительно в X—XI в. в грузинизация Цанаров следует считать уже совершившимся фактов. В XIII в. бывшая область расселения цанаров в верховьях Терека до Дарьяла носят уже груз. название „кэви“ удержанное по сей день“. С. Н. Какабадзе, О племени цанар, (საისტორიო კრებული, წ. III, გვ. 112). ს. კაკაბაძის ეს ჰიპოთეზა დაფუძნებულია საეკვო ისტორიულ ფაქტებზე და მისი გაზიარებაც ძნელია. მით უმეტეს, თვით წანართა არსებობის საკითხი პრობლემატურია და საისტორიო მწერლობაში ჯერ კიდევ გამორკვეული არარის.

მეექვსე საუკუნიდან ჩვენში სპარსელები გაბატონდნ და ისტორიული სიტუაცია შეიცვალა. ჩრდილოეთის საფრთხეც შესუსტდა და დარიალის გზამაც თანდათანობით დაჰკარგა თავისი პირვანდელი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა, ვიდრე დავით აღმაშენებლის გამეფებამდის (XI საუკ.) და ისტორიის ამ პერიოდის მანძილზე მის შესახებ ჩვენთვის საყურადღებო ცნობები არ შემონახულა. დავით აღმაშენებელმა კი დარიალის ეს დახშული კარები გააღო და თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის აქიდან მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა ჩრდილო-კავკასიის ტომებთან ოსებთან და განსაკუთრებით ყივჩაყებთან, რომ მათი დახმარებით ბოლო მოეღო ჩვენში არაბთა ბატონობისათვის. ასეთი ძალების მოპოება, ისტორიის იმდროინდელ სიტუაციაში, შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩრდილოეთში და დავით მეფეც ამ მიზნით დაემოყვრა ყივჩაყებს და რამდენიმე ათასი ყივჩაყი დარიალის ხეობით ქართლში გადმოასახლა. შესაძლებელია ყივჩაყთა ნაწილი ხევის რაიონშიც დაასახლა. ჩრდილოეთის ეს მშვიდობიანი პოლიტიკა შემდეგ საუკუნეშიაც გრძელდებოდა ვიდრე მონღოლთა შემოსევამდის (XIII საუკ.). ამ დროიდან დარიალის კარი ისევ კარგავს თავის პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას მე-XVII-XVIII საუკუნემდის.)

ამ ზოგად ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ჩვენთვის საინტერესოა გავეცნოთ მოხვევთა სოციალურ წყობილებას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხის გასაშუქებლად ჩვენს საისტორიო მწერლობაში სათანადო მასალები არ მოიპოვება, რომელთა შესწავლითა და დახმარებით შესაძლებელი იყოს მოხვევთა საზოგადოებრივი წყობილების ისტორიული სურათის აღდგენა. ამ მხრივ ერთად ერთი ძეგლი, რომლის დახმარებით მაინც შესაძლებელია მათი სოციალური წყობილების ერთგვარი რეკონსტრუქცია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“¹-ა, რომელიც ეკუთვნის მე-XIV საუკუნეს. მართალია, ამ სამართლის ძეგლის სამოქმედო ასპარეზის საზღვრებში ხევი პირდაპირ დასახელებული არ არის და ეს გარემოება მკვლევართა შორის ერთგვარ იქვს იწვევს ამ კანონების ნორმების მოხვევებზედაც გავრცელებაზე, მაგრამ მასში მაინც აღნიშნულია ხევის ჩრდილოეთის საზღვარი: „...წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუენითმივედით კადაცხაოტს და ყოველნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მოვასხენით მუენებურნი კევის ბერნი

¹ „ქ. ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“ (იხ. ს. მაკალათია მთიულეთი, 1930 წ. გვ. 16—26.).

მათნი საქმენი. დავსხედით მათსა სასაქმოსა და მივედით დარიე-
ლამდის და ვსცანით ესე... და სხვა (იხ. ძეგლის დადება).

ამავე საკითხს ეხება პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რომლის
დასკვნა ასეთია: „რაკი გიორგი ბრწყინვალე მისი სიტყვით ამ ხეო-
ბის მცხოვრებთა იურიდიული ცხოვრების გიმოსარკვევად დარიალა-
ნამდის მისულა, ამიტომ ცხადია, რომ ძეგლის დადების მოქმედების
ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა დარიალანი მივიჩნიო-
თ“-ო.¹ ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება სწორია და მი-
საღები. მით უმეტეს, რომ ხევი, როგორც მისი მოსაზღვრე ხადა-
მთიულეთ-გუდამაყარი, რომელთა იურიდიულ ნომრებს ძეგლის და-
დება იხილავს, მეფეს უშუალოდ ექვემდებარებოდა. აქ ფეოდალებს
ხელი არ ჰქონდათ და ხევიც მეზობელ მთიელებივით ერთგვარი თე-
მური წყობილებით ცხოვრობდა.

ძეგლის დების მიხედვით ხევში თემური წყობილება ყოფილა განმ-
ტკიცებული, რომელსაც ახასიათებდა: შურისძიება, დაურვება, თე-
მიდან მოკვეთა, ურვათი, ქალის გატაცება და სხვა. მოსახლეობა ხე-
ვებად იყოფოდა და თითოეულის სათავეში ხევის ბერი მდგარა. ხე-
ვისბერს თემი ირჩევდა, რომელიც ხევს ფაქტურად მართავდა.
მაგრამ თემის უზენაესი ორგანო სათემო საბჭო იყო, სადაც ხევის
ბერები და გვარის უფროსები სათემო საქმეებზე ბკობდნენ. საყურა-
დღებოა, რომ ეს სათემო საბჭო და ხევისბერები მოხვედრებში მე-19
საუკუნის ბოლომდის არსებობდნენ. მათი რომანტიკული აღწერა მოი-
პოვება ალ. ყაზბეგის რომანებში: ელგუჯა, მოძღვარი, ხევისბერი
გოჩა და სხვა. ხევის სათემო საბჭო მიშენებული იყო სამების ეკლე-
სიის სამხრეთ კედელზე, რომელიც დღესაც დაცულია.

ძეგლის დადებით ხევისბერს ხევის დროშა და ციხე ბარებია, რო-
მლის მთავარ მოვალეობას შეადგენდა ლაშქრის შეყრა და მისი
მეთაურობა²: „ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია“-ო
(იხ. ძეგ. დება მუხ. ი). ხევის ბერები ამ ვალდებულებას შემდეგ სა-
უკუნეებშიაც მტკიცედ ასრულებდნენ, რომლის ერთი მომენტის მხატვ-
რული ილუსტრაცია მოცემულია ალ. ყაზბეგის რომანში: „ხევის-
ბერი გოჩა“.

ამ ხევისბერის გარდა იყო აგრეთვე ციხისთავი, რომელსაც
ციხის მეთვალყურეობა, გამაგრება და დაცვა ეკისრებოდა. მასვე
ემორჩილებოდა მეციხოვნე ჯარი. ხევისბერი და ციხის თავი ხევის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფილისი,
1928 წ. გვ. 93—104.

ადგილობრივი ხელისუფლება იყო, მაგრამ მთიელების (ფშავ-თუშეთი, მთიულ-მოხევეები და სხვა) მმართველად მეფეს ერისთავი ჰყოლია, რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. ერისთავის თანაშემწეს გამგებელი რქმევია.

მეფის ამ მოხელეების მოვალეობას შეადგენდა მეფის პოლიტიკურ-ეკონომიური ინტერესების დაცვა, განსაკუთრებით ლაშქრის წვევისა და ხარჯების აკრეფის დროს. ხევის შინაურ თემობრივ წყობილებაში ამ მოხელეებს ხელი არ ჰქონდათ, რომელსაც ხევისბერი და სათემო საბჭო განაგებდა.

ერთი სიტყვით მოხევეების საზოგადოებრივ წყობილებას წარსულში თემობრიობა ახასიათებდა. მას არ განუცდია ფეოდალიზმის ბატონყმური უღელის სიმძიმე, რომლის ქვეშ გმინავდა ბარის საქართველო. მართალია, ფეოდალების მხრივ იყო ცდა მოხევეების დასამორჩილებლად, მაგრამ ხევისბერის მეთაურობით გაერთიანებულმა თემმა შეძლო თავდაცვა და ბოლომდის თემური წყობილებისა და თავისუფლების შენარჩუნება.

მე-16 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს მოსვენებას არ აძლევდენ არაგვის ერისთავები, რომლებიც სარგებლობდენ ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა-მოუძღვრებით და ცდილობდენ მთის დაპყრობასა და მთიელების თავიანთ ყმებად გადაქცევას.¹ ამ ბრძოლის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში სამწუხაროდ მეტად მცირე ცნობებია შემონახული.

არაგვის ერისთავებში ხევის დასაპყრობად პირველად ნუგზარ ერისთავს გაულაშქრია; მაგრამ მოხევეებს ძლიერი ნუგზარი დაუმარცხებიათ და ბრძოლის ეს ეპიზოდი თქმულების სახით ხალხში დღემდის დაცულა, რომლის ერთი სურათი-მხატვრულად აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგს თავის „ხევისბერი გოჩა“-ში.

მხოლოდ ამ ნუგზარის მემკვიდრემ ზურაბ ერისთავმა (1619-1629) შეძლო ხევის დროებით დაპყრობა, მაგრამ ზურაბის სიკვდილთან ერთად მისი ეს ბატონობაც ჩქარა ქრება.

ხალხური გადმოცემით, როდესაც არაგვის ერისთავები ძალით ვერას გახდენ და ხევი ვერ დაიმორჩილეს, მაშინ ისინი მშვიდობიანი გზით და დიპლომატიური ხერხებით ცდილობდენ თემის მოთავეების გადმობირება-მოსყიდვას და ამით თემის პირის გატეხას.

¹ П. Иоселиани, Описание гор. Душета, Тиф. 1860 г. გვ. 36—41; ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა, ზურაბ არაგვის ერისთავი, გვ. „ივერია“ 1888 წ. № 238, 241; ს. მ ა ქ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფილ. 1930 წ. გვ. 28—30.

ამ მიზნით ერისთავები ხევის ხატებს ძვირფას ნივთებს სწირავდნენ მათვის ღვინის კულუხის გაღება თვითონვე იკისრეს თურმე. ამ გზით ერისთავებმა დაიახლოვეს ხევის ზოგიერთი გავლენიანი გვარის მეთაურები, რომლებსაც სალაშქროდ იწვევდნენ და დიდის საჩუქრებით უკანვე ისტუმრებნენ. მათ შორის ერისთავებმა დააწინაურეს გავლენიანი გვარის მეთაური შიოლა ღუდუშაური, რომელსაც აზნაურობა უბოძეს თურმე.

სწოლს ხეობაში ღუდუშაური ძლიერი გვარი იყო, რომელსაც თავისი მაგარი ციხეც ჰქონდა და ასეთი გვარის მეთაურის გადმობირებით შესაძლებელი იყო სწოლს ხეობის ხელში ჩაგდება და აქიდან კი შემდეგ მთელი ხევის დამორჩილება. ახლად გააზნაურებულმა შიოლამ ერისთავების წაქეზებით დაიწყო ხალხზე ბატონობა და საბეგრო ხარჯებით მოხვევებს ძლიერ აწუხებდა. ამაზე თემი ღელავდა. სათემო საბჭოში გვარის უხუცესებმა პირი შეკრეს, რომ თემის მოღალატე შიოლა სასტიკად დაესაჯათ, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანას ვერ ბედადნენ, რადგანაც სწოლში შიოლას მაგარი ციხე ჰქონდა, მას აგრეთვე მისი საგვარეულოც ემხრობდა, რომელსაც შიოლა მთლად გააზნაურებდას პირდებოდა. თემი მოითხოვდა ხალხის მოღალატე შიოლას დასჯას და ბოლოს მან გადაწყვიტა ამ მიზნით მოესყიდა შიოლასთან დაახლოებული ერთი ხევსური — მთრეხელი, რომელიც შიოლას დის ძმადნაფიცი იყო.

თემისაგან მოსყიდულმა მთრეხელმა აბჯარი აიხსნა, ცხენს ძღვენი გადაჰქიდა და შიოლასაკენ გზას გაუდგა. მაგრამ ჯაშუშმა მთრეხელის ეს განზრახვა უკვე შიოლას აცნობა და აჩხოტთან სანადიროთ მიმავალი შიოლა გზაზე შეეყარა ძღვენით მომავალ ხევსურს. მისალმების უმაღლეს შიოლამ უბრძანა თავის ამაღლას მთრეხელისათვის ცხენი ჩამოერთვათ. შემდეგ შიოლამ შვილდის წართმევა ბრძანა. ხევსურმა ამაზე უარი განაცხადა, უცბად შიოლას მივარდა, ისარი შიგ გულში ჰკრა და შიოლას სული იქვე გააფრთხოვინა.

მთრეხელი გაქცეულა და ღუდუშაურები მას მოსაკლავად დასდევნებიან. მთრეხელმა თურმე მოასწრო სოფ. ახალციხეში შესვლა და შიოლას დის სახლში დამალვა. მთრეხელმა თავის დათნაფიცს სთხოვა მფარველობა. ამ საშინელი ამბის გამგონე შიოლას და ტირილით ემუდარებოდა თურმე მღევრებს: „ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა, ამ შემოხვეწილ სტუმარს სახლში ნუ მომიკლავთო“. მაგრამ გახელებულმა ღუდუშაურებმა ეს თემური ადათიც გადალახეს, ჩაკეტილი სახლის საკომიდან მთრეხელს ისრები დაუშინეს და შიგვე მოჰკლეს.

ამაზეა გამოთქმული ეს ლექსიცი:¹

შიოლაჲ დუღუშაურო, სკამს ზიზარ ერისთვისასა,
 აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს, არცა ბაღლს ერთის თვისასა,
 პირიდან ცეცხლსა მეზად ჰყრი, კლდეს აღნობ ბასრი ქვისასა.
 არ გაგიშვია მთრეხელი, ხეცს მომავალი დისასა.
 ცხენი სთხოვე და დაგიომო, შეილდს რაღას ართმევ რქისასა?
 შეილდი არ დაეთმიება, ადგილს სდგას ნაპირისასა.
 დაგიპირა და გულისა გკრა, ბატონსა აჩხოტისასა.
 „აქამდე სკამე აჩხოტი, ახლა მე გაქმევ ქვიშასა.“
 ტან ზედით აბჯარს ვინ ამყრის? ვაჲ დედას შავის ყმისასა!
 ცხენზედით ვინ ჩამომანდენს შავ ბიკსა მთრეხელისასა?
 მივმართავ ყოვლად წმინდასა, შეწვეწვას ვითხოვ მისასა.
 კარები ღია არ დაჰხედა, კარები ღვთის მშობლისაცა.
 „ნეტავ, არ შეიხვეწიებს ძმისა მომკვლევი დისასა?“
 — „როგორ არ შეიხვეწივს? ვაჲ დასა შავის ძმისასა!“
 მოსდევენ ღუღუშაურნი, რისხვასა გვანდენ ღვთისასა,
 „ნუ მახვალთ ჩემო მამულნო, ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასა!“
 კარებით არვის გაუშვებს, საკომით უკრევენ ისარსა.

ამგვარად თემმა ერისთავებისაგან მოსყიდული და თემის მოლა-
 ლატე შიოლა მოჰკლა² და ამით ბოლო მოუღო მათ ვერაგულ პო-
 ლიტეიკას.

არაგვის ერისთავებთან ერთად მოხვედრეს მტრობდენ და მოსვე-
 ნებას არ აძლევდენ ოსები, ლეკები და ქისტები, რომლებიც ხევის
 სოფლებს ეცემოდენ, მათ საქონელს და დოვლათს იტაცებდენ, ადა-
 მიანებიც ტყვედ მიჰყავდათ და მათ გამოსასყიდათ თემისაგან დიდ
 თანხას მოითხოვდენ. მოხვედრეს მათ წინააღმდეგ არა ერთხელ გაუ-
 ლაშქრნიათ და დამარცხებული მტერიც უკუ უქცევიათ. ამ გამარჯ-
 ვებათა გალექსილი ეპიზოდები და თქმულებები ხალხში დღემდის შე-
 მონახულა.

მე-XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს შორის გაც-
 ხოველდა დიპლომატიური ურთიერთობა და ამან ხელი შეუწყო და-
 რიალის გზის გამოცოცხლებას და მისი პოლიტიკურ-ეკონომიური
 მნიშვნელობის განახლებას. ამ გზით წოგზაურობდენ ელჩები და შე-

¹ შიოლა ღუღუშაურზე გამოთქმული ხალხური ლექსების ვარიანტები მოთა-
 ვებულია პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ხალხურ პოეზიაში, I ხვესურული, ტფილისი 1931 წ.
 გვ. 337—342.

² ამ შიოლა ღუღუშაურის დახასიათება მოიპოვება ალ. ყ ა ზ ბ გ ე ს დაუმ-
 თავრებელ მოთხრობა „მინო“-ში.

მოდიოდა რუსეთის ჯარები, რომელთა მთავარი ბაზა დარიალის ხეობაში იყო. დაუძლურებული და დაცემის გზაზე შემდგარი ფეოდალური საქართველოს სამეფო თავის ხსნას იმპერიალისტურ რუსეთში ეძებდა, რომლის ერთგული სამსახურისათვის საჭირო იყო დარიალის გზის არაგვის ურჩ ერისთავებისაგან გაწმენდა და მისი უშუალოდ ხელში დაქვერება.

ამ მიზნით თეიმურაზ II-მ ბოლო მოუღო არაგვის მოუსვენარი ფეოდალების ბატონობას და 1756 წელს არაგვის საერისთავო სამუდამოდ გააუქმა, რომლის გამგებელად შემდეგ უფლისწულები ინიშნებოდნენ.

ერეკლე II არაგვის ხეობის გამგებლობა ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა, რომლის გამგებლობაში მთიულ-გუდამაყარ-ხევიც შედიოდა. მთიელებს ვალად ედოთ მეფის მოწოდებისთანავე სალაშქროდ გასვლა.

ჩვენ აქ მოვიყვანთ მოხვევებისადმი გაცემულ ვალდებულების ასეთ სიგელს:

„ჩ: ნებითა და შეწვენითა: ღვთისათა. ჩვენ ღვთივ ამაღლებულ. აღმატებულმან. ღვთივ დამყარებულმან და ღვთივ ცხებით ზეით გვირგვინოსანმან: იესეან. დავითიან. სოლომონიან. პანკრატიანიან: და ყოვლისა საქართველოსა თვით მპყრობელმან: მეფეთ მეფემ პატრონმან ვახტანგ და თანამემცხრედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან: დედოფალთ დედოფალმან პატრონმან. რუსუდან პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან. მეფემ პატრონმან. ბაქარ და ბატონისშვილმან პატრონმან გიორგიმ: და ყოველთავე მომავალთა სახლისა ჩვენისათა: ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ქამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსადეგი. მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ: თქვენ ჩვენთა დიდად ერთგულთა და მრავალ გვარად გარჯილთა და ნამსახურთა ბრძანებისა ჩვენისა დიდად მორჩილთა, თქვენ ერთობილთ მოკვეთთა: ასე რომე როდესაც ჩვენს სამსახურზედ ლაშქრობაში დაგვიძახოთ და გამოვიყვანოთ; ვითაცა ძველთა სულ მბრწყინვალეფა მეფეებთა ჩვენთა მამა პაპათაგან უღუფად გაგჩენოდესთ: ეგრეთვე აწ ჩვენცა აგრევე წყალობა გვქონია რომ ჩვენის ქარხნიდამ უნდა მოგვეცემოდესთ სამს დღეში. კარი ერთი; ცხვარი ერთი; ფქვილი კოდი ხუთი; ღვინო კოკა ხუთი; მარილი ლიტრა ოთხი; და განგიახლეთ კულად უღუფისა და წყალობის წიგნი ესე. რომ არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან აწ, გიბძანეთ ვეკილ ვეზირნო და ყოველნო კარისა ჩვენისა გამრიგენო: ბძანება ესე რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობესა ფარმანსაშიგან ეწეროს: თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურარასმც ცუდად კელ ჰყოფთ: და გაურჯელად ამა ჩვენგან ნაწყალობესს როჭიკს ჩვენის ქარხნიდამ მისცემდეთ ხოლმე: დაუყოვნებელად თვინიერ თანა დგომისა და შეწვენისა განვიდე. დაიწერა ბძანება ესე ჩვენი კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კაცკასიძის მელისადგვისათა; კრისტეს აქათ: ჩღლბ (1732), ქკოს: უკ: (420) თებერვლის: თ; (10).

ხვეულად ხელს აწერს „ვახტანგ“ ახის ბეჭედი „ბაქარ“¹

¹ ეს საბუთი ინახება სოფ. გორისციხეში, ლადო ჩქარეულის ოჯახში.

ამასთანავე როდესაც ერეკლე მეფემ ჯარის მორიგეობა დააწესა, ხევის სამოურაოებიც ვალდებული იყვნენ ამ მორიგეობაში მონაწილეობა მიეღოთ.¹

მე-XVIII საუკუნეში ადმინისტრაციულად ხევი სამოურაოებად იყო დაყოფილი და თითოეულ სამოურაოს გამგებელის მიერ დანიშნული მოურავი განაგებდა. ამ მხრივ ხევის სამოურაოებისა და მოსახლეობის გასაცნობად საინტერესო ცნობების შემცველია 1774 წლის არაგვის საერისთაოს სტატისტიკური აღწერა,² რომელშიაც აღნუსხულია სამოურაოში შემავალი სოფლები, მოურავისა და მოსახლეობის გვარები მათი კომლისა და თავისი (სულის) აღნიშვნით.

ამ სტატისტიკური აღწერით ხევი იყოფოდა ოთხ სამოურაოდ: ედოს (სტეფანწმინდა), სნოს, ფანშეთის და მნას სამოურაოდ (თრუსოს ხეობა). ხევი ნაცვალად იყო, რომელსაც მეფე ან გამგებელი ამტკიცებდა.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ხევის ნაცვლობის ბოძების ერთს სიგელს:

„ქ. წყალობითა. მღთისათა. ჩვენ იესიან. დავითიან. სოლომონიან. პაკრატან-მან ორთავე საქართველოსა. ქართლისა. და კახეთისა მკონებელმა. და ყაზახ შამ-შადინისა. და ბორჩალოსა. მპყრობელმან ცხებულის. მეფის თეიმურაზის. ძემან მეორემან. მეფემან პატრონმან ირაკლიმ. და თანამეცხედრემან. ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან დარეჯან და საყვარელმან ძემან ჩვენმან საქართველოს უფლის წულმან გიორგიმ. იულონ. ვახტანგ. თეიმურაზ და მირიან და ძის ძემან გიორგისამან დავით და იოანემ ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი და საბოლოდ გამოსადეგი წყალობისა და აზატობის წიგნი და სიგელი. შემგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურებს კაცისშვილს ჩქარეულს იასესშვილსა შენსა. მარტიას. მალაჩის. და ძმისწულსა შენსა ივანეს ასე რომ მოხვედ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ხევის ნაცვლობას გვეჯგე. ვისმინენ აჯა და მოხსენება შენი და რადგან უწინაცა შენს სახლში ყოფილა ნაცვლობა. ახლაც შენის ერთგულობისა და ნამსახურობის სანდოჲთ გიბოძენ კევის ნაცვლობა როგორადაც რიგი იყოს იმრიგათენ და მოიქცე და ერთგულათ გვემსახურო. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა ღეფეთა და მეპატრონეთგან გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეზირ ვეჭილნო და ყოველნო ჩვენო მოსაქმენო თქვენც ასე დაუმტკიცეთ ეს ჩვენი წყალობა.

სიგელი ესე აღიწერა ოკდომბერსა ივ (18) ხელითა კარისა ჩუენისა კახეთის მდივნის ძის სვიმონისათა ქკს უნ (450)=1762 წ.

ბოლოს აზის ბეჭედი. ერთზე აწერია „დარეჯანი“, მეორეზე „ირაკლი“. არში-აზე მას აქვს ასეთი წარწერა: „ქ. ჩვენ ორისავე საქართუშლოსა მეფის ძე ვახტანგ

¹ ე. თაყაიშვილი, 1774 წლის ნუსხა მორიგეთა ხევის გაიბორტიდან (საქარ. სიძველენი ტ. I, ტფილისი 1899 წ. გვ. 198).

² მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მე-18 საუკუნეში. გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ. ტფილისი 1907 წ. გვ. 407—428.

ბატონის მამის ჩვენისაგან ნაბოძების წიგნისა ამის თან მოწმენი ვართ. მკათათუს იე (15) ქკს უო (470)=1782 წ.

აზის ვახტანგის ბეჭედი: „ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად“.¹

ნაცვალ მოურავის თანაშემწე იყო, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამართლისა და ვაჭრობის საქმეში. მას სისრულეში მოჰყავდა გამგებელის განკარგულებანი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ხევის გამგებლის ვახტანგის ასეთ განკარგულებას ნაცვალ ჩქარეულისადმი.

ქ. ლტნ ბედნიერის ხემწიფის ძის ვახტანგის კირი სულ ერთიან გარბანელთ მოგვეცეს. მერმე ამას მოგახსენებთ ჩვენო მოწყალე სნოელი ელიას შვილი შიო აიყარა სნოდამ და იქ გარბანს მოვიდა და სახლი აქ არ ვაგებინებდით, მაგრამ თოფი იარაღ ზელში ეჭირა... უნდა ავყარნეთ, თორემ იმის მეზობლის თავი არა მაქვს და არც ალაგი გვაქვს იმთენ და ღმერთი გაგიმარჯვებს ერთი წამალი დავადევნოთ თორემ ამის მეტი ილაჯ არა გვაქვს... ჩვენ წელს ზენა და თესვა არ შავიძლია თუ ის კაცი იქ არის და ეს ერთი კვირა არის შიმშილით დავიხოცენით. ღმერთი გაგიმარჯვებს სამართალი გვიბოძე. თებერვალის, ა, ქკს უბა. (481)=1793 წ.

გარბანლების ამ განცხადებაზე ირიბად ვახტანგის ასეთი განკარგულება:

„ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ნაცვალ, ჩქარეულო იესევე, მერე ამ აზრის პატრონებს ასე რომ მოუხსენებიათ. სნოელის ელაშვილს შიოს რაც გარბანს სახლი გაეკეთებინოს იმაზე მეტს ნულარს გააკეთებინებ. ჩუენს მოსელამდის და ლტნის მოწყალებით ჩუენ რომ მანდ მოვალთ გავშინჯამთ და თუ დასაყენებელი იქნება ზომ დავაყენებთ თუ არა და სხვას გზას მივცემთ. სხვა ნულარაზე შეაწუხებს ამათ თორემ დიდათ უწყენთ.

თებერვალის. 3. ქკს უბა (481)=1795 ქ. მანამდის თუ გააკეთა რამე დიდად ავად მოვეპყრობით. ნულარს გააკეთებინებ.“

აზის ვახტანგის ბეჭედი.

ხევის ნაცვალს მეფისაგან სარგოც ჰქონია დაწესებული:

„ქ. ჩუენ მეფემან, სრულიად საქართუშლოსა და სხუთამან, ირაკლი მეორემან, გაგიჩინეთ ჯამაგირი, შენ ჩუენს ერთგულს შუა კვეის ნაცვლის შვილს ჩქარიულის მარტიას, წელიწადში ათის მარჩილის ფარჩა, ასრე რომ თუ შენ ჩუენს ერთგულად სამსახურში იქნები. ეს ჩვენგან განწესებული ათის მარჩილის ფარჩა ყოველ წლივ ჩვენის მოხელეებისაგან მოგვეცემა დაუკლებლად. აღიწერა დეკემბერს ბ (2) ქკს უოვ (475)=1787 წ.

ამ დოკუმენტს მეორე გვერდზე ასეთი მინაწერები აქვს:

ქკს უოვ (476)=1788 წ. თიბათუის კბ=22 ერთის წლისა მიეცა ბაზახმა-შიდამ.

ქ. მარიამობისთვეს; ბ: ყაზბეგის: შვილო: მქრადამი (?) მოეცი ერთის: წლის: ჯამაგირი ქკს ყოზ (477)=1789 წ.

¹ ეს საბუთი ინახება სოფ. გორისციხეში ლადო ჩქარეულის ოჯახში.

ქკს ჟოჲ (478)=1790 წ. ამ წელს მიეცა ეს თავისი განწყევლობა მალაქის შვილისაგან ნასყიდის ფარჩიდან.

ქკს ჟბ (480)=1792 წ. აპრილის, ზ=7, ერთის წლის ჯამაგირი ბაზაზებიდამ მიეცა.

ქკს ჟბბ (482)=1794 წ. აპრილის, იზ=12, ერთის წლის ჯამაგირი უზშამის შვილის შაქარადამ და იოსებ ქართველიდამ მოეცა.

ქკს ჟბგ (483)=1795 წ. ამ წლის ჯამაგირ ნახევარ: ბექდიდამ მიეცა და ნახევარი ბურნუთიდან.

ქკს ჟბე (485)=1797 წ. ამ წელსა სრულად მიეცა.

ჯამაგირის ასეთივე განჩინება ხევის ნაცვალი მარტიასათვის უბოძებია აგრეთვე გიორგი მეფესაც:

„ქ. ჩვენ მეფემან სრულიად ქარფლისა, კახეთისა და სხვათამან გიორგიმ გაგჩინეთ ჯამაგირი შენ ჩვენს ერთგულის შუა კვეის ნაცვლის შვილს ჩქარიულს მარტიას წელიწადში ათის მარჩილის ფარჩა ასე რომ თუ შენ ჩვენს ერთგულად სამსახურში იქნები ეს ჩვენგან გაწესებული ათის მარჩილის ფარჩა ყოველწლივ ჩვენის მოხელეებისაგან მოგცემა დაუკლებლად. აღიწერა მარტს კზ (27) ქკს ჟბზ (487)=1794 წ. ორი მარჩილიც მოგვიმატია... ქკს ჟბზ. აპრილსა ე. (5) ამ წელსა ჯამაგირი მიეცა. აზის გიორგი მეფის ბექედი.¹

ხევის 1744 წლის სტატისტიკურ აღწერაში მოხსენებული ოთხ მოურავში დაწინაურდა სტეფანწმინდის მოურავი ყაზიბეგ ჩოფიკას შვილი (ჩოფიკაშვილი). ასეთ დაწინაურებას რასაკვირველია ხელს უწყობდა ამ სამოურაოს მდებარეობის პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა. ყაზიბეგის სამოურაოში შედიოდა ხევის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები: სტეფანწმინდა, გერგეტი და დარიალის ხეობა. ამგვარად მოურავ ყაზიბეგის ხელში იყო ჩრდილოეთის გზა და დარიალის კარი, რომლის დაცვა-პატრონობა მას ევალებოდა.

მე-XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაცხოველებასთან ყაზიბეგის სამოურაოს მნიშვნელობაც გაორკვეცდა. ამ გზით საქართველოში შემოდიოდნენ დიპლომატიური წარმომადგენლები და რუსეთის ჯარები, რომელთა დახვედრა, მიღება და გასტუმრება მოურავ ყაზიბეგს ეკისრებოდა. ამ გზას აგრეთვე ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა, საიდანაც სავაჭრო ქარავნებით ჩრდილოეთის საქონელი შემოდიოდა და გადიოდა. დარიალის კარებთან საბაჟო იყო გამართული, რომლის მეთვალყურედ მოურავი ყაზიბეგი იყო.²

¹ აღნიშნული საბუთები ინახება სოფ. გორისციხეში ლადო ჩქარეული ოჯახში.

² სავაჭრო საქონელი ტფილისიდან სტეფანწმინდამდის ჩალანდრებით გაქონდათ. აქ ბოხჩებს ცხენებიდან ხსნიდნენ და დარიალის ვიწროებში მუშებს ზურგით

ამგვარად საქართველოს მეფეების წყალობით ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის გამგებლობაში მოექცა ასეთი მნიშვნელოვანი სამოურაო. ამან ეკონომიურად დააწინაურა სტეფანწმინდის მოურავი და ეს მოხვევ გლეხი ყაზიბეგი ახლა მაღალი წოდებისავენ მიისწრაფოდა. ამ მიზანს მისმა მემკვიდრემ გაბრიელ ყაზბეგმა მიაღწია, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობამ აზნაურობა და ლენერლობა უბოძა.

თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა ეძლეოდა დარიალის ხეობას და მისი მოურავის მოღვაწეობას ჩვენ აქ მოვიყვანთ ერეკლე II წერილს მოურავ გაბრიელ ყაზბეგისადმი:

„ქ. ჩვენ მაგიერად ყაზბეგიშვილს გაბრიელს მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა. რაც მოგეწერა ყველა შევიტყვეთ. შენ, როგორც ჩვენი სიტყვა გაქვს, ისე ყველას დაუარე და შეატყობინე და მზად იყვენ. თავაურებისა რომ მოგეწერა ზოგი ერთის კაცისა, ცალკე დაჰპირდით რასმეო, ჩვენგან ეგ არ იქნება, ამიტომ რომ მაგათ ჩვენი წყალობაც სჭირსთ, ჯამაგირებიც აქვთ. მოვლენ, თავიანთ ჯამაგირსაც აიღებენ ხოლმე და სხვაც მიეცემათ ხოლმე. ნიდავგ ჩვენი მადრიელნი წასულან და ეხლა მაგ გვარი ლაპარაკები რათ უნდათ?

როდის უნახეთ, რომ ჩვენ მაგათთვის გვემტყუნებინოს და, თუ მაგათ არ უნდათ, ჩვენ სხვას გზასაც ვიშოვნით და იმაზე მოვიყვანთ ჯარს.¹ მძევლების რომ მოგიწერია, როგორც კვლავ მომხდარა, ეხლაც ისე უნდა მოხდეს. ხიდების გავეთებისა ჩვენი შვილის აღმასხანისათვის მიგვიწერია და ალბად რომ გააკეთებინებს. შენ ყველას ეხლავ შეატყობინე, რომ ყველანი მზათ იყვენ და როგორც ჩვენი კაცი მოუვიდესთ, ისე წამოვიდნენ. აგვისტოს. კთ (29) ქკს უთთ (479)=1791 წ. თუ ჩვენი თავი უნდათ ვისმე, ჩვენი კაცი რომ მოუვათ, ხომ წამოვლენ, და თუ არ უნდევართ, თითონ იციან. აზის ბეჭედი წარწერით: ერეკლე.

გადაქონდათ 30 ცილომეტრის მანძილზე სოფ. ჩმინამდის. თითოეული ბოხჩა ხუთ ფუთამდის იწონიდა და მორიგეობით სამ-სამი კაცი ეზიდებოდა. სტეფანწმინდიდან დარიალამდის ამ საქონელს მოხვევები ეზიდებოდნენ. აქედან კი თავაურელი ოსები. საქონელს აბარებდნენ მოურავის კაცებს, რომლებიც მას მტკირთავეებს შორის ანაწილებდნენ. ამ მიზარებისათვის მოურავი თავის გასამრჯელოს იღებდა, მაგრამ საქონლის დაკარგვისათვის ის პასუხისმგებლობას არ კისრულობდა.

¹ თავაურის ოსები, რომლებსაც ხელში ეჭირათ დარიალის ხეობის ჩრდილო მხარე, დარიალის გზის ფაქტური პატრონები იყვნენ. შიშინაობის დროს თავაურელნი ამ ხეობას შეკრავდნენ და არავის გააჭაქანებდნენ. მშვიდობიანობისას თავაურელნი მგზავრებს ხიდებზე გასასვლელ ქირას ართმევდნენ. ზოგჯერ ძარცვავდნენ სავაჭრო ქარავნებს და მგზავრებს. ამიტომ საქართველოს მეფეები ცდილობდნენ ამ თავაურელი ოსების მეთაურებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარებას და ამ მიზნით მათ ჯამაგირსაც კი უნიშნავდნენ. სამაგიეროდ ერთგულების ნიშნად ოსებს ამანათებს ართმევდნენ. თავაურლები განსაკუთრებით მტრობდნენ რუსეთიდან მომავალ ელჩებს და მეფის ჯარებს, რომლებსაც თავსესხმოდნენ და ძარცვავდნენ, რაც ხელს უშლიდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებას. (А. А. Цагарели, Грамоты и другие историч. документы XVIII ст. относящиеся к Грузии, т. I, გვ. 263—265.; პ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ. ტფილისი 1896 წ. გვ. 11—17.)

არა ნაკლებ საყურადღებოა ამავე ერეკლე II წერილი გაბრიელ-სადმი დარიალის ხეობით სავაჭრო ქარავენების მიმოსვლაზე:

„ქ. ჩვენ მაგიერად ყაზიბეგის შვილს გაბრიელს ასე უამბეთ: მერე შენი ძმა ივანე მოვიდა და შენი წიგნი და თავაჟურების წიგნი მოგვიტანა, რაც ან თავაჟურებს და ან შენ მოგეწერა. ვიუწყეთ და თავაჟურებსაც პასუხი მოგწერეთ. როგორც გგენი დაგვიბარებია, თუ ისე ჩამოვლენ და მძევლებსაც ჩამოიყვანენ, ხომ ის არის, და თუ ისე არ ჩამოვლენ, უფროს უფროსნი კაცნი ასეთნი ჩამოვიდნენ და მძევლებიც ჩამოიყვანონ, რომ რაც იმათთან ლაპარაკი და მორიგება მოხდეს, ის დამტკიცდეს, სხვათ წინააღმდეგობა და მოშლა აღარ შეეძლოსთ. თუ ღთის ნება არის და კარგად, რიგიანად მოვრიგდებით, ხომ ის არის, და თუ რიგიანად ვერ მოვრიგდებით, მას უკან მაგათ თავიანთ გზა დარჩებათ და ჩვენს ქარვნიის კაცთ სხვა გზაზე ვატარებთ, და აქ რომ ჩამოვლენ, თუ ვისთანმე სამართალიანი სალაპარაკო ექნებათ რამე, ხათირჯამნი იყვნენ, სამართლიანი საქმით კარგად გავურიგებთ, და ვინც დაბარებულნი არიან მანდედან ჯარნი, ამ ორს დღეს უკან კიდევ კაცს გამოვისტუმრებთ და ის სწორეთ მოგიტანს ჩვენს სიტყვას სეკტემბრის ით (19) ქკს უოთ (479)=1791. ახის ბეჭედი: ერეკლე.

ასეთივე ხასიათის მიმოწერა ჰქონდა გაბრიელთან გიორგი მეფესაც, რომელიც სთხოვდა მას რუსეთიდან მომავალ ჯარისათვის დახმარების აღმოჩენას და ყოველგვარ ხელის შეწყობას:

„ქ. ჩვენი ბძანება არის, ყაზიბეგიშვილო გაბრიელ! მერმე ჩვენის ძმის ვახტანგისათვის და ჩვენი იოანესათვის მოგვიწერია, რომ მომავალი რუსის ჯარისათვის მარხილი და საპალნის ცხენები უნდა გამოგზავნო. ეს მარხილები და ცხენები რომ მოგივიდეს, შენ უნდა გაუძღვე და ღარს მიიყვანო და უფალს ღენერალს გულებკოვსთან და რაც იმათი ბარგი იყოს, უნდა რიგიანად მოატანინო. როგორც შენის ერთგულობისაგან ვიცოდეთ, ამ საქმეზე ისე ბეჯითად უნდა მოიქცე და შენის გარჯის მაგიერს წყალობას ჩვენგან მიიღებ. აგვისტოს კპ (28) ქკს უპპ (488=)1800 წ. ყაზიბეგიშვილს გაბრიელს მიუვიდეს. ახის ბეჭედი წარწერით: მეფე გიორგი.

საყურადღებოა აგრეთვე არაგვის ხეობის გამგებლის ვახტანგ ბატონიშვილის წერილი ამავე გაბრიელთან:

„ქ. მეფის ძის ვახტანგის სიყვარულით საკსოვარო ყაზიბეგიშვილო გაბრიელ მრავალი სიყვარულიანი მოკითხვა გეუწყოს. მერე დღეს აქ შენი წიგნი ჯაბნიაშვილმა მოგვიტანა, და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან... ისპებტორთან წასვლა, იმ დღესაც მოგწერე, დიალ კარგი იქნება. მაინც აგრე უნდა მომხდარიყო, რომ შენ უნდა მიგებებოდი. ისპებტორისათვისაც წიგნი მიმიწერია, და რაც მივსწერე, და ან როგორც გამოვაცხადე იმასთანა, პირი ახლა მანდ გამამიგზავნია, და როდესაც შენის წასვლის დრო იყოს, და იმ ადგილს მიგებებისა, ეს წიგნიც მაშინ უნდა წაიღო და მაშინ მიართვა და იმ დროს ხომ კარგად შეიტყობ, როდესაც შენის წასვლისა და მიგებებისა დრო იქნება. და ნება გაქვს მოცემული. იმ დღესაც მოგწერე, რომ ჩემგან დარიგება აღარ გინდა, ვიცი, რომ დიალ რიგიანად მოიქცევი, და ამბავსაც ემად და ემად არ დაგვაკლებ, რომ სადაც რა უნდა იმ გვარად ვიმოქმე-

დოთ. ჩვენც თადარიგშია ვართ: რასაც ღთი შეგვაძლებინებს. ესკი მეწუხება, რომ ხევსაც კი უშენობა დააკლდება და ერთი ამხანაგი კი უნდა მიუჩინოთ ბეჟანსა. მაგ რამ წასვლის ჟამი და მიგებებისა შენ იცი, რომ იმ ადგილს უნდა მიხვიდე არც იმაზე უწინ უნდა წახვიდე და არც გვიან, რომ უდროოთ არ მოხდეს ან წასვლა და ან წაუსვლელობა. დღეს უფლის ღვთისმშობლის ღვთაობის ღვთაობის წიგნიც მომივიდა, რომ შემწეობა ეთხოვა ხართა და ვაქითა. პოდმოლკოვნიკს კუხანოსაც მოეწერა და მეც მოვწერე მთიულეთის მოურავსა და მოხელეებსაც, რომლის თავეთის შეძლებით უნდა ხართაც და ვაქითაც მოგმარნენ და შეეწინენ. იმ ხიდის გატება და სალდათების დაბრუნებისა რომ მოგეწერა, დიად დიდად შევსწუხდი. მაგრამ რა გქნა. და ღთის გულისათვის რადგანაც ისახეტორი მოსასვლელი არის, ამ ხიდების გამაგრებას გცადენით ხუმრობა არ არის. ერთი ცოდვისა არა გვეკითხოსრა, ამაზე რაღას გეხვეწო და რაღას გვედრო. ხეებიც ხომ ჩატანილი გაქვსთ... შენგან ამ სიყვარულს ვითხოვ, რომ რასაც წამს ისახეტორისა მოხდოგიდან გამოსვლა შეიტყო, მაშინვე რაც შეიძლება დიად დიდის სისწრაფით მაცოდინო. მაისს იე (15) ქკს უბთ (489)=1801 წ.¹ ახის ბეჭედი წარწერით: ვახტანგ.

საქართველოს ამ უკანასკნელი მეფეების მიმოწერიდან ნათლად ჩანს თუ რა გავლენით სარგებლობდა სტეფანწმინდის მოურავი გაბრიელი, რომელიც სდარაჯობდა დარიალის ხეობას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელობას სჭიროდა ამ ხეობის ერთგული დარაჯი, რომელიც ემსახურებოდა მის იმპერიალისტურ მიზნებს. ასეთი პირიც მოურავი გაბრიელი აღმოჩნდა. პოლიტიკაში გაქნილი და თავადობის მაძიებელი გაბრიელი ახლა რუსეთის ერთგული სამსახურით სცდილობდა თავადობისა და ჩინორდენების მოპოვებას. ამ მიზნით იმპერატორის ბრძანებებს გაბრიელი დაუყოვნებლივ ასრულებდა, მის მხედრობას უმასპინძლებოდა, დაუბრკოლებლივ ატარებდა სამხედრო გზაზე, რომლის უშიშროებას ის მტკიცედ იცავდა.

თვითმპყრობელმა რუსეთმა გაბრიელის ეს ამაგი ჩქარა დაათვა, მას ებოძა მაიორობა და აზნაურობა. ამ დღიდან გაბრიელი თავის გლეხურ გვარს — ჩოფიკაშვილს იცვლის და ირქმევს ახალ აზნაურულ გვარად თავის მამის სახელს — ყაზბეგს. და ამ ახლად გააზნაურებული ყაზბეგის პატივსაცემად რუსებმა სოფ. სტეფანწმინდას, როგორც გაბრიელის საბრძანებელს ყაზბეგი უწოდეს. ამით მაღლიერი ყაზბეგი მზად იყო რუსეთის ერთგული სამსახურისათვის, რაც მან ეს ჩქარა საქმიოთაც დაამტკიცა.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრით თემურ (მთა) და ფეოდალურ (ვაკე) საქართველოში დაიწყო დიდი სოციალ-ეკონომიური გარდატეხის ხანა. ჩრდილოეთის თვითმპყრობელობამ ჩვენში პირვე-

¹ იხ. ერეკლე II წერილები გაბრიელ ყაზბეგთან, ურ. „მომავლ“ 1901 წ. №1, გვ. 73—76.

ლად ფეხი შემოდგა ხევ-მთიულეთით, რომლებმაც პირველად იგემეს მისი სუსხი და აჯანყდნენ.

თვითმპყრობელური რუსეთი საქართველოს შემოსამტკიცებლად და მასთან ერთად მთელი ამიერკავკასიის დასაპყრობად მოითხოვდა საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებას, ხიდების აგებას და დაცვას, რომ დამპყრობელი ჯარების მიმოსვლა და მათი სურსათ-იარაღის მიწოდება არ შეფერხებულიყო. ამიტომ აუტანელ ბეგარად იქცა მოხეცე-მთიულებისათვის მუდამ ჟამს სამხედრო გზისა და ხიდების შეკეთება, თოვლის ხვეტა, ზვავისა და ღორლისაგან მისი გაწმენდა. ამ მძიმე და იძულებით მუშაობას, მცირე ხელფასს ზედ ერთოდა მექრთამე მოხელეების მკაცრი მოპყრობა, რომლებიც მცირე ურჩობისათვის მთიელებს მწარე მათრახებით და მათვის უჩვეულო ლანძღვა-გინებით უმასპინძლებოდნენ. მოთმინებიდან გამოსულმა მთიელებმა ამის შესახებ წერილობით მიმართეს მთავარმართებელ პ. ციციანოვს, სადაც ჩამოთვლილი იყო ძალადობისა, მექრთამეობისა და სხვა უკანონო მოქმედებათა მრავალი აღმავფოთებელი ფაქტები.¹

რუსის მაღალი მოხელეები ხევ-მთიულეთის ასეთ ერთობლივ განცხადებას, რასაკვირველია ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ყველაფერი ეს უშედეგოდ რჩებოდა და მთიელების ტანჯვა-წვალებას საზღვარი არ უჩენდა. ბოლოს მთა დარწმუნდა, რომ ხსნა მხოლოდ ამბოხებაშია და მან ამისათვის შემზადებაც დაიწყო. ის მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდიდა, რომ აჯანყების დროშა აეფრიალებია.

ეს იყო 1804 წელი, როდესაც მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა ბაქოსაკენ გაილაშქრა. ამას მოჰყვა პოლიტიკური გართულება კავკასიაში, ლეკების თარეში, ტახტის მაძიებელ ბატონიშვილების ამოძრავება და სხვა, რაც რუსეთის ბატონობას კავკასიაში დიდ განსაცდელს უმზადებდა.

როდესაც მთიელებისაგან პ. ციციანოვმა ერევანში გასალაშქრებლად ჯარი მოითხოვა ამაზე მთიულებმა გადაჭრით უარით უპასუხეს და მას თანაც რუსების ამოყლევით დაემუქრნენ. ასეთი ურჩობისათვის გაბრაზებულმა მთავარმართებელმა მათი მკაცრი დასჯა განიზრახა და ასეთი ბრძანება გასცა: „მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა ასიე-

¹ Причины бунта Мтиулетинцев, Акты Собр. Кавк. Археогр. Комис. т. II, 1863 წ. გვ. 311; ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ. ტფილისი 1896 წ., გვ. 114; ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 34—37.



ხეთ და აპკუწეთ მემამბოხენი; ნუ დაინდობთ, ნურცა შეიბრალებთ მაგ ავაზაკთა და ბარბაროსთა. სახლკარი გადაბუგეთ ცეცხლითა ბრძოლის დროს განსდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისაო“.

მთიულები აჯანყდენ, ხატებზე დაიფიცეს, სულ ერთიანად გავწყდეთ, ოღონდ კი რუსეთის ბატონობას ბოლო მოეღოსო. რუსეთის ჯარისათვის რომ მოძრაობის საშუალება მოესპოთ, მთიულეთის ფარგლებში სამხედრო გზა მთლად გააფუჭეს, ანანურიდან დაწყებული კაიშაურამდის და აქ კაიშაურში მოხდა მათი პირველი შეტაკება რუსებთან, სადაც მთიულებმა გაიმარჯვეს და აჯანყებისაკენ მოხევებს მოუწოდებდნენ. ხევიც ბორგავდა და ამბოხებისათვის მზად იყო.

ხევის ძლიერ მებატონეს გაბრიელ ყაზბეგს ახლა უნდა დაემტკიცებია რუსეთისათვის თავისი ერთგულება. მით უმეტეს, რომ ახლა გაბრიელ ყაზბეგის პოლიტიკურ პოზიციას რუსეთის იმპერიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. სამხედრო გზის სამხრეთი ნაწილი უკვე აჯანყებულთა ხელში იყო ჯვრის უღელტეხილამდის. მისი ჩრდილო ნაწილი დარიალის ხეობამდის გაბრიელ ყაზბეგის ზეგავლენით ერთგვარ ნეიტრალობას იცავდა. დარიალის ხეობაში მობინადრე თავაურელ ოსებშიაც დაიწყო რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომლებსაც აჯანყებისაკენ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილებიც მოუწოდებდნენ.

ამ დროს თავაურელ მებატონეთა შორის ყველაზე ძლიერი სოფ. ჩიმის მფლობელი დუდარუკო ახმეტ იყო. თერგის მთელ ხეობას, კავკავიდან დაწყებული დარიალამდის ეს მებატონე ფლობდა, რომელიც მას ციხე კოშკებით ჰქონდა გამაგრებული და სადაც მის ნებადაურთველად ფეხის შედგმა არავის შეეძლო. მთის ბატონი დუდარუკო რუსეთის საჩუქრებსა და წყალობებს არ სჯერდებოდა და მოზღოვიდან მომავალ რუსეთის მხედრობასა და სავაჭრო ქარავანსაც ძარცვავდა და არბევდა. ჩიმის მებატონე დუდარუკოს რუსეთის საწინააღმდეგო ფარული მიმოწერა ჰქონდა ახალციხის ფაშებთან და საქართველოს მთავრებთან და ბედის მაძიებელ ბატონიშვილებთან, რომლებიც კარგად გრძნობდნენ, რომ რუსეთის ბატონობის დასამხობად პირველყოვლისა საჭირო იყო თავაურელი ოსების ამხედრება და მომხრობა.

ამ მიზნით ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები დუდარუკოს და თავაურლების მეთაურებს წერილებს სწერდენ და მათ ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ. ჩვენ აქ მოვიყვანთ სპარსეთში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილის ერთერთ ასეთ წერილს:

„ქ: საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგვიტოხავთ ერთობით თავაჟურ ჟფროსნო და თავაჟურთ თემის ხალხნო. ჩვენ მიერ მრავალთ სიყვარულით აღსავსე მოკითხვა მოგხსენდეს. მერმეთ თქვენ იცით საქართველოში ჩვენი მეფობა რაერთიო წელიწადი არს და ან როგორც დიდის ხნის ოჯახნი ვართ და თქვენც ჩვენს მამათ პაპათ წინაშე ბევრი ერთგულგბა გაგიწევიათ და იმათაც მაგიერი წყალობა უქმნიათ რომ თქვენს ზოგიერთს ოჯახში ჩვენი მამათ-პაპათ წყალობის წერილები ისევ გაქვსთ. მოიგონეთ თქვენი ძველი ერთგულგბა და მეფის ირაკლის თქვენზე დიდი სიყვარული და მამაშვილური შეტკბობა. და თქვენც ჩვენის სამეფოს სახლისათვის თავს ნუ დაზოგავთ. რომელნიც ამისთანა დროს ჩვენს ოჯახს და ჩვენ გამოგვადგებით. ჩვენი მამანიც თქვენ იქმნებით ძმანიც და შვილნიც და ჩვენი დიდებაც თუ რომ გვექნება თქვენი იქნება. ზოგიერთს ჩვენი ოჯახის მტერს თქვენ ნუ დაუჯერებთ. ციბირელმა კაცმა რა იცის თქვენი პატივი ჩვენ ვიცით. მაგ მთებზე ყოველგან მოგვიწერია. თქვენც როგორც უწინ ირჯებოდით ეხლაც ისე გაისარჯებით. და თავს ნუ დაზოგავთ. და ეგ ჩვენი უსამართლოს მტერსა და თქვენის მტერის გზები წაახდინეთ, რომ მაგ გზებზედ წამსვლელ-მომსვლელი მოსწყდეს და საქართველოში მყოფის რუსისა ჩვენ ვიცით თქვენ მაგ საქმეზედ იმხნეეთ და ერანის ხელმწიფისაგან და ჩვენგან წყალობით გული შეისრულეთ. ვისაც ჩვენი მამათ პაპათ წიგნები გაქვსთ ჯამაგირისა ან ჩვენი ძმებისა ან ჩვენი მაგას ერთი ორად გაგიხალბეთ და ვისაც არა გაქვსთ ახლად მოგცემთ და სხვა წყალობები კიდევ სხვა იქნება. ასე რომ ყოველის თქვენის სათხოვარისაგან გულ შესრულდებულნი იქნებით. ახლა თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ როგორც ამ საქმეს არ უსუსტებთ, შაჰხადის რაყამიც მოგივით და მოწყალებას კიდევ იმითი სცნობთ როგორი მოწყალე ბძანდება თქვენი უდ ამისა ვიცით იქაურს ამბავს მოიხსენებთ. შაჰხადა მობძანდა დიდის ჯარებით და ხაზინით სავსე გოგჩაზედ. და ყაზახის ქვეილამ კიდევ ერთი შაჰხადა განჯის მხრასაკენ მოვა ოცდა ათასის კაცით დიდრონი თადარიკები არის და აქ რომ სარდალი არის ამას გუმბრიზედ ისტუმრებს შაჰხადა, მაგრამ თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ. როგორც მაინდამ თქვენი ამბავი მოგვივა ისე მოვიქცევით. საჩქაროდ ამისი პასუხი გვაცოდინეთ. სხვას აქაურს თადარიკის და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანი გაიმბოხსთ და რაც ამან გითხრათ ისე მოიქცეთ რომ ჩვენი სიტყვა თქვენს და ღთს მოწყალებით ჩვენი საქმე რიგიანად მოვა მისს იე (16) ქრკ ფ. (500)=1812 წელი. არშიაზე იმავე ხელით აწერია: „მთაზედ ვაპირობთ მოსვლას თორმეტის ათასის ქვეითის სარბაზნით და ინგლისის ზარბაზნებით და ოცდა ათის ათასის სხვის ჯარით — იქით ოსმალის მხრიდამ კიდევ სარსკარი მოდის დიდის თადარიკით და თოფხანით. სამოცდა ათი ათასი კაცი ჰყავს რომ ნახევარი ჯარი ახალციხის მამულში გადმოვიდა. ახის ბეკედი: ალექსანდრე.“¹

მეამბოხეებმა 1804 წელს ამ თავაჟურლების ერთი ძლიერი მებატონის დუდარუკო ახმეტის გადმოხირება შესძლეს და ამით გზა დაეხშო რუსეთიდან მომავალ მაშველ ჯარებს.

ამგვირად თვითმპყრობელურ რუსეთს აუჯანყდენ არაგვის ხეობის მთიულები და დარიალის ხეობის ოსები. მათ შუა ხევი იყო მოქცეული, რომლის პოზიციას ამ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა

¹ ეს საბუთი ინახება სოფ. გორისციხეში ლადო ჩქარეულის ოჯახში.

ედლეოდა. ამას კარგად გრძნობდნენ მემამბოხენი და გაბრიელ ყაზბეგს მოციქულებს უგზავნიდნენ, რომ ის მათ მიმხრობოდა. თემის ამ თხოვნამ გაბრიელი ვერ მოდრიკა, რომელიც გაიძახოდა, რუსეთს ერთგულება შევფიცე და არ შემიძლია ფიცის გატეხაო.

გაბრიელი ამასთანავე ყოველგვარ ზომებს იღებდა, რომ ამბოხებას ფართო ხასიათი არ მიეღო: მუქარით, თუ მოსყიდვით ის სცდილობდა ფშავ-ხევსურებისა და მოხევეების შეკავებას, თვალყურს ადევნებდა ბატონიშვილების მოძრაობას და მათ მიმოწერას დუდარუკო ახმეტთან¹ იცავდა სტეფანწმინდაში მომწყვდეულ რუსის მოხელეებს და მათ რაზმებს.²

მემამბოხე მთიულებს აბრაზებდა გაბრიელის ასეთი მოღალატური ქცევა და განიზრახეს სტეფანწმინდის ალებით და იქ მოკალათებული რუსის რაზმის ამოწყვეტით თავგასული ბატონის ძალით დამორჩილება.

13 ივლისს 1804 წ. მთიულ-გუდამაყრელები 500 კაცამდის სტეფანწმინდას მიუახლოვდნენ. აქვე დაბანაკდა მათ მიერ მოწვეული 700 ხევსური. მემამბოხეებს აქვე მიემხრო მოხევეების ერთი ნაწილი და თრუსოს ხეობის ოსებიც. ამგვარად შესდგა დაახლოვებით 1300 კაცამდის.

სტეფანწმინდის ამ გარემოცვამ გაბრიელი დააფრთხო და ახლა მან იკადრა მოციქულებთან მოლაპარაკება. მოამბოხეებმა მოციქულებად მიუგზავნეს: მოხევეებმა — თათარა ჩქარეული, გუდამაყრელებმა — პაპუნა ჩებოლაური, მთიულებმა — ნინია და ემანა ბედოიძენი და ნინია ბენიაძე. მოციქულებმა გაბრიელს თხოვეს რუსებისაგან განდგომა და მემამბოხეთა მეთაურობა, რუსეთის სახაზინო ფულის გაცემა და აგრეთვე მასთან შეხიზნული ჯარისკაცების ჩაბარება. ამაზე გაბრიელმა მათ ცივი უარი უთხრა და განუცხადა, რომ რუ-

¹ როცა პ. ციციანოვმა შეიტყო დუდარუკოს ქუთაისში ყოფნა გაბრიელ ყაზბეგს მისწერა: „ყური მოვკარი, ვითომ დუდარუკო ოსი ბატონიშვილებთან ყოფილა და განუზრახავს ისინი გააპაროს დალესტანს, დიგორსა, ჩიმის გზით: ნამდვილად შეიტყე, ნუ თუ დუდარუკომ გაჰბედა ასეთი შეუწყნარებელი საქციელი; ან როგორ გვეკადრება, რომ ესეთი სითამამე დუდარუკოსი დაუსჯელი დარჩეს, განსაკუთრებით არ ეკადრება თქვენს კეთილშობილებასო“ (იხ. АКТЫ т. II, გვ. 128).

² ვოლკონსკი თავის 1804 წლის 12 ივლისის რაპორტში სწერს მთავარმართებელს: „მაიორი ყაზბეგი თავის რაპორტში მწერს, რომ მთიულებმა გაგზავნეს მოციქილები ფშავ-ხევსურეთში და ხევში აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ყაზბეგის მცხოვრებნი მტკიცედ დგანან მთავრობის ერთგულებაზეო“ (იხ. АКТЫ II, рапорт. 637).

სეთს ერთგულება შეეფიცე და მოლაღატეობას ვერ ჩავიდენ, სიკვდილს ვირჩევ, ვიდრე თქვენს მოთხოვნილებაზე დავთანხმდებო.

რაკი ყაზბეგი ვერ დაიყოლიეს მემამოხეებმა გადაწყვიტეს სტეფანწმინდის ძალით ალება და იქ დაბანაკებული რუსების ხელში ჩაგდება. მაგრამ ამაზე ვაზბეგის მიერ წინასწარი ქრთამითა და საჩუქრებით მოსყიდული ხევსურების მეთაურები მემამოხეებმა ვერ დაიყოლიეს, რომლებმაც უარი განაცხადეს ამ გალაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ყაზბეგს ჩვენ ერთგულების ფიცი მივეცითო, მაგრამ თუ ხაზინას იშოვნით, განაცხადეს ხევსურებმა, ჩვენც უნდა გავვიყოთო.

15 ივლისს მთიულ-მოხევეებმა სტეფანწმინდას ალყა შემოარტყეს. გაბრიელ ყაზბეგი რუს მოხელეებით, მათი რაზმით და ხაზინით სტეფანწმინდის ციხეში შეიხიზნა და იქ გამაგრდა.

მემამოხეებმა ხანგრძლივი სროლის შემდეგ ყაზბეგის ციხე დაახლონეს, მაგრამ მისი იერიშით ალება მაინც ვერ შეძლეს. ციხის დაცვა გაბრიელს გაუჭირდა და ახლა იკადრა მემამოხეებთან ხელმეორედ მოლაპარაკების დაწყება. მაგრამ მემამოხეები მოითხოვდნ ძველი პირობის შესრულებას და ყაზბეგს მოფიქრებისათვის ერთი ღამე მისცეს.

16 ივლისს სტეფანწმინდაში 300 ოსით და ქისტით ღუდარაუკო შემოიჭრა და აქ თავაურელმა, ოსებმა და მთიელებმა დროშაზე ერთმანეთს შეპფიცეს: რუსების გაწყვეტა და ან სიკვდილიო და ციხის ასაღებად დაიძრნენ. სტეფანწმინდის მეციხოვნე ჯარმა ვერ შეძლო ციხის დაცვა და მემამოხეებს მისი კარები გაუღეს. მემამოხეებმა ციხე აიღეს, შეხიზნული რუსები გაძარცვეს და დაატყვევეს, რაც სურსათი და ქონება იყო გაზიდეს. ეს ნადავლი მოხევეებმა, თავაურელებმა, მთიულებმა და ხევსურებმა ოთხად გაიყვეს, მხოლოდ დავა ტყვე რუსების განაწილებაზე მოუვიდათ. თავაურელები მათ კავკასიასკენ გაგზავნას მოითხოვდნ. ამ შემთხვევაშიაც გაბრიელი რუსებს მხსნელად მოეწვინა. გაბრიელმა იცოდა თავაურელების განზრახვა, რომ ტყვეებს გზაში დახოცავდნ და მან დიდი აყალმაყალის შემდეგ მემამოხეები დაიყოლია ტყვეების ტფილისში გაგზავნაზე. მაგრამ სამაგიეროდ თავაურელები გადაქრით მოითხოვდნ მათვის მძევლად მიეცათ პოლკოვნიკი დრენიაკინი და კოპილოვი. ამ შემთხვევაში კი გაბრიელ ყაზბეგმა ნამდვილი თავდადება გამოიჩინა და განაცხადა: რომ თავს მოვიკლავ, მთელს ჩემს ქონებას დავსთმობ და მათ არ დაგანებებო.

თავაურელების მუქარის ასაცდენად მათ ნაცვლად ყაზბეგმა მძევ-
ლად თავისი ძმისწული მისცა (იხ. АКТЫ II, გვ. 228).

ამას მოჰყვა რუსის ჯარის დიდი დამარცხება ლომისასთან, სა-
დაც მემამოხეებმა გაანადგურეს მაიორ მელლას რაზმები და დი-
დის ზარალით უკუაქციეს. ამ დამარცხებით შეწუხებული მთავარმარ-
თებელი პ. ციციანოვი წერს იმპერატორ ალექსანდრე I-ს: „თუ რა უბე-
დურება ეწია აჯანყებული მთიელებისაგან რუსეთის მხედრობას და
სხვათა შორის მადლობით იხსენიებს მაიორ გაბრიელ ყაზბეგის მოღვაწე-
ობას: „მაიორი ყაზბეგი, წერს ის, შეუდრეკელ ერთგულაბას იჩენს რუსე-
თისადმი და არამც თუ თავისი ჯიბიდან გაიღო 1000 მანეთი რუსის
ტყვეთა გამოსაყიდად, არამედ საკუთარი ღვიძლი შვილიც არ დაჰ-
ზოგა და მძევლად მისცა მემამოხეთ, ოღონდ რუსებს ნურას ავნებთ
და პირს ნუ შემირცხვენთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშეო (АКТЫ
II, გვ. 327 – 328).

ლომისასთან სახელოვანმა გამარჯვებამ უფრო გააძლიერა მემამ-
ოხეთა ბანაკი და აჯანყების ცეცხლი მთელ მთას ედებოდა. ჩქარა
ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ვახტანგი სტეფანწმინდაში გაჩნდა,
რომელიც აქიდან ქსნის ხეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა, რომ
შევრთებული ძალით დაეთრგუნათ რუსეთის ბატონობა. ამან რუსე-
თის მხედრობაში ძლიერი პანიკა შექნა და იმპერატორი ალექსან-
დრე I ბრძანებით მემამოხეთა წინააღმდეგ ახლა რუსის დიდი ჯარი
დაიძრა. ერევნიდან მთავარმართებელი ციციანოვიც გამოეშურა,
რომ მთიელების ამ ამბოხებისათვის ბოლო მოეღო.

16 ოქტომბერს ციციანოვი დიდის ჯარით ტფილისიდან ანანუ-
რისაკენ დაიძრა. კავკავიდან მემამოხეებს ლენერალი ნესვეტაევი არ-
ტილერიით და ყაზახთა რაზმებით უტევდა, რომელსაც ქვეითა ჯა-
რით გლაზენაზი მოსდევდა. ეს ორივე მხრივ შემომტევი ჯარები იე-
რიშით იღებდნენ მემამოხეთა ციხე-სიმაგრეებს და ციდილობდნენ მათ
მომწყვდევას და ამოეღეტას. ყაზახთა რაზმები იერიშით იღებდნენ:
ლარსს, დარიალს და სტეფანწმინდას უახლოვდებოდნენ. მათი უფროსი
ბიხალოვი ჩქარობდა ყაზბეგის ციხის ხელში ჩაგდებას, რომლის და-
საქერად ბატონიშვილი ფარნაოზიც თავისი რაზმით მიეშურებოდა.
მაგრამ ბიხალოვმა ფარნაოზს დაასწრო და ყაზბეგის ციხე დაიკავა.
მაშინ ფარნაოზმა და მემამოხეებმა თავი შეაფარეს სიონის ციხეს
და აქ გამაგრდნენ, სადაც მოხდა დიდი და გადაწყვეტი ბრძოლა.

რუსის ჯარმა მემამოხენი აქ დაამარცხა, სიონის ციხე აიღო და
ფარნაოზი ხევიდან ფშავ-ხევსურეთში გაიხიზნა. სიონის აღებას მოჰ-
ყვა დანარჩენ სიმაგრეების რუსების ხელში გადასვლა და ამის შემ-

დღე მემბოხეთა საქმე უკვე წაგებული იყო. 1804 წლის ოქტომბერში ყველაფერი გათავდა, აჯანყებულმა მთამ იარაღი დაჰყარა და თვით-მპყრობელობის უხემ ბატონობას იძულებით დაჰმორჩილა.

ამგვარად მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე თავისუფლებისათვის მებრძოლი ხევი დამარცხდა და რუსეთის თვითმპყრობელობის მონობის ქვეშ მოექცა, რასაც მოჰყვა მისი თემური წყობილების დაშლაც.

დარიალის ხეობით შემოჭრილმა ჩრდილოეთის კაპიტალიზმმა შეარყია ხევის პოლიტიკურ-ეკონომიური უძრაობა და მოხვევით თემობრივი წყობილების მყუდროება. თემი იშლება, მაგრამ ამავე დროს ადგილი აქვს ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობა-გაძლიერებას, რომლებიც ებრძვიან დრომოკმულ თემობას და იმპერატორის ერთგული სასახურით სციდილობენ ქონებრივი და უფლებრივი უპირატესობის მოხვეჭას.

ამ მიზნით რუსეთის კაპიტალიზმს ხევის სინამდვილეშიაც გაუჩნდნენ მისი წვრილი აგენტები: ბიუროკრატ-ჩინოვნიკები და ჩარჩ-ვაჭრები, რომლებიც ხრწნიდნენ ხევის თემობრივ წყობილებას. მაგრამ მათ წინააღმდეგ თემური ხევიც მებრძოდა, თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა.

სოციალური ბრძოლის ეს პროცესები გაშლილია და მხატვრულად მოცემული ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში. ამ მხრივ ალ. ყაზბეგს შეიძლება მე-19 საუკუნის ხევის მემკვიდრე ეწოდოს. ამავე საუკუნის სინამდვილეში ჩვენ გვაქვს ორი საყურადღებო პარალელი. კაპიტალიზმი საქართველოში ორი გზით შემოიჭრა: ჩრდილოეთიდან, დარიალის ხეობით, რუსეთის კაპიტალიზმი და დასავლეთიდან შავი ზღვით-ევროპული კაპიტალიზმი. პირველის მემკვიდრე ალ. ყაზბეგი უნდა ჩაითვალოს, მეორესი კი ეგ. ნინო-შვილი, რომლებმაც თავიანთ თხზულებებში მხატვრულად ასახეს კაპიტალიზმის სიმახინჯე ხევისა და გურიის სინამდვილეში მთელი მისი უარყოფითი მოვლენებით.

მე-19 საუკუნეში იმპერიალისტური რუსეთი საქართველოს სამხედრო გზაზე ფართო მუშაობას აწარმოებდა: სამხედრო გზის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა.¹ ამავე ხაზით ხლებოდა

¹ 1803 წლის მთავარმართებელ ციციანოვის გეგმით სამხედრო გზის გაყვანა დაიწყო გუდამაყრის ხეობით, რომელიც ბურსაქილის უღელტეხილით ლუდუშაურისა (სნოს) და დარიალის ხეობაში უნდა გადასულიყო. მაგრამ 1847 წელს მთავარმართებელმა ვორონცოვმა ეს ძველი გეგმა დაიწუნა და სამხედრო გზის გაყვანას თეორი არაგვის ხეობით შეუღდენ, იგი ქვეშეთიდან-კაიშაურის აღმართით

რუსეთის ჯარების კონცენტრაცია და მათი გაწესრიგება. შემოდი-
 ოდა რუსეთის საქონელი და სავაჭრო კაპიტალი. გაცხოველდა რუ-
 სეთ-საქართველოს შორის მგზავრთა მიმოსვლა. მათთვის შენდებოდა
 სადგურები და დასასვენებელი სახლები. გაიხსნა სავაჭროები და
 დუქნები, სადაც ჩარჩ-ვაჭრები ფცქენიდენ მგზავრებსა და ადგილობ-
 რივ მოსახლეობას.

გაძლიერდა თვითმპყრობელობის ერთგული აგენტების რაზმი: კა-
 პიტან-ისპრავნიკები, დიამბეგები, ნაცვლები, იასაულები, ჩაფრები და
 სხვა, რომლებიც ეწეოდენ მექრთამეობას, ჯაშუშობას, ქალების გა-
 უპატიურებას, მკვლელობა-ყაჩაღობას და სხვა.¹ ამ ჯგუფის მშვენი-
 ერი ტიპი მოგვცა ალ. ყაზბეგმა თავის „ციკო“-ში გორჯასპირ
 ლუდუშაურის სახით, რომელიც დიამბეგი გამხდარა, გაიძვერო-
 ბით და მექრთამეობით გამდიდრებულა, ყმებიც ჰყოლია და ხევს მე-
 ბატონედ მოვლენია. მექრთამის ტიპია აპრაქუნე, რომელიც ყალბი
 საბუთების მქნელია და ამავე დროს ჩარჩ-ვაჭრების აგენტიც, რომ
 შეუძლო გლეხობა სავახშო კაპიტალის ხელში როგორმე ჩააგდოს.

კაპიტალის ამ მსახურეულ ჯგუფს ებრძვიან თემური ხევის უკა-
 ნასკნელი წარმომადგენენი: იაგო, ფაჩო, კობა, ელგუჯა, მარტია,
 ონისე, ბეჟია და სხვა, ესენი მათ თემის ადათებისა და ჩვევების შებ-
 ლალვისათვის სიცოცხლეს უსპობდენ და თვითონაც სახრჩობელაზე
 გმირულად ადიოდენ.

სავახშო კაპიტალს ხევში ჩარჩ-ვაჭრები მოჰყვენ, რომელთა უმ-
 რავლესობა სომხობა იყო. ჩარჩებს აქ თავიანთი სავაჭროებიც ჰქონ-
 დათ გახსნილი და ვაჭრულ ხერხებს უჩვეულო მოხვევებს მოტყუებით
 ტყავს აძრობდენ. ამასთანავე ისინი გლეხებს დიდ სარგებელში სესხ-
 საც ხძლევდენ და შეუძლო გლეხობაც ამ ჩარჩული კაპიტალის ყმად

ჯვრის უღელტეხილზე გადიოდა და კობში ეშვებოდა. 1861 წლიდან კი, როდესაც
 მღეთის აღმართის შესანიშნავი გზა დამთავრდა, კაიშაურის ეს გზაც გაუქმდა და
 მოძრაობა მღეთის ამ აღმართით დაიწყო. 1863 წელს სამხედრო გზა დამთავრდა
 და მოძრაობაც გაიხსნა. (Н. Дункел-Веллинг, Военно-Груз. дорога,
 газ. „Кавказ“ 1863 г. №№ 72, 75—78; 1859 г. № 28; Е. Вейденбаум,
 Путеводитель по Кавказу. Тиф. 1888 г. გვ. 265—300). ამავე სამხედრო გზის
 ხაზით განხრახული იყო რკინის გზის გაყვანაც.

(იხ. Б. Статковский, Проложение жел. дороги между Тифли-
 сом и Владикавказом, газ. Кавказ 1869 г. № 28; М. Герасимов, газ.
 Кавказ 1872 г. № 59; 1872 г. № 64.

¹ იხ. ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), მოხვევები და მათი ცხოვრება, გახ
 „დროება“ 1860 წ. № 156, 157, 158, 159, 161 და 164.

ხდებოდა. ამის შესახებ აი რას მოგვეთხრობს მოხვევე გლეხი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“:

„მთის კაცი მოხვევე სვამების კერძია. ჰამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუ-
ქანჩი მიდის“. და შემდეგ მათ იმდროინდელ მდგომარეობას და ბრძოლის ხერ-
ხებს ის ასე გვიხასიათებს: „აწინა მავალე სვამები უფროს გვაწიოკებს, უფროს
საღბს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხმალთ შევთამაშვით, ვიგერიებდით,
სვამებს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან
ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშაობდით, სვამებთან ვაჟაი რაი სახელ
ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დი-
დიყვის... და სხვა.¹

მაგრამ ხევის თემი ამ ჩარჩ-ვაჭრებსაც დაუნდობლად ებრძოდა. ძარცვავდა მათ და ხოცავდა. ალ. ყაზბეგმა თავის „ციცკა“-ში ამ სოციალური ბრძოლის სურათიც დაგვიხატა. ციცკა მოხვევე გლე-
ხია, გეო კი ჩარჩ-ვაჭარი. ორივე ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ ციცკა ჰკლავს გეოს და ამით იმარჯვებს. ამ ციცკას შესახებ მოხვევებში
დღესაც ასეთი ლექსია დარჩენილი:

ვაჭკაცებო, მოგახსენებთ ახალგაზრდას და ბერსაო,
ქალაქს სომეხებს გაუგია ქემზუდებს (მდიდრებს) გააქეს ხენეშაო,
თუ ვაჟი ციცკაი გავარდა. ვინლა მოჭიდებს ხელსაო,
ჯერ სომხეთი გადავალს, მერე გადმოვა ხევსაო.

ფასიამა და ციცკამა ერთგულად ფიცი ქნესაო,
ფასია ძაუგს წავიდა ციცკაიც იქ დაუხდებაო,
— საით მიხოლ ფასიაო, საით მიიფრენ ცხენსაო?
კობს რომ ფულები მემართა, გამისწორდები დღესაო?

— რა ამბობ, ძმაო ციცკაო, შენი დედამამის მხესაო,
ჩემ წილ დუქანსაც გაჩუქებ და ზედ დაგისართებ ცხენსაო.

— აი შე თოქო, სომეხო, შენ ერთი თუნგი ღვინითა ძმად ვერ გა-
იხდი მტერსაო.

მაშინის სადღა იყავი შეკრულს რომ მგლეჯდი წვერსაო,

ეხლა ჩემ ხელჩი ჩავარდი მე დაგიბნელებ მხესაო.
ერთი შამოკრა ციცკამა, სისხლმა შესახა კლდესაო,
ჩამოვარდა ფასიაი გვერდზე დაიწყო კენესაო.

— ნუ გეშინიან ფასიაჲ მე არ შაგაქმევ მგელსაო,
ყარაულებს დაგიყენებ ორივეს გველეთელსაო,
ფულსაც კარგად შაგინახავ, ხელთ გამოგიბამ ცხენსაო,
ძმებსაც მე შაგიტყობინებ ფასიაი აი იქ წვესაო,
ფასიას ხშირად სძინია აღარას ფიქრობს თქვენსაო.²

¹ ილია ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, ტ. II, ტფილისი 1926 წ. გვ.-
23, 28.

² ლექსი გახუტა ხეთაგურის ნაამბობია. ყაზბეგი 5/VIII-1930 წ.
ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ციცკა“-ში ფასიას ნაცვლად გეოა მოხსენე-
ბული, მოხვევები კი ამ ვაჭარს ფასიას უწოდებენ.

ნე-19 საუკუნის ამ სოციალ-ეკონომიური ფორმაციის ხანაში ხევის საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა ახალი წოდებაც აზნაურ ყაზბეგის სახით. ყაზბეგიანთ თვითმპყრობელობის სამსახური იტვირთეს, მას ერთგულება შეუფიცეს და თემი შიგნიდან გასტეხეს. ამისათვის ებოძათ მათ აზნაურობა და ყმობას უჩვეულო მოხვევებს ბატონად მოეველინენ. მაგრამ ნამდვილი აზნაურობისათვის საკმარისი არ იყო გლეხური გვარის გამოცვლა და იმპერატორისაგან მაღალი სამსახურის მიღება, არამედ საჭირო იყო მამულისა და ყმების მოპოვება. ამ მიზნით ყაზბეგიანნი შეუდგნენ ხევში მამულისა და ყმების მოხვეჭის საქმეს, სადაც არც თავისუფალი მიწა იყო და არც ყმობის მსურველები. მაშინ ყაზბეგიანთ ძალას მიჰმართეს და დაიწყეს სათემო მიწების სხვადასხვა ხრიკებით მითვისება და ხელში ჩაიგდეს: უხათი, აჩხოტი, თოთი, ხდე და სხვა მამულები. შემდეგ შეუდგნენ ამ მამულებზე ყმების გაჩენის საქმეს. ხევი უკადრისობდა მათ ყმობას და ურჩობდა. მაშინ ყაზბეგიანთ თავიანთ მამულზე ოსები გადმოასახლეს და ისინი იყმეს.

✓ უხათელ ყმებს ყაზბეგისათვის სააღდგომო ხბო ან ბატკანი უნდა მიერთმიათ, მამულის დამუშავება, ჭირნახულის აკრეფა და დაბინავებაც უხათელებს ევალებოდა. აჩხოტელები და თოთელები ყაზბეგიანთ თივას უზიდავდნენ, ჭირნახულის მესამედს ღალაში აძლევდნენ და თითო სულ საქონელზე საძოვარში ათშაურს იხდიდნენ. ამასთანავე ზოგიერთი სოფლიდან ყალანსაც იღებდნენ. მაგალითად სოფ. ცდო და გერგეტი ყალანში ყაზბეგიანთ აძლევდნენ კომლზე ორ კონა ფიჩხსა და ჩარეკა (კილო) ერბოს.

მაგრამ ეს მეგობრობები ამასაც არ სჯერდებოდნენ, მათ ხელში ჩაიგდეს სამხედრო გზაც და ტვირთშიდაც გლეხობას სხვადასხვა საბეგრო გადასახადებით სიცოცხლეს უმწარებდნენ. კახეთიდან კავკაზში ღვინის მზიდავებს ყაზბეგის ბატონისათვის საუკეთესო ღვინო უნდა მიერთმია, თორემ მათ გზაზე არ გაატარებდნენ. ჩერქეზების ჯოგით როცა ტფილისისაკენ გაივლიდა ბაჟად ყაზბეგისათვის საუკეთესო ცხენი უნდა მიეგვარათ. ცარიელ მეურმეს არ შეეძლო ყაზბეგის კარებზე გავლა. მას ევალებოდა ყაზბეგიანთ რაიმე ტვირთი თან წამოეღო: შეშა, ქვა, ლამკირი და სხვა. ამ ყმურ სამსახურთან ყაზბეგიანები მოსახლეობისაგან თავადურ პატივისცემასაც მოითხოვდნენ. მათი დანახვისთანავე ცხენოსანი მაშინვე უნდა ჩამოქვეითებულიყო და უმდაბლესი სალამი მიეცა, თორემ მას გამათრახება მოელოდა.

ყაზბეგებს შორის ყველაზე მკაცრი მეგობრობე მიხეილ ყაზბეგი ყოფილა, რომლის სუსხი ხალხს დღესაც ახსოვს. მიხეილი მაზრის უფ-

როსად იყო და ბატონ-კაცურად ცხოვრობდა. ის გლეხებს საბეგრო გადასახადებით ძლიერ აწუხებდა. მიხეილმა სახლის ასაგები ქვა გლეხებს თურმე ზურგით აზიდია, ვინც ურჩობას გაბედავდა მისთვის მათრახები მზად იყო.

მიხეილის შესახებ მოხვევებში დღესაც დარჩენილია ერთი პარადოქსალური ეპიზოდი. ერთხელ მისი პატარა ალექსანდრე ქვეშეთში თამაშობის დროს ზარბაზნის ლულაში შემძვრალა და შიგ თურმე გაჰყვია. მიხეილს მისი განთავისუფლება ვერ მოუხერხებია, გაბრაზებული და არახვეთელებისათვის ზბრძანებია, თუ ეს ბავშვი ლულიდან უვნებელი არ გამოგიყვანიათ ყველას ამ ზარბაზნით ამოგზავთო. არახვეთელები ამაზე შეშინებულან და დიდ საგონებელში ჩაცვივლან. ხალხი მოსალოდნელი უბედურებისაგან ერთ დედაკაცს უხსნია, რომელსაც რალაც მანქანებით მოუხერხებია ლულიდან სანდროს განთავისუფლება.

მიხეილის უხეშ ბატონობას ვერც ოსები ურიგდებოდნენ, რომლის წინააღმდეგ ოსი ციფო ამხედრებულა და ხევის ბატონს შებრძოლებია. ამაზეა ეს ლექსიც:

ქვეშეთს მოვიდა ბატონი, ეხლა გადმოვალს ხეისაო,
 კობიევს წიგნი მისწერა ყარაულ გვინდა გზისაო,
 სახელოზე თითო კაცი ჯამაგირ ხელმწიფისაო.
 აბუნტებულა ღუდღეები მთაზე შიშია მტრისაო,

ბიჭი ციფო გავარდნილა ველარ დაიჭირეს დღესო.
 როცა ციფო დაიჭირეს მეტეხჩით ჩააგდესაო:
 ბატონო, შენი ჭირიმე შენი შვილის სანდროს მხესო,
 ფეხებჩი არას მიშლის ხელებჩი მამიჭირესო.

— არაგვიშავს რა ციფური, მოგაკანონებ შენცაო.
 ციფომაც ამოიოხრა: „ევი დედი ჩემის ღმერთსა,
 ერთი სოფელს გამაცალეთ გული მოვიბოხო მეცა.“
 ღართის წყაროს ჩამოვიდა, ბორკილებს დაუწყო წყევტა,

გატეხა და გადაყარა: „ფუ გამჰედი მოგიკედება,“
 ხელუკლმა გადმაყარა: ეს ბორკილი ქვეშეთს ბატონს მიართვითა,
 ყარაულები წამოვიდნენ თან ბორკილი წამოიღესო,
 ქვეშეთს ბატონთან მოვიდნენ და შეფიცეს სანდროს მხესა.

— გიჟი ციფო გამოგვეტა „ვოტ ბორკილი ვაში ზდესა.“
 გაწყრა გაჯავრდა ბატონი და თაე-პირი დაიგლიჯა.

მაგრამ არც მოხვევები მსხდარან გულხელდაკრეფილნი, რომლე-ბიც ყაზბეგიანთ ბატონობას ვერ ურიგდებოდნენ და შებრძოლებისათვის მზად იყვნენ. ერთხელ მიხეილ ყაზბეგს სოფლის სათიბის მითვისება განუზრახავს, რომელიც გერგეტ-სტეფანწმინდელებს ჰკუთვნე-

ბია და იქ თავისი ცხენის ჯოგი შეურეკია. მოხვევები ამაზე გაბრა-
ზებულან და მოუთხოვიათ ცხენების გარეკა. მიხეილს ყარაულად რუ-
სის ჯარი დაუყენებია. ამით მოხვევები არ შეშინებულან, ჯარისათ-
ვის იარაღი აუყრიათ და ცხენებიც სათიბიდან გაურეკიათ. ხალხი
მიხეილს სახლშიაც თავს დასხმია და ქვებით სახლის კარ-ფანჯრები
ჩაულეწიათ.

ამგვარად მკაცრმა მიხეილმაც ვერ შესძლო მოხვევის ქედმაღლო-
ბის მოდრეკა და მას თავისი ბატონობა ვერ მიაღებინა. სამაგიეროდ
მოხვევებმა მიხეილი შეიძულეს, რომლის სიკვდილმა მათში დიდი სი-
ხარული გამოიწვია თურმე და მისი ცხედრის ტფილისიდან ჩამოსვენ-
ებას სტეფანწმინდელები ტაშფანდლრით მიგებებინან.

სტეფანწმინდელებს მამულში აგრეთვე ბიბო ყაზბეგიც შედაცვბია
და სოფლის ნახევარი მამული მას თავისათვის შემოუყორღნია. ამ
საქციელისათვის თემს ბიბოსათვის ბოიკოტი გამოუცხადებია, და
საქმე გაუსაჩივრებია, - მაგრამ მეფის სამართალს ეს მამული ბიბოსა-
თვის ურგუნებია. მოხვევებს ეს საქმე „სენატში“ გაუსაჩივრებიათ და
აქ კი მას რუსეთის დიდმა რევოლუციამ მოუსწრო, რომელმაც მე-
ბატონეთა ეს წოდება გაანადგურა და მიწა კი მშრომელ გლეხობას
გადაეცა.

დღეს ხევი გათავისუფლებულია ყველა ჯურის ექსპლოატატორე-
ბისაგან და მისი მშრომელი მოსახლეობა ჩაბმულია სოციალისტური
მშენებლობის დიდ საქმეში.

3. ეკონომიური მდგომარეობა

მოხვევები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევნ, მაგ-
რამ მათ ეკონომიკას უმთავრესად მეცხვარეობა ახასიათებს და
ჩვენი ხევიც მეცხვარეობის რაიონად უნდა ჩაითვალოს.


თავდაპირველად ჩვენ აქ შევეხებით ამ რაიონის მიწათმოქმედე-
ბის განხილვას.

ხევის ფართობის უდიდესი ნაწილი უჭირავს საძოვრებს, ღორ-
ლიან კლდეებსა და მყინვარ-მწვერვალებს, ამიტომ საყანედ ვარგისი
მიწა აქ ერთობ მცირეა. წინათ ყველაზე შეძლებულად აქ ითვლე-
ბოდა, ვისაც სამ დღიურამდის სახნავი მიწა ჰქონდა. მრავალი იყო
უმაღულო და მიწის არ მქონე გლეხობა. დღეს კი საბჭოთა სოცი-
ალისტური კანონმდებლობით ყველა მიწები განსაზოგადოებულია.

მიწის ნაკვეთები ხევში ზოთის კალთებზეა მიმოფანტული და თა-
ვიანთი მდებარეობის მიხედვით ასეთ სახელებს ატარებს: მზორე

(მზიანი), ჩრდილი ტელხორი (დაბლობი), ქორთანა (ვაკე), დარყეთი (ლორლიანი), ტყეთანა (ტყიან-ეკლიანი), წყალთანი (ჭაობიანი), ქუდის წვერა (მწვერვალზე) და სხვა. საყანე მიწას ყოველ მესამე წელიწადს ნეხვით ანოყიერებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩქარა იფიტება და ნაყოფსაც არ იძლევა. მიწის დასვენება და თესლის ცვლა აქ არ იცინან.

მინდვრის მუშაობას შუა გაზაფხულიდან იწყებენ. ხნავენ რკინის გუთნით, რომელშიაც უბიათ ცხენი ან უღელა ხარი. ძველი ხის გუთანიც ზოგან ჯერ კიდევ ხმარებაშია, რომელსაც თანდათანობით რკინის გუთანი ცვლის.



სურ. 15. ხარის გუთანი.


მოხეური ეს ხის გუთანი ორგვარი ტიპისაა: ერთი ხარის გუთანია და მეორე ცხენისა. ზოგადად ორივე გუთნის კონსტრუქცია ერთია, განსხვავება მხოლოდ წვრილმანშია. ხის გუთნის მხარი მურყანისაგან კეთდება, მისი ფიცარი წიფლისა ან არყისაა. ერქონას უფრო ეკლის ხისაგან ამზადებენ, წირწენას კი არყის ხისაგან. დამზადებული ხის გუთანი უსახნისოდ ერთ „ცხვარ-ბატკნად“ ფასობს. მოხნულ მიწაზე მხოლოდ ქერ-სვილას თესენ, სხვა ჭირნახული ცივი ჰავის გამო აქ არ ხარობს. დათესილ ყანას ფარცხნიან ფიჩხებისაგან შეკონილ პრიმიტიულ ფარცხით.

დღიურ მიწაზე ხევში ითესება ორი ფუთი ქერ-სვილა და კარგ მოსავლიან წელში ის ათ ფუთამდის ჭირნახულს იძლევა. მოხევეები

მკას აგვისტოს გასვლისას იწყებენ. ყანას ქალები მკიან და თან მღერიან:

„ჩემო ხენცელო, (ნამგალო) რკინაო,
გაგერ გამიძელ წინაო,
ყანის სამკალად ქალი სჯობს,
საქმროდა მომზადებული.“

მამაკაცები აქ არ მკიან — სირცხვილიაო. მკის ღროს მუშის შეყრა იციან. წინათ მკაში ქირის ალება სირცხვილი ყოფილა, სამაგიეროდ მომკელს კარგად უმასპინძლებოდენ. დღეს მკაში ქირით მიდიან. ყანას ნამგლით მკიან და რასაც ნამგლის ერთი მოსმა გაიტანს „ხელეული“ ეწოდება. ორი ხელეულისაგან ერთი ძნა იკვრის, რო-




სურ. 16. ცხენის გუთანი.

მელსაც „ულოთი“ შეკრავენ. ხუთს ასეთს ძნას „ხუთულა“ ეწოდება. სანამ სოფელი მკას არ მორჩება, მომკილი ქირნახული იქვე ჟანებში რჩება და შემდეგ კი დაიწყება ამ ხუთულების მარხილებით, ზურგით, ცხენებით და ურმით (ცხენის ტაქა) კალოზე გადაზიდვა. ერთ მარხილზე ეტევა ცხრა ხუთულა (45 ძნა), რასაც „მარხილის უბე“ ეწოდება.

ვისაც საკუთარი კალო არა აქვს ის სხვის კალოზე ლეწავს. კალოს სახლის ახლოს აკეთებენ. კალოზე ხუთულებს დახსნიან და გაშლიან, შემდეგ ამაზე გადამხულ ხარებს ან ცხენებს ატარებენ და

მათი ფეხებით ჭირნახულიც იღეწება. გაღეწილი ქერისაგან „ხოვი“ დგება, რომელსაც ფიწლებით ანიავებენ. შემდეგ ამ ქერს „ხაროში“ (ბელელი) ან აკოში ჩაყრიან და შიგ ნახშირს ჩააყოლებენ, რომ მას ბარაქა მიეცესო.

მიწის სიმცირესთან ჭირნახულის მოსაგლიანობა აქ დაკავშირებულია აგრეთვე ამინდის ცვალებადობაზე, რადგან ნიადაგი ფიცხია და ურწყავი. ხევის მოსახლეობას თავისი სარჩო სრულიად არ ყოფნის და იშვიათია გლეხი, რომელსაც ჭირნახული სამ თვემდის ყოფნიდეს. ამიტომ მოხევე იძულებულია წლიური სარჩოს მოსამარაგებლად სხვაგან გაიჭრას და პირველყოვლისა ჩრდილო კავკასიისაკენ, სადაც ის პურეულს ყიდულობს, უმეტესად სიმინდს და მას შინისაკენ ეზიდება. ამ ნაყიდი მჭადით იკვებება აქაური მოსახლეობა. აქ არც მეზალეობისა და მებოსტნეობის ხელშემწყობი პირობებია, რომ ამით საკვები მა-



სურ. 17. მარბილი.

სალის სინაკლულე ოდნავ მაინც შეიმსუბუქონ. ამ ბოლო ხანებში მოხევეებს ხელი მიუყვიათ „კარტოხის“ (კართოფილის) თესვაზე, რომელიც აქ გვარობს, მაგრამ მის გასათართებლად ვარგისი და თავისუფალი მიწა არ არის.

არც ბოსტნეული და ხილი გვარობს აქ, რადგანაც ადგილი მაღალია და ცივი და ნაყოფიც არ მწიფდება. მოსახლეობა იკვებება ქალ. ორჯონიკიძედან (კავკავი) შემოზიდული ხილით. მწვანილეულის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ მინდვრის მცენარეულობით. უმად ქამენ: სასხეპიას, მდოგვს, ჭერთხალას, ხატოტს, კაწას, ფხოლს, ნარაის, დიყს, დუცს, კიტრი-კობალას, ბაშოს, დეკას, სუროს, მეფელას, კვლიავას, ოძეონას, წიწმატს, ჯიმლაის, ღოლოს, მატიტელას, კორკოტს, თათამს და სხვა. ხარშავენ: ჭეკარს, ხბოშუბლაის, ბალბაის, თათამაის, ბაყაყის ფეხს და სხვა. აქაური მინდვრის ხილია: წორო, ესკალა,

ხუნწი, ქუბი, მარწყვი, შავი ხილი, ხახამი, წითელი ხილი, კოწახური, ზუთუ და სხვა.

ხევის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი მესაქონლეობაა — სახელდობრ — მეცხვარეობა. მსხვილფეხა საქონელი ხარძრობა აქ შედარებით მცირეა. ცხვარი კი მრავალია. ეს გარემოება უმთავრესად დამოკიდებულია საქონლის საზამთრო საკვების მარაგთან.


ზაფხულის საძოვრებით ხევი მდიდარია, მაგრამ სათიბი ადგილები მცირეა და ისიც ისეთ შორეულ და კლდოვან მთებზეა მოთავსებული, რომ იქ თიბვა და განსაკუთრებით ნათიბის ჩამოზიდვა ფრიად ძნელი და საშიში საქმეა. სათიბებსაც აქ თავთავიანთი სახელები აქვთ: ბახნო, ქვენა მთა, ქობი, ლიჯე, ლიფუ, ქუთათი და სხვა. თიბვა იწყება მკათათვეში. თიბავენ ცელებით და ხვეტენ „საკრებელი“-თ. სათიბვად გასვლის წინა კვირას სოფელი სამღვთოს „თიბის თავს“ იხდის და მომყოლ სამშაბათს ყველანი სამუშაოდ გადიან. ნათიბი ბალახი როცა შეჭკნება „ხორამად“ აქუჩებენ. ამ ხორამს „სათარზე“ აგებენ, რომელიც არყის ტოტებისაგანაა დაწნული და მას „ვალდახით“ მაგრა შეკრავენ. ვალდახს თვითონვე გრეხენ თივისაგან და მას თოკის მაგივრად ხმარობენ.

მოთოვს თუ არა ამ სათარს თოკს მოაბამენ და ხელით დავაკეზულ ადგილამდის ჩამოათრევენ. აქედან კი სათარს ცხენს მოუბამენ და ამგვარად სახლში მიიტანენ. ეს მძიმე სამუშაოა და თოვლის ზეგების გამო ხშირია უბედური შემთხვევებიც. ასეთი ვაი-ვაგლახით ჩამოზიდული თივა არ ყოფნის აქაურ საქონელს, რადგან ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი იცის. ამიტომ მოსახლეობა იძულებულია მსხვილფეხა საქონლის რიცხვი შეამციროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას საფრთხე მოელის. მით უმეტეს აქ ზამთრობით თივაც ძნელი საშოვარია და ის ძვირადაც ფასობს. ამის გამო მოხევეები უფრო მეცხვარეობას მისდევენ, რასაც ხელს უწყობს აქაური ჰავა და ზაფხულის ფართო საძოვრები.

ცხვარი აქ ადგილობრივი ჯიშისაა. წლიურად იგებს ერთ ბატკანს, იშვიათად ორსაც. შეძლებული მეცხვარე წინათ მწყემს იყვანდა, და მას ჯამაგირში 20 ცხვრამდის ეძლეოდა მისივე ნამატითა და შემოსავლით. ხარჯი, კვება, ტანისამოსი და სხვა მეცხვარისა იყო. ერთს მწყემს შეუძლია 300 ცხვრის მოვლა. ცხვარში თხებსაც ურევენ. თხები ცხვრის ფარას წინ მიუძღვებიან, ციცაბო კლდეებზე ბილიკებს პოულობენ და ამგვარად ფარას გზებს უკვლევენ.

თხის რძით იკვეება მეცხვარე და მისი ძაღლიც.

ცხვარში აუცილებელია ძაღლი, რომელიც მას ერთგულად ყარაულობს, ნადირს ახლოს არ აკარებს, გაფანტულ ცხვარს თავს უყრის და სხვა. ამიტომ ასეთი ძაღლი აქ დიდად ფასობს და მას ცხენუნაგირზედაც არ გაცვლიან. კარგად გაგეშილ ძაღლს მეცხვარე არ გაყიდის. ის მისი ბინის ყარაულია, ზოგჯერ სახლში აგზავნის და იქიდან სანოვავს უზიდავს და სხვა.



სურ. 18. სათარი.

ცხვარი ძნელი მოსაგვლელია და მეცხვარეობაც სახიფათო ხელობაა, რომელსაც ადამიანისა თუ ნადირისაგან მუდამ საფრთხე მოელის. მოხვევთა ხალხური პოეზიაც სავსეა მეცხვარეთა ასეთ გოდებით:

გულ მწუხარედ მღერობდა, მთაში მეცხვარე საწყალი,
 აფონდებოდა წარსული, თავის ჯელობა ტანჯული.

როდესაც წვიმდეს ბნელ ღამეს მიწასა სძრავდეს ქუხილი,
როდესაც ცხვარი დაუფრთხვეს მთლად დაგვარგის ნაწრომი.
დაღონებული დარბოდეს, მაგრამ ველარცა ზდებოდეს,
გაღმი გამოღმი მთებზე მგლები ყმუვილი ესმოდეს,
და იმის საუბედუროდ გული ცეცხლითა დნებოდეს
და იმის ცხვრებში მგლები მსუქანი ცხვრებითა ძლებოდეს.

მთიელთ მეცხვარის შვილი ვარ, ერთგული ჩემის ძმებისა,
ბევრი ჭირ-ვარმის მნახველი, ხმა გავარდნილი ყველგანა,
მიცდია სისხლის მორევი გაცურებულვარ მტერთანა,
წარბი არ შემიდრეკია, როგორც ზღვის ტალღას გემთანა.
ხმალ და ხმალ გადავარდნილვარ, როგორც რა ირნი ერთთანა.
მარტო გულს ესლა მიჩაგრავს ფიქრები მუდმის მგელთანა.
ვაი თუ სადმე მოვარდეს, ალი ბნელ ღამეს ჩემთანა.
მე კი დამძინებიყოს მან იტრიალოს ცხვრებთანა.
არიოს მთელი ცხვრის ფარა და გადარეკოს ხევთანა,
გაკუწოს დუმეურები საქმე მივიდეს თხებთანა,
იმათი ცოდვა-ბრალის ხმა მაღლა წავიდეს ღმერთთანა.

(ამ ლექსის ავტორი ვანო სუჯაშვილი 1926 წელს ქისტებმა
ცხეოში მოჰკლეს).



სურ. 19. ცხვრის ფარა.

საზაფხულო საძოვრებზე აქ ქოხებია აგებული, სადაც მეწველი
ცხვარ-ძროხა დგება და მათ ქალები წველიან. ზოხეური ცხვარი ერ-
თი თვე წველის და თითო ცხვარი დაახლოვებით ერთ ლიტრა რძეს

იძლევა. შეძლებული მეცხვარე წინათ მეწველ დედაკაცებს ქირაობდა და ქირაში მათ ფულს აძლევდა და არა ერბო-ყველს. ცხვარს წველიან ცურზე ხელის მოჭრით, რძეს ტაშტებზე დაასხამენ და შემდეგ ლალას (ნაღებს) ხდიან. დაგროვილ ლალას თიხის სადღვებელში ჩაასხამენ და მას სერათით (საქონლის ბუშტი) პირს მაგრად მოუკრავენ. სადღვებელს ღვამენ ტყავ გადაფარებულ ჯირკვზე, რომელსაც



სურ. 20. კარაქის შედღვება.

„ქუნთაი“-ს უწოდებენ. ასე გამართულ სადღვებელს დედაკაცი ფეხმოკეცით მოუჯდება, ხელს სადღვებლის ყურზე წაავლებს და მას განუწყვეტლივ არწევს. ნახევარ საათში ნაღები იღლევა და სადღვებლიდან კარაქს იღებენ.

თიხის ეს სადღევებელი თავისი ფორმით და შედღევების პროცესებით ისეთივეა, როგორიც მთიულეთშია გავრცელებული.¹ ეს სადღევებლები აქ ქსნის ხეობიდან შეჰოაქვთ. ბევრი რძის პატრონი კარაქს ხის ვარიაში დღევავს. ვარიას თოკით ჭერზე ჩამოკიდებენ და ხელით არწვენ. ზოგან სეპარატორებიც აქვთ და კარაქსაც ამით დღევებენ.

მოგოვილ კარაქს ქვაბში მოათავსებენ და ცეცხლზე ადულებენ, ცოტა ფქვილსაც მოუკიდებენ და როცა დაიდულებს ჩამოიღებენ. მოხეტური ცხვრის ერბო კარგი ღირსებისაა, გემრიელი და მაღალ ცხიმოვანია.

მოხდილი რძისაგან მოხვევები ყველს აკეთებენ. რძიან ქვაბს ცეცხლზე შედგამენ და შესადღებელ ხსნარს ჩაუშვებენ. ხსნარი ბატკნისა და ხბოს ფაშისაგან ეკოდება. გამშრალ ფაშეს ქოთანში ჩადებენ, კვერცხის ნაჭუქს ჩაატანენ და ზედ მარილ წყალსაც დაახამენ. შედედებულ ყველს გაწურვის შემდეგ ბაჯნებში (ჯანები) დებენ და ამარილებენ. აქაური ცხვარი წლიურად ორჯერ იკრიკება: გაზაფხულზე და ზაფხულის გასვლისას. შეძლებული მეცხვარე ცხვრის მპარსავენს ქირით იყვანს და კარგს მპარსავს შეუძლია დღეში 60 ცხვრის გაპარსვა. თუ პარსვის დროს ცხვარს კანი გაეჭრა ბუზი რომ არ დააჯდეს ზედ ნავთში გახსნილ დანაყილ ნახშირს წასცხებენ და მას შემდეგ ბუზი არ გაეკარება. თითო ცხვარი წლიურად 2 კილო მატყლს იძლევა, რაც მეცხვარეს კარგ შემოსავალს აძლევს.

მოხვევები საზამთროდ ცხვარს ყიზლარისაკენ ერეკებიან. ამ მიზნით რამდენიმე მეცხვარე თავიანთ ფარას ერთად შეაქუჩებს და ამგვარად დგება მეცხვარეთა ამხანაგობანი. ზოგჯერ ერთ ამხანაგობის ფარა ორი ათასამდის აღწევს, მაგრამ მათ შორის შერევა რომ არ მოხდეს თითოეული მეცხვარის ფარას თავისი „სერი“ ე. ი. მეპატრონის ნიშანი აზის. გაძგზავების წინ მეცხვარეები სამღვთოს იხდიან, დაილოცებიან და ყიზლარში მიმავალ მწყემსებს მშვიდობიან მგზავრობას უსურვებენ. გზა თვენახევარი გრძელდება, მოსალოდნელია მრავალი დაბრკოლებანი და უბედური შემთხვევებიც, რაც კარგად აღწეოილი აქვს ალ. ყაზბეგს თავის „ნამწყემსარის მოგონებაში“. ყიზლარში საზამთრო ბაკებია აშენებული, სადაც მწყემსები ბინავდებიან და ზამთრის განმავლობაში ცხვრის ფარას უვლიან.

ცხვარი საზოგადოდ სათუთი მოსავლელია და მწყემსიც ამ საქმეში დახელოვნებული უნდა იყოს, როცა დოლის თავი დაიწყება

¹ ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი 1930 წ. გვ. 53—55.

მწყემსი ბებუის როლს ასრულებს და ცხვარს ბატკნის მოგებაში შეე-
ლის. ამასთანავე ის ექიმბაშიც აზის და დაავადებულ ცხვარს პირველ
დახმარებას უწევს. აქაური ცხვრის სენია: ჭია, რომელიც თოხლებსა
და ყოჩებს რქებში უჩნდება. ეს ჭია ქავილს იწვევს, ალიზიანებს მათ,
რომლის დასაყუჩებლად ისინი ერთმანეთს რქებით ეტაკებიან და
თავ-პირს იზიანებენ. ყოველი უჩნდება ცხვარს დუმაში და ილ-
ლიაში. ყვავილის მუწუკს აცრით წამლობენ. ქუთთულის იარა
ცხვარს ტუჩებზე და ჩლიქებზე უჩნდება, კუტრეტაი მუცლის



სურ 21. ცხვრის პარსვა.

ავადმყოფობაა. ამ სენით დაავადებული ცხვარი გაქცევისას ქაქანებს
და გაპარსვის შემდეგ ნიაფი თუ მოხვდა კვდება და სხვა.

მეცხვარეობის ძლიერ რაიონად ხევში სნოს ხეობა ითვლება,
სადაც მეცხვარეთა რიცხვი და მათი ფარის რაოდენობა საკმაოდ დი-
ლია.

ხევის რაიონის სოფლის მეურნეობის გასაცნობად ჩვენ აქ მოვი-
ყვანთ 1928-1929 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადთა ნუსხას:
(ი. გვ. 74).

ამ ცხრილიდან ჩანს მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით სახნავი მიწისა და ნათესის ფართობის სიმცირე და აქიდან უკვე გამომდინარე ჭირნახულის სინაკლულე. მაგრამ სამაგიეროდ ფართოდაა მოცემული მეველეობა და მესაქონლეობა, რომელიც ამ დანაკლისს ავსებს.

ხევის რაიონში არსებობენ სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მის ეკონომიურ დაწინაურებას. აქ არის „თერგის ხევის მერძევე—მესაქონლეობის რაიონის კავშირი“, რომელსაც თავისი განყოფილება აქვს ყაზბეგსა, სნოსა და კობში. ამ ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს მეცხვარეობის კოოპერაციულ საფუძვლებზე ჩამოყალიბებას და მეურნეობის ამ დარგის გაუმჯობესებას. ხევის რაიონი წლიურად დაახლოვებით იძლევა 40.000 ფუთ მატყლს, 5000 საკლავს, 1500 ფუთ ყველს და 500 ფუთ ერბოს.

აქ „მატყლის კავშირი“ (Союзшерсть) ამზადებს მატყლს, რომლის ნაწილი ტფილისის მაუდის ქარხანას ეთმობა. კავშირი აგრეთვე იჯარით იღებს ყიზლარში საზამთრო საძოვრებს და მათ მეცხვარეთა შორის ანაწილებს. საზამთრო საძოვრებზე გადასახადის ასეთი ნორმებია შემოღებული: ვისაც 100 ცხვრამდის ჰყავს ის ცხვარზე 25 კაპ. იხდის; 100-200-მდის 35 კაპ. ამაზე ზევით კი ცხვარზე 75 კაპ. გადასახადი.

კავშირი კოოპერაციულ ფასებში აწვდის მეცხვარეებს პურს, შაქარს, ქსოვილს, ხელსაწყო იარაღებს და სხვა. სამაგიეროდ კავშირი ასეთი გაცვლის საშუალებით იმარაგებს ხორცს, მატყლს და ერბო-ყველს. ამასთანავე კავშირი ეწევა კულტურულ საგამანათლებლო მუშაობას, რომელიც ყიზლარში აწყობს სამკითხველოს, წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს, ცხვრის მოვლა-მოშენების კურსებს და სხვა.

არის აგრეთვე მეორე ორგანიზაცია „ხევის რაიონის აგრო პუნქტი“, რომელიც სოფ. სიონშია მოთავსებული. აგროპუნქტი ხელს უწყობს მემინდერეობისა და მესაქონლეობის გაუმჯობესებას. აწარმოებენ ცდებს: ადგილობრივი მარცვლეულისა და საქონლის ახალზე გადაჯიშებას, საკვები ბალახის თესვას და სხვა.

კობში არსებობს მერძევეთა კოლექტივიც, რომელიც სეპარატორებით და გაუმჯობესებული იარაღებით ერბო-ყველს ამზადებს. სიონში აგებულია ერბო-ყველის დამამზადებელი ქარხანა. სიონშივეა სავეტერინარო პუნქტი, სადაც უფასოდ წამლობენ დაავადებულ საქონელს და მეცხვარეებს მოვლა-მოშენების დარიგებებს აძლევენ.

შ ა ზ ბ ე ზ ი ს

№ რიგზე	ს ო ფ ე რ ი	საზღაფი მიწა	მემინდერუბა			მეფუტკრ.	მეველეუბა (სათიბი)
			ხორბალი	ქერი	კართო- ფილი		
1	ართხმო	38.00 1.60	—	26.60	—	—	114.30
2	არშა	23.76	—	23.76	—	—	84.40 19.40
3	ახალციხე	2.00	—	2.00	—	—	147.00 3.00
4	აჩხოტი	9.45	—	9.45	—	—	39.90
5	გაიბოტენი	19.80 0.50	—	19.80 0.50	—	—	73.65
6	გარბანი	23.34	—	23.34	—	—	66.57 6.70
7	გერგეტი	48.93	—	48.93	—	—	310.35
8	გველეფი	—	—	—	—	—	31.50
9	გორისციხე	37.41	—	37.41	—	—	207.00
10	კარკუჩა	23.85	—	23.85	—	—	152.33 7.20
11	მუგუდა	3.30	—	3.30	—	—	9.45
12	სიონი	61.55	—	61.55	0,52	—	213.80 33.60
13	სნო	55.95 0.25	—	55.95 0.25	—	2	467.20 2.50

თ ე მ ი

ხარ- ძრობა	მე ს ა კ უ ნ ე ჯ ე უ ბ ა				სასოფლო მეურნეობის შემოსავლის მთელი თანხა	მკამელთა რიცხვი	სასოფლო- სამეურნეო გადასახადის რაოდენობა	დაბეგ. კომლ. რიცხვი
	ცხენი და ჯიშობი	ვირი	ღორი	თხა და ცხვარი				
98	11	—	—	298	5127-60	71	426-49	17
139	20	—	15	1761	8382-96	177	1144-23	17
86	20	—	20	2316	10008-80	193	1473-96	22
38	12	—	2	60	1704-70	91	70-34	5
68	8	—	8	306	3505-30	149	89-23	10
105	30	—	39	1403	7428-74	281	382-30	14
259	65	2	—	6467	27575-40	521	6027-10	59
30	8	—	—	80	1251	28	77-84	5
185	32	5	35	1885	12470-30	481	781-23	30
146	61	3	—	15301	45863-72	407	156-22	57
6	1	—	—	170	798-10	9	81-03	3
249	68	3	33	5833	24972-54	602	4623-55	56
219	95	1	38	7533	34219-90	791	6079-95	61

№ რიგზე	ს ა ფ ე მ ი	სახაი მიწა	მემინდვრეობა			მეფუტკრ.	მეფუფეობა (საფიბი)
			ხორბალი	ქერი	კართო- ფილი		
14	თოთი	22.25	—	22.25	—	—	95.55
15	ტყარშეთი	19.82	—	19.82	—	—	87.60
16	ფანშეთი	20.55	—	20.55	—	—	93.10
17	ფხელშე	19.30	—	19.30	—	—	110.15
18	ქოსელი	7.21	—	7.21	—	—	100.60
19	ყანობი	34.65	—	34.65	—	—	181.95
20	ყაზბეგი	118.00	—	118.00	1.70	—	488.45
21	ცდო	13.76	—	13.76	—	—	96.70
22	ხურთისი	28.03	—	28.03	—	—	136.50
23	ჯუთა	$\frac{63.50}{0.40}$	—	45.30	—	—	257.50
24	მალსაგიანი . . .	2.40	—	2.40	—	—	5.90
ჯამი =		$\frac{696.81}{2.75}$	—	$\frac{667.21}{1.95}$	2.22	2	$\frac{3521.45}{72.40}$

მე სა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა					სასოფლო მეურნეობის შემოსავლის მოვლი თანხა	მჭამელთა რიცხვი	სასოფლო- სამეურნეო გადასახადის რაოდენობა	დაბეგ. კომლ. რიცხვი
ხარ- ძრობა	ცხენი და ჯორი	ვირი	ღორი	თხა და ცხვარი				
68	8	—	—	613	4820—20	145	246—44	13
73	15	—	1	1237	6272—60	146	728—62	12
80	18	—	14	2592	10289—50	166	2743—84	16
108	24	2	10	2680	11007—70	205	2562—98	18
60	16	4	—	2606	9751—70	130	2875—58	21
183	44	6	42	4519	18638	371	4335—28	34
584	99	3	99	5929	35227—50	1140	5070—13	100
78	15	2	2	2968	10950—20	210	2476—68	20
160	29	—	26	1366	8942—50	338	701—66	20
260	16	—	—	676	11312—20	145	1134—23	35
11	3	—	—	8	352	36	—	—
3.286	718	31	384	68.607	310873—16	6833	59754—69	645

კ ო ბ ი ს

№ რიგზე	ს ო ფ ე რ ა	სახსარი მიწა	მემინდვრეობა			მეფუტკრ.	მეფელეობა (სათიბი)
			ხორბალი	ქერი	ქართო- ფილი		
1	აბანო	$\frac{24.70}{2.85}$	—	$\frac{13.05}{2.85}$	—	—	$\frac{111.75}{6.00}$
2	ბურმასევი	7.65	—	5.60	—	—	30.00
3	გიმრა	$\frac{20.15}{1.50}$	—	$\frac{15.75}{1.50}$	—	—	$\frac{112.10}{300}$
4	დესი	$\frac{37.05}{0.25}$	—	$\frac{25.50}{0.25}$	—	—	146.75
5	ერეტი	$\frac{21.75}{2.00}$	—	$\frac{16.00}{2.00}$	105	—	54.90
6	ერზოტი	$\frac{9.50}{0.75}$	—	$\frac{8.75}{0.75}$	0.40	—	31.00
7	აღმასიანი	$\frac{17.45}{1.45}$	—	$\frac{10.85}{1.45}$	1.61	—	$\frac{129.35}{400}$
8	უზათი	$\frac{18.63}{0.85}$	—	$\frac{14.58}{0.85}$	—	—	$\frac{132.55}{6.25}$
9	კარადყავი	$\frac{21.75}{0.30}$	—	$\frac{11.30}{0.30}$	—	—	$\frac{100.10}{1.00}$
10	ზაკაგორი	9.70	—	9.70	—	—	40.20
11	კეტროზი	$\frac{18.45}{0.50}$	—	$\frac{14.90}{0.50}$	—	—	$\frac{126.20}{2.00}$

თ ე მ ი

ბარ- ძრობა	მ ე ს ა ქ ო ნ ჯ ე ო ბ ა				სასაფლაო მეურნეობის შემოსავლის მთელი თანხა	მკამელთა რიცხვი	სასაფლაო- სამეურნეო გადასახადის რაოდენობა	დაბეგ-კომლ- რიცხვი
	ცხენი და ჯორი	ვირი	ღორი	თხა და ცხვარი				
54	16	—	32	2512	10023	3421	2665—92	16
55	4	—	8	368	2102—80	1013	49—71	3
135	22	—	44	2490	10747—50	1686	2092—18	13
80	17	—	42	2046	9982—60	850	2015—37	23
47	9	—	—	959	4675—10	367	670—37	8
18	4	—	—	250	1774—50	172	105—68	6
81	33	—	40	753	6420—90	385	195—32	16
89	32	—	34	1781	9130—36	146	1027—20	23
60	8	—	36	507	4370—60	172	194—23	15
23	3	—	24	304	2234	368	119—28	6
98	34	—	50	4493	16101—20	96	2726—01	28

№ რიგზე	ს ლ ფ ე რ ი	საგნავი მიწა	მემონორულობა			მეფუტკრ.	მეველეობა (სათობი)
			ხორბალი	ქერი	კართო- ფილი		
12	კობი	20.92	—	18.47	0,05	—	191.65
13	მნა	31.51	—	20.75	—	—	144.20
14	ნავაგყავი	13.05 0.50	—	12.05 0.50	—	—	20.85
15	ოქროყანა ქვემო .	19.50	—	15.90	—	—	64.70 1.00
16	ოქროყანა ზემო .	18.85	—	14.30	—	—	93.50
17	რესი	25.40 2.00	—	14.20 2.00	—	—	86.25
18	სივრევეტა	4.26	—	2.26	—	—	8.50
19	ზუათისი	28.40 0.25	—	15.35 0.25	—	—	105.40
20	საყურთ-კარი . .	11.70 1.75	—	11.70 1.75	1,15	—	12.00
21	ტეპი	34.25	—	27.75	—	—	153.30
22	ფალაგყავი	7.00	—	7.00	0,95	—	33.00

მესაქონლეობა

ხარ. ძირება	ცხენი და ჯორი	ვირი	ღორი	თხა და ცხვარი	სასოფლო მეურნეობის შემოსავლის მთელი თანხა	მკამელთა რიცხვი	სასოფლო- სამეურნეო გადასადის რაოდენობა	დაბეგ-კომლ. რიცხვი
124	29	—	44	914	8332—70	262	720—81	21
80	17	—	23	1044	7123—50	120	787—90	18
31	12	—	14	1083	4153—60	126	827—39	5
65	11	—	20	851	4719—60	146	716—85	9 ¹
51	11	—	24	687	4733—20	102	525—47	10
79	16	—	36	780	5300—50	188	131—21	15
7	3	—	3	44	433—20	12	5—13	1
134	17	—	25	2004	9120—10	214	1068—64	19
38	7	—	26	200	1710—50	100	9—82	2
76	19	—	—	1837	9615—10	214	1513—43	20
14	2	—	—	59	1218—90	42	32—43	4

№. რიგბ	ს ო ფ ე რ ი	სახვე მიწა	მემინდვრეობა			მეფუტკრ.	მეველეობა (სათიბი)
			ხორბალი	ქერი	კართო- ფილი		
23	ქუმლის ციხე . . .	$\frac{25.20}{1.00}$	—	$\frac{21.95}{1.00}$	2.37	—	$\frac{55.50}{2.00}$
24	ხემო განისი . . .	$\frac{11.50}{1.00}$	—	$\frac{11.00}{1.00}$	0.60	9	$\frac{20.50}{3.00}$
25	ქემო განისი . . .	$\frac{32.00}{1.00}$	—	$\frac{18.00}{1.00}$	0.95	2	24.50
26	შავარდენი	$\frac{11.28}{0.65}$	—	$\frac{10.18}{0.65}$	—	—	63.62
	ცოცოლდა	17.65	—	8.95	—	—	52.30
28	ძუარყევი	$\frac{23.30}{0.25}$	—	$\frac{21.25}{0.25}$	1.63	—	97.700
29	აგათ-კარი	$\frac{8.05}{1.20}$	—	$\frac{5.50}{1.20}$	—	—	38.00
მ ი =		$\frac{550.60}{20.05}$	—	$\frac{402.59}{20.05}$	10.76	11	$\frac{2279.67}{28.25}$

ხევის ამ ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული მეურნეობის კოლექტი-
ვიზაცია დაიწყო 1931 წლიდან და დღეს აქ უკვე ჩამოყალიბებულია
რამდენიმე კოლმეურნეობა: ყაზბეგში, კობში, განისში, ძუარიყაუში
(ლუდა), აბანოში (თრუსო) და გერგეტში. აქვეა აგრეთვე ზოგიერთი
კულტურული საზოგადოების საბჭოთა მეურნეობაც.

ხევის რაიონი ხე-ტყით ღარიბია და მოსახლეობა საშენი და
სათბობი მასალის დიდ სინაკლულეს განიცდის. აქ ძვირია შეშა, რო-
მელსაც ლარსიდან და ფასანაურიდან ეზიდებიან. სამაგიეროდ მო-

მესაქონლეობა					სასოფლო- მეურნეობის შემოსავლის მთელი თანხა	მკამელთა რიცხვი	სასოფლო- მეურნეო გადასახადის რაოდენობა	დაბე- ჯი
ხარ- ძობა	ცხენი და ჯორი	ვირი	ღორი	თხა და ცხვარი				
64	12	—	—	189	3248	137	46—83	8
25	5	—	—	86	1342—80	31	79—96	5
49	9	—	—	1040	4340—50	69	1420—55	6
37	7	—	12	407	3077—36	62	210—43	10
43	13	1	16	1699	6268—30	141	1413—55	10
59	2	—	—	479	4449—60	144	220—21	10
28	4	—	10	627	2910	59	508—20	4
1731	378	1	563	30493	159658—2	3869	22100—08	334

სახლეობა საწვავად ხმარობს საქონლის ნეხვისაგან დამზადებულ „ბართს“. ბართისათვის ნეხვს მოხვეტენ, ბართით მოხელავენ და გუნდებად დაამზადებენ. ამ გუნდებს დედაკაცები სახლის მზიან კედელზე ან ლობეზე „შეაგოზებენ“ ე. ი. მიაკრავენ და ზედ ბალახით გააბრტყელებენ.

ბართი მრგვალი და თხელია. მას ზაფხულში ამზადებენ, ჩქარა შრება და ზაფხულშივე ხმარობენ. ზამთრობით გუნდას აკეთებენ. მოხელილ გუნდებს ლობეზე აწყობენ და აქ გუნდები ყინვისა და ქა-

რისაგან შრება. ქუთთი მზადდება ხის ფორმაში, რომელიც ყუთს წარმოადგენს. ამ ყუთში ჩაყრიან მოზელობი ნეხვს და შიგ მაგრად ჩატკეპნიან. შემდეგ ყუთის ერთს ფიცარს მოხსნიან, ქუთს გამოიღებენ და მას გასაშრობად ღობეზე დადებენ. ქუთს ზამთარში ამზადებენ. გაზაფხულზე გაყინული ქუთი გალხვება და ნიაემა რომ გაუაროს მას ჩხირებზე აწყობენ. სათბობად გუნდა და ქუთი ჯობია, რადგანაც უფრო მზურვალე და გამძლე ცეცხლი აქვს. ამიტომ გუნდასა და ქუთს ზამთარში ხმარობენ. ცულით აპობენ და ღუმელში ისე ალაგებენ. ბართს კი ზაფხულში სწვავენ. მაგრამ ბართის ასანთებად შეშა და ფიჩხიც საჭიროა, რადგანაც ისე მას ძნელად ეკიდება. ანთებული ბართი მაგარ სითბოს იძლევა, მხოლოდ არა სასიამოვნო სუნს აყენებს.



სურ. 22. ყორე-კედლებზე გაკრული ბართები.

ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს ის ბარათსაც ბლომად ამზადებს, ვისაც არა და ის იძულებულია შეშა იყიდოს ან შემოდგომაზე მინდვრად გავიდეს და იქ აგროვოს საქონლის გამწრალი ნეხვი. ღარიბები და ქვრივობლები მინდვრებში აგროვებენ ბართებს და ზურგით და მარხილებით შინისაკენ ეზიდებიან. „ბართობად“ წასვლა დედაკაცების

საქმეა, მამაკაცისათვის ეს სირცხვილია და ის ბართის მოგროვებაში მონაწილეობას არ იღებს.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ხევის რაიონის მთავარი საარსებო წყარო მეცხვარეობაა, რომლის შემოსავლით მოსახლეობა იკვებება და იმოსება. მაგრამ ცხვარი აქ ყველას არა ჰყავს და მოსახლეობის ღარიბი ნაწილი იძულებულია სამუშაო სხვაგან ეძებოს, რომ თავისი შრომით ოჯახი არჩინოს. მოსახლეობის ნაწილი დღეს ჩაბმულია ანდღეხიტის წარმოებაში. ამ რაიონში ანდღეხიტი ბლომად მოიპოვება.



სურ. 23. სოფ. არმა.

ანდღეხიტი ჭანგამძლე ქვაა და მას დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ეძლევა ქიმიურ მრეწველობაში. ანდღეხიტის ქვაზე ქიმიური სიმეავეები გავლენას ვერ ახდენენ და მისგან ამზადებენ ქიმიურ პროდუქტების შესანახ ჭურჭლეულს. ყაზბეგის რაიონში ანდღეხიტის დამუშავება ს ეძლევა საკავშირო მნიშვნელობა და უკვე მეზუთე წელიწადია, რაც ამიერკავკასიის სამთო ქიმიური ტრესტის „ყაზბეგის ანდღეხიტი“ აქ ფართო მუშაობას ეწევა. „ქიმისტროის“ დასკვნით ანდღეხიტმა ამასთანავე კერამიკის მაგივრობა უნდა გაწიოს გლოვერების ამოგების საქმეში, მრავალი ლაბორატორიული ცდებით დამტკიცდა, რომ ყაზბეგის

ანდეზიტის ფქვილი მინის სითხესთან არეული იძლევა მაღალ ჭანგამ-
ძლეობის და დიდი მექანიკური გამძლეობის ცემენტს. ეს ცემენტი სა-
უკეთესო სააღმშენებლო მასალაა გოგირდჭანგის, მარილ-ჭანგის, ცე-
ლულოზის და სხვა ქიმიური ქარხნების მშენებლობისათვის.



სურ. 24. ანდეზიტის დამუშავება.

ერთი სიტყვით გამოყენებითი ქიმიის მთავარი წარმოება — გოგირდ-
ჭანგის მრეწველობა საჭიროებს დიდი რაოდენობის ანდეზიტს, რომ-
ლითაც ასე მდიდარია ხევის რაიონი. ანდეზიტის დამუშავება წარ-
მოებს კობში, არშაში და საკეცეში (ცდო), სადაც 2000 კაცი მუ-


შაობს და მათ შორის 50% ადგილობრივია. ანდეზიტის დამუშავება ჯერჯერობით კუსტარული წესით წარმოებს, მაგრამ ახლო მომავლისათვის განზრახულია მისი მექანიზაცია. ანდეზიტის მუშაობის გაფართოებასთან განზრახულია სოფ. არშის მუშათა ქალაქად გადაქ-



სმრ. 25. მატყლის ჩეჩვა და დართვა.

ცევა, ელექტრო-სადგურების მოწყობა და სხვა. ანდეზიტის წარმოების გაფართოებას დიდი ეკონომიურ-აღმშენებლობითი მნიშვნელობა ეძლევა ამ რაიონის კეთილ მოწყობისათვის, რომელიც აქაურ შეუძლო გლეხობას საკმაო შემოსავალს აძლევს და ამით ხელს უწყობს მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოხევეები სამუშაოდ აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც გადადიან, სადაც ეწევიან ღურგლობას, მჭედლობას, ხარაზობას და სხვა. შინამრეწველობა აქ განვითარებული არ არის. მოსახლეობა ფაბრიკულ ნაწარმოებს ეტანება. მართალია მოხევის ქალები ოჯახისათვის შალს— „ტოლს“ ქსოვენ, მაგრამ მას ფართო სამომხმარებლო ხასიათი არა აქვს და საოჯახო მეურნეობაში უმნიშვნელო ადგილი უკავია. სატოლე მატყლი ირეცხება და როდესაც გაშრება, იჩეჩება. გაჩეჩილ „ჩოგს“ (ფთილა) თიოის ტარზე გრეხენ. დაგრეხილ ძაფს ჯარაზე დაგრეხენ და შემდეგ საქსოვზე გააბამენ. საქსოვი შე კიტებით ხის ქანდარაზეა თოკებით მიბმული. მქსოველი სკამზე ჯდება, ცალ ფეხს საფეხუ-




სურ. 26. შალის ქსოვა.

რაზე გაუყრის და წიწკიან ქაღალტს საქსლოში გაუყრის და საზედაო ძაფს სავარცხლით ქსელზე დააქსოვს. მოქსოვილ ტოლს მქსოველი თანდათანობით თუნალაზე ახვევს.

მოქსოვილ ტოლს შემდეგ ცხელ წყალში ამოავლებენ და ლასტზე სთელავენ. მოხევეები ქსოვენ თეთრსა, შავსა და ლეგა ფერის ტოლს. ჭრილსა და ფერად ტოლს არ ამზადებენ. მატყლი აქ ბევრია, მაგრამ ხალიჩა-ფარდაგს მოხევის ქალები არ ქსოვენ. ამ ბოლო ხანებში ყაზ-

ბეგის სკოლასთან გამართულია ფარდაგის საქსოვი სახელოსნო, სადაც მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაეცნოს ფარდაგ-ხალიჩის ქსოვის პროცესებს. ზოგან კედლის ნაბადსაც თელავენ და ნაბადს კედელზე აკრავენ. კედლის ნაბადი ფერადია. უმეტესი მათგანი მწვანე და ბურღო ფერისაა, რომლებზედაც დავგირისტებულია სხვადასხვა ფორმის გამოჭრილი სახეები. ამ ნაბდებს აშკარად ეტყობა ჩრდილო კავკასიის გავლენა.


მოხევის ქალები შალის წინდებსაც ქსოვენ, წინდები სადა და უფერადოა.



სურ. 27. კედლის ნაბადი.

სამხედრო გზაც მოხევეებს ერთგვარ შემოსავალს აძლევს, რადგან ისინი გზის შეკეთებაზე მუშაობენ, ტვირთისა და მგზავრების გადაზიდვას ეწევიან და სხვა. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს ამ ვიწრო ხევში მოქცეული მოსახლეობის ეკონომიურ მოთხოვნილებებს და გლეხობის ნაწილი იძულებულია აქედან გასახლდეს. ზოგიერთი ოჯახები შემოსადგომით ქალ. ორჯონიკიძეში (კავკავში) გადადიან, რადგანაც ხევში მათ საზამთრო სათბობი და სარჩო არა აქვთ. კავკავში მოხევის შეუძლო ოჯახები სამუშაოზე დგებიან და ზამთარში თავს ინახავენ. გაზაფხულზე კი ისევ ხევში ბრუნდებიან, სადაც საქონელს უვლიან და ზაფხულს ატარებენ. მაგრამ მრავალი მათგანი მაინც იძულებულია ეკონომიური აუცილებლობით ხევიდან

აიყაროს და სხვა კუთხეში გადასახლდეს. ასეთი გადასახლება უმთავრესად ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და მოხვევებიც უფრო შირაქსა და კავკავის მიდამოებს ეტანებიან, სადაც მათი ახალშენები თანდათანობით იზრდებიან.



სურ. 28. წინდის ქსოვა.

4. საზოგადოებრივი ჯოჯა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მე-19 საუკუნიდან ხევში დაიწყო დიდი სოციალ-ეკონომიური გარდატეხა, სადაც თემური წყობილება თანდათანობით იშლებოდა და კაპიტალიზმის საფუძველზე მყარდებოდა ახალი სოციალური ურთიერთობა. ამას მოჰყვა თემური ხევის საზოგადოებრივ-ეკონომიური დიფერენციაცია, კლასობრივი დაჯგუ-

ფება და ეს ჯგუფები უკვე თავიანთ კლასობრივი ინტერესებისათვის იბრძოდნენ.

მე-20 საუკუნის მიჯნაზე ხევის მოსახლეობის წოდებრივ-კლასობრივი დაჯგუფება ასეთი იყო: მაღალი წოდება (ყაზბეგებიანი), სოფლის კაპიტალისტური ელემენტები: მსხვილი მეცხვარეები და ჩარჩ-ვაჭრები. მშრომელი გლეხობა: წვრილ-მესაკუთრე გლეხები, მწყემსები, მოჯამაგირეები, ხელოსნები და სხვა.

ოქტომბრის რევოლუციამ ეს გაბატონებული ჯგუფები გაანადგურა და დღეს კლასობრივი წინააღმდეგობანი აქაც მოსპობილია. საბჭოთა სოციალისტური კანონმდებლობით მიწა მშრომელ გლეხობას გადაეცა და ხევის მეურნეობაც კოლექტიურ ფორმებში ვითარდება.

ამასთან დაკავშირებით იცვლება მოხვევთა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებაც, რადგან ძველი ადამიან-ჩვევები დღითი-დღე ისპობა და თანამედროვეობაც ხევში უკვე საკმაო სიძლიერით არის შეჭრილი.

ამ მხრივ ჩვენს მთიელებში ხევი მოწინავე რაიონად უნდა ჩაითვალოს, სადაც მოსახლეობა შეგნებულად ადგია გათვითცნობიერების გზას. და აქ არსებული საბჭოთა სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაჩქარებული ტემპებით ცდილობენ ძველი ყოფის ახალ სოციალისტურ ყოფაზე გარდაქმნას. მაგრამ საუკუნეებით განმტკიცებული ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმები აქ ჯერ კიდევ არსებობენ და მისი ერთგული გუშაგი ძველი და აწ უკვე მოხუცთა თაობაა. ჩვენ აქ შევეცდებით ამ ძველი თემური ყოფის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაშთების განხილვას.

ხევის სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საგვარეულოებად არის დაჯგუფებული. გვარების მიხედვით სოფელი უზნებადაა დაყოფილი და თითოეული უბანიც ერთს-საგვარეულოს უჭირავს, სადაც მათი საგვარეულო ციხე და სასაფლაოა მოთავსებული. შემდეგ ეს გვარები კომლებად იყოფიან და თითოეული მათგანიც თავისი მეკომურის სახელს ატარებს. მაგალითად, ხეთაგურები: გახუტენი, კოტიენი, თორლენი, საბენი და სხვა. ჩოფიკაშვილები: ლევანენი, ზალიენი, ზაბუნენი და სხვა. სუჯაშვილები: ნადუნენი, ყუბეშენი, მოსელენი, უბელენი. ბაზალი: ადიეთი, ნანენი, გაგენი ჯარიენი, მამუკენი. ავსაჯანიშვილები: იმედენი, მათურენი, ნანენი, და სხვა. კურკუმული: გოგორეთი, გოჭიენი, ზილინენი და სხვა.

კომლის ამ სახელის ცოდნა ადამიანის დასახელების დროს აქ საჭიროა და ამას ასე იტყვიან: მიხა ხეთაგეთ კოტიეთი, ვანიეთ ნიკა



შადური, თოლიკეთ იობა ფიცხელაური, ლევანეთ გიგუშა ჩოფიკა-შვილი, ქუშეთ ნასყიდაი ქუშაშვილი და სხვა.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ ზოგიერთი საგვარეულო თავიანთ წინაპრებს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულად თვლიან, ამის მთავარ მიზეზად მესისხლეობას ასახელებენ. მაგალითად, ჩოფიკა-შვილების წინაპარი ქისტია ჩოფიკა (ახლა ჩოფიკოვი) ყოფილა, რომელსაც იქ კაცი შემოკვდომია და ხევში გადმოსახლებულა. მას ყოლია ოთხი ვაჟი: ყაზიბეგი, ზალია, გოგუა და ლეკანი. მათ წორის ხალხის გადმოცემით ყაზიბეგის ოჯახი დაწინაურებულა, რომლის შვილი გაბრიელი თავდაპირველად უბრალო დიაკვანი ყოფილა. ამ დროს დარიალს რუსის ჯარი მოსდგომია, მაგრამ ის დაკეტილი აღმოჩენილა. მაშინ რუსის მხედრობას ხდეს ხეობიდან მოუვლია და ყუროს მთის გადმოლახვით განუზრახავს სტეფანწმინდაში გადმოსვლა. ამ ჯარს წინ თურმე მოუძლოდა ვიღაც ქისტი შადი, რომელიც მოხევეებს ყუროსთან მოუკლავთ და რუსის მხედრობაც გაუფანტავთ. ყუროს ამ ადგილს რუსებმა შემდეგ „შატ-გარა“ უწოდესო. რუსის ლენერალი ამაზე ძლიერ დაღონებულა და დიდ საგონებელში ჩავარდნილა, თუ როგორ შესულიყო დარიალში. ამ დროს იქ გაბრიელი აღმოჩენილა და მას ლენერალისათვის დახმარება აღუთქვამს. გაბრიელს სტეფანწმინდის ბქეები დაუთათბირებია, საჩუქარიც აღუთქვამს და უთხოვია რუსის მხედრობის დარიალში გატარება. ამაზე ბქეები დათანხმებულან და რუსის ჯარიც საქართველოში შემოპარულა. ამ სამსახურისათვის დიაკვან გაბრიელმა რუს ხელმწიფისაგან ლენერლობა და აზნაურობაც მიიღო.

მარსაგიშვილების წინაპარიც ქისტი ყოფილა (მარსაგი) მას ქისტებში კაცი მოუკლავს და ხევში გამოხიზნულა. ყამარაულის წინაპარი კი ფშავიდან გადმოსახლებულა. ბაზალი სურამიდან გამოქცეულა და არშაში დასახლებულა. გოგბაიძე მთიულეთიდან გადმოსულა. ის არშაში მისულა, სადაც სულიაურის გვარი ბატონობდა. სულიაურის წინაპარი ისეთი მდიდარი ყოფილა თურმე, რომ ჯორზე მჯდარა და ყანას ისე თესავდა, ხელებზე ოქროს სათითურები ჰქონია და პური ისე უმკია. გოგბაიძეს სულიაურისათვის „დიდება“ უმღერია და ამ მღერისათვის გოგბაიძისათვის მას არშაში მამული უბოძებია.

სამქანაშვილი კავთისხევიდან ბატონს გამოქცევია და ფანშეთში დასახლებულა, სადაც ციხეც აუგია. ხეთაგურის წინაპარი ოსეთიდან გადმოსულა, 1744 წ. ხევის სტატისტიკურ აღწერაში ხეთაგური ხეთაგიძედ იხსენიება. მათ წინაპარს ხეთაგი რქმევია და

ნოშოში, მცინვარის უკან უცხოვრია. აქ მას მტერი შესჩენია და იგი მტერს გამოქცევია. გზაში ხეთაგს ვილაც ჩვენებია და უთქვამს ტყეში დაიმაღე, თორემ მტერი მოგიახლოვდაო. მე ტყეში ვერ შევასწრებ უთქვია ხეთაგს და ტყე ჩემთან მოვიდესო. მას მართლაც ტყე შემორტყმია, სიკვდილს გადაჩენილა და ხევში დასახლებულა.¹ ხეთაგენი ძლიერი გვარი ყოფილა და სტეფანწმინდაში ციხეც ჰქონიათ. მათ ჯიმშერ ერისთავი მტრობდა თურმე და ერთხელ ჯიმშერი თავის ჯარით გადმოსულა ხევში და ხეთაგენტ ციხეს შემორტყმია. ხეთაგურებს ჯალაბი გაუხიზნიათ და საომრად თურმე ემზადებოდნენ. მაშინ ვილაც ეფხოშვილს მათვის რჩევა მიუცია, რომ ერისთავმა ციხე უკვე დააქცია და ნუ ეწინააღმდეგებით, თორემ თქვენს ჯალაბსაც ტყვედ წაასხამსო. სჯობია ერისთავს ჯიხვი მიათვათ და პატიება თხოვოთო. ხეთაგურნი ასეც მოქცეულან და ჯიმშერისაგან წყალობა მიუღიათ.

ხეთაგენტ საგვარეულოში თავის ვაჟკაცობით ცნობილი ყოფილა იასე ხეთაგური, რომელსაც ვახტანგ მეფის (VI) ჯარში უმსახურია. ლეკებთან შეტაკების დროს ვახტანგს თავის ბელადად იასე გამოუყვანია. მოწინააღმდეგე მხარეებს ნიშნად ორი დანა დაუყენებიათ და ვის ტყუასაც დანა შეაზე გააპობდა გამარჯვებულიც ის იქნებოდა. ლეკის ბელადის ტყვია დანას მხოლოდ გაეჭხაქნა, იასესი კი შუაზე გაეჭრა და როდესაც აწონეს ორივე ნაწილი თანაბარი გამოსულა. ამით დადებული ნიშანი იასეს მოუგია და ვახტანგის ჯარსაც გაუმარჯვნია. შემდეგ იასეს ვახტანგისათვის სამსახურისაგან განთავისუფლება უთხოვნია. ვახტანგს საჩუქრად იასესათვის სოფ. სიონი, გარბანი და თოთი უძღვევია, მაგრამ მას ამაზე უარი უთქვამს, მე არ მინდა ბატონობა და არც ვინმეს ყმობაო. მაშ რა გსურსო, შეკითხვია იასეს ვახტანგ მეფე. ჩემი სურვილია, რომ გერგეტელებმა ახალწელიწადს წმ. ნინოს ჯვარი პირველად ჩემს კარზე მოაბრძანონ და ისე მომილოცონო. მეფე ამაზე შეწუხებულა და უთქვამს: იასე, მაგას ნუ მთხოვ, მე მთელ საქართველოს მპყრობელი ვარ და ეს მეც არ მეკუთვნისო. სხვა რაც გნებავს მთხოვე და მიიღეო. იასეს მოუხსენებია: მეფეო, თუ ეს არ იქნება სხვა არა მინდარაო. მეფე დაფიქრებულა და ამის შესახებ თავის ვეზირებს შეკითხვია. ერთი ვეზირი ამდგარა და ვახტანგისათვის მოუხსენებია: „დალოცვილო მეფეო, კარგი საჩუქარი გიძღვევია, მაგრამ ადამიანის სურვილი თავთავადიაო.

¹ ასეთივე თქმულება არსებობს ოსეთის ხეთაგურებზე (Предание о хетаге, Сбор. свед. о Кавк. горцах, вып. V, Тиф. 1871 г. გვ. 76).

იასე მთის კაცია და მას წმ. ნინოს ჯვრის თავის კარებზე მიბრძანება. ესახელების და შენ მაგით რა დაგაკლდებოა“. მაშინ ვახტანგს უბრძანებია იასეს სურვილის დაკმაყოფილება და მის კარზე ახალწეწადს წმ. ნინოს ჯვრის მიბრძანება. ამასთანავე მეფეს მისთვის გარბანი და თოთიკ უჩუქნია.

ამ ხალხურ გადმოცემასთან იასეს ან იესესა და მისი მამა-პაპის მეფის ერთგულ სამსახურზე მოწმობს მათსავე გვარში დღემდის დაცული ორი სიგელი,¹ სადაც ხეთაგენთ ეს კომლი მოხსენებულია თექთურმანიძედ.

პირველი ჯამაგირის წყალობის სიგელია ვახტანგ მე-VI მიერ ბოძებული, რომლის ტექსტსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ:

ქ.: ნებითა და შეწევნითა ღვთისათა: ჩვენ ღთივ აღმატებულმან, ღთივ ცნებით ზეცით გვრგვინოსანმან იესეან. დავითიან სოლომონიან პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თვთ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ვახტანგ: და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან: პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემ პატრონმან ბაქარ და ბატონიშვილმან პატრონმან გიორგიმ: ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ: თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალ გვარად გარჯილსა და ნამსახურს თექთუმანიძეს კურდღელასა. შეიღსა შენსა იესესა, ბერსა და პაპსა შვილთა თქვენთა ივანეს და ანგვიშტუყოსა და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა: მას ჟამსა ოდეს ჩვენ მოსკოვს მივიდით: შენ იესე თქვენისა ქვეყნის კაცთაგან ჩვენს სამსახურზედ რუსეთს მოხვედით: გამოგზავნილნი: და აგრეთვე ჩვენგან გამოგზავნილს გამლეულ გამომვლელს კაცებზედ დიდად ერთგულად ირჯებოდით სადმე: ეს ჩვენ მოგვხსენდა: და დაგიმადლეთ: ამა ქვეყნისა მრავალთა მსახურობისა და გარჯილობის სანუჭბოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ჯამაგირის წყალობას დაგვეჯგენით: ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი შეგიწყალეთ და გაგიჩინეთ წლის ჯამაგირათ რომ მოგეცემოდესთ: ჩვენის სალაროდამე: წელიწადში ოცდაცამეტი მარჩილი: საცა ვბძანდებოდეთ იქიდანვე ყოვლის წლივ გეძღვოდესთ: სახიდავით: ესე ასე გაგიტავდესთ და არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ ვეჭილ ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენი რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობესა ფარმანსა შიგან ეწეროს: თქვენცა ასე დაუშტოცეთ: და ნურარასმც ცუდად კელჰყოფთ: თვნიერ თანადგომისა და შეწევნისა განვიდუ. დაიწერა ბრძანება ესე ჩვენი კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელიქისადეგისასა. ქრისტეს აქათ ჩღლბ: (1732 წ.) ქკს უკ: (420)=1732 წ. თებერვლის თ: (=9) ხელის მოწერა ხვეულად: ვახტანგ, აზის ბაქარის ბეჰედი.

სიგელი ქალაღზეა ნაწერი, ზომა 66×27 სანტ.

შემდეგ ბაქარ მეფეს იასესათვის განუახლებია სიონ-გარბანისა და თოთის მფლობელობა და ამაზე ეს სიგელი უბოძებია:

1 ინახება სოფ. ყაზბეგში ნიკალა ქიქვენი ხეთაგურის ოჯახში.

„ქონებითა და შეწევნითა ღთისათა: ჩვენ ღთივ ამაღლებულ აღმატებულმან: და ღთივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანმან: იესუან დავითიან: სოლომონიან პანკრატიანმან: და ყოვლისა საქართველოსა თვითმპყრობელმან მეფეთ მეფემ პატრონმან ბაქარ და თანამეცხედრემან ჩვენმან: არაგვის ერისთავის ასულმან ბატონმან ხანუმ: პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან. ლევან და ალექსანდრემ: შენ თექთურმანიძე იესუსა და პაპას: ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ: ასე რომ: ჟამთა ვითარებისაგან ჩვენ რუსეთს ვიყავით და შენ იესე ჩვენს სამსახურზე ბევრს ირჯებოდი: ამა შენისა ნამსახურობისა: სანუქბოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ: შენი ნაქონი სოფელი სიონი და გარბანი: და თუ ააშენო თოთიკა: თქვენთვის და შვილთა თქვენათვის გვიბოძებია: ყოველის კაცის უცილებლად მათის მითთა: ბარითა სახნავ სათეს სათიბითა და სამართლიანის სამძღვრითა: ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგან და: არცა შემდგომთა მეფეთა და მემკტრონეთაგან: აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოსაქმენო ბძანება ესე ჩვენი: თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ: დაიწერა: ბრძანება ესე: კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის: კაკასიძის: მელქისადევისათა წელსა: ჩლდ: == (1734 წ.) სექტემბრის კბ. (12). აზის ბაქარის ბეჭედი.

სიგელი დაწერილია თეთრ ქალაღზე. ზომა 54X21 სანტ.

ამ ხეთაგეთ გვარში დღეს ცნობილია მათი უხუცესი გახუტა იასესძე ხეთაგური. 83 წლის გახუტა ხევის ცოცხალი მემკტარენა, რომელსაც კარგად ახსოვს ხევის ისტორიული თავგადასავალი. გახუტა ამასთანავე ხალხურ ზეპირსიტყვაობის კარგი მცოდნეა. რომელმაც წერაქითხვა არ იცის, მაგრამ ზეპირად იცის ვეფხის ტყაოსანი, ეთერიანი, როსტომიანი და სხვა. ის განთქმული მონადირეც ყოფილა, რომელსაც 5 აზარი (500) ჯიხვი მოუკლავს. გახუტა ნავალი კაცია. მას ალექსანდრე ყაზბეგის ცხვარში ექვსი წელიწადი მცხვარედ გაუტარებია და ალექსანდრეს ის თავის დიდ მეგობრად თვლის. ალექსანდრეს პიროვნებას და შემოქმედებას გახუტა დღესაც ალტაცებით იგონებს.

ღუღღუშაურები თავიანთ წინაპარად თელიან ცნობილ შიოლა ღუღღუშაურს, რომელიც სნოს მაგარ ციხესა ფლობდა და არაგვის ერისთავის წყალობით გააზნაურებას ცდილობდა, მაგრამ ეს მოღალატე შიოლა თემმა ერთს ხევესურს—მთრეხელს მოაკვლევინა. შიოლა მეტად მოუსვენარი მთის კაცი ყოფილა. ის მტრობდა თუშხევესურებსაც, სადაც შიოლას ვიჟაკობა განთქმული იყო.

თუშებმა უთხრეს თუშებსა გადვიდეთ ხევის მთაზედა, სნოს. რა აქებენ შიოლას იმას მოუდგეთ ფარზედა, ვინცა შიოლას აწითებს ქალი ურჩიოთ თემზედა. შიოლას კაცი მიუა, შიო, გამოდი კარზედა. ნელა წამოდგა შიოლა, ჩაჩქანს იხურავს თავზედა, — ახლა გამოდით მიჯნურნო, მე ვერ გამოვალ შორზედა, ბევრს ვაქვს უთამაშებო მოკლე შიოლას მკლავზედა.

შიოლას ოთხი ვაჟი ყოლია. ერთი მათგანი შარამბალი განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. შარამბალი ლეკებთან საბრძოლველად არაგვის ერისთავს გაუწევია. ლეკის ბელადს დიდუბეში შარამბალი საომრად გამოუხმია. შარამბალს ამ დროს ძინებია და ერისთავს ის არ გამოუღვიძებია. ვაი თუ ლეკის ბელადმა შარამბალი მომიკლას და ჩემი



სურ. 29. გაზუტა ხეთაგური.

ლაშქარი დამელუბოსო. შარამბალის ნაცვლად ერისთავს გამოუყვანია ლეკის ბელადთან შესაბრძოლებლად შარამბალის პირის მეღვინე, რომელიც თურმე შარამბალს ძლიერ გავდა. პირის მეღვინე ლეკის ბელადს მოუკლავს და გახარებულ ლეკებს ის ალამად გაუკეთებიათ, ქვეშ დამსხდარან და ლხინი გაუჩაღებიათ, რომ შარამბალი ასე ადვილად მოგვკალითო. ჩქარა შარამბალმა გაიღვიძა და თავისი პირის მეღვინე

თურმე მიუთხოვია. მას უამბეს ლეკებთან შებრძოლებისა და პირის მელვინის სიკვდილის ამბავი. ამაზე შარამბალი ძლიერ დაღონებული და ერისთავისათვის საყვედური უთქვამს. გაბრაზებული შარამბალი თავის ბედაურზე შემჯდარა და ლეკის ბელადი საომრად გამოუწვევია. პირველ შეტაკებისთანავე შარამბალს ლეკის ბელადისათვის თავი მოუკვეთია და ის ხმალზე წამოცმული ერისთავისათვის მიუერთმევია.

შარამბალ ღუღუშაურო, კაცი გამოხველ რა ხელი?
შენ მოჰკალ ლეკის ბელადი, კარზე გეკიდა თავ-ხელი

ამ გმირობისათვის ერისთავს შარამბალისათვის კარკუჩის მესამედი უჩუქნია. ლეკის ბელადის იარაღი და ცხენი შარამბალს სნოში ერთი ქოსელისათვის გამოუტანებია და უთქვამს ეს ყველაფერი ჩემს მშობლებს მიუტანე და ლეკის ბელადზე ჩემი გამარჯვებაც ახარეო. ქოსელმა ცხენი და იარაღი თვითონვე მიითვისა იმ განზრახვით, რომ შარამბალი ომიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდებაო და როდესაც სნოზე გაიარა მის მშობლებს აცნობა, რომ, შარამბალი ლეკის ბელადმა მოკლაო. დამწუხრებული მშობლები გლოვობდენ გმირი შვილის დაკარგვას. მაგრამ შარამბალი ჩქარა გამოჩენილა და მშობლებს მისთვის ქოსელის მოქმედებაზე ყველაფერი უთქვამთ. გაბრაზებული შარამბალი მაშინვე სოფ. ქოსელისაკენ გაჭრილა და დაშინებული სოფელი შარამბალს ხატებით მიგებებია, რათა ქოსელისათვის დანაშაული ეპატიებინა, შარამბალს ეს მუდარა არ მიუღია და ცხენი ზედ ხატზე გადაუფრენია. შეჭრილა სოფელში, ქოსელი მოუკლავს და მის სახლ-კარსაც ნაცარ-ტუტა თურმე ადინა.

შარამბალის გრძელი ხმალი ღღეს ინახება გუგუთა გაგისძე ღუღუშაურის სახლში. ეს გუგუთა ასი წლის მოხუცია და შიოლას შთამომავალია. ის ეკუთვნის მეშვიდე თაობას: შიოლა, შარამბალი, სულუტა, გლახაი, შაქარაი, გაგი და გუგუთა. შარამბალის ხმალის სიგრძე 85 სანტ., განი კი 4 სანტ., აზის ნიშანი „ვოლჩოკ“ და და ჯვრიანი სფერო.

სნოს ხეობაში ყველაზე პატარა სოფელი არის მიგუდა, სადაც სულ ორი კომლია გვარად როსტომიანი. მათი წინაპარი როსტომ გმირი ყოფილა. ერთხელ როსტომი რაშით მონავალა და როდესაც ის მიგუდას წყალთან მისულა მაინც სულგბი ფერხულს უფლიდენ თურმე და შუაში კი ოქროს აკვანი მდგარა შიგ მწოლარე ბავშვით. ეშმაკებს როსტომი დაუნახავთ და უთქვამთ: „როსტომი მოდის რა-შითა, აკვანი მოაცალეთ არ გახეთქას რაშითაო“. როსტომს მათ-რახი მოუქნევია და რაშით აკვანზე გადამხტარა, აკვანი და ბავშვი

გაუჩულებია. ამაზე როსტომი ეშმაკებს დაუწყევლიათ: „შვიდ მამადე ნურც გაწყდებით და ნურც გაშენდებით“.

ხალხის რწმენით ეს გვარი ამიტომ არ მრავლდება და ორიოდ კომოს არ აღემატებაო.

წინათ, თემური წყობილების დროს ხევში თითოეული კომლი წარმოადგენდა ერთ დიდს და განუყრელ ოჯახს, სადაც ერთს ჰერ ჰვემ რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. დღეს კი ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს აქ იშვიათად თუ შეხვდებით. ეს დიდი ოჯახები იყოფიან, ქუცმაცდებიან და მასთან ერთად ძველი საოჯახო წესებიც სწრაფად იცვლებიან. ხევში ასეთი დიდი და განუყრელი ოჯახის სათავეში დგას უხუცესი მამაკაცი „სახლის უფროსი“ და უხუცესი დედაკაცი „დიასახლისი“. ამ ორ პირს ეკითხება მთელი საოჯახო საქმეები. სახლის უფროსი საკაცო და სამეზობლო საქმეებს განაგებს, დიასახლისი კი საქალბო და სადიასახლისო საქმეებს. ოჯახის დიასახლისი პურსა და კერძს ანაწილებს. დანარჩენი ქალ-რძლები თავთავიანთ საქმეებს ასრულებენ: ზოგი საქონელს უდგას, ზოგი წყალს ეზიდება, ზოგი პურს აცხობს და სხვა. უფროს მამაკაცს თავისი საკუთარი საპატიო „სამმართველო სკამი“-ც აქვს. ამ უფროსების პატივცემის წესებიც არსებობდა, რასაც წინათ მტკიცედ ასრულებდნენ. სალმის დროს ოჯახის უფროსებს ყველანი ფეხზე უდგებოდნენ. როცა უფროსი წყალს დალევდა ან მას ცხვირს დააცემინებდა ყველანი ფეხზე დგებოდნენ. მათ წინ გავლაც არ შეიძლებოდა, შორით უნდა მოეწლოთ და სხვა.)

ოჯახის გაყოფა მამის სიცოცხლეში აქ დღესაც იშვიათია. წინათ საგვარეულო ოჯახის გაყოფის დროს გვარის უხუცესს ზედმეტად ყანა ეძლეოდა, რომელსაც „გორის უფროსის ყანა“ ეწოდებოდა. ეს ყანა სიკვდილამდის მის მფლობელობაში იყო, შემდეგ იგი მორიგე უხუცესზე გადადიოდა. დღეს ეს წესი გამქრალია და ოჯახის გაყრის დროს უფროს მამაკაცს საკიდელი ეძლევა და დედაკაცს კი ვარცლი. თუ მამას შვილი გამოეყო, სახლი და საჭირო სარჩო დედამამს რჩება და რაც ზედმეტია შვილებს უნაწილებენ. დედამამის სიკვდილის შემდეგ კი ოჯახის ქონებას შვილები გაიყოფენ. უფროს ძმას ზედმეტი წილი იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ მას ძმების აღზრდაში რაიმე ღვაწლი მიუძღვის. იმ შემთხვევაში მას მიეცემა ზედმეტად საყანე მიწის ნაკვეთი ან საქონელი.

მეტხვარე ძმას ეძლევა „საჯოხე“ (მწყენისი ჯოხი) ას ცხვარში ოცი ცხვარი ან შეკაზმულ ცხენს აჩუქებენ. გაყოფის დროს ოჯახში

მხენელ-მთესველ ძმას ხარ-გუთანს უთმობენ. ძველი წესით ქალებს ოჯახში წილი არა აქვთ და სანამ გათხოვდებიან დედამამსთან რჩებიან.

წინათ თუ შვილი მშობლებს უდიერად ექცეოდა დედ-მამა ამაზე „ერობას“ (უფროსთა კრებულს) შესჩივლებდა. ასეთ შვილს ერობა დაიბარებდა და საჯაროდ შეარცხვენდა, შემდეგ მას კენჭებსა და ღორღს მიაყრიდნენ და ისე გააგდებდნენ. ერობისაგან შერცხვენილს ქორწილში, ხატობაში თუ სხვა რაიმე საზოგადო წვეულებაში არ დაიწვევდნენ და მას ასე შერცხვენილად უნდა ევლო განსაზღვრულ დრომდის, სანამ მას დანაშაული ერობისაგან არ ეპატიებოდა.

რაც შეეხება თემური წყობილების დამახასიათებელ მოვლენებს: შურისძიება და სისხლის აღებას,¹ აგრეთვე ურვათს ხევში ჯერ კიდევ არსებობს, რასაკვირველია უკვე შეცვლილ და შერბილებულ ფორმებში.

ხევში ჩხუბსა და მკვლელობის შემთხვევებს ადგილი აქვთ ქორწილში, ხატობაში და სხვა გასართობ ადგილებში, სადაც ხალხი თავს იყრის და დროს სმასა და თამაშობაში ატარებს. ჩხუბის დროს წინათ ქალებმა „მერდინის ჩაგდება“ იცოდნენ. ქალი მერდინს (თავშალს) მოიხდიდა მოჩუბართა შორის ჩააგდებდა და იტყოდა: „ამ მანდილით გეხვეწებით თავი გაანებოთო“. მერდინის გადალახვა არ შეიძლებოდა და ნიშნად პატივცემისა ყველანი იარაღს ჰყრიდნენ. დღეს ეს წესი უკვე მოსპობილია. მოხვევები სისხლის ერთ გვარში დაღვრას გაურბიან, რაც მათში იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ სხვა გვარში სისხლის აულებლობა კი დიდი სირცხვილია. შური უნდა იძიონ: ძმამ, ბიძაშვილებმა და საზოგადოდ ნათესავებმა. სისხლის დავიწყება და მისი საზღაურის აულებლობა არ შეიძლება. რათაც არ უნდა დაუჯდეს მოხვევ სისხლს არავის შეარჩენს. როცა ორ გვარს შორის სისხლი და მტრობა ჩამოეარდება, მაშინ ორივე საგვარეულოდან ირჩევენ მსაჯულებად საპატიო მოხუცებს, რომლებიც ითვალისწინებენ მკვლელობის ყველა გარემოებებს და სისხლის საზღაურის რაოდენობას ადგენენ, რომლის გადახდა შესაძლებელია ფულად თუ საქონლით. ეს საპატიო შუაგაცემი მოსისხლე ოჯახებს შორის ივლიან, სანამ მათ შერიგებაზე არ დაითანხმებენ. ამავე დროს მკვლელი და მისი ნათესაობა თავს იყრიან მოკლულის საფლავზე და ყველანი „მუხლის კვერა“ დგებიან (იჩოქებენ). ზოგჯერ ეს მუხლისკვერა

¹ სისხლის აღების, შურისძიებისა და მისი გარიგების წესები მხატვრულად აღწერილია ალ. ყაზბეგის „მოძღვარში“.

დგომა მთელი დღე და ღამეც კი გრძელდება, სანამ შერიგებაზე შეთანხმდებიან, რომლითაც მკვლელი და მისი ნათესავები ჩადენილ დანაშაულს ინანიებენ და მათგან პატიებას მოითხოვენ. თუ მიცვალებულის პატრონი შერიგებაზე დათანხმდა ის საფლავზე მიდის, სადაც ყველანი მიცვალებულს შენდობას ეტყვიან და ბჭეების უზუცესი იტყვის, რომ ამიერიდან შური და სისხლი მოსპობილია და ორივე გვარი რიგდებაო. აქვე ყველას თანდასწრებით სისხლის საფასურსაც გადასცემენ და შემდეგ ყველანი მოკლულის სახლში მიდიან, სადაც მკვლელის ხარჯზე სადილი იმართება. როდესაც მკვლელი და მისი ნათესაობა მოკლულის სახლს მიუახლოვდებიან ისევ მუხლის კვერა დგებიან და ოჯახში ჩოქით შევლენ. სადილზე დაიწვევენ მოკლულის ყველა ნათესავს და მოგვარეს, რადგანაც თუ ვინმე დააკლდა მას შეუძლია ეს შერიგება არ მიიღოს და თავის მხრივ შურისძიება განაგრძოს. სადილზე დაილოცებიან და ორივე საგვარეულოს კაცები შერიგების ნიშნად ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ. დასასრულ მკვლელი მოკლულის დედას „დედობა“-ს ეტყვის და ამის ნიშნად მას ძუძუზე კბილს სამჯერ დააკერს.

თუ მოსისხლეთა შერიგება არ მოხდება, მაშინ სისხლის აღება გრძელდება რამდენიმე თაობა და როცა სისხლს აიღებენ გამარჯვების ნიშნად მკვლელი სოფელში შემოსვლისთანავე თოფს გაისვრის და ამით სოფელს ამცნობს, რომ მტერზე შური იძია, რასაც „ჩილინგი“ ეწოდება.

თავიანთი ფიზიკური აღნაგობით მოხევეები საშუალო ტანისანი არიან. სხეულის სიმკვრივესთან ერთად მათ ახასიათებს ფიზიკური ჯანმრთელობა და მოქნილობა. ტიპური მოხევე სახით უფრო პირმრგვალია, აქვს სახის სწორი მოხაზულობა და შავგვრემანი ფერი. ფიზიკურ სისალესთან მოხევე გულადია, მოსაქმე, მარდი და გამბედავი.

მთიელ ვარ მთაში გაზრდილი გულადი გაუტყეხელი,
არწივი ზეცით მოსული, სპილო ვარ მოუდრეკელი.
სამშობლოს მოსიყვარულე ვარ მისი დაუთმობელი,
მე მირჩენია კლდეები ზევეები ჩვენი წყლიანი,
მადლა ასული მყინვარი გარშემო ყინულიანი,
შავი კლდეები ყუროსი სულ მუდმის ქვიშის ხრიალი.
ტანთ ჩაცმა მოკლე ტყავისა და ფეხთ წრიაბთა წკრიალი,
ფეხდაფეხ დევნა ჯიხვისა იმასთან ერთად ტრიალი.

მოხევე თავისი ვნის დიდი მოსიყვარულეა. მიუხედავად იმისა, რომ მას მკიდრო ეკონომიურ-კულტურული კავშირი აქვს კავკასთან და

საბჭოთა კავშირის სხვა უცხო ქალაქებთან ის მშობლიურ ენას არ ივიწყებს, ენის სიწმინდის შერყვნა მოხევეს სამარცხვინოდ მიაჩნია. მოხევეები მეტყველებენ დინჯად და გარკვევით. გონებამახვილო-



სურ. 30. ახალგაზრდა მოხევე.

ბასთან მათ ახასიათებს ნათელი აზროვნება და სწრაფი მოფიქრება. საუბრის დროს მოხეურად უქცევენ. მოხეურში ვინ-ანი (ვა) ონად (ო) იქცევა: თოლი (თვალი), ცხორი (ცხვარი), სივანი (სიონი) და სხვა. (სტ) იქცევა (შტ): შტოლი, ქიშტი. სკ>შკ: სკამი შკამი და სხვა.¹ ში>ჩი: სახლში — სახლშიჩი, კიქაში — კიქაჩი და სხვა. ხშირია აგრე-

¹ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოც. 1915 წ. გვ. 192.

„კ“ ხმარება: მოკვეფე, კელი, კმა, ფეკი, მუკლი, მკარი და სხვა. ზოგიერთ ზმნებს ბრძანებით კილოში ემატება ნაწილაკი „კე“: გამომიგზავნიკე, მოხვიდეკე და სხვა. მახვილიც მოხეურში ჩვეულებრივად სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანზეა, მაგალითად: რაია, წამადი, არმინდა, ქალაუ, დედაისი, რაისთვი და სხვა. მოხეურ კილოს საილუსტრაციოთ ჩვენ აქ მოვიყვანთ მათი მოკითხვის ბარათის შინაარს:

„პირველად მრავალს მოკითხვას მაგახსენებ ჩემო საყორელო და ჩემო თოლო და გულო შეილო. ცხო როგორას ხარ ან შენა და ანდა ეგ უეტლო შენი და. მოუკდეღეს დედა, როგორ უნდილას დეებვა ხიზანი, რასლა უნდა მიღმართას. აბა დედაის გულო ეგრე ეგრე დაივიწყე შენი გატიალებულ, განიაბგებული დედა. ბალო და განა შაიძლება რომა ადამიანმა პატიოსანის დედის შეილმა დაივიწყას დედა. არა ისრიმც დადებრდები სიხარულითა. წერილი მამწერე როგორ ხარ ან როგორს ჩაცმულობაჩი ან პურკმულობაჩი. თორო რაილა მეტი ლაპარაკი ჩემს თავს ვერცროგორობით ველარ ღნახვე ცოცხალსა. მე კი სუყელავ გიგონებ და შენ კი დამივიწყებვე, წერილს არ გამომიგზავნიკე. ბეჩაო ჩემო თაო, ისრილა შავსწუხდი ეგ მარტუობითა, რომა აღარ შამიძლია. ემ წინახე ძოლანის ფოლორცაჩი რო გავე ასრე მეგონა ზოყანა ჩემია მეთქი დაეინახე ერთი ბოზობიანი ბაღლი და შენ შავამგზავსე ტანის მოსულობაჩი, მამრე კი ეცანი ცხო იყო შამოვიკარ გულჩი მჯიღები და ერობაჩი დაეჯვე. ცხო რაი მაგწერა, მადლობა უფალსა პურ არ მაკლია. ცხო კარგი კი აღარა გოყრია რა. მადი, მადი ჩქარე გეყოფა ყველაი ეგ ტანტრაბეობა კაია კულა ჩემის მამის ცხონებამა აქ რო ისევა როგორ ღმუშაობდიკე მთელი ჩვენი კარსუენაი და დარიფანაი ნაწვერალაით აუესიკე. მამიკითხე ქალაშავაი და იმის ქალბაღლანი. აჰუ, მშვიდობით იყავ მშვიდობითა. შენი დედა ციკო“.

ხევი მდიდარია ხალხურ ზეპირსიტყვაობით, რომლის სულიერი სამყარო ჯერ კიდევ განტვირთული არ არის წარსულის მოგონებებით. ხევის დიად ბუნებაში ხალხურ ფანტასტიკას შეუქმნია მშვენიერი ლეგენდები, ზღაპრები, თქმულებები, საგმირო და სატრფიალო ლექსები. წარსულის თხრობა და ლექსაობა მოხევეს ძლიერ ეხერხება. ამ მხრივ ყაზბეგში ცნობილია გახუტა ხეთაგური და სნოელი 80 წლის გუგუა თადილეთ ღუდუშაური. ხევში უყვართ ზღაპარი, რომლითაც ხალხი ზამთრის გრძელ ღამეებში ერთობა. ამასთანავე ანდაზა-გამოცანებში და მოსწრებულ სიტყვაშიაც მოხევეები გაგარჯიშებული არიან.

ოჯახურ ყოველდღიურობაში და საზოგადო საქმიანობაში მოხევეები ასე ფიცულობენ: „ქობ-საკიდლის მადლმა; მამის მშვიდობამა, ხატების მადლმა, ცხვრის გამჩენის მადლმა, ისრემც არ გამიწყრეს პურმარილის მადლი, მაგის ბეწვი გამომესხას თუ მე მამეპარია (იტყვიან თხის მოპარვაზე), მიწის გამჩენის მადლმა, დედამიწის

მადლმა (მიწას ხელს დაადებენ), არა დედის მზემა, არა მამის მზემ, არა ძმის მზემ, ისევ შეგვრჩება ძმები, ძმა ძმის წულის სიცოცხლემ, ისრი უძმო არ დავრჩე, ჩემის მკვდრების განათლებამა, ისრივ მოგვცას მშვიდობის კარა, ჩემა თოლის სინათლემ, ჩემის დედის ძმის მზემა,



სურ. 31. მოხვევ ქალის ტიპი.

ხარგუთნის მადლმა, ხარის ქედის მადლმა, აი სავსე დედამიწის მადლმა და მალის ღთისამა ჩემი კერაის მშვიდობამა, დაღალული მზის მადლმა, ამ მზის თოლის მადლმა.

კეთილსაქმიანობისთვის კი ასე დაილოცებიან: „ღთისაგ პირით დაილოცები, თეთრის თმა-წვერით შამოღბერდები. წელთაით უსნეულო იქნები. გაიხაროს შენმა მამის კერამა, გელირსას გვირგვინი, შენი კარგიმც გველირსება, მაგივიდეს ცხორ-მწყემსი მშვიდო-

ბით, ბიძის მშვიდობაში (ბიძა არ მომიკვდეს), ჩემი მკვდრის განათლებაში, იხარა შენმა საბოლოო, ისე გელირსას ძმის გვირგვინი, გაშენდა შენი უბე-კალთაი, ისევ შაგეწიოს მზე დედასთან მიმავალი, ღმერთმა გაგაშენოს ძითა, ბოლოთა თვისითა, თვისითა და ნატამლითა, სამებაო ღთის მესამედო შეგეწიე.

მაგრამ გაჯავრების დროს მოხვედრებში წყევლა იცინა: იკვნესე მკვრდებით, ყელის ტკივილმა გაგიტანოს, დამიწვევ ჭირისა საჩარულა (ნალი), მოშორდი სწორთა, ვერ დახვდი კვლე ემ დროსა, წმ. სამების რისხვა შეგეყაროს, გერგეტით გასალოცავო, ჭინჭარკანაფა ამა-სასვლელო, ვერ აკრიფე გვერდები, უკეთია მკვდარო ჩავისხლდეს წმ. სამების მკლები, ეგეთი ჭირი შეგეყრება ცალი გვერდი ზამთარს მისცე ცალი გვერდი ზაფხულს, შრალად გასალოცავო, შეგიდგეს ნათლისმცემლის რისხვა, გამოგტყრო ორივ თოლი, დაგაყარე ვაგხანი, ჩამოგცხე ქონოლანი, წითელი გვირგვინი შავადა გადაგეჭყევა, ჩავიბრუნდა მეკომურობა, დარყის წმ. გივარგის რისხვა, გაგიწყრეს ქალების ხატის რისხვა, შავის ნაბდითა დაკონილი მიხრლ, შენზე გავიშლი თმას, სისხლის ლოგინი დაგიგია, ვერ გაიგე მუხლის კვერი, ღთისა და ბატონის ქარი და ცეცხლი შენს გვერდებსა, დარჩი უბე-კალთა ცარიელა, დაგიბნელდა მზე, გაქრა შენი წუთისოფელი, გამქანებიხარ სისხაზე, დასჯე მუშტარი (დაბრმავდი), ნურცა გაძლები მზეზე ცქერითა, გადმოიბნიე კლდეზედა და სხვა.

ზნეობრივად ხევი მალლა დგას. სტუმართმოყვარეობისა და პურ-მარილის ადათებს მოსახლეობა ჯერ კიდევ მისდევს. ქურდობა, ყაჩაღობა, სქესობრივი უზნეობა და სხვა აქ იშვიათი მოვლენაა.

სამართლის ყოველგვარ საქმეებს აქ ხევის სახალხო სასამართლო არჩევს, რომელიც სიონშია მოთავსებული, სადაც უმთავრესად ირჩევა შუროსიძეებისა დი მკვლელობის საქმეები. ამასთანავე ხშირია დავა ცხვარზე, საძოვრებზე და სათიბ ადგილებზე. ყველა საქმეები ირჩევა საბჭოთა სამართლის კანონების მიხედვით.

კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობას ხევში ეწევიან ხევის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი და თემსაბჭოები. კულტურული დაწინაურების მხრივ სხვა მთიელებთან შედარებით ხევი მოწინავე კუთხედ უნდა ჩაითვალოს, სადაც წერაკითხვის მცოდნეობა საკმაო მაღალ დონეზე დგას. მაგალითად, ყაზბეგის თემში 1926 წ. სრულიად საკავშირო აღწერით: ¹ 2,524 მამაკაცში წერაკითხვის მცოდნე 1171

¹ იხ. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წ. ტფილ. 1929 წ. ცხრილი XI, გვ. 128.

და 3074 დედაკაცში წერაკითხვის მცოდნე 826. დღეს კი წერაკითხვის მცოდნეობა 90% აღწევს.

თვით მოსახლეობაც სწავლა-განათლების საქმეში დიდ მისწრაფებას იჩენს. აქ ყველანი ცოდნის შეძენასა და მის სარგებლიან გამოყენებას ცდილობენ. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის ბუნებრივი ნიჭი და სწავლისადმი მისწრაფება, ადგილმდებარეობა და სკოლების საკმაო რიცხვიც. რაიონში გახსნილია 17 ქართული ოთხწლედის და 13 ოსური. ყაზბეგში, სიონში, სნოში და კობში კოლმეურნეობის სკოლაა გახსნილი. ყაზბეგშია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. განზრახულია ამ ტექნიკუმის ინდუსტრიალურ ტექნიკუმად გადაკეთება.

ხევი არ წარმოადგენს მიწათმოქმედების ბაზას, სადაც მიწის დიდ სიმცირესთან ითესება და გვარობს მხოლოდ ქერი. მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას აქაური ბუნების პირობები ხელს არ უწყობს. არც მესაქონლეობას აქვს განვითარების სათანადო პირობები. მსხვილი საქონელი საკვების სიმცირისა გამო აქ არ შენდება. ცხვარი მოძრავია, იგი ზაფხულში ხევშია და ზამთარში კი ყიზლარში, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს არ შეუძლია თავისი პრაქტიკული მუშაობა მეურნეობის ამ დარგს შეუფარდოს.

სამაგიეროდ ამ რაიონს დიდი მომავალი აქვს ბუნებრივ სიმდიდრეთა სამუშაოების საქმეში, როგორიც არის უკვე დაწყებული ანდეზიტის წარმოება და სხვა. ამიტომ ინდუსტრიალური ტექნიკუმის სასკოლო მუშაობა დაფუძნებული იქნება ამ წარმოებაზე, რომელიც მოამზადებს მისთვის საჭირო კადრებს. მოწაფეთა რიცხვი აქ საკმაო რაოდენობას აღწევს და ყაზბეგის რაიონში ითვლება 1866 მოწაფე. პოლიტგანს ხევში აქვს 11 სალიკვიდაციო სკოლა და კლუბ-თეატრი ყაზბეგში, სნოში, კობში და არშაში.

ქოხსამკითხველოებია: ყაზბეგში, სიონში, სნოში, ჯუთაში და ართხმოში. რაიონში პარტიული, კომკავშირული და სხვ. ორგანიზაციები არსებობენ. ყაზბეგში მოთავსებულია „ქალგა“ (ქალთა ორგანიზაცია), რომელიც ზრუნავს მოხვეე ქალების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასა და უფლებრივ დაცვაზე გაყრისა და ალიმენტის მოპოვების დროს. ის ერევა ქალის დანიშვნა-გათხოვების საქმეში, ოჯახურ უსიამოვნების მოგვარებაში და სხვა.

მოხვეის ოჯახში შრომა განაწილებულია, მაგრამ მისი სიმძიმე უფრო დედათა სქესს აწევს. აქაური ქალები სადიასახლისო საქმესთან მინდვრის მუშაობასაც ეწევიან. წყლის ზიდვა ქალებს ევალებათ, ისინი სპილენძის დიდი თულუხებით წყაროდან წყალს ეზიდებიან.

წყლით სავსე ზოგი თულუხი ფუთზე მეტია. მამაკაცისათვის წყლის მოტანა აქ დიდი სირცხვილია და მოხვევ მამაკაცი თულუხს ზურგზე არასდროს არ შეიდგამს.

წინათ ქალები წყალს ხის „ტაგანით“ ეზიდებოდნენ. ტაგანა კასრის მსგავსი ჭურჭელია და სავსე ტაგანის ზურგზე აკიდების დროს ქალს ვინმე უნდა შეშველებოდა და ამაზეა ნათქვამი:

„ჩემო ხელის მომკიდეო, ტაგანაი ამკიდეო,
თუ ტაგანას არ ამკიდებ ხელი მაინც მომკიდეო.“



სურ. 32 წყარო ყაზბეგში

ეს მძიმე ტაგანა ^{ყა} დღეს უკვე კოხტა თულუხზეა შეცვლილი, მაგრამ წყლის ზიდვის ეს მძიმე ბეგარა, რომელიც ქალებს ფიზიკურად ასწეულებს დროა მათ მოეხსნას და თემსაბჭომ იზრუნოს წყაროს შიგ სოფელში შემოყვანაზე.

წყლის გარდა მოხვევ ქალები ზურგით საფქვავსაც ეზიდებიან. აქაური მამაკაცისათვის ტომრის აკიდება სირცხვილია და დედაკაციც იძულებულია მძიმე საფქვავიც წისქვილში ზიდოს. ამასთანავე პურიც მკაც ქალების ვალია. მოხვევ მამაკაცი ნამგალს არ დაიჭერს და ყანას ^{და} მომკის, მისთვის ესეც სასირცხვილო საქმეა.

მამაკაცები ეწევიან ხენა-თესვას, თიბვას, მწყემსავენ ცხვარსა და საქონელს, გადიან სამუშაოდ თუ სავაჭროდ, ეზიდებიან ტვირთსა და მგზავრს და სხვა. ამ მძიმე ფიზიკურ შრომასთან მოსახლეობა აქ ცუდად იკვებება, რადგან ხალხს თავისი .სარჩო არ ყოფნის და ის ნორმალურ კვებას მოკლებულია.



სურ. 33. ქალი ზურგზე ტაგანით.

მოხევები ჩვეულებრივად დღეში სამჯერ ჰამენ: საუზმე, სა-
დილი და სამხარი (ვახშამი). იკვებებიან შემდეგი პურეუ-
ლით: ქერი, ქერსვილი, მკადი და იფქლის პური (ხორბალი). ყო-
ველ დღიურად მკადსა და ქერსვილსა ჰამენ, იფქლის პურს კი ქო-
რწილში, ხატობა-დღეობებში და სხვა ბედნიერ დღეებში. აცხოვენ

მახუხიან ე. ი. ხაშიანს და წყლიან პურს (უხაშოს). ქერის პურს უხაშოდ აცხობენ. წინად, როდესაც კერა იყო გამართული, პურს ქვის კეცზე აცხობდნენ, რომელსაც ზედ ნალვერდალს და ნაკვერჩხალს „ლადარს“ აყრიდნენ. პურს აგრეთვე ზედ ქერის „ქაქზე“ ფიქალზე აცხობდნენ. დღეს კი პურს თუნუქის ღუმელში ან პატარა ფურნეში აცხობენ. ეს ფურნე ორ თაროიანია, რომელშიაც ბრტყელი ქაჭია გადებული. ქვეშ მას ცეცხლს შეუთებენ და გახურებულ ქაქზე პურს დააკრავენ და ამგვარად აცხობენ.

ნამცხგრებში მიღებულია: ქადა გულიანი (ყველისა და ერბოსი), ხაბიძგინა, ხაჭოპური, მხოლოვანი (ქინჭრის გულიანია), შამაკრულა (კართოფილის გულიანია), ნაზუქი, ხინკალი ხორცისა და ყველისა, ხამპალა (სიმინდის ფქვილისაგან მოხარშული კვერია), ფუშრუკი და ატრია პურის პატარა ცომეზია, რომლებსაც რძეში ხარშავენ და შემდეგ კოვზით ქაშენ, ფორის ტკბილაი, ჯიმლოვანა, რომელსაც გულად სოკოს უდებენ და ერბოთი აცხობენ.

შეკამანდები: ლობიო, კართოფილი, მაზოხი (სიმინდის ფქვილს ამეავენ, შემდეგ ადუღებენ და დიდ მარხვაში ქაშენ). ნახშიორა (გადამდნარი ღუმის ხოხოზიკია), ხავიწი, ერბოკვერცხი, ფაფა, აჯიჯიქა (ქყინტი ყველი ერბოში მოხარშული), ერბოხალი (დახალული სიმინდის ფქვილი ერბოში მორეული).

რძის ნაწარმოებიდან: ყველი, ერბო, კარაქი, ლალა, დო, ნილრი (ნადუღი). ხორცეულიდან: ცხვარს, თხას, ხარძროხას, ღორს (მხოლოდ გერგეტელები არ ქაშენ), ჯიხვს, თევზს, ქათამს, შურთხს, კაკაბს, მწყერსა და სხვა.

მაგარი სასმელები და თამბაქო მოხევეებს ძლიერ უყვართ, სვამენ ღვინოს, არაყს და ლუდს. ღვინო აქ ძვირია და მოსახლეობა არაყს უფრო ეტანება. უსასმლობა ქირში თუ ლხინში არ შეიძლება, ამიტომ მოხევე იძულებულია თავისი მცირე ქირნახულიდან არაყი გამოხადოს ან ლუდი მოხარშოს. განსაკუთრებით ხატობის წინ სოფლებში გამწკრივებულია ცეცხლზე შემდგარი საარაყე ქვაბები. არაყს ქერისა ან სიმინდისას ხდიან. ამისათვის ქერს ჯერ წყალში ალბობენ და როცა ის თეთრად გალხვება, აშრობენ, დაფქვავენ და მისგან ფორს ამზადებენ. შემდეგ ქერ-მჭადის ცომს მოზელავენ, რაშდენიშე დღე ამეავენ და მერმე გამოაცხობენ. გამომცხვარ ქერ-მჭადს ქვაბში ან დიდ კასრში ჩაფშვნიან, ზედ ფორს მოაყრიან და ერთი კვირის შემდეგ ის მთავდება, შემდეგ ცეცხლზე შედგამენ და ადუღებენ. საარაყე ქვაბის ზარფუშის ცხვირს ზის გუჯაში ათავსებენ და მას წყაროს ცივი წყლით აციებენ. იქვე ჭურჭელია



მიყუდებული, რომელშიაც არყის წვეთები წკრიალით ჩადის. არყის ქვაბს დუღილის დროს „საკაპრე“-თი (სარეველა) ურევნ.

ლხინში თუ ქირში მოხევეებმა ერთმანეთის დახმარება იციან სესხისა თუ შესაწევარის სახით. ამ მხრივ სხვათა შორის საყურადღებოა „ოჩხარი“. შეუძლო მოხევე, რომელსაც სურს გაიჩინოს ცხვარი ან შეაგროვოს პური თუ თივა ის ამ ოჩხარს იხდის.

ამ მიზნით ის არაყს გამოხდის, საკლავს დაკლავს, პურიც და საჭირო სანოვავით მივა იმ სოფელში, სადაც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია. აქ ის მიდის თავის ნაცნობის ან ნათესავის ოჯახში. სთხოვს მას დახმარებას ოჩხარის გამართვაში, რომ ამით მოაგროვოს საქონელი თუ ქირნახული. მასპინძელი კაცებს დაგზავნის სოფელში ოჩხარზე დასაწვევად, ვისაც სურს ოჩხარზე მიდის. აქ იმართება სადილი, სადაც ოჩხარის მონაწილენი აცხადებენ თუ თითოეული მათგანი რამდენს ეწევა. პურობა რომ დამთავრდება ყველანი აიშლებიან და ოჩხარის პატრონი თავის სახლში ბრუნდება. გაივლის ხანი სოფელი მოაგროვებს შესაწევარს (პურია, ცხვარია თუ თივა) და ოჩხარის პატრონს თავის სახლში მიუტანს. ეს ოჩხარი აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგს თავის „მამის მკვლელობაში“. დღეს ეს თემური ჩვეულება მივიწყებულია და იშვიათად სრულდება.

ხევის მოსახლეობა ჯანმრთელია, სიცოცხლის ხანგრძლივობა მათში საშუალოდ 80 წელს აღწევს, მაგრამ სუსტი კვება, არყისა და თამბაქოს გადაჭარბებული მიღება, მძიმე ჯაფა და ანტიჰიგიენური ცხოვრება, მიუხედავად ადგილისა და ჰავის სისხლისა, ხელს უწყობენ მოსახლეობის შეუძლო ნაწილში სხვადასხვა სენის გავრცელებას. ხევში გავრცელებულია თვალის ტკივილი (კონიუქტივი, ბინდის გადაკვრა და სხვა) 20%, ქლექი 20%, კუჭ-ნაწლავით დაავადება 40%, მუცლის ჭია (გლისტი) 80%, ქალთა სნეულება 80% აღწევს. ვენერიული სნეულება აქ იშვიათია.

რაიონში ორი საექიმო პუნქტია, რომელიც ხალხის მკურნალობის საქმეს ეწევა. ერთი ყაზბეგშია მოთავსებული და მეორე კობში. ყაზბეგის ამბულატორიაში ორი ექიმი, ბებია ქალი და კბილის სამკურნალო კაბინეტი. აფთიაქიც ყაზბეგშია მოთავსებული. ყაზბეგში გაიხსნა რამდენიმე საწოლიანი საავადმყოფო. არშის წარმოებასთან გახსნილია 60 საწოლიანი საავადმყოფო, სადაც 26 ექიმი მუშაობს. მაგრამ ამ რაიონისათვის ეს საკმარისი არ არის და მოსახლეობის უმრავლესობას ჯერ კიდევ ექიმებაშები წამლობენ, ისინი შინაური წამლებით, შელოცვებით და სხვადასხვა მანიპულაციებით მკურნალობენ ხალხს. ჩვენ აქ დავასახელებთ ზოგიერთ სნეულებას, მათ წამ-



ლობას და სამკურნალო მცენარეებს: კუჭის მოშლის დროს ავადმყოფს პიტნის ჩაის ასმევენ. ვისაც ჭია ჰყავს მას თაფლში არეულ „ხორო-შანს“ ასმევენ. როცა ადამიანს გული ერევა და კუჭიც ცუდად უმუშავენ (ნაწყენია) ასმევენ „ყაფლანას წამალს“ ეს ბალახი მუდამ მწვანეა (ღვიასა ჰყავს), რომლის თავთავს მოხარშავენ, ავადმყოფს დაალევიანებენ და ის პირიდან ასაქმებს. ფალარათობის დროს შემის ნაცარს აღუღებენ, გასწურავენ და ისე ასმევენ. ტანზე თუ სახეზე მუწუტები აყრია მას ასე სწამლობენ: ნიგოზს მოსწვავენ, დანაყვენ და კარაქში გახსნიან. შემდეგ მიუმატებენ გოგირდს და ქვაბის მურში აურევენ და მუწუტებზე წაუსვამენ. ყურის ტკივილისას ნელთბილი ერბოს კოვზით ყურში ჩაასხამენ, თუ ამით ტკივილი არ გაყუჩდა, მაშინ ყურში ლურჯი ქაღალდის მილს დაუდებენ და ცეცხლს წაუკიდებენ ისე რომ ბოლი ყურში ჩაუვიდეს. ვისაც თვალში სისხლი ჩაუდგება მას თვალზე ლურჯ მჩვარს დაათარებენ, მჩვარზე შაბიანი ცილაა წასმული. წყლით ნაწყენ ადამიანს უხმოზე ასმევენ შაბისა და ნიორის ნახარშს. გაციებულს კი ასმევენ ერთად მორეულ კვერცხის გულს, მარილს და არაყს. სისხლის დინების დროს ირმის რქას ფხეკენ პაპიროსად აკეთებენ და მოსწევენ. დაჭრილ-დაკოდილს „სანახავს“ უდებენ ე. ი. აიღებენ გაპენტილ კანაფს, თაფლში ამოავლებენ და იარაში ჩადებენ. ამასთანავე შიგ დაატანენ ცხენის ძუას, რომელსაც ყოველ დღე გასწი-გამოსწევენ, რომ ამით ჩირქმა იდინოს. შემდეგ ძუას ცალობით აცლიან და როცა კრილობა შეხორცებას დაიწყებს უკანასკნელ ძუასაც მოაშორებენ.

სიმსივნის დროს ავადმყოფს „ჩხამა“-ს ადებენ. კრეფენ ჩხამას ფოთლებს და მკავე „ხურსა“-ში (შრატში) ჩაყრიან, იგი შრატში ღებება და შემდეგ მას სიმსივნეზე ადებენ.

სამკურა და გველის ენაფოთოლა კრილობის წამალია. ნაყავენ და კრილობაზე ადებენ. ცხრაძარღვას სიმსივნეზე ადებენ, რათა სიმსივნეს პირი უპოვოს და ჩირქი ამორწყოს. მკერველაც დაჭრილის წამალია, რომელიც მას ახორცებს. მედგარი ქარების წამალია, ამ ბალახს ნაყავენ და ტკივილის ადგილზე იდებენ, ეს წამალი დასივებულ ადგილს გახეთქავს და წყალს გამოადენს. ბაღბას ხმარობენ მუცლის მოსაწყვეტად, ბაღბას ფესვებს საშვილოსნოში იდებენ. აბზინდას თეთრ ყვავილსაც მუცლის მოსაწყვეტად ხმარობენ, აბზინდას ხარშავენ და სვამენ.

თითაი (ბალახია) ადამიანის ხელის ფორმისაა. მისი ფესვის ნაფხეკს ქალები ჭამენ და შვილიც ხუთი წელიწადი არ გაუჩნდებაო. „ხარისძირა“-ს ბალახს ფესვებს აცლიან, ფესვები ძაფივითაა

წვრილი, სიმსივნით დაავადებულს კანქვეშ სადგის უჩხვლეტენ და შიგ ამ ხარძირას ფესვს გაუყრიან (ხარისძირა გამიგდეთ). ეს ძლიერ ტკივილს იწვევს, მაგრამ ორი დღის შემდეგ იგი ჩირქს დენას დააწყებინებს და ავადმყოფი რჩება. „დახავერული“ — როცა იარა გაციებისა გამო გასივდება, მაშინ ქატოსა, ლორის ქონსა და ხურსას ერთმანეთში აურევენ, გაათბობენ და იარაზე დაადებენ. კოჭა — ამ მცენარეს ახმობენ, ხელით გამოფშენევენ და მას ოთხი დღე მაგარ არაყში დებენ, შემდეგ კუჭის ტკივილის დროს სვამენ. იასა და ჩაღანდრ (წყალში იზრდება) დანაყავენ, აურევენ შაქარსა და ლალაში (ნაღებში) შემდეგ მას ქალალზე წაუსვამენ და ვისაც ძირ-ძიტა მუწუკი ამოუა მაზე დაადებენ და ამგვარად არჩენენ.


5. ჟოფის დამახასიათებელი ჩეალები.

თანამედროვე ხევის მოსახლეობა და მისი ნივთიერი კულტურა ქალაქის იერის მატარებელია. სამხედრო გზაზე გამწკრივებულ მოხვევეთა სოფლებში თქვენ ხედავთ ქალაქის ტიპისა და ნაგებობის შენობებს. მხოლოდ აქაიქ მოჩანან ძველი მამაპაპური ციხე-კოშკები, რომლებიც ამაყად გადასცქერიან თერგის ვიწრო ხეობას. მათ შორის სტრატეგიული და ისტორიული მნიშვნელობით საყურადღებოა დღემდის დაცული დარიალის, არშის და სნოს ციხე.

დარიალის ან თამარის ციხე მოთავსებულია დარიალის ვიწრო და ბუშბერაზ ხეობაში. ციხე აშენებულია მაღალ და თავკვეთილ კონუსისებურ ბუნებრივ კედელზე, რომლის სიმაღლე თერგიდან დაახლოებით 60 მეტრს აღწევს. კლდის მოვაკებული ადგილის სივრცე ერთ ჰექტარამდისაა. ციხეს შემორტყმული აქვს ქვეთკირის კედელი, რომელშიაც სათოფურები და შუკუნებია გამოჭრილი. დაცულია ციხის მხოლოდ დასავლეთი კოშკი.

აღმოსავლეთ-სამხრეთ და ჩრდილოეთით ციხეს თერგი უვლის, დასავლეთით მას დარიალის კლდის მაღალი კედელი აკრავს. ციხეს ერთადერთი და ისიც მეტად ძნელი მისაღალი გზა ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ აზვირთებულ თერგზე გასვლა და შემდეგ ციხის მაღალი გალავნის გადალახვა. გალავანი სამი საყარაულო კოშკით არის გამაგრებული. ამ გალავნის შიგნით მეორე გალავანი იწყება. გალავანი ციხემდის ადის და აქ დაცულია ციხის ერთი კოშკი, რომელიც დარიალის ხეობას გასცქერის. ციხის გალავანში სადგომების ნანგრევებია. ციხის სამხრეთის კედელში თალიანი გასასვლელია გამოჭრილი, საიდანაც გზა პირდაპირ

თერგში ჩადის, ეს ვიწრო ჩასასვლელი წინათ გვირავით ყოფილა ამოშენებული, საიდანაც ციხეში წყალი ამოქონდათ. ამ გვირავის ნანგრევები თითქმის თერგის ნაპირამდის აქაიქ დღემდის დაცულა. ციხე თლილი ქვითაა ნაგები და დულაბით შეკრული. მისი კედლის



სურ. 34. დარილის (თამარის) ციხე.

სისქე 1—2 მეტრამდის აღწევს. ციხის საძირკველი ნაგებია მტკიცეთ და თავისი არქიტექტურული ფორმითა და ნაგებობის ტექნიკით ციხე უეჭველად ძველია და უნდა მიეკუთვნოს ბერძნულ-რომაულ ეპოქას.

ციხის დასავლეთით ერთ მაღალ მწვერვალზე საყარაულო კოშკია აგებული. აქედან მოჩანს დარილის კარი და მისი მთელი მიდამო. ამავე მხარეზე მიწისქვეშ ჩნდება თიხის მიღები, საიდანაც ციხი-

სათვის წყარო ყოფილა გამოყვანილი. ჩრდილოეთით დარიალის ეს ციხე გასცქერის ბახტრის კოშკს, რომელიც ზედ სამხედრო გზაზეა ბახტრის კლდეზე აშენებული და წინათ ის წარმოადგენდა დარიალის ციხის საფარ კოშკს. დღეს ეს კოშკი ნახევრად დანგრეულია, იგი სამლოცველოდ არის გამოყენებული და მას ბახტრის



სურ. 35. დარიალის ციხის კედელი.

წმ. გიორგის უწოდებენ. აღმოსავლეთით დარიალის ციხე პირდაპირ გასცქერის ხდეს (კისტინკის) ხეობასა და სამხედრო გზის ორივე მიმართულებას. ხდეს გადაღმა ცხოვრობენ ქისტები, რომლებიც ხევს ხშირად არბევდნენ და მათგან თავდაცვის მიზნით ეს ციხე ამ ხეობასაც დარაჯობდა.

ს. მაკალათია, ხევი

ამ ხდის შესახებ დარიალის ციხესთან დაკავშირებით ასეთი თქმულება არსებობს:

ფარნაოზ მეფის დროს თათრის ჯარის მეთაურს ხოჯას ჩრდილოეთისაკენ გამოულაშქრია თურმე და დარიალის სიმაგრე დაუჭერია. ხოჯა ურჯულო ყოფილა, მაგრამ მოხევეების სალოცავებს ის პატივსა სცემდაო, განსაკუთრებით სამების წმ. ნინოს ჯვარსო.

ხოჯას ჩარგას (ჩერქეზ) ბატონის ქალი შეურთავს და დარიალში მოუყვანია. ხოჯა ჩარგასში თურმე ხნავდა, პურს ანანურში ფქვავდა და ცხენის ჯოგს კი თრიალეთში აძოვებდა. ხოჯა ისე გაძლიერებულა, რომ მას მთელ საქართველოს დაპყრობა განუზრახავს. მაგრამ, როდესაც ვახტანგ გორგასლანი 16 წლისა გამხდარა მას გამოულაშქრია ამ ხოჯას წინააღმდეგ და სტეფანწმინდაში დაბანაკებულა. მეფეს ბრძანება გაუცია, რომ ხევის თითოეული სოფლიდან ორორი კაცი მოეყვანათ. ხალხი შეყრილა. მეფეს ხევის უფროსებისათვის გაუზიარებია თავის განზრახვა და დახმარება უთხოვია. მაშინ წამომდგარა ერთი მოხუცი თადოშვილი და მეფისათვის მოუხსენებია: მეფეო, პირდაპირი შეტევით ძლიერ ხოჯას ვერ დაამარცხებ და ვერც დარიალის ციხეს აიღებ, თუ არა ხერხითაო. ხოჯას სწამს და პატივსა სცემს გერგეტელების წმ. სამების ნინოს ჯვარს. ხოჯას დღესასწაული მოახლოვებულია, მაშინ მობრძანდით, გერგეტელებს უბრძანე ხატების გამოსვენება, რომ ხოჯას დღეობა მიულოცონ და ჩვენც ყველანი წამოგვეყვებით და გზას გიჩვენებთო.

მეფეც ასე მოქცეულა. ხოჯას დღეობაზე გერგეტელები თავიანთი ხატ-ჯვრებით და სტეფანწმინდიდან კი მეფის ჯარი დარიალისაკენ დაძრულა. მეფის ჯარი ღამე მისულა და ციხის მახლობლად დაბანაკებულა. სტეფანწმინდელებს ჯარის ერთი ნაწილი ციხის უკანა გალავანში შეუპარებიათ, ხატები კი ციხის მოედანზე დაუყენებიათ იმ განზრახვით, რომ გათენებამდის არ ახმაურებულყვენ.

გათენებისას გერგეტელებმა ჯვრები და დროშები თურმე ააქლარუნეს და დაიმღერეს, ციხის კარის ყარაულებმა ხოჯას მოახსენეს, რომ დღეობის მოსალოცავად გერგეტელები გეახლენო. ხოჯა თავისი ამალით მაშინვე გამოსულა და ხატებისათვის თაყვანი უცია. ამით უსარგებლია ვახტანგის ჩასაფრებულ ჯარს, ციხეში შეპარულა და ყველა სიმაგრეები დაუჭერია.

ხოჯას მეხატენი დაუსაჩუქრებია, გერგეტელებს მოლოცვისათვის მადლობა გადაუხდა თურმე და ის მხიარული ციხისაკენ გაბრუნებულა, მაგრამ ციხიდან ვახტანგის ჯარს ისრები დაუშენია და ხოჯა და მისი ჯარი ამოუხოციათ. მეფემ ხელთ იგდო ხოჯას დიდი სიმდიდრე და

დარიალის ციხეო. გამარჯვებულ მეფეს მადლობა გადაუხდია გერგეტელებისა და სტეფანწმინდელებისათვის. თადოშვილისათვის მეფეს ყაი და ყანანაზი (ადგილია კარკუჩაში) უჩუქებია და ამასთანავე უთქვამს: „ქალი უთხოვარი და სიფრო (სუფრა) უწევარი ჰქონდესო“. ე. ი. საცოლეზე უარის თქმა და სუფრაზე თქვენი დაუწვევლობა არავის არ შეეძლოს, ყველგან ისე მიგიღონ, როგორც მე ვახტანგ გორგასლანიო.

შემდეგ მეფეს მოხვევებისათვის ჩაუბარებია დარიალის ციხე და ჯარი. გადაუცია აგრეთვე ორი დროშა: ერთი დროშა მოხვევებს ლარსთან აღუმართავთ, მეორე ხდეში, გვირგალის წვერზე. ამასთანავე ვახტანგ მეფეს მოხვევებისათვის უთქვამს ექვს-ექვსმა კაცმა დარიალში იყარაულეთ და ხდე თქვენთვის მიჩუქებიაო.

ეს ხდე იმდროიდან სტეფანწმინდელებს თურმე ეკუთნოდათ თამარ მეფემდის. როდესაც თამარი ხევში შემოსულა, სტეფანწმინდელები დაუბარებია და უთქვამს: „რომ თქვენ ვახტანგ მეფიდან ჩვენი ერთგულები ხართ და როგორც გულადი მეომრები თქვენგან სამი კაცი ჩემს მუდმივ სამსახურში უნდა იყოსო. ამასთანავე განთავისუფლებთ ხდეს ყარაულობიდან და ამ საქმეს ხეცსურებს ვაკისრებო“. ამ დროიდან ხდეში ხეცსურები გადმოსახლებულან და ეს ადგილი მათ ჭერიათ რუსების შემოსვლამდის.

რუსებს ხდეზე და ლარსზე საქართველოს ბაირალები მოუხსნიათ, ხეცსურებისათვის მტრობა დაუწყიათ და შეშინებული ხეცსურები აქიდან აყრილან და ისევ ხეცსურეთში გადასულან. რუსებს ხდეს ხეობა ყაზბეგისათვის გადაუციათ. მიხეილ ყაზბეგს ეს მამული ისევ სტეფანწმინდელებისათვის დაუთმია. მაგრამ შემდეგ მიხეილს მამული დანანებია და ისევ ძალმომრეობით უკანვე დაუბრუნებია. მამულების დაყორღნის დროს ამ ხდეზე გიორგი ყაზბეგს ქისტები შედავებიან, მაგრამ საქმე ყაზბეგს მოუგია. რევოლუციამდის ხდეს მამულით ყაზბეგები სარგებლობენ. შემდეგ ეს მამული ისევ სტეფანწმინდელებს გადაეცა, მაგრამ მოხვევებს ამ მამულზე ახლა ქისტები წაედავენ. მთავრობის კომისიამ ეს სადაო საქმე განიხილა, მამული მოხვევებს არგუნა, მაგრამ ქისტები დღესაც ძალობენ და ხდეს მამულით ფაქტობრივად ისინი სარგებლობენ. აი ასეთია ხდის ხეობის ისტორია და ხდის გამო დავა ვახტანგ გორგასლანიდან დღემდის არ შეწყვეტილა.

თავისი ნაგებობითა და ისტორიული წარსულით საყურადღებოა აგრეთვე არ შის ციხე, რომელიც სამხედრო გზაზეა მოთავსებული და პირდაპირ სნოს ხეობას გასცქერის. არ შის ციხე აგებულია მაღალ

და კუნძულისებური ანდეზიტის კლდეზე. ეს მიუღვამელი ციხე სამხედრო გზიდან თითქოს უჩინარია და ის პატარა გორაკად მოჩანს. ციხეს აქვს ერთი მისაველი გზა სოფ. არშიდან ჩხატის წყლის ზევით, საიდანაც ციხისაკენ აღის ბნელი ასასვლელი ბილიკი. არშის ციხეს აქვს მაგარ კლდეში გამოჭრილი ერთი შესასვლელი კარი. კარი მუხისაა და რკინით შექედილი. მისი ზომა $1,50 \times 0,82$ მეტრია. ციხის კართან მდებარე ლოდზე ჯვარია ამოკვეთილი, კლდეზე კი წითელი ჯვრებია გამოსახული. ხალხური თქმულებით ლეკებს ციხის დარაჯი-



სურ. 36. არშის ციხე.

სათვის ამ ქვაზე ხმლის ჯვარედინი დაკვრით თავი მოუკვეთიათ და მისი სისხლით კლდეზე ჯვრები გამოუსახავთ.

ციხის ამ კარიდან ვიწრო კიბის რამდენიმე საფეხურს რომ გასცდებით, მეორე კარს მიაღვებით, ეს უკანასკნელი დღეს უკვე მოხსნილია. შემდეგ ქვის კიბეებით აღიხართ ციხის მოედანზე, რომელიც წარმოადგენს გაშლილ მინდორს, მოცულობით 6 ჰექტარამდის.

ციხის მისაველ მხარეზე ბუნებრივ კლდეზე დაშენებულია სათოფურებიანი კედელი, რომლის ნაწილი ჩამონგრეულა, ციხის ეზოში მიმოფანტულია უზარმაზარი ლოდები და შენობათა ნანგრევები.

ციხის ეზოდან გვირაბია გაყვანილი. აქიდან მოჩანს მთელი სამხედრო გზა, სნოს ხეობა, არშის წყალვარდნილი და მისი არემარე. ციხის შუა გორაკზე ძველი ეკლესიის ნანგრევია და იქვე ხატის ნიში, რომელსაც არშის წმ. გიორგის უწოდებენ და სადაც არშელები ახალწელიწადსა და აღდგომის ხატობას იხდიან. არშის ციხის მახლობლად ჩხატის წყლის გაღმა ანდეზიტის კლდეში დიდი გვირაბია „დევთ-ქობად“ წოდებული. გვირაბში ხუთას სულამდის ცხვარი თავსდება.



სურ. 37. არშის ციხის კარი.

არშის ციხე ხევში ერთ მთავარ სიმაგრედ ითვლებოდა; ამ ციხეში მტრის შემოსევის დროს თემი იხიზნებოდა და თავდაცვისათვის იბრძოდა. არშის ციხის გმირულ ეპიზოდებსა და თქმულებებს ჩვენამდის მოუღწევია.

ვახუშტის აღწერით: „არს ციხე არშისა თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნილი, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე და შეუალი კაცთა“. (საქართველ. გეოგრაფია გვ. 97). არშის ციხეში გიორგი სააკაძემ დაამწყვდია თავისი მოსისხლე მტერი ანდუ-

ყაფარ ამილახვარი მისის ცოლით.¹ ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელში“, აღწერილია არშის ციხე, სადაც გირგოლამ ნუნუს ნამუსი ახადა.

არშის ციხეში ინახებოდა ძველებური რკინის კლიტე, რომლითაც ციხის კარები თურმე იკეტებოდა და ერთი ხუცური წარწერიანი რკინის ჯოხი (კვერთხი).² ხალხური გადმოცემით ეს კლიტე არშელ ღურმა ბაზალს განჯიდან წამოუღია.

როდესაც განჯა ქართველებმა თურნე დაიპყრეს ამ ბრძოლაში მოხევე ღურმას დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა გამოუჩენია და ქართველ ჯარსაც გაუმარჯვია.³ გამარჯვების ნიშნად ღურმას განჯის ციხისათვის კლიტე აუგლეჯია და თან წამოუღია. ამაზეა ეს ლექსიც გამოთქმული:

„არშას ბაზალი ღურმაი,
ვეფხი კლანჭებზედ დგებო,
განჯას შეგლიჯა კლიტენი,
ჩემს არშას მოუხდებო“.

ეს რკინის კვეთრხი წინათ დაცული ყოფილა არშის წმ. გიორგის ეკლესიაში, ის ოთხკუთხია და მცენარის ორნამენტიანი არშიით არის შემკული. კვეთრხის სიგრძე უდრის 97,5 სანტიმეტრს. მას ერთ მხარეზე ამოჭრილი აქვს ვერცხლის ზარნიშიანი ხუცური წარწერა. წარწერა დაზიანებულია და იკითხება ასე:

„სხლთა ღთა შევქმნ კ[რ]ხლი მე თე მმსხლსმან
პტსნსა ხტსათვის“.

ქარაგმის გახსნით: „სახელითა ღმრთისათა შევქმენ კუ-
ერთხილი მე თეოდორე მამასახლისმან პატიოსნისა
ხატისათვის“.

ხალხური გადმოცემით არშის ციხეს განსაკუთრებით ლეკები მტრობდნ. მათ აქ ეგულებოდათ თურმე გადამალული განძი, მაგრამ ამ ძლიერი ციხის გატეხა ლეკებს ვერ მოუხერხებიათ. არშის ციხეზე ასეთი ლექსია გამოთქმული:

¹ ან. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისი 1912 წ. გვ. 311.

² დღეს ეს კლიტე და რკინის კვეთრხი დაცულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ მუზეუმში. № 3877.

³ ა. კობაიძე, არშის ციხე, გაზ. „ივერია“ 1888 წ. № 209.

„ყმაწვილო, არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეს ჩამტანი აბჯართა,
ამომტანელი სხვა უნდა“.

ერთხელ ხეცს ლეკი შესევია და მოხევეები არშის ციხეში შეხიზნულან. ლეკის ლაშქარს ციხისათვის აღყა შემოურტყამს, მაგრამ მთელი ზაფხულის განმავლობაში ციხე ვერ გაუტეხია. მაშინ ერთ ბერიკაცს ლეკებისათვის ასეთი რჩევა მიუცია: უნაგირი უნაგირზე დააწყეთ და ციხის კედელზე ისე გადადითო. ლეკის ბელადს ეს აზრი მოწონებია, ჩქარა უნაგირის კოშკი აუგიათ და გაფენებისას ლეკები ციხის კედელზე ასულან, მაგრამ მეციხოვნეებს ისინი დაუხოციათ. მაშინ ლეკის ლაშქარი ციხის მახლობლად ერთ მაღალ გორაკზე დაბანაკებულა და აქიდან მეციხოვნეებს განუწყვეტლივ ებრძოდა თურმე.

ციხის ხანგრძლივი გარემოცვით მოხევეები შეწუხებულან. მაშინ ციხეში მყოფ ერთ მოხუცს უთქვამს: მე მაინც ბებერი ვარ და ხალხის გულისათვის სახსოვარი საქმე უნდა ჩავიდინო. თუ ლეკებმა მომკლეს კარგი ქელები გადამიხადეთ და თუ ცოცხალი გადავრჩი კარგად უნდა მაცხოვროთო. მე ისეთ ხერხს ვიხმარ, რომ ლეკებმა ტყვიაწამალი სულ ჩემზე დახარჯონო. ამ მიზნით ბებერს იარაღი აუსხამს, თავზე მამალი დაუსვამს და ციხის მოედანზე გამოსულა. აქ მას თამაშობა დაუწყია, ამაზე ლეკის ჯარი გაბრაზებულა და მისთვის სროლა აუტეხია. მთელი დღის სროლაში ბებრისათვის მამალი მოუკლავთ, თვითონ კი უვნებელი დარჩენილა. მეორე დღესაც ბებერს იგივე ხერხი უხმარია, მაგრამ მისთვის ლეკებს ვერა დაუკლიათ რა. ლეკებს კი ამით ტყვია-წამალის მარაგი შემოლევიათ და ბოლოს ხელცარიელი გაქცეულან.

როდესაც ლეკები არშის ციხეს პირდაპირი შეტევით ვერას აკლებდენ, მაშინ ისინი მოსყიდვით ცდილობდენ თურმე ციხის გატეხას და ტყვისა და ნადავლის ხელში ჩაგდებას. მაგრამ ასეთ მოლაღატეებს თემი სასტიკად უსწორდებოდა.

ერთ გორისციხელ აღულას ლეკებისათვის არშის ციხის გზა უსწავლებია. ლეკებს არშისათვის ვერა დაუკლიათ რა და უკანვე გაბრუნებულან. აღულას ეს მოლაღატეობა თემმა როდესაც გაიგო სოფლიდან ორორი კაცი სამების საბჭოში შეკრებილა და აქ საბჭომ გადაწყვიტა თურმე აღულასი და მისი ჩამომავლობის „გადაშორება“ ე. ი. ვინც იმათ რითმე „გაიკვლევდა“ ან საქონელში გაირევდა, ან წისქვილში დააფქვევინებდა, ან თუ ცეცხლი გაუქ-



რებოდა ცეცხლს მიაწოდებდა და აგრეთვე ვინც მათ გვარს აუძრა-
ხავდა ისიც ისე უნდა გარისხულიყო, როგორც ალუღას ჩამომავლობა.
ბჭეებმა ჩასვეს თურმე „სარისხეულო სამანი“ დაკლეს საკლა-
ვი, რომლის სისხლი სამანზე დაღვარეს და ხალხი ასე დაიწყველა
თურმე:

„რისხვა ჰქონდეს ამ სამანისა ვინც ალუღას შთამომავლობას
აუძრაბოს და მათი სისხლიც ასე დაიღვაროს“. ეს სარისხეულო
სამანი ყველა ხატებში ჩაუსვამთ.

გასულა ხანი და მოკვეთილ ალუღას შთამომავალნი მძიმე მდგო-
მარეობით მეტად შეწუხებულან და მათ ოსების შუაგაცობით თემი-
სათვის შერიგება უთხოვნიათ. ბოლოს თემი დათანხმებულა და ნიშ-
ნად შერიგებისა ალუღას შთამომავალთ სადაც „სარისხეულო“ სამანი
ყოფილა ჩასმული ყველგან თითო საკლავი დაუკლავთ და შემდეგ სა-
მნებიც ამოუღიათ.

მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად არშის ციხე მტერს არა ერთხელ
გამოუყენებია მოხვევების წინააღმდეგ. ხალხური თქმულებით ერთხელ
საქართველოდან ხევში შემოპარულა ვილაც ბეგი თავისი ამალით. მას
მოწონებია არშის ციხე და შიგ ჩასახლებულა.

ბეგს უფიქრია ამ ციხეში გავმაგრდები, ხალხს შევიჩვევ და მე-
ფედ ვიქცევო. ბოლოს ეს ბეგი ისე გაძლიერებულა და გაკადნიერე-
ბულა, რომ თავის ქვეშევრდომ მოხვევებს ცოლებს ართმევდა თურმე
და აუპატიურებდა. ამასთანავე ხალხს ის სხვადასხვა ბეგარა-გადა-
სახადებით აწუხებდა და საუკეთესო სასმელ-საჭმელიც მოხვევებს ბე-
გისათვის უნდა მიერთმიათ. მაგრამ ბეგი ამას არ ჯერდებოდა და
ვინც ხევში ქალს გაათხოვებდა ახალ—დანისმული პატარძალი ჯერ
ბეგთან უნდა დაეწვინათ და შემდეგ ქმრისათვის მიეცათ. ამ ბრძანე-
ბის დამრღვევ საქმროს ბეგი თავს მოჭრიდა და მათ მშობლებს კი
სახლ-კარს უნგრევდაო. ბეგის ასეთი თავხედობით ხალხი ღელავდა,
მაგრამ ბეგი არშის მიუდგომელ ციხეში იყო გამაგრებული და მას-
თან შებრძოლებას მოხვევები ვერ ბედავდნენ.

ამ დროს ერთ არშელს ქალი გაუთხოვებია. სასიძო ამბობდა
თურმე: რა ვქნა ჩემს საცოლეს პირველად ციხის ბატონი ბეგი წაიყ-
ვანს და რაღა ჩემი ცოლი იქნებაო. სასიძომ თავის სიმამრს ბეგთან
შუამდგომლობა თხოვა, ქრთამიც აიღოს რაც ნებაეს ოღონდ საცო-
ლეს კი ნუ გამიწილებსო.

სიმამრმა სიძის თხოვნა მიიღო თურმე და სიძე-სიმამრი ბეგთან
წასულან. ძღვნად წაუღიათ ოცი თუმანი ფული, კარგი თოფი და
ერთი ხარიც წაუყვანიათ. ორივენი წარდგენ თურმე ბეგის წინაშე

და სიბამრმა მოახსენა: „ესენი შენი საჩუქარია და გთხოვთ საქორწინოდ გამზადებულ ქალს ნუ გაგვიწილებ და ეს ნუგეში გვიყავითო“.

ბეგს საჩუქარი უცოტავია და უარი უთქვამს. მაშინ სასიძოს მისთვის თავისი უკანასკნელი ხმალიც შეუთავაზებია და საცოლის უმანკოების დათმობა უთხოვნი. ბეგს ხმალი გაუსინჯავს და უთქვამს: ხმალზე კი საცოლე დაგეთმობოდა მოკლე რომ არ იყოსო. და ხმალიც გადაუგდია. სასიძოს ხმალი აულია და უპასუხნია: „ეს ხარი, თოფი, ოცი თუმანი და ეს ჩემი ხმალი საჩუქრად მოგართვი, რომ შენს ღმერთსაც აპატივე და მეც საცოლეს ნუ შემირცხვენო“.

ბეგს ამაზე შეუყვირნია: არ გესმის, რომ ხმალი მოკლეაო.

გულმოსულ სასიძოს უთქვამს: „ხმალს სიმოკლე რას მოუშლის, ფეხი წარსდგი წაგძეღლებისო და კაცს მანამდის ეშინიან, მინამ საქმე გაგრძელებისო“.




სურ. 38. სნო.

სიტყვა თურმე ეს, ბეგს ხმალი დაჰკრა და მიწაზე გააგორა. ბეგის სიკვდილმა თავზარი დასცა თურმე მის ამაღას და არშის ციხიდან თათრები გაქცეულან.

არშის ციხის პირდაპირ სნოს ხეობაში დაცულია სნოს ციხე. ეს ლუღუშაურების ციხეა, რომელშიაც შიოლა ბრძანებლობდა. სნოს

ციხე აგებულია მდინარე სნოს ნაპირას ერთ მაღალ ბუნებრივ კლდეზე. ციხე ქვიტკირით არის ნაგები და თავისი ფორმით ის მთიულური ტიპისაა. ციხის კოშკს მაღალი გალავანი არტყია, ამ გალავანს ერთი შესავალი კარი აქვს, ზომით $1,00 \times 0,70$ მეტ. ციხის გალავანში დატანებულია სათოფურები და სარკმლები. ციხის კოშკი მკვიდრი ნა-



სურ. 39. სნოს ციხე.

გებია. მისი სიგრძე-სიგანე 5×5 მეტრია, სიმაღლე კი 20 მეტრამდის აღწევს. კოშკი ოთხ სართულიანია, რომლის წინა მხარეზე ერთი პატარა კარია დატანებული, აქვს სარკმლები და სათოფურები.

შიოლა ლუდუშაური არაგვის ერისთავების ერთგული მსახური ყოფილა. მას ერისთავისათვის ციხის აშენება უთხოვია სნოს წყლის

ორივე ნაპირზე. ერისთავის განკარგულებით შიოლასთვის ციხის შენება დაუწყიათ, მაგრამ ერისთავს მისთვის მხოლოდ სნოს ერთი ციხე აუგია, რადგანაც მას შეშინებია, ვაი თუ ორი ციხის აგებით შიოლა გაძლიერდეს და ერისთავად იქცესო. ამ ხეობის ერთ მთავარ სიმაგრედ ითვლებოდა სნოს ციხე, რომელშიც მტრების შემოსევის დროს სნოელები იხიზნებოდნენ. არშისა და სნოს ციხეს ლეკიანობის დროს ერთ-მანეთისათვის დახმარება არა ერთხელ აღმოუჩენიათ.

ხალხური გადმოცემით ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს მოხვედები არშისა და სნოს ციხეში გამაგრებულან. არშის ციხე ძნელი ასაღები თურმე იყო, ამიტომ ლეკები თავდაპირველად სნოს ციხეს შესევნიან. ერთი კვირის განმავლობაში ლეკებსა და სნოელებს შორის ომი არ შეწყვეტილა, ამ ომის შესახებ არის ნათქვამი:

„სნოს ციხემ მაშინ შასტირა,
თვალეზი დაისველაო,
ნეტავი ჩემთა მეთოფეთ
ყელან ვინ გაუსველაო,
ან ცოტა პური მიჭმივა,
ან ძილათ მამისვენაო,
თოფებ ვინ დაუგრილაო,
წამალი დამისველაო.

ამ გახურებულ ბრძოლაში სნოს ციხის მეთოფეებს წამალი შემოლევიათ და სროლაც შეუწყვეტიათ. ლეკები კი ციხეს თანდათან უახლოვდებოდნენ თურმე. ეს ამბავი არშის მეციხოვნეებმა გაიგეს და თოფის წამლის მიწოდება განიზრახეს. ამ დროს ამოვან ავსა-ჯანს უთქვამს: რა წყალობის გალება შეუძლია ჩემზე თემს, რომ მე სნოს ციხეს წამალი მივაშველოო. ამაზე თემს უპასუხნია: „რომ ჩვენ ვალად დავიდებთ რათა შენთვის და შენი შთამომავლობისათვის ჩვენს თემში ქალი უთხოვარი იყოს და სუფრა უწყევარიო“ ე. ი. მის შთამომავლობას ქალი საცოლედ არსად არ დაეჭიროს და სუფრაზე ყველგან უკითხვად მივიდესო.

ამოვანი ამაზე დათანხმებულა, იარაღი აუსხამს და ერთი გუდა წამალი ზურგზე აუკიდია. ამოვანს ლეკის ჯარის ბანაკში გაუვლია, მაგრამ ის ლეკებს ვერ უცვნიათ, რადგანაც ამოვანს ლეკური ტანისამოსი სცმია. ამოვანი სნოს ციხეში შესულა და მეომრებისათვის თოფისწამალი გადაუცია, შემდეგ ისევ არშის ციხეში მშვიდობით დაბრუნებულა. სნოს ციხეს ჩქარა ომი განუახლებია და დამარცხებული ლეკებიც გაქცეულან.

ამ სამი მთავარი და ისტორიული მნიშვნელობის ციხეებთან ხევში საყურადღებოა აგრეთვე საგვარეულო კოშკებიც, რომლებშიც მტრის შემოსევის დროს გვარები იხიზნებოდნენ. ამ საგვარეულო კოშკებში თავიანთი კონსტრუქციითა და ნაგებობის ტექნიკით აღსანიშნავია სოფ. ფანშეთისა და სიონის კოშკი.



სურ. 40. სნოს ციხის გალავანი.

სოფ. ფანშეთში სამი გვარი სახლობს: საბაური, სამქანაშვილი და ჩონიაშვილი. თვითეულ მათგანს აქვს თავისი საგვარეულო კოშკი, რომელიც დღემდის დაცულა. მათში საყურადღებოა სამქანაშვილების კოშკი.

ეს კოშკი ოთხ სართულიანია და მშრალად არის ნაგები. კოშკი კვადრატული ფორმისაა 4.85×4.85 მეტ. მისი სიმაღლე 20 მეტრამდის აღწევს. კოშკი ლამაზია და მაღალ კლდეზეა აშენებული. მას ერთი პატარა კარი აქვს, ზომით 77×63 სანტ. ამ კარში ადამიანი ძლივს გაძვრება.

წინათ ციხის დასავლეთის მხარეზე, სადაც დღეს შესასვლელი კარია სამქანაშვილების საგვარეულო სახლი ყოფილა მიშენებული და როდესაც მტერი სახლს მოადგებოდა ოჯახი ამ კარებით კოშკში იხიზნებოდა. დღეს ამ ნასახლარის კვალიც არ დარჩენილა და კოშ-



სურ. 41. სოფ. ფანშეთის ციხე

კის კლდეზე ამოკრილია, ვიწრო საფეხურები, რომლითაც დიდის გაჭირვებით შესაძლებელია ამ კოშკში შეძრომა.

კოშკის პირველ და მეორე სართულში ქვრს კიბეა გამართული. მესამე სართული კვადრატულ ოთახს წარმოადგენს, მოცულობით 2.50×2.50 მეტრ., კედლებში კი სარკმლებია დატანებული. ერთ სარკმელში ხატის დროშა და რუსული ფაბრიკული ხატებია მოთავსებული.

კოშკის მეოთხე სართული საომარი დანიშნულებისაა. კოშკში ხის კიბით აღიან. კოშკის ამ ნაწილს ეწოდება გვირგვინი ან გუმბათი, სადაც სათოფურები და შუკუნებია გამოჭრილი. ეს სართული ღიაა და შიგ მხოლოდ ქვები ჰყრია.

გადმოცემით ეს კოშკი სამქანაშვილების წინაპარს სამქანას აუშენებია. სამქანა კავთისხევიდან გადმოსულა ხევში და ფანშეთში დასახლებულა და აქ თავისი ციხის აშენებას შესდგომია.

ციხის თითო კედლის აგებისათვის ოსტატისათვის მას სამოცი ხარი უძღვია. ოსტატს და მუშებს ბატონის ხორციტ ჰკვებაცდა თურმე. როცა ციხე აუგიათ და გუმბათის თალის გადმოსაცვანი ქვის წვეტები დაუტანებიათ სამქანა მძიმე ავადმყოფი გამხდარა, მას სიკვდილის წინ უთქვამს: „სამი რამ მომიცდა ამ ქვეყანადო. ერთი ის, რომ ციხე ავაგე და თავი ვერ მოვაგეო, არაგვზე (თერგზე) წისქვილი ავაგე და წყალმა მომტაცაო, ქვობით გველები უბით მოვრეკე ჩემის დამრჩოს ჭირითაო“. (გველებად აქ ჩონიაშვილები იგულისხმება).

ხალხური თქმულებით სამქანას და გერგეტში ყოფილა ჩონიაშვილზე გათხოვილი, იგი დაქვრივებულია და სამქანას ის შვილებით ფანშეთში წამოუყვანია. ობლები აქ დაზრდილან და შემდეგ სამქანას ისინი მამულში შეცილებიან. ბევრი დავიდარაბის შემდეგ სამქანა იძულებული გამხდარა ჩონიაშვილებისათვის ფანშეთის მესამედი დაეთმო. ჩონიაშვილებს აქ თავისი კოშკი აუგიათ, იგი დღესაც დაცულია. შემდეგ ჭირი გაჩენილა, ჭირს სამქანაშვილები შეუთხელებია. სამაგიეროდ ჩონიაშვილები გამრავლებულან და თემში ძალაუფლებაც მათ მოუბოვებიათ.


✓ სიონის კოშკიც მაგარი და მტკიცე ნაგებია. ხალხური გადმოცემით თამარ მეფის ბრძანებით ეს ციხე სისაურს აუშენებია. ეს სისაური კარგი ოსტატი ყოფილა. როცა თამარის ბრძანებით სიონის ტაძარი აუგიათ მისთვის სისაურს მოუხსენებია, რომ ეკლესია აგვიშენეთ მაგრამ მტრისაგან დასაცავი ციხე არა გვაქვსო. მაშინ თამარმა ციხის აშენება სისაურს უბრძანაო.

სიონის ციხე ნაგებია ანდეზიტის თლილი ქვისაგან და დუღაბით არის შეკრული. თავისი ნაგებობითა და ფორმით სიონის ციხე მთიულური ტიპისაა. ციხე ოთხ სართულიანია და დატანებული აქვს სათოფურები და სარკმლები.

სიონის ეს ციხე მაღალ კლდეზეა აშენებული და სამხედრო გზიდან ის მიუდგომელია. ერთად ერთი გზა მას აღმოსავლეთიდან აქვს და წინათ ეს მხარე ორმაგი გაღავნით ყოფილა შემოზღუდული. სი-

ონის ციხესაც არა ერთხელ მოუგერებია ლეკებისა და ქისტების ლაშქარი.

„სიონის ციხე მაღალო
საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო
ვაჟკაცო ლაზათიანო“,



სურ. 42. სიონის ციხე.

მთიულეთის ამბოხების დროს სიონის ეს ციხე უკანასკნელად შეებრძოლა თვითმპყრობელი რუსეთის მხედრობას და საბედისწერო დამარცხებაც განიცადა.

საყურადღებოა აგრეთვე სოფ. გერგეტში „ირჯიაულთ კოშკი“, რომელიც ფიქალი ქვით არის ნაშენი; თავისი ფორმითა და

ნაგებობის ტექნიკით ეს კოშკი მთიულური ტიპისაა. გერგეტელები აქ ებრძოდნენ შემოსეულ ქისტებსა და ლეკებს, რომლებიც ტყვედ იტაცებდნენ ადამიანებს, მოხევეების სარჩოსა და საქონელს.

ხალხური თქმულებით ერთხელ, როდესაც გერგეტელები ბეთლემის ხატობაზე ყოფილან წასული ამით უსარგებლიათ ვიღაც ურჯულო თათრებს ირჯიაულებს და გერგეტის ციხე დაუჭერიათ. ირჯიაულები ციხეში გამაგრებულან და გერგეტელებს გადასახადებით ბევრავდნენ: ართმევდნენ ყანას, საქონელს და ლამაზ ქალ-რძლებსაც იტაცებდნენ. ირჯიაულების ბატონობით ხალხი თურმე ღელავდა და თემმა ბოლოს გადაწყვიტა მათი თავიდან მოშორება.

ამ მიზნით წითელ პარასკევს თემი წმ. სამების საბჭოში შეკრებილა და ფიცი დაუდვია, რომ ფერისცვალების ხატობაში ირჯიაულები გაერეკათ.

ამისათვის თემმა ამოირჩია თურმე ორი მოხევე ბეკურაული და წიკლაური, მესამე კი მტრის ბანაკიდან მოისყიდა ვინმე ქისტაური. ამ ქისტაურმა გერგეტელების დავალებით მოხევეების საქონელი ირჯიაულების ყანაში შერეკა თურმე, ირჯიაულები კი სალოცავად ყოფილან წასული. როდესაც ირჯიაულების ციხის ყარაულს ეს შეუმჩნევია ის მაშინვე ციხიდან გამოვარდნილა და საქონელის ხოცვა დაუწყია. ამ დროს ციხეში წიკლაური შეპარულა, ციხის კარი ჩაუკეტია და თემის ალაში აუფრიალებია. ირჯიაულებსა და გერგეტელებს შორის აქ ბრძოლაც მომხდარა და გერგეტელებს დამარცხებული ირჯიაულები ამოუხოციათ.

გამარჯვებულ თემს წიკლაური და ქისტაური დაუსაჩუქრებია. წიკლაურისათვის მიუციათ გერგეტის წმ. გიორგის ხატი თავისი ტყით, ქისტაურისათვის კი საყანე ადგილი და მთავარანგელოზის ნიში. ამაზეა ეს ლექსიც გამოთქმული:

ზღაპრად დამრჩალა გერგეტში
ძველ ზალხის ნაომარია,
ერთხელ მეც მითხრეს ბებრებმა
იმაზე საუბარია.

ეხლა რო მოსჩანს გერგეტით
თათრების ნასოფლარია,
მაღალი ციხე კლდეზედა
კერპივით წამომდგარია,
ცალმხარე ჩამონგრეული
დღესამდინ ისევ მდგარია,
იქ თურმე იყვნენ თათრები
მცხოვრებნი დიდინანია,

მოხვევ ხალხი ეტანჯა
 ეპარა თბა და ცხვარია,
 ყველა სოფლიდან ეტაცნა
 რაც მოეწონა ქალია.
 მათ დაეჭირა სუყველა
 ბაზნო კამარას მთანია,
 ლიფუ სალებზე კართანია,
 ყველა ცხვრის საძოვარია.
 მათა ჰქონიათ ქვენამთა
 და მისი რუის სათავე,
 სასმელათ აღარ მიეცა
 გვერდს მომდინარე წყალია.
 შეწუხდეს მოხვევები,
 მათი ძლიერი ძალითა:
 ფიცი ქნეს თემმა ერთი ხმით
 უნდა გავწყვიტოთ მტერია,
 მარიანობას გადადვს
 ეს დღე არს შესაფერია.
 ტყეებზე გადაიპარა
 ბეკურაულთა ვაჟია.
 გმირობას იჩენს ვაჟკაცის
 ციხის აღება სწადია.
 ქვეითით ესმა თათართა
 ძალა რამ მოსჩანს ძნელია,
 ყანებში ძროხებს ხედავენ
 მათი იღბალი მხდარია.
 ქისტაურს ჩამოუთვალეს
 ქისტაურ უჭვრეტს შორითა,
 მოდი და ძალით გარეკე
 თუ რო გსურს პურის შენახვა.
 მარა ამავე დროს ციხეში
 ბეკურაული შევარდა,
 უეცრად დადგა თათრების
 გლოვისა დიდი ზარია.
 გერგეტლებს ციხე აეღო
 და შეეკონათ გზანია.
 მთლად ხევი მათ დასეოდა
 მათზე ეყარათ ჯავრია.
 სუყველა ამოეწყვიტა
 მამაკაცი და ქალია,
 წიოკით გადაეწვლია
 მაღლა სალების მთანია.
 ახოცა ირჯეულები
 სისხლით ეღება მთანია.

ხევის მოსახლეობა თერგისა და სნოს ვიწრო ხეობაშია მოქცეული. სოფლები მთის კალთებზეა გაშენებული, გარშემო ბუნება შემოზღუდულია მაღალი კლდეებით და მყინვარებით. თავის სამშობლოს მოხევე ასე უმღერს:

ჩემო სამშობლოვ მთაგორო,
მიდამოვ ველებიანო,
ქვევით ხევებო გარშემო
სულ მუდმივ თოვლო წყლიანო.
გაღმი გამოღმი კლდეებო
და იქვე ჯიხნო რქიანო,
მაღალ გორაზე სამებაე,
ირგვლივ ველებო ტყიანო.
მაღლა ასულო მყინვარევ.
სულ მუდმივ ყინულიანო,
ქვევით სოფლებო ხევისავე,
ველებო მუდმივ ცხვრიანო.
იქვე ჩვენო მეცხვარევ,
სულ მუდმის ქვეყნად მტრიანო,
სალი კლდით გამოზრდილიხარ,
ორბო, შე მძლავო მხრიანო,
მტრებისთვი მუდმის მზათახარ
სიმაგრევ სპილოს ძვლიანო.

(დანო სუჯაშვილი სოფ. გერგეტი 1930 წ.).

აქაური სოფელი შეჯგუფებულია და ის არაფრით განსხვავდება მთის ჩეულებრივი ტიპის მოსახლეობისაგან, სოფელი გაშენებულია უგეგმოთ და დაყოფილია უბნებად.


ხევის ზოგიერთ სოფელს თავისი წარმოშობის ისტორია და თავ-გადასავალი დღემდის ახსოვს. ამ მხრივ სხვათა შორის საყურადღებოა სტეფანწმინდაზე (ყაზბეგი) არსებული ზოგიერთი თქმულება.

სტეფანწმინდელებს წინათ ყუროს მთის ძირის დავაკებაზე უცხოვრიათ. აქვე მახლობლად წითელ ეკლესიაში მდგარა სტეფანე ბერი. ეს ბერი ხალხური თქმულებით გვარად ფიცხელაური ყოფილა და მას ერისკაცობაში ღრუბელა რქმევია. დაქვრივების შემდეგ ღრუბელა ბერად შემდგარა და სტეფანეს სახელით ჯერ ბეთლემის უდაბნოში უმოღვაწია, შემდეგ კი გადასულა ყუროს გამოქვაბულში, სადაც ხალხს მისთვის ეგრეთწოდებული წითელი ეკლესია აუშენებია.

ერთხელ დიდი ნიაველარი მოსულა და ყუროდან ტალახს დენა დაუწყია. სტეფანეს დროზე გაუგია ეს მოსალოდნელი უბედურება

და გარედ გამოსულა. სეტყვისაგან თავდასაცავად თავზე მას კოდი დაუხურავს, კოშკში შესულა და ზარები დაურეკია. ზარის ხმაზე ხალხს მაშინვე უგრძნია თუ რა უბედურობა მოელოდა მას და სოფელიც გახიზნულა. ჩქარა ყუროს ტალახიც მოვარდნილა და მას ეს სოფელი წაუღეკია. ხალხი დღევანდელი ყაზბეგის ადგილზე დასახლებულა და ამ სოფელსაც სტეფანეს ღვაწლის აღსანიშნად „სტეფანწმინდა“ დარქმევია.¹

სტეფანწმინდეებს ბევრი მტერი ჰყოლიათ. სხვათაშორის გარბანელებს სტეფანწმინდელების კარგი ყანები შურდათ, ჩუმად მიეპა-



სურ. 43. სოფ. გერგეტი.

რებოდენ დამწიფებულ ყანებს და ცეცხლს უკიდებდენ თურმე. გარბანელების წინააღმდეგ ერთ ტურაშვილს სოფლის თავზე ციხე აუშენებია. ეს ციხე აქ დღესაც დაცულია.

¹ საეკლესიო ისტორიაში ცნობილია პირველ მოწამე წმ. სტეფანე არქიდიაკონი, რომლის თაყვანისცემა ქრისტიანობის პირველი ხანიდან გავრცელებული იყო. ჩვენში კი ცნობილია ერთი ათცამეტი მამათაგანი სტეფანე ხირსელი, რომელმაც კახეთში (ხირსაში) მონასტერი ალაშენა. (იხ. საბინი, საქართველოს სამოთხე, 1882 წ. გვ. 301). შესაძლებელია ამ სტეფანე ხირსელის სახელთან იყოს დაკავშირებული სოფ. სტეფანწმინდისა და მისი ეკლესიის სახელწოდება.

სტეფანწმინდელებს აგრეთვე მტრობდენ მოხუცი ხურთის შვილები. ამის შესახებ აქ მოვიყვან ი ა გ ო რ ა ლ უ დ უ შ ა უ რ ი ს ნ ა მ ბ ო ბ ს: „ძველ დროში, როდესაც სტეფანწმინდაში 10 — 15 კომლი იყო, იმავე დროს სტეფანწმინდის ჩრდილოეთისაკენ სამი ვერსის დაშორებით, ყუროს ხევის გადამა, მახლობელ კლდეში ცხოვრობდა ერთი მოხუცი მოხევე სახელად ხურთი, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ორი ცოლიანი და ერთიც უცოლო. ამ მოხუცი ხურთის შვილები დაბლა ხნავ-თესავდენ, კლდეებში კი ჯიხვებზე ნადირობდენ და გამოუღეველი ხორცი და ცხოვრება მოეპოვებო-



სურ. 44. ყაზბეგის (სტეფანწმინდა) ძველი უბანი.

დათ. ამასთანავე იყვნენ ძრიელ მოუსვენარი ავკაცი, ასე რომ მთლად სოფ. სტეფანწმინდას თავზარსა სცემდნენ: ჭირნახულს უწვავდნენ, საქონელს სტაცებდნენ, თუ ყუროს გაღმა მოასწრობდნენ, ცოცხალ საქონელს ტყავს აძრობდნენ და ხშირად სახლებშიაც უცვივოდნენ და არბევდნენ, მაგრამ სტეფანელები შიშით ვერაფერს უბედავდნენ თავგასულ ხურთის შვილებს.

ერთ დღეს შეგროვდა სტეფანწმინდა მთლად კაცით დედაკაცამდის მოსალაპარაკებლად რით და როგორ გადაუხადონ ამ მოუსვენარ მტრებს და აიცილონ ამტვენი მწუხარება. ამავე სტეფანწმინდაში სცხოვრობდენ ამ მოუსვენარი ხუთრიშვილების დისწულები

სამნი ძმანი გურაბაშვილები, რომელთაც სხვებთან განურჩევლად სდევნიდნენ და მტრობდნენ. აქ მთელმა სოფელმა სტეფანწმინდამ ეს გურაბაშვილები მოვალედ გახადა რომ ან უნდა ეს მათი დედის ძმა ხურთიშვილები მათ მოეშორათ, ან არა და სოფელს იგინი გაეძევნა ან დაეხოცათ.

ეს სოფლის უკანასკნელი დადგენილება გურაბაშვილებს ძლიერ მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე, მაგრამ მეტი გზა აღარა ჰქონდათ ან უნდა აღსრულებაში მოეყვანათ ან თავი დაეხოცათ. მათმა მამამ ღინჯამ სოფელი დააყუჩა, იფიქრა და თავის შვილებს უთხრა: შვილებო, ხომ ხედავთ სოფელმა რაიც გარდასწყვიტა ან უნდა თქვენ იყვნეთ ან თქვენი დედის ძმანი. თქვენ უნდა მააშოროთ ამ სოფელსა, გვეყო ეს ყველაი ამბოვი, მთელი სოფელი ცოლად ლა შავგირთეს დაგვიცილეო. ხომ იცით ჩვენი მშველელი არავინაა. ღმერთი აქ არ ჩამოვა, სამართალი სულ არ არის, მაშ ჩვენც ძალა უნდა ვიხმაროთ ან ჩვენ უნდა გავეწყდეთ ან თქვენი დედის ძმანი.

აი დედას მტრისასა, განა ფურები ხარო? წაუღუქსა:

სიკვდილი რასლა გაშინებს,
შენ ჩვენი თაო ფურაო,
მის დღეჩი რომ არ ვიცოცხლებთ,
ჩვენ არ ვიცოცხლებთ სულაო.

აქ მოხუცის სიტყვებმა შვილებს მთლად ძვალ რბილში გაუარა, რომ ღვთის ფიცი დასდევს მეორე დღესვე აღსრულებაში მოეყვანათ თავიანთი სოფლის და მამის დაკისრებული მოვალეობა, ან უნდა გაეწყვიტათ როგორმე ხერხით, ან და ომით. კარგად არ გათენებულყო, როდესაც სამნი ძმანი გურაბაშვილები გამოვიდნენ ერთად შეიარაღებულნი, დაეთხოვნენ ჯალაბთ და გაბრაზებულნი გასწიეს თავიანთ დედის ძმებთან საომრად.

შუა გზაში არის სალოცავი ამლის წმ. გიორგი, დასხდნენ ამ ნიშის წინ სათათბიროდ, როგორ უნდა შეუვიდნენ ხურთიშვილებს, ან როგორ მოახერხონ დედის ძმების მოსაბოზა. ეს სალოცავი არის უხსოვარი დროიდან აშენებული ერთ შენობის ოდენა დიდრონ ქვაზე, რომელიც ოდესღაც ყუროს მთიდან ჩამოგორებულა და განგებ მშვენიერ მინდორზე დამდგარა.

სწორეთ ეს სამნი გურაბაშვილები ამ წმინდა სალოცავთან ხეურ ჯვარ-ანგელოზთ აძლევენ მართალ ფიცს და ბოდიშს იხდიან ცოდვისაგან, რომ ხალხის ძალით უნდა დაღვარონ დისწულ დედის ძმებმა ურთიერთის სისხლი.

აქ უფროსმა ძმამ გოგიამ მოიხადა ქუდი, შავიდა შამოვლებულ ღობის შიგნით, სადაც მას მიჰყვნენ ორნი ძმანიც მოიყარეს მუხლი, დაადევს სამივემ იმ სალოცავ ნიშს ხელები და წარმოსთქვეს, უფროსმა ილოცა:

„ღმერთო და ჩვენო გამჩენო, ცისა კოყნის პატრონო, კურნო სალოცავნო პატრონო ჩვენის მთისანო წმ. ივანე ნათლისმცემლო. წვერის სპარსანგელოზო, წმიდაო სამებაო, კვირიე ხთის შვილო კედენიშის წმ. გივარგიო, ოქროს ბურთუსოვანო, დარყის წმ. გივარგი, სიონთა ხთისმშობელო, მამა წმინდაო, არშის წმ. გივარგი და ცხო ხეურნო სალოცავნო თქვენ გოპატიეთ ჩვენ დედის ძმათ სისხლჩი გარევა. ცოდვად ნუ ჩაგვითვლით ამ საქმესა, რომ იცით ჩვენ ნებით საავკაცოდ არ მივალთ ნათქოშია: კმა ხთისა და კმა ერისაო.

ხალხის გადაწყვეტილია თავს გადაგვიარა მაგათმა ძალამ, მაგათმა უფროსობამა და აი დღეს ვფიცავთ თქვენს მაღლსა უსვინდისოდ არ ჩაგვოცნათ უნამუსოდ არ მოვექცნეთ, ქურდულად არ მივეპარნეთ, ვაჟკაცი ვართ და ვაჟკაცურად მოვსთხოვთ ვაჟობასა. თუმცა ორ ძმათ მიზნათა ჰქონდათ ზევიდან მიპაროდნენ და როცა ისინი ციხიდან გამოვიდნენ, კლდიდან ესროლად და დაეხოცათ, მაგრამ უფროსმა ძმამ გოგიამ უარი გამოუცხადა. ჩვენ რაი დავიფიცეთ უნდა გამოვიკვლიენეთ, მალეით მტრობა ვაჟკაცობად არ ჩაითვლება. რაც ღთის ნებაა იქნას ერთხალამც გვინდა სიკვდილი. მიპარება სირცხვილია.

დასთანხმდნენ უფროს ძმის რჩევას. გაიარეს გზა და მიუახლოვდნენ დედის ძმათ, ხურთიშვილების ბინას. იმათ კარგად იცოდნენ რომ მიმავალს ადვილად არ გაუშვებდნენ თავიანთ სიმაგრესთან, სადაც კლდეზე კაცი ძლივს გადიოდა. გურაბაშვილებმა ისიც იცოდნენ, რომ თავის დედის ძმანი ხურთიშვილები ნადირობ არ იქნებოდნენ, ისენი დაძახებასთან მაშინათვე ციხეს მიმართავდნენ და პასუხს იქიდან მისცემდნენ მიმავალს.

ამისათვის მათ შორიდან დაუწყეს ყვირილი, რომ ისინი არიან გურაბაშვილები საჭირო საქმისათვის ეძახიან თავიანთ დედისძმათა. აღმოჩნდა რომ ხურთიშვილები შინ არ იყვნენ, ისინი ყოფილან იქვე ახლო კლდეებში სანადიროდ. შინ იყვნენ მარტო მათი ბებერი დედა ე. ი. ბებია გურაბაშვილების და ორი რძალი.

აქ კლდის თავიდან ბებერმა შენიშნა მიმავლები ქალისშვილები, მაგრამ ჩვეულებისამებრ არ მიიღო, რადგანაც არავის არ ენდობოდნენ, როგორც მხეცებს. თანაც შენიშნა შეიარაღებულნი და ბებერმა

ჩქარადვე იგრძნო არასასიამოვნო სტუმრები. ბებერმა აცნობა მათ იმ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ მინამ თავის შვილებს არ აცნობებდა და არ ჩამოვიდნენ შინა.

აქ ბებერმა აიღო შუბიანი ჯოხი მოუბრუნდა თავის ორ რძალს და უთხრა, თუ ისინი ჩვენკენ წამოვიდნენ არ გამოეშოთ, ზევიდან დაეგორათ მსხვილი ლოდები. თვითონ გაუდგა კლდეებს პირდაპირ იქითკენ საითკენაც ნადირობდნენ მისი შვილები, როდესაც მათ მიუახლოვდა დაუწყო ყვირილი და წაუღეკსა:

კერკენჩი სამნო არწიენო,
და ვეფხენო სალის კლდისაო,
ჩამადით ჩამატიალდით
მტერი მაგიდგესთ ძირსაო.

თოფ-იარაღით მაგიდგესთ,
ენლაა თქვენის ცდისაო,
ჩამადით სამნიე გაწყვიტეთ,
სისხლი დალიეთ მტრისაო.

მე არ ვიტირებ მაგათა,
მადლი ღრისხავდეს ღთისაო,
ამაწყვეტილნიმც მინახავ
ორგულნი დედის ძმისაო.

ამ ბებრის ყვირილზე დახოცილ ჯიხვებს მიანებეს თავი და როგორც მართლა ვეფხეები იმ სისწრაფით კალთა წაკეცილნი ჩამოცვიდნენ დედასთან. (კალთის წაკეცა ნიშნავდა საომრად შემზადებას).

მათ მრისხანეთ შეჰკითხეს, რაი ამბავია?

ბებერმაც უამბო, რომ კლდის ქვევით მათ უცდიან შეიარაღებულინი სამნი ძმანი დისწულები გურაბენი. იმათ მაშინათვე იგრძნეს, რომ ესენი სასიკეთოდ არ იყვნენ მოსულნი. საჩქაროდ თოფებით ხელში გაემართნენ მათკენ ისე გაბრაზებულნი, რომ ცოცხალნი არ გაეშვათ. მისვლამდის აცნობეს ვინაობა, შორიდან დაუწყეს ერთმანეთს ძახილი სამტროდ თუ სამძოდაო.

გურაბაშვილებმა უბასუხეს, რადგან ცოტა არიყოს შეშინდნენ, სამძოდაო. მაშინ ხუროთიშვილებმა კლდის თავიდან ჩაჰყვირეს იარაღი დაეყარათ და ისრე მოსულიყვნენ სალაპარაკოდ. თითონაც იარაღი აიყარეს. და იქვე კლდის ძირას ერთ ტიტველა მინდორზე შეიყარნენ ეს ექვსი დისწულ დედისძმანი ერთ მეორეზე მშვენიერი ვაჟაკები.

მისაღმების მაგიერ ხურთიშვილებმა მრისხანედ შეუტიეს გურაპიშვილებს, რად და როგორ გაბედეთ ჩვენთან მოსვლაო. მაგრამ აქ გურაპიშვილებმა ისინი დაამშვიდეს და თავიანთ მოსვლის მიზანი აუწყეს, რადგანაც მათ თავის სოფელში აღარ ედგომებათ, სადაც ხალხმა გადასწყვიტა ან გურაპიშვილები უნდა იყვნენ და ან მათი დედის ძმანებო.

როდესაც ეს ყველაფერი ხურთიშვილებმა მოისმინეს ბევრი არ იფიქრეს და უპასუხეს აიღეთ იარაღი ორივე მხარეს და იარაღით შაბრძოლებოდნენ სასიკვდილოთ. ექვსივე ვაჟკაცები ერთმანეთს დაერივნენ. მაგრამ აქ ისევ გურაპიშვილებმა იხმარეს ხერხი და უთხრეს: ვაჟკაცო, იარაღი რად გვინდა, ხომ იცით იარაღითაც უნდა გავწყდეთ და უბრალო ხელითაცო. მოდი ფიცი დავსდვათ რომ ერთმა მეორეს არ უღალატოს და თითო თითოსთან გავიდეთ მკლავითა ვინც ვინ დაიმორჩილოს და წააქციოს იმან მოკლას ისაო. ეს ესეც მოხდა. ორივე მხარემ ეს ერთხმად მიიღო და ხევის ყველა ხატებს და გამჩენ ღმერთს მისცეს სვინდისიერი ფიცი, რომ უფროსი უნდა შაბმოდა უფროსსა, საშუალო საშუალოსა და უმცროსი უმცროსსა.

პირველად ახსენეს ღმერთი და დასდევს საშინელი ფიცი, რომ ერთი მეორეს არ მიეშველოს და უყუროს ისე, როგორც უბრალო ქიდილს.

აქ პირველად შეიბნენ ორი უფროსნი. ბევრი ბრძოლის შემდეგ დაეცა ხურთიშვილი და იქვე უწყალოდ გაგმირა დანითა გურაპიშვილმა.

შემდეგ საშუალონი შეებრძოლენ. აქაც გურაპიშვილმა გაიმარჯვა.

ბოლოს ჯერი უმცროსზე მივიდა, უმცროსი ხურთიშვილი ძმების ამ დღის მნახველი ისე გაბრაზებული ეცა უმცროს გურაპიშვილს, რომ ერთი თვალის დახამხამებაში მოიღო ძირს და ის იყო უნდა საკლავივით ყელში გამოესო დანა, როდესაც გურაპიშვილები მას დაეცნენ, გადმოაბრუნეს და ძირს მყოფი ძმა აუშვეს. სამივე ძმამ ის უმცროსი ხურთიშვილიც თავის ორ ძმათ დააკლეს.

ასე უნამუსოდ გატეხეს ფიცი და გურაპიშვილები სწრაფად სტეფანწმინდაში დაბრუნდნენ. მხოლოდ ხურთიშვილების ბებერ დედას აცნობეს მომხდარ უბედურებაზე. მან ჯერ იტირა შვილები, შემდეგ, სამივე დაკოცნა და ხმა მაღლა შესძახა:

„სანამ იყვნეს მტერნი სრისეს არ წაიღეს ჯავრი ვისიო“

ბებერი თავისი ორი რძლით ჩქარადვე აყრილა და თერგის გაღმა გადასახლებულა. აქ მის რძალს ვაჟი ჰყოლია, რომელსაც პაპის სახელი „ხურთი“ დაარქვეს და სოფელს სადაც დასახლდნენ ხურთისი ეწოდა. ხურთისში დღეს 40 კვამლამდის ითვლება, მხოლოდ აქ სტეფანწმინდაში მათ ნასადგურალს დღესაც ნახურთისაღს ეძახიან. ამ გურაბიშვილებმა თუმცა სტეფანწმინდას მტერი მოაშორეს, მაგრამ დაუნდობელი ხალხი მათ ფიცის გამტეხთ უწოდებდნენ.



სურ. 45. ერობა.

გურაბიშვილებსაც თავიანთი სენდისი ძლიერ სტანჯავდათ, ხშირად ძილშიც წამოიყვებოდნენ „ფიცის გამტეხი და ღვთის მგობი“-ო. ეს მათ სტანჯავდა და დიდხანს არ უტოცხლიათ. გურაბიშვილები ჩქარა ამოწყვეტილან.

სტეფანწმინდაში ერთი რომ მეორეს გამეტებით დაწყევლის ასე იტყვიან: „ისემც ამოსწყდებით, როგორც გურაბიშვილებიო“ (გურაპენიო). ხევში ამბობენ, რომ გურაბიშვილები ამოსწყდნენ ფიცისა და აღთქმის გატეხის გამო, ხურთიშვილების ბებერმა დედამ

და მათმა (გურაპიშვილების) ბებიაჲ მოღალატეებს ასე შესწყევლოა: ამოწყვეტილნიმც მინახავ ორგულნი დედის ძმისაჲ“.

ხევის სოფლები უგეგმოდ არის გაშენებული. სახლები შეჯგუფულია და კარმიდამო არა აქვთ. სოფლებში ვიწრო და ტალახიანი ბილიკებია და ყველგან ნეხვი ჰყრია. სოფლის თავში გამართულია „ეროზა“, სადაც გლეხები იკრიბებიან და საუბარში ატარებენ დროს.

ეროზა წარმოადგენს პატარა ზოედანს, სადაც ჩამოსაჯდომი ქვები ჩამწყრივებული.



სურ. 46. სოფ. ყაზბეგის ახალი უბანი.

აქაური სახლები ქალაქის ტიპისაა და მათში ორსართულიანი სახლებიც ხშირად ურევია. ზოგი სახლი რამდენიმე ოთახიანია და კარ-ფანჯრებით არის გამართული. ასეთი სახლები თუნუქისა და კრამიტის სახურავით არის დახურული. მაგრამ ვისაც ასეთი სახლის აშენების შეძლება არა აქვს ის ცდილობს ძველი ტიპის სახლები ახალზე გადააკეთოს. ამიტომ ძველი მოხეური სახლები დღეს ოთახებად არი გატახტული, მიწურის ნაცვლად იატაკია გამართული, ჩასმულია განიერი კარ-ფანჯრები და კედლებიც შეეთეთრებულია.

დღეს ხევში იშვიათად შეხვდებით გადაუქეთებელ ძველ მოხეურ სახლს. ზოგიერთი სოფლები, მაგალითად, სიონი, ყაზბეგი, კარკუჩა და სწო ამ მხრივ თანამედროვე ტიპის სოფლებს წარმოადგენენ.

მხოლოდ სოფ. ქოსელში ჯერ კიდევ არ შეჭრილა თუნუქისა და კრამიტის სახურავი. ძველებური სახლები უკვე აქაც გადაკეთებულია, მაგრამ მათ მიწური ბანები ჯერ კიდევ შერჩენიათ.

მთელს ხევში მოსახლეობის ძველი ტიპი ნაწილობრივად დაცულია სოფ. გერგეტში, სადაც ძველი ორსართულიანი მოხეური სახლები დღესაც ბანებით არის გაერთიანებული.



სურ. 47. მოხეური სახლი (ყაზბეგი)

ძველი ტიპის მოხეური სახლი გრძელი და ორსართულიანი ქვის შენობაა. მისი ჩვეულებრივი სიგანე 9 მეტრია, სიგრძე კი 18 მეტრს უდრის.

ზემო სართულს უწოდებენ, „სამყოფო“-ს, რომელსაც აქვს თაღიანი ერთი შესავალი კარი, მოცულობით 1.50×0,95 მეტრი. კარის ზემო ნაწილს „სათავე“ ჰქვია, ძირისას კი „ზღურბლი“. სახლის კარი შიგნით იკეტება გრძელი ხის „კედლით“, რომელიც „საკედურშია“ მოთავსებული.

სამყოფი სახლის მარჯვნივ კუთხეში ღუმელია (პურის საცხობი) გამართული, მარცხნივ კი კერა. სახლის მესამე კუთხეში არის „სენა“, რომელიც პატარა ოთახს წარმოადგენს. სენაში სინათლე „ერდოდან“ ჩადის. სახლის კედლებში გამოკრილია სარკმლები და დატანებული აქვს თახჩები, რომელშიაც საოჯახო წვრილმანს ინახავენ.




სურ. 48. მოხუცი ძველი სახლი.

სახლის კერი ბოძებზეა დაყრდნობილი. შუათანა ბოძი „დედა-ბოძია“, რომლის „თავქუდი“ მოჩუქურთმებულია და მას ხარატულიანს უწოდებენ. ამ ბოძებზე გადებულია დიდი მრგვალი ხე „ტანი“, რომელზედაც გრძელი „ხეები“ დაწყობილი. ხეებზე მკიდროდ დაგებულია ჭაჭები (ფიქალი ქვეები) და ზედ ჩალა და მიწაა დაყრილი. ბანის მიწას საზევლით ტკეპნიან, რომ წვეთმა არ გაჟონოს.

სამყოფის წინ პატარა „დარიფანია“ გამართული და მიშენებული აქვს ქვის კიბე. სახლის ქვედა სართულს უწოდებენ „ქოითას“ სადაც ბოსელია გამართული. ბოსელი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: წინ აქვს დახურული დერეფანი „ქოითას კარს-

უკენა“ და ერთი შესავალი „ქოითას კარი“. დერეფნის მარცხნივ პატარა ოთახია „საწვალა“, სადაც საქონლის ყარაული წვება. ბოსელში ცხენის, ძროხების და ხარების ბაგაა გამართული.

სახლის სააღმშენებლო ხის მასალას მოხვევები ლარსიდან და მთიულეთიდან ეზიდებიან. ქვას კლდეში ამტვრევენ და მარხილებით ეზიდებიან. სახლის აშენების დროს ერთმანეთის დახმარება იციან: ზოგი ქვა და ქვიშას ეზიდება, ზოგი ტალახსა ზელავს, ნაწილი კი ქვასა თლის რასაც აქ „ქვის ულამი“ ეწოდება. სახლის საძირკველის გაჭრისას სამღვთოს იხდიან.



სურ. 49. დედაბოძი.

მოხეური ძველი სახლის ასაგებად საჭირო იყო 40 საუ. ქვა, ნაგებობის გამოანგარიშება „მხარათ“ ცოდნით. ერთი მხარი ფასობდა რვა აბაზი და რამდენი მხარი იყო შენობა, იმდენი რვა აბაზი უნდა მიეცათ ოსტატისათვის.

რაც შეეხება სახლის შინამოწყობილობას დღეს აქაც დიდი ცვლილებაა მომხდარი. ძველებური კერა ხევში უკვე მოსპობილია და ის აქ იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. სახლებში ყველგან თუნუქის ღუმლებია გამართული, აგრეთვე „კერასინკასა“ და „პრიმუსაც“ ხშირად ხმარობენ.

ძველებური კერა ნაგებია ფიქალი ქვებისაგან. კერა შუაში ოთხკუთხად არის ჩაღრმავებული, მისი სიღრმე 7 სანტ. უდრის. კერას

თავთან მიუყუდებული აქვს გრძელი ქვა „სა გ ი დ ე“ (კერის თავი) და ზედ კი საკიდელია ჩამოკიდებული. კერის ბოლი სახლის „საკომიდან“ გადის.

დგამი და ავეჯიც ქალაქურია: რკინის საწოლები, კედლის სარკეები, მაგიდები, სკამები, ფაბრიკული ჭურჭელი და სხვა მოხვედის სახლის მოწყობილებას უკვე ახასიათებს. მაგრამ ზოგიერთ ძველ ოჯახში ძველი მოხეური ავეჯიც არის დარჩენილი.

ამ მხრივ პირველყოფლისა საყურადღებოა ძველებური „ხარო“, რომელიც მოთავსებულია დედა ბოძთან. ხარო ქერის ჭურჭელია და




სურ. 50. თანამედროვე სახლი.

აქვს ორი განყოფილება: სათესლე და საოჯახო. პირველში ინახება სათესლე ქერი და მეორეში კი ოჯახში სახმარი. ხაროს ძირში ორი „თოლია“ გამოჭრილი, საიდანაც ქერი გამოაქვთ. ზოგი ხარო დიდია, მისი საშუალო ზომა უდრის $2,26 \times 2,16$ მეტრს.

შემდეგ საყურადღებოა „აკო“. ესეც ქერის ჭურჭელია და ის ზემოდან იხდება. აკო ხაროზე პატარაა და ლამაზადაც არის მოჩუქურთმებული.


ზოგიერთ ოჯახში დაცულია გრძელი და ხარატულიანი სკამი. ეს სასტუმრო სკამია, რომელსაც კერასთან დგამენ. მისი ჩვეულებრივი

სიგრძე ოთხი მეტრია და მას საზურგე ლამაზად აქვს მოჩუქურთმებული.



სურ. 51. აკო.


ძველ სახლში სენა დღესაც დაცულია. სენას სახლის ერთი კუთხე უჭირავს და ის პატარა ოთახს წარმოადგენს. სენაში რძის ნაწარ-



სურ. 52. გრძელი სკამი.

მოებს ამზადებენ. აქვე ინახება: თიხის სადღეებელი, ბაქნები (ჯამე-ბი), სარძეულა, საღალე ქოთანნი, საერბო ქოთანნი, ხონჩა და სხვა.

სამყოფო სახლში დგას სიფრო (სუფრა) და მაზე პურსა ჭამენ. ეს ოთხეხა სიფრო დაბალია და გრძელი. ოჯახის წევრები სხდებიან



სურ. 53. ორნამენტის ნიმუში.

დაბალ სკამებზე (შკამი), „სამარტო სკამზე“ კი მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯდება. უფროსი დიასახლისის საჯდომი კერის



სურ. 54. სიფრო.

პირას არის გამართული, აქ ის ჯდება მატყლით გატენილ „ქუნთაზე“. აქვეა მოთავსებული სპილენძის თულუხი, თუნგი, ხონა (ხის ტაშტი) ქობი, ცხავი და სხვა საოჯახო ჭურჭელი.

ტანსაცმელი: მოხვევები იცვან ფაბრიკული ქსოვილისაგან შეკერილ თანამედროვე ფორმისა და კრილობის ტანისამოსს. ახალგაზრდობა „მოდა“-საც მისდევს, განსაკუთრებით ქალები და ამ მხრივ მოხვევები ქალაქის საზოგადოებას არ ჩამოუვარდებიან.

მხოლოდ ხანში შესული ქალები ჯერ კიდევ ატარებენ მოხეურ ძველ ტანისამოსს — „ტარავალს“.

მამაკაცებს აცვიათ ჩვეულებრივი ფორმის ჩოხა-ახალუხი. წელზე ქამარს იკრავენ. თავზე ბუხრის ქუდი ხურავთ. ფეხთ აცვიათ ქალამანი.



სურ. 55. სალენკელზე მუშაობა.


ქალამანს თვითონვე ამზადებენ. ამისათვის ძროხის ან ხარის ტყავს ჯერ აშრობენ და შემდეგ „შოლტებად“ დაკრიან. შოლტს ნაცარს მოაყრიან და ხის საფხეკით ბეწვს აცლიან. გასუფთავებულ შოლტს შეეკეცავენ, „სალენკელში“ ჩაღებენ და მას „კედაი“-თ ზეღენ.

სალენკელი ღრმად ამოკვეთილი ქვაა, რომელსაც წვრილი ჯოხი — „თავხე“ აქვს გაყრილი. სალენკელი ჩვეულებრივ გამართულია „ერობასთან“, სადაც მამაკაცები თავს იყრიან, ბაასობენ და თან ამ სალენკელზე მუშაობენ. სალენკელს ორი კაცი ამუშავენ; ერთს დაკეცილი შოლტი უჭირავს და მას სალენკელში მალმალე აბრუნებს.

მეორე კედლის აწევ-დაწევით ტყავს ზელავს. როცა ტყავი შერბილდება მას ერბოს ან ცხვრის ღუმას წაუსვამენ და ისევ ზელავენ მანამ ერბო არ შეაშრება. გამოქნილ შოლტს თარგზე დაადებენ და ქალამანს გამოჰრიან.

ქალამანიც სხვადასხვა გვარია: ბანდული, კოხუჯები, ჩაფხატი, მესტი და წულა. ბანდულს ძირი გამობანდული აქვს და მას ზამთარში ატარებენ, რადგანაც ბანდულიანი ფეხი თოვლზე და ყინულზე არ დაცურდება.

კოხუჯები გულ ამოღებულია და თასმებით—„ალახით“ შეკრული. ჩაფხატი ბანდულის ფორმისაა, მხოლოდ ძირი მთლიანი აქვს. ქალამანში წინდას იცვამენ. ზამთრობით კი მთის ბალახს—„ქუჩსაც“ იგებენ.



სურ. 56. საღენჭელი.

მოხევე ქალის „ტირავალი“ შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: პერანგი, ახალუხი და საგულე.

პერანგი ფერადი ქსოვილისაგან იკერება და მას შიგ იცვამენ. პერანგი გრძელია, რომლის საყელო და სახელურები სირმით არის გაწყობილი.

ახალუხს იცვამენ პერანგზე. ახალუხის წინა კალთები მართულია სირმის არშიებით, ზოგჯერ კი ოქრომკედითაც არის ნაკერი. მისი გული იკვრის სირმისაგან გამოკვანძული „კუმბალაი“-თ და „შატი“-თ. ახალუხის კალთის ნაპირზე დახლართული სირმის „ალხინწებია“ ჩამწყრივებული.

ახალუხი დაბამებულია და შიგ გამოკრული აქვს ფერადი სარჩული. ზოგი ახალუხი კი დაუბამბავია და მოკლე. ასეთ მოკლე ახალუხს მთლიანი გული აქვს და ოქრომკედით არის ნაკერი, რომელსაც „სარდგა“-ს უწოდებენ. მისი კალთაც გაჭრილია და შეკრუ-

ლი სირმის გრეხილის ხლართებით. ასეთი მოკლე ახალუხი ჩვეულებრივ ზურგზე იკვრის.


საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ამ მოკლე ახალუხზე სხვათა შორის ირმებია გამოსახული, განსაკუთრებით ეს სახე სოფ. ყანობშია



სურ. 57. მოხეური „ტარავალი“.

გავრცელებული. ახალუხის მაგიერობას აქ ზოგჯერ ასრულებს მოკლე „ლიფი“, რომელსაც სახელოები არა აქვს. ლიფის გულისპირიც ოქრომკედით არის ნაკერი და ვერცხლის შიბ-ლილებით შემკული. ლიფის ქვეშ იცვამენ მოკლე კაბას, რომლის კალთის ბოლოზე შემოვლებულია ოქრომკედლიანი არშია.

საგულეს იცვამენ ახალუხზე. საგულე გრძელია და უკან ნაოჭიანი. ის წინ ბოლომდის გაჭრილია და სარჩული აქვს გამოკრული. საგულეს გულისპირი შემკულია სირმის გრეხილებით და ის „ლილშატები“-თ იკვრის. მისი მაჯები ოქრომკედით არის მოქარგული.



სურ. 58. პერანგი.


საგულეს წელზე იკრავენ სირმისა ან ვერცხლის ქამარს „ჩოფ-რასტანს“, რომელიც შემკულია ვერცხლის ღირკილებით და ვერცხლისავე ბალთით იკვრის.

თავზე ქალები წინათ თხელ ლეჩაქს (მანდილს) იხურავდნენ, ახლა კი შავ მანდილს ატარებენ. მანდილზე იკეთებენ თავსაკრავს, ქვეშ კი ჩამოშვებული აქვთ „კავი“ ან „დარალა“. ჩვეულებრივ დარალას ქალები ყურზე იხვევენ.

წინათ ქალებს ფეხზე ცმიათ სირმით გაწყობილი წულები. ზოგი ცხვირმოკაუჭებულ ქოშებსაც ატარებდა თურმე.

ხელეზე ხელთათმანს „ხელის ჯაგებს“ იცვამენ. ყელზე უკეთიათ: გიშრისა და ქარვის მძივები, ჯვრები და სხვა. თითებს კი ბეჭდებით იმკობენ.

დღეს მოხუცი ქალები შავი ფერის ტანისამოსს ატარებენ. ქსოვილი უბრალოა, სადა და გაუწყობელი. ძველებური ტარავალი ფერადია ის ძვირფასი ქსოვილისაგან არის შეკერილი. განსაკუთრებით სა-




სურ. 59. ახალუზი.

ყურადღებოა სადედოფლო ტარავალი, რომელიც ფერად აბრეშუმისაა და ოქრომკედით ნაკერი. ამ სადედოფლო ტარავალს მოხუცი ქალები სუდრად ინახავენ.



ტანისამოსსა და საცვლებს ხევში სუფთად ინახავენ. ლოგინი აქ ყველას აქვს. ქვეშ იგებენ „გობანს“ (ლეიბს), ზედ საბანი ხურავთ, თავქვეშ კი იღებენ ბალიშსა და „მუნთაქაის“. ჭრა-კერვა ქალებმა იციან და ოჯახებში საკერავი მანქანებიც უდგიათ.



სურ. 60. მოკლე ახალური.



ფურ 61 ახალუხის ოქრომცედიანი სახეები



სურ. 62. ახალუხის ოქრომკედნიანი სახეები



სურ. 63. საგულე.

6. ხალხური ჩვეულებანი.

ხევი მდიდარია ძველი ადამთ-ჩვევებითა და გასართობებით. მის ყოველდღიურ მძიმე შრომას დროგამოშვებით ცვლის მხიარული ქორწილი, რომლის დროსაც იმართება ტაშფანდურა, ფერხული, სიმღერა, თანდურზე დაკვრა და სხვა. ამ ღზინშივე ხდება ახალგაზრდობის დაახლოება და დამოხილება.

დაძმობილება ან ძმად გაფიცვა წინათ ხევში გავრცელებული იყო, დღეს ეს წესი შეცვლილია და მოსპობის გზაზეა შემდგარი. ორ ვაჟაკს თუ ერთმანეთის ხატრი და სიყვარული ჰქონდათ ისინი ძად იფიცებოდნენ. ერთგულებისა და ფიცის სიმტკიცის ნიშნად გაფიცულები ერთიმეორეს ტყვიას უცვლიდნენ, რომ მოღალატე ამ ტყვიამ განგმიროსო.

ალ. ყაზბეგის თავის „მამის მკვლელში“ ეს ძმად ნაფიცობა ასე აქვს აღწერილი: „თორღამ და იაგომ ძმობა შეფიცეს, ამოიღეს მასრიდან ტყვიები და სანამ გასცვლიდნენ ტყვიებს წარმოსთქვეს: — ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს, ჩემი თვალი — შენს თვალს, ჩემი მუხლი — შენს მუხლს; მოღალატეს რისხავდეს ღომისა. ამინ.“

იაგომ და თორღამ ტყვიები შესცვალეს, მოეხვივნენ ერთმანეთს და სამჯერ ჩაიკრეს გულში ერთმანეთი“ და სხვა.

დღეს კი დაძმობილების დროს სასმელში ვერცხლს ჩაფხეკენ და მას ძმობილები ხელგაყრით შესვამენ. აგრეთვე დედის ძუძუზე „კბილის დაქერაც“ იციან და ერთი ძმობილი მეორეს დედის ძუძუს მოწოვს.

დაძმური გაფიცვაც ამავე წესით სრულდება. დობილი და ძმობილი ვერცხლნათალ სასმელს ხელგაყრილი შესვამენ. დაძმობაში ღალატი და ფიცის გატეხა არ შეიძლება, რაც მათში ბოროტებად ითვლება. ძმობილი დობილს მაყრად მიჰყვება და ყველაზე დიდი საქორწინო საჩუქარი ძმობილმა უნდა გაიღოს. დობილი ძმობილს ქისასა და სათამბაქოეს უქარგავს, უქსოვს, უკერავს და სხვა.

ქორწილი. სქესობრივი სიყვარულის გრძნობას მოხევეებში ჟამთა ვითარებამ კარგა ხანია თემური არტახები შემოხსნა და ხევის ახალგაზრდობისათვის დღეს თავისუფალი სიყვარული უცხო ხილი არ არის.

მოხვევთა რომანტიკა მხატვრულად მოცემულია ალ. ყაზბეგის რომანებში, რომლებიც ამ მხრივ დღესაც გატაცებით იკითხება. ამი-

ტომ ჩვენ აქ მოხვევების გამიჯნურებაზე და შეყვარების დახასიათებაზე არ შევჩერდებით, მხოლოდ საინტერესოა ხალხური თქმულების მიხედვით, თუ როგორ არის მათში ცოლ-ქმრული სიყვარული გაგებული:

იყო ერთი ცნობილი მონადირე ჯარჯი. ერთხელ ჯიხვებზე ნადირობის დროს ჯარჯი ღრმა ხევში გადავარდა თურმე, მაგრამ მისი ქალამნის ბანდული ბუჩქს მოსდებია და ამ ბანდულით მონადირე თავდაღმა უფსკრულში ჩაკიდებულა:

„ჯარჯი ნუ დასდევ ჯიხვებსა,
ჯიხვთა არ გიყონ ზიანი,
არ დაიშალა ჯარჯიმა
ჯიხვ უნდა მავკლა რქიანი.
ჯორაბზე გადაეპარა,
ჯარჯი ფეხ წრიაპიანი,
ახალა თავის ყირმული
ყირმული სპილოს ძელიანი.
წინ ჯიხვი, უკან ჯარჯიმა
კლდეს გადიტანეს სრიალი,
ორხაოს ქალას გავიდეს,
ორხაოს პერანგიანი.
ყურშავ, შინ წადი ოხერო,
შე შავის პატრონისაო,
ნუ ეტყვი ჩემსა დედასა
ქოქობას გადმოვარდნასა,
თეთრი უყორდა ჩიქილა,
შავად დაიწყებს ღებასა.
გათენდი თუ გათენდები,
დიდო ღამეო სთვლისაო,
გაწყდი თუ წყდები ბანდულო,
შე შავის ფურ-ბერწისაო.

ძალი შინ გაიქცა თურმე და ჯარჯის უბედურობა აცნობა. ჯარჯის დედა მაშველი ხალხით მაშინვე გაქცეულა და შვილის გადარჩენის საქმეს შედგომია. მაგრამ თოკის ჩაშვება უფსკრულში ვერ მოუხერხებიათ, რომ ჯარჯს გაუნძრევლად თოკისთვის ხელი წაეელო და ამოეყვანათ. ამ დროს ჯარჯის ცოლიც მოსულა. მას ყურადღება არ მიუქცევია უფროსების რჩევისათვის, ჩაუშვია თოკი და ქმრისათვის დაუძახნია: თოკი ჩამოგიგდე, ხელი წამოავლე და ამოგიყვანო. მონადირეც ასე მოქცეულა, მაგრამ მას თოკი ვერ დაუჭერია და ხრამში გადაჩეხილა. გამწარებულმა დედამ ერთი შეჰკივლა თურმე

და იმავე უტესკრულში გადავარდნილა, ცოლი კი ამ დროს ხალხური თქმულებით თავის საყვარელს ეხვეოდაო.

ამგვარად დედისა და ცოლის ამ დაპირისპირებაში დედობრივი სიყვარული იმარჯვებს, მაგრამ ხალხის წარმოდგენით სატრფოს სიყვარული ყველაზე ძლიერია და ნამდვილი სიყვარულიც ეს არისო:

„მამე, მამე, შენსა მზესა,
სიკვდილი მკლავს მენაცვალე!

— ვერა, ვერა შენმა მზემან

დედა გყავს და ინაცვალე.

— დედავ, დედავ, შენსა მზესა,

სიკვდილი მკლავს მენაცვალე,

— ვერა, ვერა შენმა მზემან

ძმები გყავს და ინაცვალე!

— ძმაო, ძმაო, შენსა მზესა

სიკვდილი მკლავს მენაცვალე,

— ვერა, ვერა შენმა მზემან

დედი გყავს და ინაცვალე.

— დაო, დაო, შენსა მზესა

სიკვდილი მკლავს მენაცვალე,

— ვერა, ვერა ძმისა მზესა

ცოლი გყავს და ინაცვალე,

— სხვისა შვილო, შენსა მზესა,

სიკვდილი მკლავს მენაცვალე,

— არა ქმარო, შენსა მზესა

ვინც სხვა გიყორს ინაცვალე.

— საყვარელო, შენსა მზესა

სიკვდილი მკლავს მენაცვალე,

— აგრე, აგრე გენაცვალე

თუნდა დღეს და თუნდა ხვალე,

მე მოვკვდები შენ იცოცხლე

მაი ლოგინი შამიცვალე.

ქალის დანიშვნა. მოხევეები დღეს პროგრესულ გზას აღგზნან და მათი ახალგაზრდობა ებრძვის დრომოქმულ ძველ ადათ-ჩვევებს. ამიტომ დღევანდელ ხევში ქორწილის ძველი წესები შერყეულია და მოსპობის გზაზეა შემდგარი. ჩვენ აქ შევეცდებით ამ ძველი მოხეური ქორწილის წესების აღწერას.

ხევში წინათ ბავშვების აკვანში¹ დანიშვნა ან „დაწიდვა“ ცოდ-

¹ აკვანში ქალ-ვაჟის ნიშნობა საქართველოში ძველად გავრცელებული იყო. შემდეგ „ძეგლის წერით“ ეს მანერა ადათი პიკრძალა. (იხ. სერ. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 112—113).

ნიათ. როდესაც მშობლებს ერთმანეთის სიყვარული და ხათრი ჰქონდათ, დასამოყვრებლად თავიანთი აკვნის ქალ-ვაჟს დააწინდებდნენ. ამ მიზნით ვაჟის მშობლები ქალის პატრონს „ს ა ნ ა ხ ა ვ შ ი“ მიუტანდა: საკაბეს, ფეხსაცმელს, საყურეს და სხვა. ურვათის რაოდენობაც მაშინ წყდებოდა და ქალის დასაბევებლად მის მშობლებს სამ მანეთს აძლევდნენ. დაწინდვის შემდეგ პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა, რასაც შედეგად მოყვებოდა მტრობა და შურისძიება.

აკვნის დანიშვნის ეს წესები ხევში კარგა ხანია რაც მოსპობილა და ხალხში ის უკვე მივიწყებულია. დღეს ქალ-ვაჟის ნიშნობას მშობლები 14—15 წლიდან შეუდგებიან. ქალ-ვაჟის გასინჯვა აქ ჩვეულებრივად ხდება, ხალხობა-დღეობებსა და ქორწილებში, სადაც ახალგაზრდობა თავს იყრის.

თუ ქალ-ვაჟსა და მათ მშობლებს ერთმანეთი მოეწონათ, პირველად ქალს ვაჟის მშობლები მიუგზავნიან „შუაკაცებს“. ჩვეულებრივად შუაკაცად ორი პირი და ისიც ვაჟის მახლობელი უნდა იყოს. შუაკაცები არყით მივლენ ქალის ოჯახში და აქ დანიშვნაზე ჩამოაგდებენ საუბარს. თუ მოიწონეს მაშინ არაყს ჩამოასხამენ და დაილოცებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალის მშობლები არაყს არ დალევენ. მაგრამ ქალის დანიშვნისას მარტო მშობლების თანხმობა არ კმარა, მთავარია ქალის ბიძების დასტურიც, და მათ ნებადაურთველად ქალის გათხოვება არ შეიძლება. თუ ბიძები ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ, მაშინ საქმის გადაწყვეტაში დედის ძმებს ეძლევათ უპირატესობა.

ზოგჯერ ქალის მშობლები ნიშნობას განგებ აჭიანურებენ, რომ სასიძოსაგან მეტი „ურვათი“ მიიღონ, მაგრამ სანამ შეთანხმება არ მოხდება შუაკაცები მაინც დადიან. ამ შემთხვევაში შუაკაცები არავითარ გასამრჯელოს არ იღებენ. ბოლოს თუ შეთანხმდნენ, მაშინ ვაჟის მშობლები ქალიანთსა სანიშნოდ მიდიან და თან მიაქვთ ორი მანეთი საარაყე და სამი მანეთიც „ნიშნად“ (ბედ). ამ ორ მანეთად არაყს ჩამოასხამენ და ქალის ბიძები და ბიძაშვილები ნიშნობაზე დაილოცებიან. აქვე წყდება ურვათის რაოდენობის საკითხი. ურვათი სასიძომ ქორწინების წინ ქალის მშობლებს უნდა ჩააბაროს.

ურვათის რაოდენობა ვაჟის შეძლებაზე და სარძლოს ღირსებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ურვათი 40-300 მანეთამდის აღწევს. გადახდა შეიძლება ფულად ან საქონლით. ურვათით პატარძალი მზითვეს იმზადებს. წინათ ამ ურვათთან ღუდღუშაურის საგვარეულო, როგორც

ძლიერი და დაწინაურებული გვარი კიდევ „საგოგონო“-ს ერთ-
ხარს იღებდა თურმე.

ნიშნობის შემდეგ ერთმანეთის დაწუნება და საქმის ჩაშლა წინათ
არ შეიძლებოდა, ასეთი რამ მათში შფოთსა და მტრობას იწვევდა.
თუ შერიგება მოხდებოდა, მაშინ პირის გამტეხს უფროსი კაცები
მიუსჯიდნენ, „სამწუნვარო“ ჯარიმას, რომელიც ურვათის რაო-
დენობას უდრიდა.

„სასიძოდ მისვლა“ დანიშვნის ზეორე ან მესამე თვეზე იციან.
სასიძო მიდის ბიძაშვილების თანხლებით და მას პატარძლიანთას მიაქვს
პრაყი და პური. აქ იმართება წვეულება და თუ სოფელს სასიძოს
მიტანილი პური არ ეყო, რომ ის არ შერცხვეს პატარძლის ოჯახი
უმატებს.

პატარძალი საქმროს აქ არ ეჩვენება და ის სენაში იმალება. სა-
სიძო ქალის ოჯახში რამდენიმე კვირა რჩება. ის ყველას ფეხზე აღ-
გომით სალამს აძლევს. პურის ჭამის დროს ხელში საღვინით სუფრას
ემსახურება, სასმელს ასხამს და ყველას აწვდის. საცოლეს მამა და
ბიძები საწოლად რომ წავლენ, მან სანთელი უნდა გაიტანოს და გზა
გაუნათოს. თამბაქოსა და ცეცხლსაც იმათ სასიძო სთავაზობს და
სხვა.

სასიძო ვალდებულია პატარძალის ოჯახში სხვადასხვა სამუშაოც
შეასრულოს: ის შეშას აპობს, საქონელს უვლის და სხვა. მაგრამ მას
საცოლესთან სახლში მისვლა და საუბარი არ შეუძლია — სირცხვი-
ლია. განმარტოებით კი მათ შორის ალერსიც ნებადართულია.

სასიძო რომ შინ გაბრუნდება ახლა მისი დედა მიდის პატარძლის
სანახავად, რასაც აქ „სანახავად მოსვლა“ ეწოდება. სასიძოს
დედას თან მიაქვს ერთი დიდი ქადა, ყველი, პური და სხვა. პატარძ-
ლის ოჯახში სუფრა გაიშლება და ყველანი დაილოცებიან ახლად-
დანიშნულების ბედნიერებაზე. პატარძალი სადედამთილოს აქ ეჩვე-
ნება და მას კიდევაც მოემსახურება.

წინათ ახლად დანიშნულ პატარძალს ტოლ-ამხანაგები ოჯახებში
დაატარებდნენ და ყველანი მას ფულით ასაჩუქრებდნენ. ამ ფულით
იგი თავის დედამთილ-რძლებისათვის საჩუქრებს ამზადებდა.

ქორწილამდის ერთი კვირით წინ სასიძო ქალის მშობლებს ურ-
ვათს ჩააბარებს. წინათ კიდევ ორი საკლავი „ხატის ცხვრები“
უნდა გაეგზავნა. ჯვრის წერა ჩვეულებრივ ქალის სოფელში იციან.
ნეფე მაყრით მიდის საცოლეს წამოსაყვანად. აქ ნეფეს ხვდებიან
ტაშფანდურითა და სიმღერით. მორთულ პატარძალს გამოიყვანენ და



ნეფე — დედოფალს თავზე „ფოჩებიან გვირგვინს“ დაადგამენ და სახლის კერის გარშემო ამოღებული ხმლებით სამჯერ შემოატარებენ.

გვარის უფროსი პატარძალს ხელს მოჰკიდებს, ეჯიფს (იგივე მეჯვარე ან ხელის მომკიდე) ჩააბარებს და სამჯერ ეტყვის: „მამა შენ და შვილო ესა“-ო. ყველანი სუფრას მოუსხდებიან, ცოტათი შენაყრდებიან შემდეგ აიშლებიან და თოფების სროლით ნეფის ოჯახისაკენ გაემგზავრებიან.

პატარძლის მზითევს მეგოდრეს ჩააბარებენ. მეგოდრე უმეტეს შემთხვევაში ნეფის სიძეა. მეგოდრე ბარგით წინ წავა და როდესაც ნეფიონი სასიძოს სახლს მიუახლოვდება მეგოდრე დაწინაურდება, პირველად შევა ოჯახში და დაიძახებს: „მე ვარ მახარბელი სახლისა გამხარბელი“-ო.

მეგოდრე გაიქცევა და საკიდელს ხელს წაავლებს, თორემ მას სცემენ. ჩქარა მაყრიონიც შემოვა. დედოფალს სახლის წინ დააყენებენ, შინ მყოფნი კი გარედ გამოვლენ. სახლში პირველად ნეფე შევა და მას ბერი კაცები „ჯორული“-ს (ჯვარულის) სიმღერით გამოჰყვებიან:

„ნეფეს უხდება გვირგვინი
ყმაწვილია და უხარის.
ნეფეო, ჩემი ძმა ხარო,
მთავარ ანგელოზს გეცხარო.
ღმერთმა ხელი მოგიმართას,
რასაც საქმეზე დგეხარო“.

ნეფე დედოფალს ხელს ჩაკიდებს და სახლისაკენ გაემართებიან. მათ წინ ხმალ ამოღებული ეჯიფი მიუძღვება. ეჯიფს მისდევს ხანჯალ ამოწვდილი ნეფე და მას უკან დედოფალი მისდევს. დედოფალს ძმა ან ძმად ნაფიცი მიჰყვება და ბოლოს ხმალ ამოწვდილი მაყარი და მეჭორწინენი მისდევენ.

სახლის კარებში ამოღებული ხანჯლებით ორი კაცი დგება. ხანჯლები ჯვარულად არიან გადაქდიული იმ განზრახვით, რომ ნეფე-დედოფალს ავი და მავნე არ მიუდგესო. ამ ჯვარედინ ხანჯლებში ნეფე დედოფალი გადიან. ნეფე კარებში დამხობილ თეფშს ფეხის ერთი დაკვრით ამსხვრევს. იქვე დედამთილი ან მუღი პატარძალს თათლს შეაქმევს. ამ დროს ბერი კაცები ორ პირად „დიდება“-ს დაიძახებენ:

„ააა... დიდება ღმერთსა და სპარსანგელოზსა.“

ააა... დიდება ღმერთსა და წმ. სამებასა და ასე ჩამოთვლიან თავიანთ ხატ-სამლოცველოებს. სახლში შესვლისას ნეფე-დედოფალს ხანჯლებ ამოწვდილი მაყრიონი ანთებული კერის გარშემო სამჯერ შემოატარებს. თუ კერა მოშლილია, მაშინ მრგვალ პურს სკამზე დადებენ, ზედ სანთელს ანთებენ და ნეფე-პატარძალს მის გარშემო სამჯერ შემოატარებენ.

ამის შემდეგ პატარძალს ქალების მარაქაში წაიყვანენ. გაიშლება საქორწინო სუფრა, სადაც მამაკაცები და დედაკაცები ცალ-ცალკე სხდებიან. ამ წეს დღესაც მტკიცედ იცავენ. სუფრის შუაში ნეფეს სვამენ. მის გვერდში ეჯიფი ჯდება, შემდეგ მაყრები და სხვა. სუფრაზე ჩამოარიგებენ ორორ ლავაშს, ყველს, ბლომად ხორცს, ხაბიძგინებს და სხვა. შემდეგ ბაქნებით (ჯაპებით) წვნიანი კერძი შემოაქვთ. ორ კაცზე ერთი ბაქანია.

ქორწილში პატარძალი არ ჯდება — სირცხვილია. ქორწილი სამი დღე გრძელდება, რომლის განმავლობაში განუწყვეტელი სიმღერა და ტაშფანდურაა გამართული. მღერიან ორ ჯგუფად და ერთმანეთს შაირ-სიტყვაობაში ეჯიბრებიან. მოხეური სიმღერა მონოტონურია. შაირი მოკლეა და შინაარსით უმეტესი სატრფიალო ლექსები სჭარბობენ. ქორწილში პატარძლის გაშირებაც იციან.

„დალალ მე კაბას მიკერენ,
დალალ მე წამიყვანენო,
შაბათს მამიელენ მაყრები
კვირას კი წამიყვანენო,
ჩამაცმენ წითელ კაბასა
საყდარჩი შტმიყვანენო.“

ქალმა სთქვა აზალგაზრდასა
სიცილით შავიყვარებო,
შორით დავსწოვ და დავზდაგავ
აზლოს არ გავიკარებო.

ქალი ვარ შაყვარებული
დედასაც გავეპარებო,
წავალ ზაჭრი ხელს მოვაწერ
პატრონსაც ჩავებარებო.

კარკუჩით წამოიყვანეს
ქალი მაიკო თმინი,
შვიდი მაყარი გამოყვა
შვიდივე ცხენოსნინი.



წყალზე ხიდთან რო მოვედით
დადგა ხანჯლების ბრიალი,
არ მაიშალა მაიკომ
შავი თვლების ბრიალი
ხაშორის უყვარდა ბუხარი,
ხაუხულის გრილი ნიაფი.

ქალმა სთქვა ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ დედაო,
ნუ მიმცემ მონადირესა
კლდეს სადმე გადავარდება.
ნურც მიმცემ მეცხვარე კაცსა,
დამიღებრდება მალეო,
თუ მიმცემ და არ დაიშლი
იყვეს გუთნისა დედაო.

ქორწილში ნეფისა და პატარძლის მაყრები ხშირად ერთმანეთზე-
დაც შირობენ და ზოგჯერ ასეოი გაშირება ჩუბით თავდება.

ქორწილში გაჩაღებულია ტაშკანდურ. ყველანი ცეკვავენ და თა-
მაშის დროს ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ეცვლებიან. უკრავენ „გარმონს“
და სამ ლარიან ფანდურს.

ქორწილის სუფრა თასების სმით იწყება. ღვინიან თასებს პირვე-
ლად უფროსებს უგზავნიან და თან „სამურს“ (სპურს, ეტყვიან ქე-
ბის შესხმა). შემდეგ უფროსები ამ სავსე თასებს სმურის თქმით უმც-
როსებს გადასცემენ. თასის დაცლისას დაიძახებენ: „ეჯაფო, შენს ნე-
ფეს გაუმარჯოს“-ო.

ქორწილის პირველ დღეს ნეფეს „კარაჩხა“-ს მიართმევენ და მას
წინ დაუდგამენ. კარაჩხას ეჯიფი ან ნეფის ძმა აშხადებს. კარაჩხა
ჩარხშია გამოყვანილი, აქვს ფეხი და რამდენიმე ტოტი, რომლებიც
ხილითა და ტკბილეულით არიან შემკული. კარაჩხის ტოტებზე აგ-
რეთვე მიკრულია სანთლები და ჯვრები.

კარაჩხის შემოტანისა და დადგმის შემდეგ დაიწყება შესაწევარი:
პირველად შესაწევარს ეჯიფი გაიღებს. ეჯიფი აიღებს თევშს ან გაშ-
ლის ხელსახოცს, შიგ ფულს ჩადებს და იტყვის ჩე აქდენი შემიწევია
და ვისაც რა გემეტებათ შეეწიეთ და პატივი ეცით ნეფესაო.

მეჯვარე ამ თევშს გადაცემს ერთ ვინმე ხუმარასა და ენამახვი-
ლიან პირს და ახლა ის წამოიღება და დაიძახებს: „ხალხო, შევეწიოთ
ჩვენ ნეფესო“. მას ყველანი შესაწევარს აწვდიან, ართმევენ ის და თან
ასე ოხუნჯობს:

„ფადიეთ გივას შვილი ალექსა აშბოპს, რომ მეტი უნდა მომეტანა, მაგრამ ხა-ჯი მოვიდა და ხუთი მანეთი და ერთი კაპიკი მომირთმევია“-ო. კორწილის ხალხი დაიძახებს: „ააშენოს ღმერთმან“.

„ქუშეთ ალექსის შვილმა მოგახსენათ, რომ კობრატივში ბევს ვეცადე ჯამაგიოს მომატებაზე, მაგრამ ვერა მივიღე რა, 15 მანეთი ავაცოცე და ნეფისათვის მომირთმევია“-ო. „ყასბალაი გუგუეთმ გლეხ-კომის ჩისქილი სულ მაგამ შექმა და ფულაც 30 მანეთი მოლტყეზებია და ნეფეს გვირგვინიონიონი აძიო ულოცავს“-ო.



სურ 14. ფანდურზე დაკვრა.


დაიძახებენ „ააშენოს ღმერთმან“.

„კალიეთ ვასებაი ბევრს ხარჯავს ოსებზე, ქისტებზე, რომ ჩვენზე არ გამოილაშქრონო, მაინც ათი მანეთით ეწევა“ და სხვა.

ამ შესაწევარს ნიუის ოჯახს გადაეკემენ. ამას მოჰყვება სოა-ჯიხ-ვებით“, შემოაქვთ ორი დიდი ერთმანეთზე ვერცხლის ძეწკვით გადაბმული ჯიხვის რტის ყანწი, რომელსაც „გამაზარე-გამაგორეს“ უწოდებენ. ტიკით ღვინოს სიძეს აკიდებენ. ერთ კაცს ტიკის, თავი უჭირავს და ღვინოს ყანწში ასხამს, ორი კი სავსე ყანწებს მაყარს

ჩამოურიგებს უფროს-უმცროსობის მიხედვით. ყველანი დაილოცებიან და თითო ყანწს გამოცლიან. ყანწზე უარის თქმა არ შეიძლება, მის დაცლას ყველას აძალებენ.

მეორე დღეს „გვირგვინის მოხდა“ იციან. ნეფე-პატარ-ძალს გაიყვანენ და საკლავის წინ დააყენებენ. მათ ნეფის დედის



სურ. 65. კარაჩხა.

ძმა დალოცავს: „ღმერთმა კეთილად დალოცოს თქვენი გვირგვინოს-ნობა, თქვენი ერთად შეყრა“-ო და სხვა. ამ სიტყვებით დედის ძმა საკლავს დაჰკლავს და ნეფე-პატარძალსაც გვირგვინს მოხდიან.

გვირგვინმოხდილ ნეფეს ქალები თავდალმა ჩამოჰკიდებენ და სა-ნამდის ეჯიფი მათ ფულს არ აჩუქებს, მანამდის ისე დაკიდებული უნდა იყოს.



შემდეგ ერთი ვინმე კარაჩხას გაიტაცებს, მაყრები მას გამოეკიდებიან და ვინც გაასწრებს კარაჩხას ის გამოსტაცებს. კარაჩხა იძარცვება და ტკბილულს იქვე შეეჭცევიან.

მესამე „ხინკლობის“ დღეა. ამ დღეს მაყრებს ქალები ქუდებს დატაცებენ და ვინც საჩუქარს (ფულით) გაიღებს მას ქუდს უკანვე უბრუნებენ. შემდეგ მაყრებს მოხარშულ ხინკალს დაუდგამენ. ხინკალი ქალებისაგან შეფასებულია და ვინც შეჭამს ფასიც უნდა გაილოს. ამ დღეს ქორწილი თავდება და სტუმრები და მაყრებიც მიდიან.

წინათ ნეფეს „სადედისძმაო“ საჩუქარი უნდა გაეღო თავისი შეძლების მიხედვით ფულით თუ საქონლით. პატარძალიც ასაჩუქრებდა დედამთილს—პერანგით, მამამთილს—ჩოხით, მაზლს—პაჭიკებით, მულს—თავსაკრავით და სხვა.

სალამოს ნეფე-პატარძალს „ბედრიანი“ ქალი ლოგინს გაუშლის, მას ეჯიფი ასაჩუქრებს. საწოლში ნეფეს ეჯიფი შეიყვანს და დააწვენს. შემდეგ კი ეჯიფი მას პატარძალს მიჰგვრის. ნეფე პატარძალს ბალიშის ქვეშ ხანჯალს ამოუდებენ, რომ მავნე და ეშმაკი არ მიუდგესო!

ქორწილის შემდეგ ერთი კვირა რომ გაივლის სიძეს „ფეხის ბრუნება“ ევალება. ის მცირე ძღვნით მიდის სიმამრისას, აქ რჩება ერთი დღე და მას კარგად უმასპინძლებიან.

ერთი თვე პატარძალი სახლიდან ვერ გავა და ოჯახში ის მსუბუქ სამუშაოს ასრულებს: ჰგვის, კერავს, რეცხავს და სხვა. მეორე თვეში პატარძლის „წყალზე გაყვანა“-ს აწყობენ. ამ მიზნით დედამთილი გამოაცხობს: ნახუქს, ხაჭაპურებს, ქადას და სხვა. დაიწვევენ თავიანთი გვარის უბნის ქალებსა და რძლებს, ისინი პატარძალს წყალზე წაიყვანენ. პატარძალს პირველად აკიდებენ მზითევში მოყოლილ და ჯერ უხმარ თულუხს. მივლენ წყაროზე. აქ დასხდებიან, სუფრას გაშლიან და პატარძალს დალოცავენ. შემდეგ პატარძალი წყლის ყველა ჭურჭლებს დააესებს, თავის თულუხს მხარზე შეიდგამს და შინ გამობრუნდებიან, ქალები თან მღერიან:

„ჩემო ხელის მომკიდეო,
ტაგანაი ამკიდეო,
თუ ტაგანას არ ამკიდებ
ხელი მაინც მომკიდეო“.

და სხვა. ამ დღიდან პატარძალი სამუშაოდ ოჯახიდანაც გადის: წყალს ეზიდება, წისქვილში მიდის, მკის, საქონელს უდგას და სხვა.

მეორე თვეში პატარძალს ძღვნით დედა ესტუმრება. ის თან მიუტანს პატარა სკივრს, რომელშიაც წვრილმანი ნივთებია ჩალაგებული: წინდები, ხელთათმანები, პაიჭები, ხონჯრები, ქისები და სხვა. გაშლიან სუფრას და თვისიანებს დაიპატიჟებენ. პატარძალი ამ წვრილმანებით ასაჩუქრებს იმ პირებს, ვისგან მან საპატარძლო საჩუქარი მიიღო.

„მთხოვართ მირეკა“-ს ქალის: მშობლები იხდიან. პატარძლის წაყვანის ორი თვის შემდეგ მისი მშობლები მთელ სოფელს დაიწვევენ. ამ დღეს დაპატიჟებენ ნეჟის მამა-ბიძებს და ორივე ოჯახი დაილოცება: „კეთილი იყოს ჩვენი მოკეთეობა, ერთად შაყრა, კაი ბედი და კაი დოვლათი ჩვენს ქალსა და თქვენს ვაჟსა“-ო და სხვა.

წყალზე გასვლის შემდეგ პატარძალი მართალია ყველა საოჯახო სამუშაოს ასრულებს, მაგრამ სანამ მას შვილი არ გაუჩნდება ქმარს ის აშკარად ვერ დაელაპარაკება, თუ არ ჩუმად. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს ვერ ეტყვიან — სირცხვილია. ცოლი ქმარს ეტყვის — კაცო. ქმარი ცოლს — დედაკაცო. პატარძალი ვერც შინაურებს მოიხსენიებს სახელით. უნდა სთქვას: ჩემო რძალო, ჩემო მულო, ჩემო მაზლო და სხვა. პატარძალმა უფროსებს უნდა მოემსახუროს. წინათ მამამთილს ის ფეხსა ბანდა და ხელებზე წყალს უსხამდა და უფროსების დაძინებამდის პატარძალს მოსვენება არ შეეძლო და სხვა.

პატარძალს პირველად ქმრის საგვარეულოს სალოცავ ხატში წაიყვანენ. თან რაიმე საწირი მიაქვთ და აქ სანთლებს აანთებენ და პატარძალს დეკანოზი დაამწყალობენ.

წინათ ხევში უძეო ოჯახს ბიძაშვილების ნებადაურთველად არ შეეძლო ზესიძის შემოყვანა. უმეტეს შემთხვევაში ზესიძის ოჯახში შემოყვანას ბიძაშვილები ეწინააღმდეგებოდნენ და მშობლებს ქალი ოჯახიდან უნდა გაესტუმრებია. მათი სიკვდილის შემდეგ კი ქონებას ძმათაშვილები ინაწილებდნენ.

ქვრივი ქალის გათხოვება წინათ ხევში მიღებული არ ყოფილა, მაგრამ თუ ახალგაზრდა ქალი დაქვრივდებოდა და ის ვინმეს მოეწონებოდა, მაშინ მთხოვარი სახლის ბანზე ავიდოდა, თოფს გაისროდა და დაიძახებდა, რომ ესა და ეს ქვრივი (დაასახელებდა) მე მომწონს და არავინ შეირთოსო. ამის შემდეგ ქვრივის შერთვა სხვას არ შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევდა მტრობასა და შურისძიებას.

მაგრამ ქვრივის შერთვისათვის საჭირო იყო „საქვრივოდ მისვლა“ პირველი ქმრის ოჯახში და მათი შემორიგება. ამ მიზნით

საპატარძლოდ გამხადებული ქვრივი ძღვენს ამახადებდა. ამ ძღვენზე ის ხარჯავდა მეორე საქმროს მიერ მოტანილი ურვათის ნახევარს: მოამზადებდა პურს, არაყს, ორ საკლავს და მიდიოდა პირველი ქმრის ოჯახში. მას თან მიჰყავდა მეორე საქმროს გვარიდან უხუცესი მამაკაცი. პირველი ქმრის ოჯახში გაიმართებოდა სადილი, სადაც მიცვალებულს შენდობას ეტყოდნენ და უპუროსი კაცების შუამავლობით აქ შერიგებაც ხდებოდა. ვინც ამ საქვრივს არ გადაიხდიდა მეორე ქმარს პირველი ქმრის ნათესავები საცემრად დასდევდნენ.

საყურადღებოა, რომ „ქვრივის დაძახების“ ამ ძველ წესისათვის ყურადღება მიუქცევია მთიულეთ-ხევის გამგებელს ვახტანგ ბატონიშვილს და როგორც მანვე ჩვეულება მას ის თავისი განჩინებით აუკრძალა:

„დ. ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძახებს, კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ. დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაჲს, რომელისაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იყოს, ის უნდა შეირთოს.“¹

მშობიარობა. ახლად შეუღლებული ნეჟე-პატარძლის მშობლები ახლა შვილის შეძენაზე ზრუნავენ და პატარძლის უშვილობასა და გაბერწებას მოხევეები ოჯახის უბედურებად თვლიან.

ვისაც ქალი უჩნდება და ვაჟი არ ებადება, ვაჟიანობას ის ეხვეწება ღუდასა და მნას ყოვლადწმინდას:

„ღუდას ყოვლად წმინდაო უშვილო შვილის მომცემლო ძე მომეც და გამახარო“.

ორსული ქალი თვეში რომ ჩადგება მას მოსალოდინებლად დედამასთან ისტუმრებენ. აქ ის რჩება ერთი თვე. თუ მშობიარობა დანიშნულ ვადას გადასცდა იტყვიან: ორსულმა ალბად ცხენის საბელზე გადაიარაო და ამიტომ მას ცხენის საბელზე ხელმეორედ გადაატარებენ, რომ დროზე გათავისუფლდეს.

მშობიარეს მიწაზე დაგებულ ჩალაზე ბებია მუხლისკვერა (დაჩოქილი) დააყენებს და თან ხელით იმაგრებს. თუ ქალს მშობიარობა გაუძნელდა მაშინ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ: ქმარს ჩოხის კალთით მდინარის წყალი მოაქვს და მშობიარეს ასმევენ. ვისაც გველ-ბაყაყი გაუყრია მას დაუძახებენ, ის აიღებს ქმარს, მშობიარეს დაჰკრავს და იტყვის:

¹ იხ. განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა. (ეფრ. კრებული 1971 წ. წ. II, გვ. 78—79).

„გველ ბაყაყი გაშიყრია დედაძენო გაიყარენით“ ო.

თუ მშობიარეს გული შეუწუხდა მას ბებია „პირის ნიავს დაყ-
რის“ ე. ი. შებერვით ეტყვის უშველე ყოვლადწმინდაო.

თუ ამან არ გაქრა, მაშინ ცუენის ენის ნაბან წყალს შეასმევენ.
ზოგჯერ აბზინდა ბალახის განონახარშ წვეწვად დაალევინებენ. ბო-
ლოს სალოცავ ხატებს შევედრებიან და მას სანთელ-საწირის მირთ-
მევას აღუთქვამენ. საწირის ფულს ბებია მშობიარეს თავზე შემოაფ-
ლებს და მას სახლის კარის თავზე შედებს. შემდეგ ფულს ხატში მი-
იტანენ. მშობიარეს თავქვეშ ხანჯალსა და ღუქარდს (მაკრატელი)
აბოუდებენ და სამი ოამე გაუქრობელი სანთელი უნთია, რომ ძვენე
და ავისული მას არ მიეკაროსო.

ახლად დაბადებულ ბავშვს პირველად ბებია აიყვანს. კიბს ბებია
მაკრატლით ან დანით მოჭრის და კანაფით განასკვავს. შემდეგ სისხ-
ლიან ჩალას და ბავშვის ბუდეს „შვილთ უკენაი“-ს იქვე მახ-
ლობლად მიწაში ჩაფლავენ.

ვაჟის დაბადებას შამას ახარებენ და ის მახარობელს ასაჩუქრებს.
მშობიარეს ჯალაბი უვლის. მას მარტო ვერ ტოვებენ, მაგრამ სანამ
მღვდელი ოჯახს არ განათლავს ხატში არავინ წავა, რადგა-
ნაც მათი რწმენით ხატი გაჯავრდება და ბავშვი გაანჩხლდებაო. წი-
ნათ ახლად მოლოგინებულს ერთი თვე მაინც არ შეეძლო სენაში შე-
სვლა და საქმობა და არც პურის გამოცობა.

ერთი კვირის შემდეგ ბავშვს აკვანში აწვენენ. აკვანი ჩვეულებ-
რივი ტიპისაა და ხშირად ხარატულიანია. აკვანი გამართულია სა-
ბან-გობანით (ნალი), აქვს საშარდე „სიბაქი“, არატახები და სხვა.


ავითვალის წინააღმდეგ აკვანზე ჩამოკიდებულია სხვა და სხვა
თილისმა-ჯადოები: „სათოლავი მძივი“, ღვინჭილი და ჯორი (ჯვა-
რი) „გუგუტის“ (გუგულის) მძივი, ძილის მოსავგრელად, „ზარავანდი“
(ყვითელი მძივია) სურავანდის წინააღმდეგ და სხვა.

თუ ბავშვი პატარა და სუსტი დაიბადა, ის რომ გაიზარდოს მას
საჩეჩლის ყუბარში სამჯერ გაატარებენ. წინათ დედაკაცს თუ
ქალები უჩნდებოდა და ბოლოს მას ვაჟი ეყოლებოდა, ამ ვაჟის წინ
დაბადებულ გოგოს ერბოში ფეხებს ჩაუყოფდნენ: „კარგი კოლისაო
მაგის მაჰდენო ვაჟი მეყოლაო“.

ერთი თვის შემდეგ მელოგინე თავის ქმრის სახლში ბრუნდება
და თუ ვაჟი ჰყავს აქ „ძეობას“ იხდიან. დაჰკლავენ საკლავს, და-
იწვევენ მოკეთეებს და სადილს გამართავენ, სადაც უფროსები ვაჟის
იღბლიანობაზე დაილოცებიან. თუ ვაჟი პირველია, მაშინ დეკეთლის

მოგებულ პირველ ზბოს „სიყრმის შვილის“ სასიმართელოდ დაჰკლავენ, რომ ის გაიზარდოსო.

წინათ ახლად შეძენილ ვაჟს სალოცავად პირველად ღე იის საგვარეულო ხატში წაიყვანდნენ სანთლით, საკლავით, გასტეხელით და აქ მას ღეჟანოზი ამწყალობნებდა. რაჰდენიმე თვე რომ გაივლის ახლა შეუდგებიან ნათლობის სამხადისს. ნათლიად ვინმე მოკეთეს ირჩევენ და მას მოაქვს ბავშვის შესახევეი ქსოვილი და სანათლიდედო საჩუქარი საკაბე თუ სხვა.



სურ. 66. აკვანი.

ბავშვს წინათ მღვდელი ნათლავდა საეკლესიო წესით და სახელსაც კალენდრის მიხედვით არკმევდნენ. ძაგრამ შინაურობაში ბავშვს მოხეურ სახელს ეძახდნენ. მოხევე მამაკაცის სახელებია: გაგაი, მაზიე, კობაი, ნინია, კაცხაი, სებაი, ჯახოტა, საბრალოი, ბზიკაი, ხომიზური, თორღაი, გელაი, გაბისაი, ჟუჟუ, შავხალა, ხანია, გუგუა, გოჩა, ჯარიანი, ლეგაი, გახუტა, თოლიკა, ალბეგა, ხუტუაი, კასანაი, თუზიაი, ჩეკიაი, ჯღუნა, ცოფურა, ხეთაგა, ქუშაი, თექთურმაზა, ღრუბელაი, თამაზაი, მამუკაი, ბიჭილა, გლაზაი, ხაზარა, ვარდუა, ქოთია, სასება, ციფო, ჯღუნა, ნანე, კაჭუა, ხუტუა და სხვა.

ქალის სახელები: ჯეჯელი, ციკო, თალაღი, მალიაი, ათი-
რაი, ძოდო, მახია, ციცკაი, ძუძუკო, მაყვალაი, თარუა, ძიძიკაი,
შაია, დუდუა, სეფაი, ვათიაი, ხოშიაი, საბედაი, ნინოყაი, მაგდანა,
თითიკო, მალია, მეწიაი, მალიკო, ყამარა, ბაბედო, ელისო, ალფა-
თო, ძიკაი, მეწყინაი და სხვა.

ბავშვის აღზრდა. ბავშვს დედის ძუძუთი ზრდიან და ზოგ-
ჯერ ოთხ წლამდის აწოვებენ. მამაკაცი ბავშვს ხელში ვერ აიყვანს,
არც აკვანს დაარწევს—სირცხვილიაო. ერთხელ ბავშვი ბანიდან თურმე
ვარდებოდა, მაგრამ მამამ სირცხვილით ხელი ვერ შეაშველა, ფეხი
დაადგა და ისე გადაარჩინა შვილი დალუპვასაო.

ბავშვის აღმზრდელი დედაა, რომელიც ალერსით არწევს აკვანს
და ტკბილ ნანას მას ასე უმღერს:

ნანინა ნანი გენაცვალე,
ნანას გეტყვი გესმოდეს,
თოლებს ძილი გესხმოდეს,
ანგელოზი გარწევდეს,
ტრედნი ნანას გეტყოდეს,
ნანინა ნანა ნანინა.
პირმა დაგლოცას ღვთისამ ნ,
ნაწილმა ბარძიმისამან,
ლომისამ თორმეწამემა,
პატრონმა არაგვისამა,
მა ბერმა წმ. სამებამ,
პატრონმა ხმელეთისამან,
ივანე ნათლისმცემელმან,
პატრონმა ბაღღებისამან
მა ბატრის წმ. გივარგიმ.
პატრონმა მგზავრებისამან.
ნანინა ნანა ნანინა,
ბაღჩაში ჩავალ ჩავიმღერი,
ხელთ მიჭირავ კალათაი,
ყოვილს იმაჩი მოვკრეფავ,
შენ კი გენაცვალე,
მაგი შავსა თოლებჩი,
ნანინა ნანა ნანინა.

ბავშვი თუ ავადმყოფობს მას ყელზე „ყოვილის ზოგო“-ს შე-
აბამენ. ამ მცენარის ნაყოფს წყალში ალბობენ და მის გამონაწურს
ბავშვს ასმევენ და ხელ-პირსაც დაბანენ. შემდეგ ზოგოს აშრობენ,
ტყავში გამოკერავენ სამკანქად (სამკუთხად) და ბავშვს ყელზე შეაბამენ.
ზოგჯერ ბავშვს „გულის ღონე ბა“ ემართება (სამთვარიო). მოხე-

ვეების რწმენით ამ დროს ბავშვს ანგელოზები ლახავენ ან ეშმაკები მტრობენო და ამის გასაგებად მკითხავთან ან ფითილის დამხვევ დედაკაცთან მიდიან. ბავშვის მძიმე ავადყოფობის დროს ბეთლემის ყოვლადწმინდას ეხვეწებიან.

ბავშვებს აქ თავიანთი გასართობები და სათამაშოებიც აქვთ:

ასნადედა. თამაშობს ორი ჯგუფი. ღებებიან პირისპირ.

პირველი იტყვის: ასნადედა.

მეორე — რადედა?

პირველი — მოვალ ნუ გეწყინება.

მეორე — მოდი და გიახლებ.

ორივე ჯგუფის ასნადედებზე ერთმანეთს ხელს ჩაჭიდებენ და ჯგუფები აჩით-იჩით გაიწევიან, ვინც ხელების გაწყვეტის დროს წაიქცევა, მას მიწაზე სამჯერ დაანარცხებენ.

წყარობანა. ბავშვები სიგრძეზე ორ რიგად სხდებიან. შუაში ორი ბავშვი ჩადგება. აიღებენ პატარა ბრტყელი ქვის ნატეხს და მას მეორე მხარეზე დაასველებენ. ერთი მხარისა მშრალია და მეორესი სველი, რომელსაც „სველა-ხმალას“ უწოდებენ. ქვას მაღლა აისვრიან და პირაღმა რომელ მხარეზე ქვა დაეარდება, მაგალითად სველით, ის მხარე ქვას აიღებს და მას თავის რიგის ბავშვებს კალთაში უმაღავს. მაშინ მეორე რიგის ზემდგომი მივა, ყველას შუბლზე სათითაოდ ხელს მიაღებს და ერთმათგანს ეტყვის ქვა ამოიღეო. თუ მას ქვა მართლაც აღმოაჩნდა, ართმევს და ქვას თავის რიგში გადამაღავს, თუ არადა ერთ-ერთს უკანა მჯდომს წინ გადმოსვამს და ქვის ძებნას ისევ განაგრძობს, საჩაპ რიგი ბავშვების გადაჯდომით დანიშნულ ადგილს მიაღწევს და აქ ყოყინით ყველანი ერთბაშად აიშლებიან.

ხმალ-კიტაობას (რიკტაფელა) თამაშობს ორი ჯგუფი. მიწაზე წრეს შემოხაზავენ. ერთი ჯგუფი წრეში დგება, მეორე კი წრის ხაზზე. წრეზე მდგომი ბურთს წრეში მდგომს ესვრის, თუ მოახვედრა დამარცხებული წრიდან გადის, თუ ააცდინა, მაშინ წრეზე მდგომი უნდა გავიდეს. ეს თამაში გრძელდება მანამ ორ დარჩენილში ერთი საბოლოოდ არ გაიმარჯვებს და ეს ჯგუფიც გამარჯვებულად ჩაითვლება.

მხარზე შასვენა. მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი ბურთს იღებს ჰაერში ისვრის, ორივე ჯგუფი ცდილობს ბურთი ჰაერში დაიჭიროს და ვინც მას დაიჭერს ის ბურთის მსროლელს მხარზე შეაჯდება. ბურთს ისევე ისვრიან. თუ მხარზე მჯდომმა ბურთი ახლა დაიჭირა, მაშინ მისი ჯგუფი მხარზე შეაჯდება დამარცხებულ ჯგუფს და მათ განსაზღვრულ მანძილამდის სირბილით მიიყვანს.

კოჭაობა, თხუისი (ხარის კოჭია) და სალაობა. დადებენ ქვას და მას ქაქის (ფიქალის) ნამტვრევს ესვრიან. რამდენსაც ის ქვას გაიტანს, მანძილს ნაბიჯით გაზომევენ (200—300 ნაბიჯი). ვინც მოიგებს ის წაგებულს ზურგზე შეაჯდება და მას განსაზღვრულ მანძილს გაატარებს.

მიწაქამია. ამას დანით თამაშობენ. მოთამაშე დანას ისე ხერხიანად ისვრის, რომ ის წვერით მიწაში ერჭობა, ვინც დანას ააცდენს ის წაგებულია და მან დანა ახლა სხვას უნდა გადაცეს და მიწაში ჩასმული ჩხირიც კბილებით უნდა ამოაძროს.

შაგლაბუოთა. ერთი მოთამაშეთაგანი კედელთან დადგება და კედელზე ბურთს დაჰყრავს. გასროლილ ბურთს მოთამაშენი ხელით იჭერენ. ვინც ბურთს დაიჭერა ის ცდილობს ბურთი კედელთან მდგომს თავზე მოახვედროს, მაგრამ კედელთან მდგომი თავს იცავს, რომ გამოსროლილი ბურთი აიცდინოს. თუ ბურთი აცდა, ახლა ბურთის გამსროლი კედელთან უნდა დადგეს და მას ბურთს სხვები ესვრიან.

დასტვენას ღამე თამაშობენ. ორი მოთამაშე „დედანი“ წინ დგებიან, სხვები მივლენ და შეეკითხებიან: „შუა გინდა, თუ ნაპარი? ვინც რომელს ირჩევს იმასთან ჯგუფდებიან. შემდეგ „სველა-ხმელას“ მაღლა ისვრიან და ამის მიხედვით ერთი მხარე პირველად იწყებს თამაშობას, წაჟღერ შორს და იქ იმალებიან. ამ დროს მეორე ჯგუფი ზურგშექცევით დგება, დამალულებიდან ერთი სამჯერ დაუსტვენს და ამის შემდეგ დაიწყება მათი ძებნა. დამალულებიდან ერთიც რომ იპოვონ მძებნელი ჯგუფი გამარჯვებულია და ახლა ეს ჯგუფი უნდა მიიმალოს.

ლახტი. შემოხაზევენ წრეს. ერთი ჯგუფი დგება წრეში, მეორე კი წრის გარეთ. წრეში დევს ქამარი და წრეში მდგომი ჯგუფი მას დარაჯობს, მეორე ჯგუფი კი ცდილობს ქამრის გატაცებას, მაგრამ ქამრის დარაჯი ყველას წიხლებით იგერიებს. ვისაც ის წიხლს მოახვედრებს ახლა დარაჯად ის უნდა ჩადგეს. ვინც ქამარს გაიტაცებს ის მაშინვე გარბის დანიშნულ მიჯნამდის. მღევარი ცდილობს მას ქამარი წაართვას და თუ წაართვებს მღევარი მას ქამრის ცემით მიჯნამდის მიჰყვება თუ არა და ქამრის გამტაცებელია გამარჯვებული და ქამარიც მას რჩება. შემდეგ წრეში სხვა ქამარს დებენ და თამაშიც ისევე გრძელდება.

ქუდმაურობა ისეთივე სათამაშოა, როგორც ლახტი, მხოლოდ ქამრის ნაცვლად წრეში ქუდს ხდებენ.

ულმალა იციან დიდ მარხვაში და მას შვიდი კენჭით თამაშობდნენ.

ცეგუაობა (ბზრიალა). ბზრიალას ხისას ან ძვლისაგან აკეთებენ და შოლტის ცემით ატრიალებენ.

მგლობა. შემოხაზვენ წრეს და შიგ ტყავის ქუდებს დააწყობენ, ვითომც ცხვრებია. იქვე დააყენებენ მეცხვარეს. ერთს მგელს ირჩევენ სხვები კი ზურგ შექცევით ქუდების ირგვლივ წვებიან და იძინებენ ვითომც მეცხვარის ძაღლებია. მგელი ცხვრებს ეპარება, მეცხვარე ამას იგებს და დაუსტვენს. მგელს ძაღლები გამოეკიდებიან. მგელი გარბის და თუ მან გატაცებული ქუდი მიჯნამდის მიიტანა ის გაძარჯვებულია. თუ გზაში დაიჭირეს, ქუდს წაართმევენ და მას ცემით გააგდებენ.

კორჯოხობა. აიღებენ ხის პატარა ბურთს „კორს“ და ერთი მოთამაშე მეორეს ზურგზე შეაჯდება. ზურგზე მჯდომს ხელში ჯოხი უჭირავს და კორსა ცეის. სდაც კორი გაგორდება მან ის ზურგით იქ უხდა წიუყვანოს. თუ კორს მან ჯოხი ააცდინა, ის ჩამოდის და ახლა მას ზურგზე მეორე შეაჯდება და თამაშიც ასე გრძელდება.

ქიკლაპური. ამოთხრიან ორმოს, რომლის პირად რამოდენიმე მოთამაშე დგება. ერთი მოთამაშე მიჯნაზე გავა და იქიდან კორს გამოისვრის, რომ ის ორმოში ჩაავდოს. ორმოსთან მდგომნი კი ხელში ჯოხებით ცდილობენ კორი ორმოს ააცდინონ.

თამაშობენ აგრეთვე: ქოთნობანას, ამირულას, კეტმა-ლულობას, ფეხზე გაფრენას, გოგონავ რას სტიოი?, ქვაქოას, დამალულობას და სხვა. აქ გავრცელებულია აგრეთვე კოქის თამაშიც (საყოფანა, კოტალი, ზებურჭური და სხვა). ვარჯიშობენ „ქვის გაწევაში“—სროლაში. იტიან ქვის „ხელით გაწევა“ და „შურდულით გაწევა“. ვარჯიშობენ, გაქცევასა, შეილდოსნობასა, ნიშანზე სროლასა და დოღში.

ტირილისა და გლოვის წესები. სიკოცხლის გამოსალმებისას მოხვევ სასოწარკვეთილებას ნაკლებად განიცდის, რადგანაც მისი რწმენით ადამიანის სიკვდილი მხოლოდ მოჩვენებითია და მიცვალებული საიქიოსა სიკოცხლეს განაგრძობსო. ამიტომ მოხვევ მწუხარებას მოთმინებით იტანს.

ვაჟაკსა მამაც გულადსა,
სიკვდილი ძილი ჰგონია,
შინ მოტირალის მოსვლი
თავის ქორწილი ჰგონია.
სამარისაკენ წაღება,
იქ თავის სახლი ჰგონია.

სამარეჩიგან ჩაწვალა,
თავის ლოგინი ჭგონია,
ხელზე გველისა მოხვევა,
ცოლისა მკლავი ჭგონია.
გულზე კიათა მოხვევა,
თავის ობლები ჭგონია.

ამასთანავე მოხვეე ცდილობს წინასწარ გაიგოს თავისი ბედის წერის — „მწერელი“-ს მოახლოვება, რომ მას მხად და უშიშრად შეხედეს. ამ მიზნით აქ იციან „ბანზე ჯდომა“. ამას აწყობენ, როდესაც სოფელში მიცვალებული ასვენია. რამდენიმე პირი საიდუმლოდ შეიყრება და შუალამისას მიცვალებულის სახლში ჩუმად შეპარებიან; მიცვალებულს ისინი ხელში სანთლებით სამჯერ შემოუვლიან, შემდეგ გავლენ და იმავე სახლის ბანზე დასხდებიან. ხმის ამოღება და განძრევა აქ არ შეიძლება. ბანზე წრეს შემოხაზავენ და ყუროსაკენ ზურგის შექცევით დასხდებიან. სრული სიჩუმე და მყუდროება უნდა სუფევდეს. გაივლის ხანი და ბანზე მჯდომთ რაღაც მზუილი და ხრიალი მოესმის. უცბად ბანზე გამოჩნდება თურმე შავ ნაბდიანი „მწერელი“. მწერელი ხელში შუბიან ჯოხით ბანზე დადგება, მაგრამ ფეხს წრეში არ შემოდგამსო. ის თავის ჯოხს დაეყუდება და იტყვის თუ წლის განმავლობაში სოფელში ვინ და რით მოკვდება: „ახა ვაგლახ ეს მოკვდება“-ო და მის სახელსაც იტყვის თურმე. თუ ამ დროს რომელიმე ბანზე მჯდომს შეეშინდა და გაინძრა მწერელი თურმე გაჯავრდება, არაჟერს იტყვის და უკანვე გაბრუნდებაო. არც მწერელის ჩვენებისა და მისი ნათქვამის გახმაურება შეიძლება და ყველაფერი ეს საიდუმლოდ უნდა იყოს დაცულიო. მწერელი წავა თუ არა, ბანზე მჯდომნი ჩუმად ჩამოვლენ და წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებენ მწერელის ნათქვამის შესრულებას.

ხალხის რწმენით მწერელის ბრძანება მუდამ სრულდება და განწირულიც დანიშნულ ვადაზე კვდებაო. ამიტომ მწერელის ნათქვამს ბანზე მჯდომნი ახალგაზრდას არ უმხელენ, მოხუცს კი შეიძლება უამბონ და ამიტომ ზოგჯერ მწერელის მიერ მიზანში ამოღებული მოხუცი სიკვდილის მოლოდინში გაიძახის: „დაღამდი და გათენდ ჩემო ყავლო გათავდი“-ო. თუ მწერელის მიერ დასახელებული პირი ვადაზე არ მოკვდა, მაშინ იტყვიან, ალბათ ბანზე მჯდომთ მწერელი სიტყვა კარგად ვერ გაუგონიათო.

სულთმაბრძოლ ადამიანს მოხვეეები ხელში ანთებულ სანთელს მიცემენ და თუ ის ახალგაზრდაა დიდი მწუხარება და ტირილი

იციან, მოხუცზე კი ნაკლებად ტირიან. მიცვალებული სამ დღემდის სახლში ასვენია. აქ მიცვალებულს „ღამემსხდომელნი“ უდგანან. ისინი ცხედარს უყარაულებენ, რომ მავნე არ შეიპაროს და მისი სული არ ჩაიბაროსო. მიცვალებულს დაბანენ, ახალ ტანისამოსს ჩააცვამენ და კუბოში ისე ჩაასვენებენ. ქალს შემოსავენ სადღედოფლო ტარავალით. მიცვალებულს თავთან დაუდგამენ სუფრას, რომელზედაც ალაგია: პური, ფლავი, კაპარი და სხვა.

ტირილის დღეს ნათესავ-მოკეთეებს დაიწვევენ და იმართება ქელები. თუ მარხვაა, ქელები სამარხია, ხსნილში კი საკლავებს ხოცავენ. ქელებში ქირისუფალს ნათესაობა და მოკეთეები ეწვევიან: პურით, არაყით, საკლავით და ფულით. დასაფლავების დღეს ტირილი იმართება. მამაკაცები ტირილში საზოგადოთ თავს იკავებენ. შესაძლებელია მამაკაცმა დაიტყოს ახალგაზრდა ძმა და მშობლები. ქალები კი ტირიან მოთქმით და ხმამაღლა, იკლავენ თმებს, თავზე იცემენ და თან გაიძახიან „ადაი“-„დადაი“. „ადაის“ თქმის დროს ხელებს შუბლზე იწყაბუნებენ „დადაი“-ს რომ იტყვიან მუხბზე.

წინათ ტირილის დროს მამაკაცებმა ხევში მათრახის ტყლაშუნი ოდენ თურმე. ამ სამეგლოვიარო მათრახს ოთხი „ფარჩუმი“ (ვასანძლული ფოჩი) ჰქონია და გარეთ კედელზე ყოფილა ჩამოკიდებული. მიცვალებულის გულითადი მეგობარი და ამხანაგი ამ მათრახს ჩამოიღებდა, საყელოს ღილებს გაიხსნიდა და მთელ კისერს გაიტეცვებდა. შემდეგ ერთ ხელს შუბლზე მიიდებდა და მეორე ხელით მათრახს თავზე ისე დაირტყამდა, რომ ფარჩუმი კისერზე ეცნა და ტყლაშუნი თურმე გაჰქონდა.

ზოგჯერ მათრახს ისე მაგრად ირტყამდნენ თურმე, რომ პირველ აკვრაშივე კისერი აიბურცებოდა და შემდეგ კი სისხლი დიოდაო. მათრახის ცემით შედიოდნენ მიცვალებულის ოჯახში და თან მოთქმდნენ: „ვაიმე, ჩემო მეგობარო, კარგო ვაეკაცო და სხვა“. მათან დედაკაცები ადაი-დადაის მოთქმით მისდევნო. ქალები კუბოს-ნ რჩებოდნენ, მამაკაცები კი უჯანვე ბრუნდებოდნენ და მათრახს ევ თავის ადგილას ჩამოჰკიდებდნენ. შემდეგ ამ მათრახს მეორე ტირალი აიღებდა. ძველი ტირილის ამგვარი წესი აღწერილია ლ. ყაზბეგის „ელგუჯაში“.

თუ მიცვალებული ახალგაზრდა ვაეკაცია მისი სახლის კარებთან შეკაზმული ცხენია მიბმული, უნაგირზე ჩამოკიდებულია: თოფი, ხმალი, ხანჯალი და მათრახი. ცხენზე გადაფარებულია შავი ქსოვილი (ფარჩა), ცხენი მიცვალებულს სამარის კარამდის მიჰყავდა.

როცა ცხედარს სახლიდან გამოასვენებენ ჯერ მას სოფლის მოედანზე დაასვენებენ და აქვე შეჯგუფდებიან თმაგაშლილი ქალები. ერთ მხარეზე ქალები დგებიან და მეორეზე მამაკაცები. კუბოსთან მივა „ხმით მატირალი“ დედაკაცი, ის ერთი ხელით მიცვლებულის ცხენს დაიჭერს, მეორე ხელით მიცვალბულის თოფზე დაეყრდნობა და ასე მოსთქვამს:

„ვიტიროთ ქალო და რძალო, ამას ტირილი არ ურჩება ზღვათოდენა ცრემლი უნდა, ბალახთოდენ მოტირალი.“

დაიცა თავლა (ცხენო) რა გაჩქარებს პატრონი ომჩი ემზადება, პატრონი მეხის პირისა.

ნალი გინდა ვასმალათი, ლურჯას ითხსავ ფეხზე გადაკმაზვა. ქოითკენ წახოლ ქორი გინდა, ზაითკენ წახოლ შავარდენი.

შე შავარდენისა ბუდეო, ნაქცევო ოქროსფერადა. თავჩაჩქანი ფეხსმედგარი ორივე შენ შავიხდება.

სამკლავე გინდა საფუხარი. ჯაჭვი პერანგად შავშვენდება, წელს ფრანგული მაგიხდება, ფრანგული ორკენვე მოლესილი მხარსიათა შეგშვენდება. სიათა პირით მეხს ისვრიდეს, სისხლისა ნაგუბარზედა გული არ შეგიშინდება.

ახლა მიბრძანდი ყანობსა, შუშანას აქებენ კიალასაო, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი გორისციხესა ავსაჯანშვილსა აქებენ იობასა და ლევანსა ჩვენის ხევის მკურნალებსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი სიონსა ოდიშვილს აქებენ ყარაჯასა დიდი სიონის შამზღვედელსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი აჩხოტსა ჩეჩის აქებენ გაზასა, პირდაპირ ომჩი გადამსვლელსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი ახალციხესა ფადიაურს აქებენ ცალხელსა ხეესურეთს ბეგრის მღებელსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი კარკუჩას აქებენ მარსაგიშვილ მარტიასა ვაჟკაცსა გულადიანსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი სნოსა შიოლას აქებენ ლუღუშაურსა დიდი ციხისა პატრონსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი ფანშეთსა თათაბაურს აქებენ ელგუჯასა, ლომვეფხის მომკვლელსა, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი ცდოსა გაგის აქებენ სასებასა დიდი ჯორ მედლის მიმღებსაო, შე სადარო იმათაო.

ახლა მიბრძანდი ყაზბეგსა ჩოფიკენთ გივარგის აქებენ. ხმალ და ხმალ ომჩი გამსვლელსა ყარსის ციხისა გამტეხსა, შე სადარო იმათაო.

აცა თავლა რა გატირებს პატრონი ომში ემზადება. ეს როსტომის ბეჭები ზარბაზნის ტყვიემ გიმგვრიეს, სისხლისა ნაგუბარზედა გულიც არ შავიშინდება, შე სადარო იმათაო.

ძინდორი გელის მოსავლელი, მინდორი გორბურიანი, იქა მოსულა ღვინის ტბანი შიგ ტრიალებენ ოქროს თასნი, შენის მამაპაპათ ნაშოვარი თქვენის გორის დაკლებულნი მიდიან შენდობას გეუნებიან, სომდიან არას აკლბდიან.

მშვიდობით გამარჯვებით, მე ამის მეტს ვერას გარგებ. ალალი იყოს ჩემი ცრემლი..

ამით ათავენს მოტირალი დედაკაცი, რომლის ყოველ წინადადებაზე დედაკაცი ზარს იტყვიან.

ამ ტირილის შემდეგ მიცვალბულს თავისი ცხენით სამაოვზე მიასვენებენ. აქ გაჭრილია საფლაკი, რომელიც ქაქის (ფიქალი) ქვით არის ამოგებული და აქვს ქვის ყუთის ფორმა. მიცვალბულს აქ დაასვენებენ და მას ყურებში, თვალბში და ნესტოებში საკმევლს უდებენ, რომ ქვემძრომი არ მიეკაროსო. შემდეგ კუბოს სამარეში ჩაუშვებენ, ზედ ფიქალ ქვებს მჭიდროდ დახურვენ და საუკუნო ხსენებით მას მიწას მიაყრიან. აქვე სტოვებენ მიცვალბულის სუფრიდან წამოღებულ სასმელ-საჭმელსაც. სამარეზე თოფის წამალსაც ააფეთქებენ, რომ მას მავნე და ნადირი არ გაეკაროსო.

მიცვალბულის ცხენს იქვე იარაღს მოხსნიან. ცხენის შეკაზმულობიდან სამგლოვიარო ფარჩას (საფენს) მოტირალ დედაკაცს მიცეპენ და ყველანი მიცვალბულის ოჯახში ბრუნდებიან, სადაც ქელები იმართება. გზაში ჭირისუფალს ასე მიუხანძმობენ:

„მეწყინა შენი შეწუხება. მიცვალბულმა (სახელს ეტყვიან) შენი ავი დღე წაიღოს. შენ კეთილი მოგანიჭოს. მაგისი ფეხი მძინე ქნას შენთვისაც, თქვენი სოფლისთვისაც. მაგისი დანაკლისი დღენი თქვენ შეგმატოთო“ და სხვა.

ქელებში მამაკაცები და დედაკაცი განცალკევებით სხდებიან. თუ სახლი პატარაა და ხალხს ვერ იტევს, მაშინ ქელებში ჯერ დედაკაცი დასხდებიან და შემდეგ კი მამაკაცი. ჩამოარიგებენ პურს, ყველს და ხორცს. სვამენ ღვინოს, არაყსა და კაპარს. სმის დროს დაილოცებიან და მიცვალბულს შენდობას ეტყვიან. წინათ ქელებში რაც საჭმელ-სასმელი რჩებოდა დედაკაციებს თან მიჰქონდათ თურმე და მიცვალბულის პატრონს ეს საგრძნობ ზარალს აყენებდა. დღეს ეს წესი უკვე მოსპობილია.

მიცვალბულის გასვენების მესამე დღეს „თოფის ხმის გატეხა“ იციან. თოფის გატეხა ერთ კვარას არ უნდა გადაცდეს,

რადგანაც თოფის სროლა და ნადირობა მთელ სოფელს ეკრძალება და ამით მოსახლეობა წუხდება. ამ წესის დარღვევა და დრომდის თოფის სროლა მიცვალებულის ოჯახისათვის სათაკილოა და ხშირად მტრობაზე გადადის. თოფის ხმის გატეხისათვის ქირისუფალმა „შესანდობარი“ უნდა გაიღოს, ფულით იქნება ეს თუ მიცვალებულის ტანისამოსით.

ამის მოსაწყობად რამოდენიმე პირს ირჩევენ. აიღებენ ფიცარს და ზედ ნიშანს დაუსვამენ. შემდეგ ამ ფიცარს სოფლის განაპირა ადგილზე დადგამენ და დაიწყება ნიშანზე სროლა. თოფს ესვრიან უფროს-უმცროსობის მიხედვით. ნიშანთან ერთი კაცი დგას და ფიცარზე გავლებულ სანიშნო ხაზს სინჯავს. თუ ტყვია ხაზს ზემოა მოხვედრილი, მაშინ ნიშანი მოგებულა და დაიძახებენ: გაუმარჯოს! ვინც პირველად ნიშანს მოარტყამს მას ყველაზე მეტი საჩუქარი ეძლევა, დანარჩენებს კი — ნაკლები. როდესაც ნიშანზე სროლა მორჩება, ქირისუფალი გამოიტანს პურ-ღვინოს და თოფის ხმის გამტეხთ მიაწოდებს. ყველანი იტყვიან მიცვალებულის შესანდობარს და შემდეგ დაიშლებიან.

მაგრამ მიცვალებულზე ზრუნვა ხევში ქელებით და თოფის ხმის გატეხით არ თავდება. ქირისუფალმა წლის განმავლობაში მიცვალებულს ხუთი „დღიისწელი“ (სუფრა) უნდა დაუდგას: შობას, ხორციელ შაბათს, აღდგომის ორშაბათს, ამაღლებას და მარიობას. ამ დღეებში მიცვალებულის სულის მოსაგონარი სუფრა იშლება, სადაც დაიწვევენ თავიანთ ნათესავ-მოკეთეებს და მიცვალებულის შესანდობარსა სვამენ. ეს დღიისწელი დიდ ხარჯებს იწვევდა და დღეს მას ნაკლებად ასრულებენ.

წინათ აგრეთვე ასრულებდნ „სთელის ჯორობას“ (წირვა), რომელიც მიცვალებულის პატრონს შემოდგომაზე უნდა გადაეხადა. ამ დღის სადილზე მთელი თემის მამაკაცები მიდიოდნ, ქალებს კი არ იწვევდნ. ამასთანავე ქვრივი ქალი წლამდის ხორცს არ შეჭამდა, თუ მამის სახლიდან „პატივს“ არ მოუტანდნ. ამიტომ ქვრივის დედ-მამა პური, არყით და საკლავით ქვრივის ოჯახში მიდიოდა, სადაც ქმრის ბიძაშვილები და მეზობლები თავს იყრიდნ. გაიშლებოდა სუფრა და მიცვალებულის შესანდობარის დაღვევისას ქვრივს ხორცს შეაჭმევდნ.

წლის თავზე წინათ მიცვალებულის პატრონი დოღს მართავდა. დოღის ადგილს უფროსი კაცები ირჩევდნ. ქირისუფალს დოღში გამოჰქონდა მიცვალებულის ტანისამოსი, ზოგჯერ მის ცხენსაც დაა-

ყენებდნენ. შემდეგ მხედრები დოლში გადიოდნენ და ვინც პირველი ბრუნდებოდა მას ყველაზე მეტი საჩუქარიც ეძლეოდა.

წლისთავზე მიცვალებულს საფლავზე ქვას ადებენ. ხევში სასაფლაო საგვარეულოა და თითოეულ გვარს თავისი სასაფლაო განცალკევებით აქვს გამართული. საფლავის ქვას აქვე ამზადებენ ანდუზიტის ქვისაგან. საფლავის ქვა იციან გრძელი და სადა. ამ ბოლო ხანებში აქ მატურებიც შემოსულა. ხშირად საფლავის ქვებზე გამოსახულია მიცვალებული მისი დამახასიათებელი ხელობით: მეცხვარე — ცხვრით არის გამოყვანილი, მეურმე — ურმით, მხედარი — ცხენით და სხვა. ზოგი საფლავის ქვა მოჩუქურთმებულია და ზედ ეპიტაფიებია ამოჭრილი.

მაგალითად, მატურის ერთ მხარეზე ზოგჯერ ასეთი წარწერაა ამოჭრილი:

„ვასილი გაგისძე ბაზალი 1922 წ. შობიდან 20 წ. ემ ძეგლით დაეფარე დედამ ნინომ“.

მის მეორე მხარეზე ამოჭრილია ასეთი ეპიტაფია:

უდროოდ დღენი მომისპო, ამაო სოფლის ცქერამა,
ვერ დამაბრუნა უკანა დედისა ცრემლის დენამა,
სამყოფლად ბნელი სამარე მარგინა ბედის წერამა,
მე გთხოვთ ძეგლისა მნახველნო, შენდობა მითხრათ ყველამა.

ამ საფლავის ქვებზე და მატურებზე ამოჭრილია მრავალი სევდიანი ლექსები, რომლის ზოგიერთ ნიმუშს ჩვენ აქ მოვიყვანთ:

სიკვდილსა გახარებიყო ერთ თვეზე გაგვიტანაო,
აბა ვის გაუგონია სხვა ძმობა ამისთანაო,
სამ ძმად შეეკარით სიცოცხლით პირობა ამისთანაო,
თუ ერთი მოკვდეს ჩვენგანი სხვა ორნიც გაეყვეთ თანაო.

ჩამოხურულა მყინვარი, ცა ღრუბლით მოხურულია,
ნისლეები სნოსვენ წამოვა იქ არის ცუდი ჟამია.
ძაუგიდანა¹ წამოვა ტელეგრამი ჩქარია,
შემიტყობინეთ მეზობლებს ჩქარ ჩამომავლონ თოლია.
დამტანჯა შავმა სიკვდილმა დღე დამაყენა მწარეო,
ჩემთვის იშურა სიცოცხლე შავს მიწას მოვეფარეო.
ლოდის ქვეშ დაღონებული დედის ერთი მკვდარიო,
ყველამ მითხარით შენდობა ვისაც შატკივით გულოო.

¹ კავკავი, დღეს ქალაქი ორჯონიკიძე

სიკვდილმა მომსპო დამკარგა დღე დამაყენა მტრულიო,
ჩამადღო ცივ სამარეში, ჩემზე იძია შურისო.
ამას გავაღებთ ბიძებო ჩემს ჯალაბს უგდეთ ყურისო,
დაეყარე კარ ჩაკეტილჩი საქმე მათ უყავ მტრულიო,
გებრალებოდეთ სუ ყველას უდროვოდა ვარ მკვდარია.

ტიალ ოხერმა სიკვდილმა გამიტილა სახლკარი,
უცბად მომისპო სიცოცხლე თავ დამეხურა ზამთარი.
დავსტოვე ჩემი პატრონი, დღე ღამე მუდამ მტირალი,
არავენა ყავს დამხმარე დარჩა ყოველმხრივ ტიალი.
ძნელი ყოფილა სიკვდილი ჩემსვით უწილო კაცისა,
არ ჰყავდეს თავის მემკვიდრე შემყურე იყოს ხალხისა.

მოგშორდი წუთისოფელო, ჩემო ძვირფასო მხარეო.
უდროოდ გამოგესალმე შენ მიწას მიეგბარეო.
მშობელი ჩემი ერთგულიც ვერაფრით გავაზარეო,
ნუ დამივიწყებთ ტოლებო, ნუ გამიდგებით გარეო.

ამავე ქვას მეორე გვერდზე აწერია:

ოდეს მერცხალი ჩემს ობოლს საფლავს,
ნაზი ჭიკჭიკით ზედ გადაუვლის,
გამაგებინებს ცივს სამარეში,
რომ ნიშანია ეს გაზაფხულის.
მაშინ ამას გთხოვთ ძმა მეგობრებო,
ჩემს მწვანე მდელოს გადმოხვიდოდეთ,
ნუ კი მაიწყენთ ამ ლოდის ახლო,
ტკბილ სიმღერასა შემოსძახოდეთ.

მოხევეების რწმენით მიცვალებულის სული ოჯახში სამი დღე
რჩება, შემდეგ „მ გ ე ბ ა რ ნ ი“ (სულეები) მოდიან თურმე და მიცვა-
ლებულის სული ღმერთთან მიჰყავთო. ღვთის ბრძანებით სულს ბეწ-
ვის ხიდზე გაატარებენ: ვინც მართალი და უცვოდველია ამ ხიდზე
უვნებლად გადის, ცოდვილი კი ხიდიდან ჯოჯოხეთში ვარდებო. ჯო-
ჯოხეთი მოხევეების წარმოდგენით კუპრის ალია. სამოთხე კი ტურფა
ბალიაო, სადაც ღვინო და სუფრა ულეველია და სულეებიც იქ ტაშ-
ფანდურით ერთობიანო.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ტირილისა და გლოვის
წესები და ადათები ხევში კარგა ხანია შეირყა და ჯერ ვიდევ 1901
წელს მოხევეებმა ივრძნეს გრძელი მამაპაპური ქელეხებისა და ქორ-
წილების მავნებლობა, შეიყარნენ თემები და გამოიტანეს თავიანთი
განაჩენი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ დადგენილების ტექსტს, სიდაც ჩა-
მოთვლილია ქორწილისა და ქელეხის შეცვლილი წესები:

„წარსული მარტის პირველს სოფ. სტეფანწმინდაში მთლად ხევის ყრილობა მოხდა, საგნად ქორწილებისა და ქელეხების შემცირება ჰქონდათ, ვინ იცის, კიდევ სადამდის გასტანდა ეს ხალხის ცუდ-უბრალოდ გამალატაკებელი და დამლუპავი ჩვეულება, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ მოხვევითათვის მუშაობა და ქირის ზიდვა არ მოსპობილიყო. დავინახეთ მოხვევებმა, რომ ამ ვიწრო ხევში მომწყვდეთ ულთ გამოჩინა აღარსაიდანა გვაქვს და უშოვნელობა-უქონლობამ „რჯულთუმტკიცისი ჩვეულების“ შეცვლა გვაფიქრებინა... საქიროა ამისათვის ეს ძველი ჩვეულება და წესი ერთხელ კიდევ გაუმეოროთ მკითხველს. დავიწყეთ ქალის გათხოვებიდან:

1. ქალს რომ გაათხოვებენ სასიძო ქალის პატრონს „ნიშანს“ 5-15 მან. აძლევდა და ამავე დღეს ვაჟის პატრონიც და ქალისაცა თავ-თავის სახლში დიდის ხარჯით „კარგს“ ნიშნობას იხდიდენ. ეხლა კი, ახალ წესით, ნიშანი 3 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს და არაფერი ხარჯი არ უნდა გასწიონ არც ქალის პატრონმა და არც ვაჟისამ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადაიხდიან, რაიცა ხალხის საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

2. დანიშნიდგან მე-2-6 თვეზედ სიძე მოვიდოდა ცოლეურთასა და თან 3-6 ვედრო არაყს მოიტანდა, 100-200 წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარს ხმიადასა (პურს) და $1\frac{1}{2}$ ფუთს ყველს. ქალის პატრონიც დაიპატიებდა ყველა მეზობლებს, მოკეთებებს, სიძისაგან მიტანილი სასმელ-საჭმელით პატივსა სცემდა და ახალ დანიშნულთ დაალოცვინებდა. ამას „სასიძოდ მოსვლა“ ჰქვია. ახალის წესით, სასიძოდ სიძემ მხოლოდ ერთი ვედრო არაყი უნდა მოიტანოს, 30 პური და 10 გირ. ყველი, თუ მეტი მოიტანა, საზოგადოებისავე სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადაიხდის.

3. ქალის პატრონს ურვათში 80-200 მან. აძლევდნენ; ეხლა კი 50 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს ქალში და 25 მან. ნაქვრივალში. ვინც მეტს ურვათს გაიღებს ან აიღებს, 50 მან. ჯარიმას გადაიხდის (ყველა ჯარიმა ხალხის (მოხვევების) სასარგებლოდ იქნება გადადებული).

4. ჩვეულებად იყო ჩვენში, ვინც ქვრივს შეირთავდა, ძველნი ქმრეულნი ქვრივისანნი შემრთველს უმტრობდნენ და მტრობა ზოგჯერ სიკვდილით ბოლოვდებოდა. ახალის წესით, ეს ჩვეულება სრულიად უნდა მოსპობილ იქნას და დამრღვევი ამ წესისა დაჯარიმდეს 10 მან. და გარდა ამისა დასასჯელად გადაეცეს სასამართლოს.

5. წინათ დანიშნულთაგანი, ქალი ან ვაჟი თუ ჯვრის-წერამდე ერთი მეორეს დაიწუნებდენ, მძახლებს შორის დიდი მტრობა და შფოთი ჩამოვარდებოდა. ახალის წესით, თუ ერთმა მეორე დაიწუნა არა საყურადღებო მიზეზით, დამწუნებულმა 50 მან. უნდა გადაიხადოს დაწუნებულის სასარგებლოდ და 50 მან. ჯარიმა სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ და ამით საქმე საბოლოოდ გათავდება.

6. ვინც ძველი წესით იყენენ დანიშნულნი ამ პირობის დადგენამდე, თუ მათ ჯვარი არ დაუწერიათ, ურვათი და ყოველგვარი ხარჯი ახლის წესით უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში 50 მან დაჯარიმდებიან.

7. ქალის პატრონს 'წინათ ვალად ედო ქალის' გათხოვებიდან ერთი-ორი თვის შემდეგ თავისი მეზობლები, კეთილის მყოფლები და ორი საპატიო კაცი მოეწვია თავისს მძახალთაგანი, დაეკლა ცხვარი, 2-4 ვედრო არაყი ეყიდნა, ან შიგ გამოეხადა. ამას ჰქვია "მთხოვართ მირეკა". მთხოვართ მირეკა ეხლა სრულიად მოსპო ხალხმა და ვინც კიდევ გაბედავს 10 მან. ჯარიმა გადაჰდება.

8. ცოლეურნი მოვალენი იყვნენ სიძისათვის ერთი ხელი ტანისამოსი შეეკერათ, ხოლო სიძე მამან. დაასაჩუქრებდა სიდედრს. ახალი წესით, არც სიძეს უნდა შეუკერონ ტანისამოსი და აღარც სიძემ უნდა დაასაჩუქროს სიდედრი. თუ არ დაიშალეს ორივენი ხუთ-ხუთი მანეთით დაჯარიმდებიან.

9. ყველა მოკეთე კაციც და დედაკაციც ვალდებული იყო თავისს ნათესავის საცოლე ჯვარის დაწერამდე 20 კაპ. — 5 მან. დაესაჩუქრებინა ან ფულით, ან ტანისამოსით. დასაჩუქრებულს ქალსაც უთუოდ საჩუქრადვე უნდა მიეტანა როცა მიიყვანდნენ ყველა დამსაჩუქრებლებისათვის ზოგისათვის ჩოხა, ზოგისათვის ახალუხი, წულა-მესტი, ქისა, საპერანგე და სხვა ამისთანები. ვაი, იმ სარძლოს, რომელიც საჩუქრისათვის საჩუქარს წესიერად ვერ შეუფერებდა. სამდურავი დედოფლობას ცუდად ჩაუმწარდებოდა — „ორი მანეთით დავნიშნე (დავასაჩუქრე) და ქისა მომიტანაო“ და სხვა. ამასობაში პატივისცემა და საჩუქრები მოკეთეთა შორის მტრობასა და უსიამოვნობასა ჰბადებდენ. ამიტომ საჩუქრები მოსპეს და, თუ ვინმე კიდევ დაასაჩუქრებს, დამსაჩუქრებელიც და დასაჩუქრებულიც ხუთ-ხუთ მანეთს ჯარიმას გადაიხდიან.

10. ქორწილის წინა დღეს მეფე მოვალე იყო თავისს ცოლეურთათვის 2 ცხვარი და არაყი მიეცა, არა ნაკლებ ერთი ვედროსი. ხოლო ქალის პატრონს ეს არაყი და საკლავები ქალის ქორწილში უნდა დაეხარჯა. ქალის პატრონს თავისი შინაური არაყი რომ უფრო

ცოტა დაჰხარჯოდა, მეფეს ებარებოდა: — არაყი ცოტა მოგიტანიაო. და ეს უბრალო საქმეც ზოგჯერ ერთ აურზაურს და დავიდარაბას იწვევდა ხოლმე. ამის ასაცილებლად ახალს განაჩენში არაყი სრულიად მოჰსპეს.

11. მაყრებში ხშირად მეფესა და დედოფალს იმდენნი გაჰყვებოდნენ ხოლმე, რომ რიცხვით ქორწილში მოწვეულს ხალხს სკარბობდნენ და ზოგიერთს შეუძლო ოჯახიშვილს მოულოდნელად ამდენი მაყრების თავდასხმა და გამასპინძლება უკანასკნელს ღღეში აგდებდა. ახალის წესით, მაყრების მეფის მხრივ მეფე-ეჯიფეს გარდა ხუთის მეტი არ შეიძლება და დედოფლის მხრივაც ამდენივე. პირის გამტეხს ჯარიმათ 5 მან. გადახდება სოფლის საზოგადოებისავე სასარგებლოდ.

12. მეჯვარე ვალდებული იყო ჯვრის მქორე ღღეს ნეფე, მაყრები და სტუმრები თავისს სახლში დაეპატიუნა და კარგად გამასპინძლებოდა. დედოფალიც ვალდებული იყო მეჯვარისათვის მამის სახლიდგან საჩუქრად ერთი ბუმბულის ბალიში, ერთი ქვეშსაგები ნაბადი, წულა-მესტები და ახალუხი ან ჩოხა მიეტანა. ყრილობის დადგენილებით, მეჯვარეცა და დედოფალიც ამ ხარჯებისგან თავისუფალნი არიან. თუ რომელიმე ეს გადაწყვეტილება დაარღვია 10 მანეთით დაჯარიმდება.)

ეს გახლავთ ნიშნობა-ქორწილი. ახლა მოგახსენებთ თუ რა ცვლილება შემოიღეს ქელებში:

1. ქელებში კავკასიდან მოქონდათ გამომცხვარი პური (ლავაში), მე-2 ხარისხისა 20-80 ფუთი; დახოცავდნენ 2-10 ცხვარს, თუ ცხვარი არ იშოვებოდა, ერთს ან ორს ძროხას, თუ არა და ხარს. ხარის დაკვლა ქელებში უფრო სახელი იყო; ამასთანავე ყველი 1-5 ფუთი; ღვინო და არაყი რამდენის დალევასაც კი ხალხი შეიძლება, და ადვილად წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ცოცხლებიც მკვდართან ერთად იმარხებოდნენ. ახალს განაჩენში ასე გახლავთ: პური უთუოდ შინ გამომცხვარი უნდა იყოს. ხუთ ფუთზე მეტი არ შეიძლება და ნაკლებისა ნება აქვთ. საკლავი (ცხვარი ან ხბო) 1-3 უნდა დაკლან. თუ წვრილი საკლავი ვერ იშოვება იმ შემთხვევაში ძროხის დაკვლაც შეუძლიან. სათრობი სასმელი ქელებში სასტიკად აკრძალულია, თვით მესაფლავეებისათვისაც კი, რომლებისათვის უეჭველად საჭირო იყო გაყინული მიწის თხრის დროს ზამთარში, ქარ-ბუქში. მარხვაში პურს გარდა მარტო ლობიო უნდა იხმარონ; თუ ლობიო არ იშოვება, მაშინ ბრინჯი, ხოლო ერთად ორი და სამი ფერი სამარხვო საქმელი აკრძალულია. თუ გარდაცვლილი შვიდ წლისაზე



მეტი არ არის 2 ფუთი ფქვილის პური უნდა გამოაცხონ, ერთი ცხვარი დაჰკლან და რომლისამე დღესასწაულში ერთი „დლიაისწყელი“ (სუფრა) დაუდგან. მეტი ხარჯის გაწევა არავის შეუძლიან, ხოლო ნაკლებისა ყველას ნება აქვს. ვინც მეტს ხარჯს იზამს 50 მან. ჯარიმას გადაიხდის.

2. თუ ძალიან ახლო ნათესავი და მოკეთე არ არის, ან შემწევი ქელებში დასწრება არ შეუძლიან არც კაცსა და არც დედაკაცსა; წინააღმდეგს შემთხვევაში 3 მან. ჯარიმა წაერთმევა.

3. წინად წესად იყო, რაც სუფრაზე საკმელი იქნებოდა დედაკაცებს მთლად შინ უნდა წაეღოთ, ეხლა კი აკრძალულია და თუ ვისმეს საკმლის წაღება შეამჩნიეს 3 მან. ჯარიმა წაერთმევა. ამ წესების დასაცველად ყველა სოფლებში კაცები არიან დანიშნულნი, ამ კაცებმა მამასახლისს უნდა შეატყობინონ და მამასახლისი პირდაპირ ვალდებულია ხევის გადაწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანოს.

4. აქამდის ქირისუფალი ქელებს გარდა „დლიაისწყელს“ (სუფრას) სხვას სდგამდა წლის დამლევამდის. ეხლა კი მხოლოდ სამ სუფრალა უნდა დასდგას; ვინც მეტს იზამს 50 მან. ჯარიმა წაერთმევა.

5. „ხორცის კმევა“ ჩვეულებად იყო დედაკაცი რომ დაქვრივდებოდა რამდენსამე თვეს და ზოგჯერ წელსაც ხორცს აღარ სჭამდა. შემდეგ დაქვრივებულის მამის სახლიდან წავიდოდნენ დაქვრივებულ ქალის ოჯახში თან წაიღებდნენ რამოდენიმე ვედრო არაყს, ცხვარს, 40-120 პურსა და 20 გირვანქა ყველს. მოიწვევდნენ მეზობლებსა და ბიძაშვილებს დაქვრივებული ქალის ქმრისას და კარგათ გაუმასპინძლებოდნენ. ჩამოარიგებდნენ პატივისმცემელის სადღეგრძელოს, მკვდრის შესანდობარსა და ახლად დაქვრივებულსაც ხორცით მარხულობას გაახსენებდნენ. აი, ამას ერქვა „ხორცის კმევა“. ხორცის კმევა ხალხმა მოსპო და თუ ვინმემ კიდევ გაბედა 10 მან. დაჯარიმდება.

6. „საქვრივოდ მისვლა“ როცა ქვრივი სხვაზე გათხოვდება ძველი ქმრეულნი მის შემრთველს მტრად გადაეკიდებოდნენ. ეს მტრობა იმ დრომდის არ მოისპობოდა, ვიდრე ქვრივის წინანდელ ქმრეულის საგვარეულოში საპატიო კაცთაგანი არავინ გარდაიცვლებოდა. მაშინ კი მათი ნაქვრივალი რამდენსამე ვედრო არაყს მოიტანდა 40-120 პურს, 20-40 გირ. ყველსა და ზოგჯერ ფულსაც. იტირებდა მკვდარს, ძველის ოჯახის წევრებს შეურიგდებოდა და მოუსამძიმრებდა. ამასაც ძველნი ქმრეულნი 5 მანეთით დაასაჩუქრებდნენ. ამ დღიდან მათ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა. აი ეს იყო „საქვრივოდ მისვლა“. საქვრივოდ მისვლაში ნაქვრივალმა ეხლა უნდა



მიიტანოს არა უმეტეს ერთი ვედრო არაყისა, 30 პურისა და 10 გირ. ყველისა. მეტის მიმტანი 10 მან. დაჯარიმდება.

7. ჩვენში წესად არის მიღებული, თუ სხვა სოფელელი გარდაიცვალა სოფელში, ქირისუფალს მიცვალებულის წაღების დროს სოფელმა პატივისცემა და შემწეობა უნდა აღმოუჩინოს. ეს პატივისცემა უფრო ხშირად სასმლით ხდებოდა ხოლმე, რისაც ქირისუფალს არაფერი ემადლებოდა. ყრილობის განაჩენის ძალით, სასმლით პატივისცემა მოისპო და მის მაგიერად ფულით უნდა შეეწივნენ. თუ ვინმე სასმლითა სცემს პატივს 5 მან. დაჯარიმდება.

8. კაცის გარდაცვლის შემდეგ (დედაკაცზე ეს წესი არ არის) მეოთხე-მეხუთე დღეს ქირისუფალი თაფის სოფელს მოუძახებს, ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლიან, გავლენ სოფლის განაპირად, დააყენებენ 200 ბიჯის მანძილზედ ხელის ტოლა მრგვალს ფიცარის ნიშანს, რომელსაც თეთრი ქალაღი აქვს გადაკრული და უფროსობით რიგზედ თოფის სროლას დაიწყებენ. ვინც პირველად ნიშანს ტყვიას მოარტყამს, ქირისუფლისაგან იქვე ერთ მან. მიიღებს საჩუქრად, მეორედ მომრტყმელი 60 კაპ., მესამე 40 კაპ. სამჯერ რომ მოარტყამენ სროლა გათავდება. შემდეგ ქირისუფალი ხალხს სასმელს გამოუტანს 4-6 ყანწს არაყს ყველას დაალევიან და მიცვალებულისათვის „შენდობა“-ს ათქმევენ. ამას „თოფის ხმის გატება“ ჰქვია და ვიდრე თოფის ხმას არ გაატეხინებს ქირისუფალი, სოფელში თოფს ვერავინ გაისვრის და ვერც სანადიროთ ვინმე წავა, დიდი სირცხვილია. თოფის ხმას ყველა უთუოდ გაატეხინებს, თუნდაც სულ ღარიბი ოჯახის შვილი იყოს; ხოლო ვინც უფრო შეძლებულია ის ერთ ხელს ახალს ტანისამოსს გადასდებს ფულის მაგიერად და ვინც ნიშანს ტყვიას პირველად მოარტყამს, ტანისამოსში რომელი ნაჭე რიც მოსწონს იმას აიღებს, მეორე მომრტყმელიც აგრეთვე დანარჩენებიდან აარჩევს და ასე მიჰყვებიან ვიდრე თოფის სროლით ტანისამოსს სრულიად არ აიღებენ. ტანისამოსი უნდა იყოს: ჩოხა, ახალუხი, ნაბადი, ქუდი, ყაბალახი, წულა-მესტები, შარვალი და ერთი ხელი საცვალი. ამას ჰქვია „შესანდობარი“. შესანდობის ტანისამოსს საუკეთესო ხელოსანს აკერებენ ყოველთვის. ეს წესი ხალხმა არ მოშალა და არც შესცვალა, რადგანაც ხალხის თოფის სროლაში გაწვრთნისათვის იგი საუკეთესო საშუალებაა.

აი ყველა ეს ზემოთ დასახელებული საგნები 1-ს მარტს იქმნა განხილული 1901 წელს მოხვევთა ყრილობისაგან, რომელთა განაჩენზედ ყველამ ხელი მოაწერა¹


¹ ს. შ ა დ უ რ ი, წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია“ 1901 წ. № 134 და 135.

7. ცრუმორწმუნეობა.

ცრუმორწმუნეობის ნაშთების შეკრებას და მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ადამიანის რწმენისა და მისი სოციალური ყოფის გასარკვევად.

ამ მხრივ ჩვენი ხევი საყურადღებო მასალის შემცველია და მოხვედრები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ცრუმორწმუნეობის მავნე ჩვევებისაგან. ამ ჩვევების აღწერას ჩვენ აქ ახალწლის მიგებებით ვიწყებთ.

საახალწლოდ მოხვედრები ჯერ კიდევ „ყორბოულობა“ ღამეს (24 დეკემბერს) ორ დიდ პურს აცხობენ: ერთი საკვლევი და მას წმ. სამების პურს უწოდებენ, მეორე „ყორბოულია“, ან ქრისტეს პური. ყორბოულს აქვს თავისი „საბეჭდი ჯვარი“, რომელიც



სურ. 67. ყორბოულის საბეჭდი ჯვარი.

ზედვეა გამოსახული. აგრეთვე აცხობენ „თესლის კვერს“ და იმდენ ბედის კვერს, რამდენიც ოჯახის წევრია. ბედის კვერს ზედ ჯვარს უკეთებენ და გამოცხობისას ვისი კვერიც ამოიწევა ის ბედნიერი იქნებაო. ყორბოულსა და თევზს იმავე ღამეს შეჭამენ, საკვლევსა და ბედის კვერებს ახალწლისათვის ინახავენ, თესლის კვერს კი საგაზაფხულო თესვამდის შეინახავენ.

ახალწელიწადს დილა ადრიან ოჯახის უფროსი დგება და ამ საკვლევი პურიტ გარედ გადის. აქ ის დაილოცება და საკვლევ პურს სახლში შემოაგორებს და იტყვის:

„შამოვდგი ფეხი გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი კოლი ანგელოზისა, მრავალი ახალი წელი მაგივათ მშვი-

დობისა, სიხარულისა, გამრავლებისა, კარგად ყოფნისა და სხვა“. სახლში შემოსვლისას უფროსი ამ პურს გატეხს და ყველას შეაქმევს. შემდეგ ცეცხლს ანთებენ. შემოაქვთ „ბებერა“ (შეშა) და იტყვიან: ბებერა მობრძანდო.

რას ბრძანებს?

თქვენს მშვიდობას, თქვენს გამრავლებას, თქვენს სიხარულს და სხვა.

ახლა შემოდის სახლის მეკვლე, რომელსაც უბანი ირჩევს. ის შემოდის პურიტა და ტკბილეულით; დაილოცება და თან საქონელსა და ჯალაბს მჯილით ხორბალს ან ქერს გადააპნევს, რომ ამდენი წულადი და საქონელი შეგემატოთო. მეკვლეს ასაჩუქრებენ ტკბილეულითა და ფულით.

ახალწელთან¹ აქ ასეთი ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული: ამ დღეს ოჯახში წყალს არ დაღვრიან, რომ რძის დაღვრა არ დაგვეკვებოსო. დედაკაცები ციგით ცურაობენ, წელი გაგვიმაგრდებაო. არც შეშას გატეხენ, რომ გუთანის და ცელი არ გაგვიტყდესო. ამ დღეს ოჯახიდან არაფრის განათხოვრება და გაცემა არ შეიძლება, ბარაქა გამოილევაო. ახალწელიწადს ღორის ტუჩს სახლის კარის ბჭეზე მიაკრავენ, რომ ოჯახში მავნე და ეშმაკი არ შევიდესო და სხვა.

ახალწელიწადს ხევში განსაკუთრებული სამზადისით გერგეტელები და სტეფანწმინდელები ეგებებიან. მათი დეკანოზები ახალწლის ღამეს წმ. სამების ეკლესიაში ავლენ და იქ რჩებიან, გათენებისას დეკანოზები ხატებით და დროშებით ჯერ გერგეტში ჩამოვლენ და აქ „ნაბულთ ბანზე“ დადგებიან და პირველად ახალწელიწადს გერგეტელებს მიულოცავენ:

„გერგეტელნო, ახალწელიწად დილას გილოცავთ წმ. სამება კეთილ მშვიდობიანიო“. ხალხი თავს იყრის და აქ დეკანოზები ხალხის დამწყალობნებას შეუდგებიან.

პირველად ამწყალობნებენ ხუროთის ელ-ყანობელს (ბაჩხიძეს), რომელსაც წმ. სამების საძირკველი გაუთხრიაო და სულთა იმათსა შეუნდევსო და დამრჩომთ წყალობდესო.

ხალხი დაიძახებს: ამენ შენს მადლსა!

შემდეგ დეკანოზები ჩამოთვლიან იმათ სახელებს, ვისაც სამებისათვის რაიმე საწირი მიუროთმევია: ხატი, ზარი, ღროშა და სხვა. დე-

¹ სერ. შაკალათია. ახალწელიწადი საქართველოში, ტფილისი, 1927 წ.

კანოზი მათ სათითაოდ ამწყალობნებს. ხალხი კი გაიძახის, ამენ შენს მადლსა!

ამას მიჰყვება წმ. სამების იჯარის გამღებლებისა და მასპინძლების დამწყალობნება მათი გვარების ჩამოთვლით: ყანოზში წმ. სამების მასპინძელი — ტატიშვილი, ფხელშეში — ელოშვილი, გორისციხეში — ჩქარეული, სივანს — კვირტიშვილი და სხვა. სულთა იმათ შეუწდევს და დამშთოს იმათსა წყალობდეს.

ხალხი: ამენ შენს მადლსა!

შემდეგ დეკანოზები გადადიან იმათ დამწყალობნებაზე, ვინც წმ. სამებას სისხლი აპატია: ყარაჯელთ და ოდიელთ დიდი მტრობა და უბედურება ჰქონდათ ერთმანეთში, შვიდი კაცი დახოცილა. ბოლოს თემის ხალხი შეყრილა, მაგრამ ისინი ვერ შეურიგებია. მერმე გერგეტელებისათვის მიუმართავთ და მათ წმ. სამებისათვის სისხლი უპატიებიათ და მისთვის თასებიც შეუწირავთ. სულთა იმათ შეუწდევს და დამრჩომთ იმათსა წყალობდესო.

ხალხი: ამენ შენს მადლსა!

ფერისცვალობა ღღეს გერგეტს ირჯიულთ ციხე წიკლოურმა გატეხა და თემი ურჯულოებისაგან იხსნა, სულთა იმათ შეუწდევს და დამრჩომთ იმათსა წყალობდესო.

ხალხი: ამენ შენს მადლსა!

ვახტანგ მეფეს დარიალის ალებაში რჩევა თადოშვილმა მისცა. მეფემ ამით ხოჯა დაამარცხა და დარიალი დაიპყრო, სულსა იმისა შეუწდეს, დამრჩოს კი წყალობდეს!

ხალხი: ამენ შენს მადლსა!

როდესაც კარგად ინათლებს დეკანოზებთან მივლენ მიცვალებულთა პატრონები, მათ თან მიაქვთ „ხილიანი“ (ხილი და ტკბილეული) და „კუტაპები“ (ერბოში მომწვარი — გულიანი კვერები). დეკანოზი იღებს ამ საწირს, მიცვალებულზე დაილოცება, მას შენდობას ეტყვის და შემდეგ კვერებს ბანიდან გადმოჰყრის. ძირს მდგომი ხალხი ამ კვერებსა და ხილეულს იტაცებს და მიცვალებულს შენდობას ეტყვის.

მზის ამოსვლისას დეკანოზები ხატებით ბანიდან ჩამოვლენ და „დიდების“ მღერით ყაზბეგისაკენ წაელენ, რომ იქ ახალი წელიწადი პირველად ხეთაგურებს მიულოცონ. გერგეტელები დეკანოზებს თავიანთ მიჯნამდის მიჰყვებიან, სადაც წმ. სამების ლოდია დაყუდებული (თერგის მახლობლად) და უკანვე გამობრუნდებიან. დეკანოზები კი ხატ-დროშებით თერგზე გავლენ და აქ ყაზბეგიდან მათ მუხლის მოყრით მხოლოდ ხეთაგურები მიეგებებიან. შემდეგ დეკანოზები ხე-

თაგენტ უბანში მიდიან, სადაც წმ. სამების საბრძანისი ნიშია აგებული. ხატებს აქ დაასვენებენ. ნიშის თაოზე გაშლიან ვახტანგ VI მიერ იესე ხეთაგურისადმი ბოძებულ სიგელს და პირველად ახალწელიწადს ხეთაგურებს მიულოცავენ და დეკანოზები მათი გვარის დამწყალობნებას შეუდგებიან:

„ხალხო გაგონება. იასე ყოფილა ხეთაგური, უმსახურია ვახტანგ მეფესთან და დიდი განასაჯი ჰქონია. შვიდი წლის შემდეგ ხეთაგურს უთქვია: მეფე, ახლა უნდა დაგეთხოვო.“

მეფეს უთქვია: ნება გაქო, მიბრძანდიო და ერთგული სამსახური-სათვის შენთვის სივანი, გარბანი და თოთიკა მიბოძებია.

მაგრამ იასეს ამაზე უარი უთქვამს და მეფისათვის უთხოვნი, რომ ახალწელიწადს გერგეტელებმა ნინოს ჯვარი პირველად ჩემს კარზე მოასვენონ და ახალწელიწადი ისე მომილოცონო“. სულსა იმისა შეუნდევს, იმის დამრჩოს კი წყალობდეს!

ხალხი: ამენ შენს მადლსა!

ხალხო გაგონება: „ხახანი ყოფილა ხეთაგური და მას ერთი ხეესური შვიდი წელიწადი მოჯამაგირედ ჰყოლია. როცა ვადა შესრულებია მას ხახანისათვის უთხოვია: ხახანო ჩემში უნდა წავიდე და რაც მერგება გამისწორდიო:

ხახანმა ხეესურს ნამოჯამაგირევში საქონელი მისცა და მან ეს საქონელი შინისაკენ გარეკა. ხახანის შვილი ვილაც სოფელს გაუხელეზია და უთქვამს: აქა რასა ზიხარ შენი საქონელი ხეესურმა გარეკაო. ის ხეესურს დასდევნებია და დაეყვირია: ხეესურო, დატოვე ჩვენი საქონელიო.

ხეესურმა უპასუხა: ეს ჩემი ჯამაგირია, მამაშენმა ქირაში მომცაო. ხახანის შვილი მაინც ძალადობდა და ხეესურს არ უშვებდა. გაიმართა ჩხუბი და ხეესურმა ხახანის შვილი თოფით მოჰკლა. ხეესურს შეეშინდა, სად წავიდე და დავიმალავო. იფიქრა ხეესურმა, თუ წმ. სამებამდის მივალწიე და მას თავი შევადარე მერმე არა მიშავსო და ის არაგვში (თერგი) გაფარდა.

ხახანს აცნობეს, რომ ხეესურმა შენი შვილი მოჰკლაო და სამებისაკენ გარბისო. ხახანი ცხენზე შეჯდა, იარაღი აისხა და ხეესურს გამოუდგა. გერგეტელის წყალთან ხახანი ხეესურს დაეწია, ამოიღო ხმალი და ხეესურს უნდა დაჰკრას, მაგრამ ცხენი გაუხერდა და წყალს ვერ გადასცდა. ხახანმა ცხენი სამჯერ მიაბრუნ-მიაბრუნა და ბოლოს ცხენიდან ჩამოხტა, თოფი ამოიღო გასასროლად და სთქვა: წმ. სამებაო, შენი საქმეა, თორემ ჩემი ცხენი არ გახერდებოდაო. „ას აქ შეესწრო გერგეტელი ეგუა და ხახანს დაუძახია: წმ. სამებაო, ჩემ ძეთ

ნუ გაწყვეტ და სისხლი შენთვის მიპატივებია ამ ეგუას მოწმობითაო. ყოველ მარიანობაზეო ამ ადგილზე საკლავი დავკლა შენს სადიდებოდ და ჩემს სადღეგრძელოთაო¹. ხახანმა აპატია წმ. სამების ძალით და სულსა იმისა შეუნდევს იმის დამრჩოს კი წყალობდეს“.

ხალხი: ამენ შენს მაღლსა!

დასასრულ დეკანოზი ნიშთან დაჰკლავს ხეთაგურების საღმრთო ცხვარს და ხელში „საკვლევ პური“ მათ ოჯახებს დაუვლის. პირველად დეკანოზი გვარის უხუცესის ოჯახში შედის და დაილოცება:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი კოლი წმ. სამებისაო“.

შემდეგ დეკანოზი ოჯახის კერასთან მივა და ამ კვერს სამჯერ წაღმა მოაბრუნებს. დეკანოზს ოჯახში უმასპინძლებიან და საკვლევ კვერს ის ბოლოს ტოვებს იქ, სადაც უკანასკნელად მივა².

სალამოს დეკანოზები წმ. სამების ხატ-დროშებს ისევ გერგეტში წაიღებენ და აქ ხალხის დამწყალობების შემდეგ წმ. სამების ეკლესიაში აიტანენ.

ახალწლიდან მოხვედრები შეუდგებიან ზრუნვას წლის დოვლათიანობაზე. ამისათვის საჭიროა მიწადმოქმედებასთან დაკავშირებით ისეთი წესების შესრულება, რომლებსაც შეუძლია ბევრი ქრინახულის მოცემა. ასეთია „ამპარობა“, რომელსაც იანვრის კუდის მოწვასაც უწოდებენ, რადგანაც ხალხის რწმენით ამით ზამთარი თავდება და გაზაფხული ახლოვდებაო.

ამპარობა სალამოს თითოეული გვარი თავის უბანში ჩაღას მოაქუჩებს. შემდეგ გვარის უფროსი ხელში ასანთით მივა, ამ ჩაღას სამჯერ შემოუვლის და დაილოცება:

„ღმერთო, ჩემი ხელი მშვიდობიანი იყოს, ჩვენი მოსავალისათვის, პური მრავალი და მშვიდობა მოგვანიჭეო“.

¹ ხახანის მოსაგონრად ხეთაგურები ყოველ მარიანობას გერგეტულას წყალთან წინათ საკლავსა ჰკლავდნენ და მას შენდობას ეუბნებოდნენ. ამ საღმრთოში ხეთაგურები ეგუას შთამომავალთ ეგუფეთელესაც იწვევდნენ.

² მიხეილ ყაზბეგმა ხეთაგურებს თურმე სთხოვა, რომ ერთი დეკანოზი მისთვის დაეთმოთ ახალწლის მოსალაგებად. ხეთაგურებს უარი უთქვამთ: „შენ რათ მოგცემთ მეკვლესა, შენ ჩინები და ბატონობა ირჩიე. ჩვენს პაპსაც ბატონობა აძლიეს, მაგრამ მან თემს არ უღალატა და ამაზე უარი სთქვაო“.

ერთხელ ახალწლიწადს ყაზბეგთან სახლში ერთი დეკანოზი ქისტაური შეპარულა და მათთვის ახალი წელიწადი მიულოცია. მაგრამ მოხვედრებს ეს გაუგიათ ის დეკანოზი სახლებში არ შეუშვიათ, მისთვის ხატიც წაურთმევიათ და მაგრადაც უცემიათ

ამ სიტყვებით ბერიკაცი ჩაღას წაუკიდებს და სანამ მას ალი არ აუფარდება ყველანი ხელაპყრობით დგანან. შემდეგ კი ისინი ცეცხლის ალზე ხტებიან და ღმერთს ჭირნახულის დოვლათიანობაზე ევედრებიან. თუ იმ წელიწადს კარგი მოსავალი მოვიდა, მაშინ ამპარიის ამნთები მოხუცი ბედნიერი ფეხისად ითვლება და მეორე წლის ამპარიობას მასვე ირჩევენ.

გაზაფხულის პირზე, როდესაც ბუნება იღვიძებს და იწყება ბუნების განაყოფიერების პროცესები, ცრუმორწმუნე მოხვევც ცდილობს ბუნების წაბაძულობით შეასრულოს ისეთი წესები, რომლებიც გამოიწვევენ ბუნების განაყოფიერების მეტ პოტენციალობას. ასეთია სხვათაშორის ბერიკობა და ყეენობა.

ბერიკობა ხევში ყველიერის გასართობია. სოფლის ახალგაზრდობა შეიკაზმება ტყაპუკებით, დამბაჩებით, ტალიან თოფებით, ხანჯლებით, ჯოხებით და სხვა. მათ შორის ერთი ქალურად არის გადაცმული. უკრავენ ფანდურს და ყველანი რიგით ცეკვავენ. ბერიკები ეზო-ეზო დადიან და მღერიან:

„ალათასა, მალათასა კვერცხი უნდა კალათასა, ერთი კვერცხი ჩვენ მოგვეცი თქვენი სახლის ბარაქასა. აკაკალი, ბაკაკალი/გადმოყარე კაკალი“ და სხვა. ოჯახის დიასახლისი ბერიკებს ასაჩუქრებს და ვინც საჩუქარს არ მისცემს მას ბერიკები თავიანთ შაირ-სიტყვაში ჰკილავენ და გაბრაზებული სახლის პატრონი მათ ზოგჯერ წყალსაც კი გადაასხამს, თუ ბერიკები დროზე არ გაიქცნენ. ხშირად სხვადასხვა სოფლის ბერიკები ერთმანეთს, რომ შეხვდებიან მათ შორის ბრძოლა გაიმართება და რომელი მხარე დაძლევეს ნადავლიც მას რჩება და მოსავალის დოვლათიანობაც, ხალხის რწმენით, გამარჯვებულთა სოფლებში დატრიალდებაო.

ყეენობას ხევში ყველიერშივე ასრულებენ. ყეენობაში წინათ მონაწილეობას მთელი სოფელი იღებდა თურმე და ყეენობის წინ უმძრახებდნენ შეარიგებდნენ, რომ ჩხუბსა და უსიამოვნებას ადგილი არ ჰქონოდა.

ყეენს სოფელი ირჩევს და მას გრძელ ტანისამოსს აცმევენ და წინ გულსა და უკან კუზს უკეთებდნენ. თავზე ყეენს მაღალი და წოპიანი ქუდი ჰხურავს. მას თანაშემწედ „ატუტანტი“ ჰყავს და მორბედად გამჟღერი არაბი. ყეენს გვერდზე დედოფლურად გადაცმული მამაკაცი უზის, ფეხთან „ახონკამალა“, რომელსაც ხელში ტაშტი და თუნგი უჭირავს. ახონკამალა დედოფალს ხელ-პირს აბანინებს, ყეენს ხონჯარს შეუხსნის და შეუკრამს. ყეენს თავისი ამაღლა, მოხელეები და შეიარაღებული ჯარიც თან ახლავს.

მოკაზმული ყენი დიდის ზეიმით გამოჰყავთ და ის თავისი ამალით სახლის ბანზე დაბრძანდება, მას აქ საჩუქრები უნდა მიაღწევდეს: ხაბიზგინები, ქადა-ხაჰაპურები, ხილი, სასმელი და სხვა. ახლად ჯვარდაწერილებს წინათ ყენისათვის თითო მანეთიც უნდა მიერთმიათ. მიღებულ ძღვენს ყენის მწერალი იქვე სიას უდგენს.

ყენი თავის დედოფალს ეალერსება, არაბი კი ქალებს დასდევს და ეარშიყება, ზოგიერთს არაბი გადაეხვევა და კიდევაც აშკარად ჰკოცნის და სხვა. შემდეგ არაბი სახლის ბანიდან შუბს ჩაუშვებს ერდოში, სადაც დედაკაცები შუბს ხაბიზგინას გაურკობენ. არაბი შუბს ზევით ამოიტანს, ხაბიზგინას დედამიწაზე წაუსვამს და შემდეგ მას ქამს.

ჩხუბი და აყალმაყალი ამ დღეს წინათ აკრძალული იყო და დამნაშავეს ყენი აჯარიმებდა. მისი განკარგულებაც სასწრაფოდ სრულდებოდა და ვისაც ყენი ჩამოხრჩობას მიუსჯიდა მას იქვე ჩამოჰკიდებდნენ, ზოგს თავს კრიდენ, ზოგს „ზეკუტია“-ს ჩაუყენებდნენ და სხვა.

დაღამებისას ხალხი ყენს სახლში მიაცილებდა. მეორე დილას საყვირებს დაუკრავდნენ, ხალხი სოფლის მოედანზე თავს მოიყრიდა და ყენიც გამობრძანდებოდა. ახლა ყენი ხალხის დაჯარიმებას შეუდგებოდა: ზოგს საკლავს მიუსჯიდა, ზოგს ერბო-ყველს, ვაჟრებს კი სასმელს და მათ ეს ჯარიმა მუხლისკვერა უნდა მიეტანათ. ყენს მტრებიც ჰყავდა, ისინი ყენს მიეპარებოდნენ და შუშხუნას ააფეთქებდნენ. ამით შეიქნებოდა ერთი ორომტრიალი. ყენის ჯარი ამფეთქებლებს აპატიმრებდა და „ზეკუტია“-ს ჩაუყენებდა.

წინათ ყენობა ხევში თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა და იყო დაუსრულებელი სმა, ტაშფანდურა და მზიარულება. დღეს კი ყენობა ხევში თითქმის მოსპობილია.

დადგება გაზაფხული და გლეხიც მინდვრის სამუშაოდ ემზადება. მაგრამ პირველად სამუშაოზე გადის სოფლის მიერ არჩეული ბერიკაცი, რომელიც „ფეხბედრიანად“ არის დაცდილი. ეს ბერიკაცი გუთანში ხარებს შეაბამს, მეხრეს წინ გაიძლოლებს და ორივენი ყანაში გავლენ. აქ გუთნით „ჯოროდინ კოლს“ გაავლებენ, შემდეგ ხარებს, გუთნის დედას და მეხრეს კისერზე კაპარს წასცხებენ, რომ კარგი მოსავალი მოვიდესო. მეორე დღეს კი მიწის სამუშაოდ მთელი სოფელი გავა.

ბოსლიდან პირველად ხარების გამოყვანის დროს, ხარებს ჯვარულად ცომიან თითოს წასცხებენ და შემდეგ გუთანში შეაბამენ. გუთნისდედა სათესლედან ამოიღებს ახალწელიწადს გამოძეხიარ „თესლის



კვერს „ხარ-გუთნიანად და მინდორში გავლენ. პირველი კვალის გავლებიასა გუთნის დედა ამ თესლის კვერს ხელში აიღებს და კარგ მოსავალზე დაილოცება, შემდეგ კვერს ხარის უღელზე გატეხს და მეხრესთან ერთად იქვე შეჭამს, ნაწილს კი კვალში ჩააგდებს და იტყვის: „ღმერთო პურის ბარაქა მოგვეციო“.

ხენის დროს ოჯახიდან არაფერს არ ათხოვებენ, რომ დოვლათი არ გაჰყვესო. მინდვრის მუშაობა მთავრდება „ხენა-თესვის“ საღმრთოთი, რომელსაც საგვარეულოს თითოეული კომლი მორიგეობით იხდის. მორიგე ოჯახი საკლავს დაჰკლავს და ყველანი სოფლის მოედანზე გავლენ. აქ სასმელს ჩამოასხამენ და ელია და ზაქარიას ევედრებიან:

„ნამუშევარი შენ გებაროს ცვარნამი მიეცი, დაიფარე სეტყვისა და კოხისაგან, ბარაქიანი მოსავალი მოიყვანე მშვიარა ხიხანი არ გავეწყდეს“-ო და სხვა.

ამავე ელიასა და ზაქარიას სოფ. თოთში „ვაჩილობა“-საც უხდიან. ივლისის ერთ-ერთს ორშაბათს სოფელი თხას ყიდულობს; ამ თხას დეკანოზი ელიას მაღალ წვერზე აიყვანს და აქ შეევედრება ელიას და ზაქარიას, რომ ყანას ცვარ-ნამი მიეცეს, სეტყვა და ზვავი აშოროს და სხვა. დეკანოზი თხას იქვე დაჰკლავს და მას წვერიდან დააგორებს. შემდეგ ამ თხას მოხარშავენ და სუფრას გაშლიან.

მაგრამ ჯეჯილის აღმოცენება, ზრდა და დაპურება აქ უმთავრესად ამინდზეა დამოკიდებული. ამიტომ გვალვასა და ავდარს შეუძლია ჭირნახულის განადგურება. ამ შემთხვევაში ცრუმორწმუნე გლეხი აქაც იძულებულია მიმართოს ხატის ძალას, და მას დახმარებას შესთხოვს. გვალვის დროს ბერიკაცები წმ. სამებაში აღიან და ეკლესიიდან გამოასვენებენ „საავდრო ხატს“ (კუბოს კარი), „დიდება“-ს იტყვიან და ხატს წყაროში გაბანენ და სამებას ავდარს შესთხოვენ. როცა ავდარია, მაშინ მეორე ხატს „სადარო კუბოს კარს“ გამოასვენებენ და ღმერთს ტაროსზე ევედრებიან.

დამწიფებულ ყანას მინდვრის თავგები და ფრინველები ეტანებიან და ახლა გლეხი იძულებულია მათ წინააღმდეგ „ჩიტაფათობა“ შეასრულოს. ამისათვის ყველიერის ორშაბათს ხევში მოადულებენ სიმიდის ფქვილისაგან ერბოიან ფაფას, აცხოვენ აგრეთვე სამქადას: ნათლისმცემლისა, ყოვლადწმინდისა და კვირეღვთისშვილის სახელზე. ამ ნამცხვრებს ტაბაკზე დააღაგებენ და შუაში ფაფიან ჯამსა და რძიან ჭიქას ჩადგამენ. რძე ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს. თუ ოჯახში რძე არა აქვთ, მეზობელი უგზავნის. ბინდი-

სას ამ ტაბაჭზე დიასახლისი სანთელებს აანთებს და ბავშვებს კარში გასტუმრებს. ბავშვები უცდიან ვარსკვლავების გამოჩენას და იძახიან: „მასკვლევე, მასკვლევე გამოდი დედაი კუტაპს შამიქნის“-ო.

ბავშვები ცაზე ვარსკვლავებს დაინახავენ თუ არა, სახლში შევლენ და ამას დიასახლისს ახარებენ. დიასახლისი მუხლისკვერა გამოვა, მას ჩოქით მისდევნენ ბავშვები და ისინი სახლს გარშემო შემოუვლიან. შემდეგ ყველანი ისევ სახლში შევლენ, გარდა უფროსი ბავშვისა, დიასახლისი კარებს მოხურავს და კარში მყოფი ბავშვი დაიძახებს:

—დედა, დედა რას ადუღებ?

დედა — ჩიტაფაფასაო.

ბავშვი — მე რასა მაჭმევ?

დედა — გაჭმევ შენათბეკსაო!

ბავშვი — ჩემი ბაკანი სად არის?

დედა — ზემოკარასაო.

დედა — ჩიტები ვის ქერსა კენკენ და თავენი ვის ყანასა მკიან?

ბავშვი — გერგეტულთა, ფანშეთელთა და ასე სხვის სოჭლებს ასახელებს. შემდეგ ეს ბავშვი სახლში შემოდის და დიასახლისი მას ფაფას დაუდგამს.

დამწიფებულ ყანას ქალები მკიან და როდესაც მკას მორჩებიან სამ თავთავს შეკრავენ და შინ წამოიღებენ. აქ ფაფას მოადუღებენ, მოსავლის ბარაქიანობაზე დაილოცებიან და ამ შეკონილ თავთავებს ქერის გოდორში ჩააგდებენ.

საშემოდგომო მუშაობის დასასრულს მოხვედები იხდიან „ჯა-ლაბ-ჯორობა“-ს, რომელსაც გვარში შემავალი ოჯახები მორიგეობით ამზადებენ. ამ დღის საკლავი და სასმელი მორიგე ოჯახისაა; ყველი და პური ყველას თავთავიანთი მოაქვთ. სადაც საკლავი დაიკვლის ყველანი თავს იქ მოიყრიან. აქ გვარის უფროსი დაილოცება და სუფრას გაშლიან.

ასეთივე ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული ზეურნეობის მეორე მნიშვნელოვან დარგთან — მე საქონლეობასთან. საქონლის მფარველად აქ თევდორე ითვლება და მას „თევდორობას“ უხდიან. ამისათვის დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს თევდორეს პურს აცხობენ და მას ევედრებიან შინაური პირუტყვის გამრავლება-მფარველობას. შემდეგ ქერს დახალავენ და ხარებს იმ დღესვე შეაქმევენ, რომ ხვნაში ჯანი მიეცეთო: „ხარმა სთქვა გუთანი როგორ გავწიო ჩემმა პატრონმა თევდორობას ხალი არ მაქმიაო“. ამ დღეს უქმობენ და ოჯახში არავინ მუშაობს.



ნადირისა და ზევისაგან საქონელი რომ არ დაზარალდეს, მოხვე-
ები ყოველ შაბათს მზის გადახრისას „შთამამავალი მზის უქმეს“
ინახვენ და მუშაობაზე ხელს იღებენ, რათა ნადირმა და ზევამა სა-
ქონელი არ დააზარალოს.

აღდგომის დიდ შაბათს აგრეთვე „ცხვრის უქმესაც“ ინახ-
ვენ, რომ მგელმა ცხვარი არ დააზარალოსო. ამ დღეს ყველანი მარ-
ხულობენ და უქმობენ.

ლამე კარში დარჩენილი საქონელი მგელმა რომ არ დააზიანოს,
მოხვევები „მგლის პირის შეეკრას“ მიმართავენ. ამისათვის
აიღებენ ტომარას და შიგ ჩადებენ გაღესილ ცულს, სავარცხელსა და
ფილთაქვას. ამ ტომარას თავს მოუკრავენ, ჭერზე ჩამოჰკიდებენ
და იტყვიან:

„მგელს ამ ტომარასავით პირი შეეკრას, ცული თავში მოხვდეს
და ქვა პირში ჩაედვასო“.

გლეხის ოჯახს საგრძნობ ზარალს აყენებენ აგრეთვე თავგებიც,
რომელთა მოსაშორებლად „თავგების გარეკა“-ს ასრულებენ.
ყველიერის აღებლამეს მოზრდილი ბავშვი აიღებს ჯოხსა და პურს.
ის ჯოხით დაუღლის სახლკარს თავგების გამოსარეკად. ამ ჯოხს
ტახტისა, ბეღლისა, გოდრისა და სხვების ქვეშ შეჰყოფს და გაიძა-
ხის: „თავენო, თავენო კარს, ანგელოზო შინ“-ო. შემდეგ ის კარში
გარბის და ამ ჯოხსა და პურს შორს სადმე გადაისვრის, რომ ამით
თავგები ოჯახს მოშორდებიანო.

ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა დაკავშირებულია თვით მოხვევის
ოჯახთან და ეს ცრურწმენა მიზნად ისახავს ოჯახის გაძლიერე-
ბას, ადამიანის კარგად ყოფნასა და გამრავლებას. მოხვევის ოჯახს
თავისი მფარველი ანგელოზი და კეთილი სულები ჰყავს. ასეთია
პირველყოფლისა „ფუძის ანგელოზი“. მას ოჯახის უფროსი
ევედრება ფუძისა და გვარის ძლიერებას, გამრავლებას და ჯანმრთე-
ლობას. მათი რწმენით ვინც ფუძის ანგელოზს აწყენიებს ის მას და-
მიზეზებსო და „დაღბირკვლავს“-ო, ე. ი. სხეულის რაიმე ნაწილს
დაუზიანებს: ხელს შეახმობს, თვალს აატკივებს, დააკოჭლებს და სხვა.
ვინც ფუძის ანგელოზის მიერ დამიზეზებულია და ავადმყოფობს ის
გამომცხვარი ქაღებით და ანთებული სანთლებით მას ევედრება და
შებრალებას შესთხოვს.

ოჯახის მფარველია აგრეთვე სახლის ან კარის ანგელოზი.
ოჯახის დიასახლისი ქადა-ნახუქს გამოაცხობს, სენაში სანთლებს
ანთებს და სახლის ანგელოზს ოჯახის დოვლათიანობას და კარგად
მყოფობას შესთხოვს. ვისაც ოჯახში ზარალი მოსდის, ის სახლს

ანგელოზს კურატს შეუთქვამს და სამი წლის შემდეგ ამ კურატს დეკანოზი დაამწყალობნებს და დაჰკლავენ.

ზოგიერთ ოჯახებში აქ დასადგურებულია აგრეთვე ფუძის გველი ან ალალი გველი (ანკარა), რომელიც ხალხის რწმენით ბედნიერ ფუძეში იმყოფებაო. ფუძის გველს დიდის მზრუნველობით უვლიან და რომ ის არ გააჯავრონ მას რძეს უდგამენ, ვერბოსა და კარაქს ნებისას აჭმევენ და სხვა.

ხალხის რწმენით ვინც ამ გველს ხელს შეუწყობს მის ოჯახში ბარაქა დატრიალდებაო, თუ გაჯავრდა ფუძის გველი ოჯახიდან წავა და ოჯახიც დაიღუპება.

ფუძის გველის გამოსაცნობად, ის ალალია, თუ არამი, მის დანახვისთანავე იტყვიან: „გველო იავო ბიავო, თოლ ლამაზო ჭიავო“. ამ სიტყვებზე გველმა ენა თუ გამოჰყო ის ალალია, თუ არადა არამი (შხამიანი). შხამიან გველს იქვე მოჰკლავენ, ენას ამოაცილიან და შეინახავენ. ვისაც გველი დაკბენს მას ამ ენას წაუსვამენ.

ზოგჯერ შეძლებულ ოჯახებზე იტყვიან, რომ იმ სახლში ფუძის გველია, მადლი და ბარაქა ტრიალებსო: „ბედრიანანო თქვენს ფუძი გველი არისო“. ფუძის გველის გადმობირება არ შეიძლება და თუ მეზობელმა ეს გაჰბედა სახლის ანგელოზი მას დაამიზეზებს, გველიც იქ არ დადგება და უკანვე გაბრუნდებაო.

ფუძის გველის დამიზეზების გამოცნობა მხოლოდ დეკანოზს შეუძლია. დეკანოზი სანთელს აანთებს და მას ხანგრძლივად უცქერის შემდეგ იტყვის ფუძის გველის მიზეზია თუ არა. დამიზეზებული ოჯახი აცხობს ქადას, აანთებს სანთლებს და სახლის ანგელოზს შეევედრება, რომ შეცოდება აპატიოს და ფუძის გველმა მათი ოჯახი არ დატოვოს, მაგრამ გველი მაინც არ მობრუნდებაო.

საყურადღებოა, რომ სოფ. გერგეტში იაგორა სუჯაშვილის სახლის კარის ბჭეზე გამოსახულია ეს ფუძის გველი.

ოჯახის მფარველობას წმ. შიოსაც შეთხოვენ და მას მოხვედები ყველიერში „შიოობას“ უხდიან. ამ დღეს ყველანი მუშაობენ, შიოს მუშაობა უყვარდაო. რაც უნდა მოხუცი რყოს შიოობას მუშაობით ოფლს მოიდგენს. ამასთანავე აცხობენ კვერს, აანთებენ სანთლებს და შიოს ოჯახის ბარაქიანობას შესთხოვენ და მიცვალებულსაც შენდობით იხსენიებენ. ოჯახის გამრავლებასა და ნაყოფიერებას ღვთაება „კვირიას“ შესთხოვენ. აქ ყველგან არის კვირიას ნიში, რომელთანაც მხვეწარი საწირითა და სანთლით მიდის და მას შვილიერებას შესთხოვს.

ახლად შეძენილი ვაჟების პატრონები ყველიერის ხუთშაბათს „კნინობა“-ს იხდიან. ამ დღეს ვაჟების პატრონები არაყს გამოხდიან, საკლავსაც დახოცვენ და ყველანი ერთ ოჯახში შეიკრიბებიან. აქ გვარის უხუცესი ვაჟიანობაზე დაილოცება, შემდეგ სუფრა გაიშლება და ღვინობენ.



სურ. 68. კარის ბქეზე გამოსახული ფუძის ორი გველი.

პირის დაქერა. დიდმარხვის ორშაბათიდან აქ ყველანი მარხულობენ, ჭურჭელს რეცხავენ და ასუფთავენ, რომ სახსნილო არ შეჰყვესო. ჭამენ მხოლოდ მახოხს, ლობიოს, კაპარს და ფორს. ჭამენ აგრეთვე კაპარზე დაყრილ დახალულ ქერს, რომელსაც „გულამუყას“ უწოდებენ. მაგრამ ბავშვებიც, რომ ამარხულონ დია-



სახლისი ამ დღეს ჩუმად მარხვას ანუ ბობოლას კერაზე ჩამოჰკიდებს. ეს „მარხვა“ პატარა პარკისაგან არის შეკერილი და იგი ნაცრითაა გატენილი, ხედვე ჩამოჰკიდებენ შვილდ-ისარს. „ბობოლას“ გაუყრიან შვილ ფრთას, რომელსაც მარხვის შვილებს უწოდებენ. ბავშვმა ყველი ფუ მოითხოვა ეტყვიან:

შვილო დიდი მარხვა დადგა და ესლა აი მარხვა შამოვა და სახლის კერზე მიუთითებს.

მერე დედაც რას მიზამს ის მარხვა?

შვილო, დიდი ისარი აქვს, იმას გაისროლებს და თავი დაგარტყამს დაიმაღლე შვილო დაიმაღლე, თორემ თოლები არ დაგთხაროს და ამავე დროს დედა მას თავზე ჩუმად კენჭს მოახვედრებს, ვითომც მარხვამ დაჭრაო.

— დედაც, დედაც თავი დაშვრა, თავი.

ჰო, შვილო, ამას შემდეგ არ მაიკვლიო ყველი, თორემ ისევ დაკრავსო.

პირველი კვირა რომ გავა ერთ ფრთას გამოაძრობენ და ცეცხლში ჩააგდებენ: „აეი, შვილო, ცეცხლი შვილი დაეწო მარხვისა“. ყოველ კვირას ასე თითო ფრთას აძრობენ და ამის მიხედვით ანგარიშობენ მარხვის რაადენი კვირაა გასული.

წითელ პარასკევს მარხვას უკანასკნელ ფრთას გამოაძრობენ და იტყვიან: „დღეს წითელი პარასკევი, ხვალ შაბათი თენდებაო, ხვალზე რა კვირა მოვა მარხვა გაჩანჩაღდებაო“. შაბათს „მარხვას“ გააფრენენ. ამ დღეს მარხვას ჩამოხსნიან, გრძელ კანათს შეაბამენ და ბავშვები მას მდინარე წყლისაკენ წაათრევენ. გზადაგზა ბავშვები მარხვას მათრახსა სცემენ. ვინც არ უნდა დაიძახოს უკან მოხედვა არ შეიძლება, რადგანაც ეშინიათ ვაი თუ მარხვა უკანვე გამობრუნდეს და ისევ კერზე ჩამოეკიდოსო. მივლენ მდინარესთან და მარხვას წყალში გადააგდებენ. შემდეგ ბავშვები ყრიაშულით შინ გაბრუნდებიან.

ყვავილ-ბატონები ხევის ხშირი სტუმარია და მათ წინააღმდეგ მოხევე გლეხი სრულიად უძლურია. წამლობისა და ექიმობის ნაცვლად ამ მრისხანე „ბატონებს“ მოხევე ლოცვითა და ვედრებით ეგებება, რომ ოჯახმა ყვავილი მშვიდობიანად მოიხადოსო. როცა ოჯახში ყვავილი გაჩნდება იტყვიან: ივანე ნათლისმცემლის ყვავილი მობრძანდაო. ამ დროს სახლში არ საქმობენ. კერვა და პურის ცხობა აკრძალულია. ადუღებული ქვები არ უნდა გადმოვიდეს, რომ ნათლისმცემელი არ გაჯავრდესო. ანთებენ მხოლოდ კანდელს და ნიგვზის სანთელს. თვითრიან დედაკაცს არ შეუძლია ყვავილიან ავად-

მეფოს გაეკაროს, ნათლისმცემელი გაწყრებაო. ავადმყოფს წამალს არ ასმევენ, რადგანაც ამით ბატონები გაწყრებიან და ავადმყოფი შეწყუბდებაო. მხოლოდ უხდელ ბავშვებს გახიზნიან, ნათლისმცემელს უხარია ასეთი მორიდებაო.

ავადმყოფს სუფრას უდგამენ ტკბილეულითა და ნამცხვრებით. უცხოებენ მტრედის ქანდაკებებს და მოჰყავთ თეთრი წიწილები, ბატონებს ესიამოვნებაო და სხვა. ოჯახში მშვიდობიანობა და სიწყნარე სუფევს. უკრავენ ფანდურს და ბატონების გასართობად იავნანას დაჰმღერიან.

იავნანა ვარდოვ ნანო იავნანიწეო,
ჩვენს ბატონები მობრძანდა, იავნანიწეო,
ბატონების მამიდასა, იავნანიწეო,
ძირს გაუშლი ხალიჩასა, იავნანიწეო.
წინ დაუდგამ ოქროს თაბახს, იავნანიწეო,
ზედ დავსვამ ოქროს ყოჩსა, იავნანიწეო.
ნათლისმცემლის სამსა დასა, იავნანიწეო,
ხურგთ აკვანი ჰკიდია, იავნანიწეო,
შიგ უწევანან ოქროს ბურთი, იავნანიწეო,
ზედ ჰყრია ია და ვარდი, იავნანიწეო.
დიდება ნათლისმცემლისა, იავნანიწეო,
იავნანი, ვარდო ნანი, იავნანიწეო.
დიდება კვირღვთისშვილსა, იავნანიწეო,
იავნანანი, ვარდო ნანი, იავნანიწეო.
დიდება ყოვლაწმინდასა, იავნანიწეო,
იავნანი, ვარდო ნანი, იავნანიწეო.

და ამ გვარად ჩამოთვლიან ხევის ხატ-სამლოცველოებს. ამავე იავნანას მეორე ვარიანტი:

ნათლისმცემლის მამიდანო, იავნანიწეო,
ვიყავით შვიდი დაჰმანი, იავნანიწეო.
შვიდ გორას შავიფინებით, იავნანიწეო,
შვიდთავ გვეყიდა აკვნები, იავნანიწეო,
შიგ იწვა წული ვაჟები, იავნანიწეო,
არტახები სარბოძისა, იავნანიწეო.
შვიდ გადავეციტ კარავი, იავნანიწეო,
შვიდთავ მიგვდის ბატნები, იავნანიწეო.

თუ ყვავილიანი ავადმყოფი მძიმედ შეიქნა, მაშინ მას ბატკანს შემოავლებენ და ნათლისმცემელს შეევედრებიან ავადმყოფის განჯურნებაზე და აღუთქვამენ, რომ შენი ვარდობის დღეს საღმრთო გა-

დაეხადო და ბავშვს საწირად ორ შაურიანს ან აბაზიანს ყელზე შეაბამენ.

ყვავილის მშვიდობიანი მოხდის შემდეგ დედა გულმკერდს გაიხსნის და ძუძუების მიწაზე გახეხებით დაოთხილი კარებამდის მივა, რომ ბატონები მშვიდობიანად გაისტუმროს და იტყვის:

„შენმა მადლმა, ნათლისმცემლო, ჩემი გულის პირი მიწას ვახლო, რომ მშვიდობით გადამირჩინე ჩემი ყმაწვილიო“ და სხვა. ყვავილის ჩირქიან ბამბას და ანაყარ კანს ჩვარში შეახვევენ და მდინარე წყალში ჩააგდებენ.

ბატონებმა ავადმყოფს თვალის მიზეზი თუ დაუგდო, მაშინ ნათლისმცემლის ნიშის წყაროდან წყალი მოაქვთ და ავადმყოფს თვალს მობანენ. ყვავილ-ბატონების დროს მკითხავთან არ წავლენ, რადგანაც ხალხს სწამს, რომ ბატონები ნათლისმცემლის მოვლენილიაო.

მაგრამ ამ ყვავილ-ბატონებთან მოხვევის ოჯახს აწუხებს სხვა მრავალი სენიც, რომელთა გამომწვევი მიზეზი მისთვის უჩინარი და გაუგებარია, ამიტომ გაუთვითცნობიერებული მოხვევე დაავადების ყოველგვარ შემთხვევებს ხატ-სამლოცველოების განრისხებით ხსნის. ამგვარი დამიზეზების გამოსარკვევად პირველყოფლისა ის „ფითილის დახვევა“-ს მიჰრთავს. ფითილა უნდა დაახვიოს სუფთა დედაკაცმა, რომელსაც თვიური უკვე მოსპობილი აქვს. დედაკაცი აიღებს სუფთა ჯამს, შიგ ჯერ უსმელ სუფთა წყალს ჩაასხამს და დადგამს. ხის კოვზზე თეთრ მატყლის ფითილას ორკეცად დაახვევს და იტყვის:

„თუ შენი მიზეზია ეს ორკეცი, წმ. სამებაო, ცალკეცად გამოიყვანე, შიშვლის ხორციო, შივრის მუცლით დეგემსახურებია“.

ამ ფითილიან კოვზს ის წყლიან ჯამზე დადებს, სამჯერ ჯვარს გადასახავს და ნახევარ საათს დააცდის, შემდეგ მას აიღებს და ფითილას ნელა გამოხსნის და თუ დასახელებული ხატის მიზეზია, ფითილა ერთ კეცად გამოეხსნება, თუ არა და ორკეცად გადმოვარდება და თუ ამ შემთხვევაში ავადმყოფს მიზეზი არ გამოუვიდა, მაშინ დედაკაცი ფითილას ხელშეორედ დაახვევს და იტყვის:

„თუ რა შენი მიზეზია სახლის ბედო და ანგელოზო, იმის (იტყვიან ავადმყოფის სახელს) ტანში ორკეცი ცალკეცად გამოიყვანე, შენმა მადლმა გემსახუროთ“. დახვეულ ფითილას ჯამზე დებენ და ნახევარ საათს დააცდიან. თუ ფითილა ახლაც ერთკეცად არ გამოიხსნა, მაშინ ისევ ხელახლად ახვევენ:

„დიდება შენოვი, სპარსანგელოზო, თუმც რო შენი მიზეზით იტანჯებოდეს (იტყვის სახელს), შენ დოგოყარე შენი ლხინის წამალი,

ჩვენ რაც ბოჩობა გოქს გემსახურებით, შიშვლის ხორციტ, მშვიდის-
მუცლით და ეს ორკეცი ცალკეცად გამოიყვანეო“. დახვეულ ფიჯი-



სურ. 69. ფიტილის დახვევა.

ლას ისევ ჯამზე დადებს და ამგვარად ფიტილას დამხვევი დედა-
ცი განაგრძობს ხევის ყველა ხატ-სამლოცველოების ჩამოთვლას, სა-

ნამ ფითილა ერთკეცად არ გადმოიშლება და ავადმყოფს მიზეზი არ გამოუვა.

დამამიზეზებელი ხატის გამოცნობის შემდეგ, ფითილის დამხვევი დედაკაცი ახლა მისი დამატკობელი საშუალების გაგებას შეუდგება და ამ მიზნით ის ფითილას ისევ ახვევს და იტყვის:

„შენმა მადლმა მოვიდეთ და გემსახუროთ გასტეხელით, ზედაშეთ, ხინკლით და ღამის თევზით“. თუ ამაზე ფითილა ცალკეცად არ გამოეხსნა, ახლა სხვას შეუთქვამენ:

„ფეხშიშველა მოვიდე, თეთრი ბატკანი მოგიყვანო, თავზე ქვა და ყელზე რკინის უღელი დავიდვა, სამჯერ მუხლისყვერა შემოგიარო და სხვა“. თუ ახლაც არ გამოეხსნა, ფითილის დამხვევი დედაკაცი ისევ განაგრძობს:

„ფეხშიშველა გემსახურო, დიდებაის მოვლითა და სარტყლის შემორტყმით. თავზე ქვის დადება, ვერცხლის უღელი, ღვთის ჯვარი, შავი ქაჭი და სხვა“. ამას დედაკაცი განაგრძობს, სანამ არ გაიგებს ხატის დასატკობელ საშუალებას.

ხალხის რწმენით ამის შემდეგ ავადმყოფს „ნებობა“ დაეტყობა. შემდეგ ამ საწირით მიდიან დამამიზეზებელ ხატში და აქ ასრულებენ მისაღმი შეთქმულ წესებს.

ხატის დამიზეზების გამოსაცნობად მოხევეები აგრეთვე „წილის ჩაყრას“—აც მიმართავენ და ამ წესს დეკანოზი ასრულებს. დეკანოზი აიღებს ჯამს ან ჭიქას და შიგ ჯერ უსმელ წყალს ჩაახამს. შემდეგ ის ბამბას წვრილად დაასოროსოლაფებს და დანის წვერზე წამოაცმევს, ცეცხლს მოუკიდებს და ხატების დასახელებას შეუდგება. პირველად დეკანოზი დასახელებს ავადმყოფის გვარის ხატს და ანთებულ ბამბას წყალში ჩაუშვებს და თუ ის ძირში მოექცა ამ ხატის მიზეზია. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან დამიზეზებული არ არის. შემდეგ დეკანოზი სხვა ხატებს რიგის მიხედვით ასახელებს და იმავე წესებს გაიმეორებს. იმ შემთხვევაში თუ ბამბის ნამწვი ჭიქაში არ იძირება, მაშინ ავადმყოფობა ხატის მიზეზით არ არის გამოწვეული.

მოხევეებს სწამთ, რომ მათ ოჯახებს აგრეთვე მტრობენ მავნე და ბოროტი სულები: კუდიანები, ალები, ეშმაკები, დევეები და სხვა. მათი წარმოდგენით ეს სულები ადამიანს „მხიბლავის“ სახით ევლინებათ. მხიბლავი კუდიანი დედაკაცის სახისაა, მას სული ეშმაკებზე აქვს მიცემული. მხიბლავის თვალი ადამიანს ვნებს და ავად ხდის.

მოხვევების წარმოდგენით ეს მხიბლავები ყველიერის პირველ დღეს „კუმატობა ლამეს“ ერთად თავს იყრიან და თვალნაკრავი ადამიანების ბედიც მაშინ წყდება.

კუმატობა სალამოს მხიბლავი დედაკაცი ჩაფიქრებულია და ვისაც მახვილი თვალი აქვს მას შეუძლია მხიბლავს გრძნეულობა შეამჩნიოს. შუალამისას სარკმლიდან კატა შემოვა თუ არა, მხიბლავი მაშინვე დგება, ცოცხზე გადაჯდება და გაფრინდება. ხევში მხიბლავები თავს იყრიან ყაზბეგის ვეძასთან, სადაც ისინი ფერხულს თურმე გააბამენ და მღერინ:

„ახისა და მახისა, ეშმაკების ფეხისა ჩვენს შემწეთ გაუმარჯოს“.

ამ დროს მათი მეთაური „აღალბაში“ დაიძახებს: რით შემომეწევითო. თითოეული მხიბლავი ხელში ბროლის ქვას აიღებს და იტყვის:

„აი ამით ჩემი მაზლის წულით შამაგწევივარ (დაასახელებს)“ და ამ ბროლს ბელადს კბილებში მოარტყამს. ამასთანავე ის მოხიბლულის ტანისამოსის ნაწილს: ქედს, ქამარს თუ სხვა რაიმეს შიგ ფერხულში ჩააგდებს და ამით ტანისამოსის პატრონი ეშმაკის კერძი ხდება თურმე და ასეთი ადამიანი წლის განმავლობაში კვდება.

ამიტომ ვისაც ხევში შვილები ეხოცება ის ექვს აიღებს რომელიმე მხიბლავ დედაკაცზე და კუმატობა ლამეს მას უთვალთვალებს. წავა თუ არა მხიბლავი დედაკაცი ის ჩუმად უკან დაედევნება და სადაც ის მივა იქვე სადმე მიიმალება. მხიბლავები ფერხულს გააბამენო და როდესაც ბელადი შესაწევარზე დაიძახებს და ეშმაკები დაიმღერებენ, მიმალულმა დედაკაცმა თავის მხიბლავს თურმე უნდა დაასწროს და დაიძახოს:

„ახისა და მახისა წმ. გიორგიმ დასწყევლას ეშმაკების ფეხისაო“, აიღებს ბროლის ქვას და დაიძახებს: აი ამით ეს და ეს პირი შემომიწევია (თივის მხიბლავს დაასახელებს) და ბროლს ბელადს კბილებში ესვრის. ამისი შესრულება ადამიანმა თუ დაასწრო თავის მხიბლავს, მაშინ მხიბლავი უკვე განწირულია და მას ბელადი თურმე ეტყვის: ჩვენმა ახლად მოსულმა სტუმარმა თქვენი თავი შემოგვწირაო. ამის შემდეგ მხიბლავის სულიც ეშმაკებს რჩება და ის იმ წელიწადში კვდება.

მხიბლავებისაგან თავდაცვის მიზნით ხევში კუმატობა ლამეს „ამახვილებენ“ და ამ მიზნით მინდვრიდან მახვილი (ეკლიანი წარი) მოაქვთ. ამ მახვილს სახლის თარო-სარკმელებში შედებენ, ნახშირსაც ჩაატანენ და ზედ ჯვარს ამ სიტყვებით გადაწერენ:

„სამოცდასამო წმ. გიორგი შენ დასწერე ამას ჯორიო“.

ამავე საღამოს კუმატობისათვის სერდადებულ შავ ვარიას ხელ-
უკუღმა დაჰკლავენ, რომ ოჯახს საქონლის ზარალი არ მოუვიდესო.
ქათმის ხორცს ვახშმად შექამენ, ძვლებს კი ხელუკუღმა მიწაში ჩაფ-
ლავენ.

საქონლის დასამახვილებლად ბაგაში დებენ: საჩეჩელს, ხენცელს
და ცულს, რომელთა შიშით მხიბლავი საქონელს ვერ მიეკარებაო.
ვახშმის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლის ბანზე ადის, სამ ეკალს
მოუკიდებს და სამჯერ იტყვის:

„მიღმანო, მოღმანო, ზემონო ქომონო, შენი სვი, შენი ქამე, შენი
ბოლო მაიქამე“-ო და ანთებულ ეკლებს ოთხივე მხარეზე გადაის-
ვრის.

მაგრამ ხალხის რწმენით მხიბლავების წინააღმდეგ მარტო ამ
წესების შესრულება არ კმარა, საჭიროა აგრეთვე. შელოცვები სხვა
და სხვა ჯადოსნური ხერხები და მანიპულაციები რომელთა დახმარე-
ბით შესაძლებელია მხიბლავთა გრძნეულობის ერთგვარი შეზღუდვა.

ასეთია „თოლის ლოცვა“. შემლოცავი დედაკაცი ხელში და-
ნასა და ნახშირს დაიჭერს და მოხიბლულს ჩუმად შეულოცავს:

„ახალ სახელო ღთისაო, სახელი იქნა ხთისგნითა. შავილოცავ
თოლისას წინ პირს ჩვენის თავისასა. ჩვენ ვიყვნით სამნი ძმანი:
მათე, მარკოს და ივანე მთას წავედით ნადირობად, კოლი ვერ ხვბოვ-
ნენ ნადირისა, კოლი ვიპოვეთ ქალისა, ქალ ქაჯეთისა. თოლი ქონდეს
ალისანი, კბილი ქონდა რვალისანი, წვივნი უკუღმართო კიქისა.
ნურც თოლს დამთხრი ალისასა, ნურც კბილს დამამტვრევ რვალისასა.
მიმავალს ვეძებ მომავალსა. ხარსა ძალავანსა ძალს წაევართომ, ვაჟ-
ფეროვანს ფერს წაევართომ. თუ იქ არა გავაწყე რა შაუხთები ქრის-
ტეს დედას მარიამს, ტოლს დაუწყვეტ ძვედვეულსა, თმას ჩამოუყრი
ბრაწეულსა, კოკას წაუქცევ ვერცხლისასა, წყალს დაუღვრი ვარ-
დისასა.

შამობრძანდა ქრისტე ღმერთი. რას ტირი დედა მარიამ, რა
სჩივი?

ჩამაიარა ქუჯმა ურიამა, ტანი დამიძრა ალვისა, კოკა წამიქცია
ვერცხლისა, წყალი დამიღვარა ვარდისა.

ნუ სტირი დედა მარიამ, მაგის წამალი ადვილია, სამი შაბათი,
სამი ორშაბათი, სამი ხუთშაბათი, ამოიღე წყალი უმსნელო, ჩაუყარე
ნიგუზალნი, ხელუკუღმა გადუყარე თან გადაყვეს თავის ალნი.

ლოცვა ჩემი, რგება ღთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი (იტ-
ყვის თვალ ნაკრავის სახელს).

თოლის შელოცვის მეორე ვარიანტი:

„ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი: მათე, მარკოზ და ივანე. შავილოცავ თოლისასა, გულისასა პირველ ჩემი თავისასა: შავგვრემანისა, მწითურისა და უწვეროსა. დავდიოდი თალუხითა, მალუხითა, ჩიჩმალუხითა კარგითა ვსძებნიდით კოლთა ქაჯეთისასა, კოლი ვიპოვნე ქაჯეთისა, თოლნი ჰქონდეს ალისანი, ფეხნი უკუღმართო ჭიქისანი.

ზის დედა მარიამ კართა სამოთხისასა, ტანი აქვს ალვისა, თმა ბროწეული, კოკა ედგა მკერდითა შიგ ედგა ვერცხლის წყალი, ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა, რაი გატირებს დედავ მარიამო?

ჩამაიარა ჩაჯი თუჯით დედაკაცმა, თოლინჯლიანმა, კუდიანჯლიანმა ტოლი დამიხია ძოწეულისა, ტანი წამიქცია ალვისა, წამიქცია ოქროს ქსელი, წყალი დამიღორა ვარდისა.

გასქდა შავი კლდე გამაჰყვა შავი გველი, ჩაყავ შავტარავ დანაო განთ გადასკერ, განთ გადმისკერ შენსა გამთვალავსაო, შენსა მგულავსო კართ მეხი სარკმლით ლახორი, გულსამც მაგზდებთ, თანაც გაიტანე, შავი გველი ყელსა და ყურსამც ჰკიდია. ფუი, დასწყიას წმიდა გივარგიმ.

თვალის შელოცვის დროს, თუ დედამ შეულოცა თავის შვილს უნდა დაუმატოს:

„ცულის პირის მანაქერი ცულსა ტარად დაეგება, შვილსა დედის ნალოცავი სულამ წამლად შეერგება“-ო.

ლოცვის დასასრულს ავადმყოფს ნახშირის წერტილებს წაუსვამენ შუბლზე, ნიკაპზე, ცხვირზე და ლოყაზე, შემდეგ კი ნახშირს ზურგს უკან გადისვრიან, ან არადა ნახშირს ფეხით გაფშვნიტენ და იტყვიან:

„შენი შემთვალავი ასე გაიფშვნას“ ო.

თუ ბავშვი აქვანშია მათოლილი, ნახშირს აკვნის საგოგავით გაფშვნიტენ. ავი თვალის წინააღმდეგ აკრეთვე თითზე უმძრახის რკინის ბეჭედსაც იკეთებენ. ამას მჭედელი დიდ პარასკევ დილით აკეთებს. მჭედელი უკმელ-უსმელი მივა ქურასთან და ხმის ამოუღებლად —

„უძრახად“ მას ნახშირს დააყრის, გააღვივებს და ბეჭედს გამოჰედს, ვინც ამ ბეჭედს ატარებს მას მავნე და ავი თვალი არ მიეკარებაო.

„საკეკის ლოცვა“: „საკეკი შამაჩვეულა სარკინისა ზოლოსა, ისრი ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.

პატარა ცული ხესა სკრის ეგებოდა ტარადა, ჩემი ლოცვა შენ გერგას წამლადა, წმ. გივარგიმ დასწყიას გააპარას დილასა“.

შაკიკმა თავის ტკივილი იცის და შელოცვის შემდეგ ავადმყოფმა მეორე დღემდის არ უნდა აიძრახოს. აკმევენ შემწვარ და შაქარ-მოყრილ ვაშლს.



„ტვინის ლოცვა“. შაგილოცავ ტვინისასა, ტვინის გადავარ-
დნისასა,

ტვინო ნუ გეშინია, ტვინო დადე ალაგასა,
ტვინო ტვინის ალაგასა, სისხლო სისხლის ალაგასა,
ხორცო ხორცის ალაგასა.

ტვინის შელოცვისას ავადმყოფს თავსაკრავს თავზე მოუჭერენ,
ყურს აუწევენ და კისერს მოუტრებენ.

შეშინებულის ლოცვა: „ვასანეთითა მოვდივარ მე ვიტყვი
აღსარებასა, ეშმაკო შენ კი დაგვეხსენ არა ვარ შენსა ნებასა, ქრისტე
ჩვენია, ქრისტესი ჩვენი ვართ. ნათლისმცემლის მონათვლასა ნათელ-
ლებას დავესწრებივარ. ეშმაკები ქრებიან, დევები იფანტებიან, ქა-
ჯები იხოცებიან.

ზეცით მოვიდა ელია, სული დადგება ძრიელი. შენამც შეგეწევიან
სამნი თოლნი ღთისანი მარკოზისა, ნათლისმცემლისა, ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლისა.

პეტრე პოვლე პურსა სქამდეს იგორდანეს ყანაზედა.

პეტრე რად არ სქამ პურსაო?

პური მეკრა გულსაო, გაღვარდება; გაგორდება, როგორც ცერ-
ცვი ტყისაო.

დღე მოვალმა შაგაშინაო,
ღამე მოვალმა შაგაშინაო,
ცის ნამმა შაგაშინაო,
ცის მასკვლავმა შაგაშინაო.
ხმა მალალმა შაგაშინაო,
ხმა დაბალმა შაგაშინაო,
თეთრ ფერავანმა შაგაშინაო,
შავგვრიმანმა შაგაშინაო.

ქორი შაჯდა ქანდარასა, შენი გული ალაგასა. სპილოს გულიმც
გექნება, როსტომისა მხარბეჭიო. წამალი შენ გაუხე, წმინდაო გირ-
გოლო, ინდოეთით მოსულო. ღმერთო, შენ დასწერე ჯორიო“ (იტყ-
ვიან ავადმყოფის სახელს).

შელოცვის დროს შავ თავსახვევს გამოკვანძვენ და ამ კვანძიდან
ერთ მტკაველს გადაზომავენ და ნემსს გაუყრიან, თუ შეშინებულია
ნემსი წინ წავაო.

„უქმურის ლოცვა“: „მოდიოდეს პეტრე და პოვლე, როს-
ტომ და ტარიელ, არუხითა და მარუხითა, წინ დახდა წმ. ესტატე
სამოცდა სამის თავითა.

სად მიხოლთ შავნო ძმანო, თქვენი შავი ძაღლებითა?

ხევეს მივდივართ სასმელადა, საჭმელადა, ბაღის შესაღონებლადა და პატრონის დასაძმარებლადა.

გირჩევთ დაბრუნდეთ, შავნო ძმანო, თქვენის შავი ძაღლე-ბითა.

არ იქნება გაბრუნება გზასა მივდივართ გზასა იალთა.

გამოდით თუ გამოხოლთ ჩემის ფრანგულის დანითა,

გამოდით თუ გამოხოლთ შავი ღორის ღრუნტუნითა,

გამოდით თუ გამოხოლთ შავი კატის ბლავილითა,

გამოდით თუ გამოხოლთ შავი ლეკვის ყეფითაო,

გამოვალთ წმ. ესტატეო, სამოცდასამი თავისაო.

ქალსა მოქონდეს მდინარე თან შემოყვეს თავის ალნი. ჩაუყარე ნიგუზალნი, ხელუკულმა გადუყარე თან გადიყვეს თავის ალნი. ლოცვა ჩემი რგება ხთისა, ღმერთო შენ დაწერე ჯორი“.

უეჭურს წყლის ყვავილსაც უწოდებენ. ავადმყოფს სიცხეს აძლევს და ტუჩებზე მუწუკებს აყრის. ჭოხვევების თქმით ეს ავადმყოფობა ადამიანს წყლიდან ამოჰყვებაო.

„ბედრიანის შელოცვა“. „ახალ სახელო ღთისაო, სახელი იქნა ხთისგნითა. ბედო, ბედო ბედრიანო თვალად ტანად მშვენიერო, რო მოქროდი ქარივითა, მოიფენდი ვერცხლივითა. თუ ამახველ ცეცხლივითა დაღბძანდები ვერცხლივითა.“

ფეხს მეცო რკინის ქალაბანი, ხელს მეჭირა ოქროს ყავარჯენი. ხმელეთი შემოვიარე, ზღვა ჩქვებით გამოვიარე, მე მაგის წამალი ვერა ვიშოვნე.

ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი, კაცო რას ტირი, რას სჩივიო. რას დაგითხრია თოღებშიო?

მაგის წამალი ადვილია: თეთრი შაქარიო, პირიმზის ბალახიო, გოგრის ყელი, შავი ქათმის ჩიგი.

ლოცვა ჩემი, რგება ღთისა, ღმერთო, შენ დასწერე ჯორი (იტყვის ავადმყოფის სახელს).

ბედრიანის მუწუკი ადამიანსაც და საქონელსაც უჩნდება. გადადის შხამიანი ბალახიდან. შეულოცავენ შაქარზე და ამ შაქარს შეაქმევენ და იარაზედაც დააყრიან.

„ხარის ყოვილის შელოცვა“. „ახალ სახელო ღთისაო, ზღვას იქით ვიყავ ზღვას აქათ ვიძალეზოდით, ხარის ნაჭლიკავჩიგა, ცხენის ნაკელფავჩიგა, ხარის ქედს მოვხვდი, ცხენის ფაფარსა, ვაჟკაცის მკლავსა, დედაკაცის ძუძუს, ქრისტეო ღმერთო, თუ შენ არ მიცნობ, კაცი არ მიცნობს ადამიანი.“

მე ვარ ბედით ბედრიანი, თოლად ტანად მშვენიერი. გამოდით მამა ძემა სულმა წმინდამა თორუ დაგცემთ ჩემსა დანასა, პირსა ბოროტისასა, აგათლი ყურსა და ყელსა ბაგესა ვარდისასა.

რა არის ამის წამალი?

გოგრის საყელო, დიკნისა ფქვილი, ვარია ჩემის თავისა“

„დამწვარი სლოცვა“: „ახალ სახელო ხთისაო, სახელი იქმნა ღთისგნითაო. ელი ელავდა, ზღვა ბიბინებდა, ზღვისა პირასა ხუცესი ხნავდა.

ესა ვინა თქო ქვა ხნულა, ქვიშა თესულა იმაზე პური მასულა?

გველის უღელი, ფსვენის ტაბიკი ვინ ნახა რომ დამწორი ქოით წასულა?

ლოცვა ჩემი რგება ღთისა, ღმერთო შენ დაწერე ჯორი“.

ამ შელოცვის დროს დამწვარს კირის წყალს ფრთით წაუსვამენ, მოაშუშებენ და შემდეგ ზეთუნის ზეთს წასცხებენ.

„წითელი ქარის შელოცვა“ „ახალ სახელო ხთისაო, სახელი იქნა ღთისგნითაო.

გველო წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი, იმას გამოყვა წითელი ცხენი, თავის მორთო მართულობითა.

გველო ლურჯი კლდე, გამოვიდა ლურჯი კაცი, იმას გამოყვა ლურჯი ცხენი თავის მართო მართულობითა.

გველო თეთრი კლდე, იმას გამოყვა თეთრი კაცი თან გამოყვა თეთრი ცხენი თავის მართო მართულობითა.

ჩაუყარა ეკის კალონი შარეკნა ასიურნი ხარნი მილეწნა-ჰოლეწნა, მიხვინა-მოხვინა შაანიანა.

ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი, რას სტირი დედა მარიამ, რას სჩივი, რას დაგითხრია თოლებიო, მაგის წამალი ადვილიაო.

ქომოთ ნუ უგდებ ნიავსა, ზემოთ კი ნუ ატანინებო. ზემო შაუგდე ნიავი, ქომოთვე გაატანინე.

ლოცვა ჩემი რგება ღთისა, ღმერთო შენ დასწერე ჯორი“.

ამ ქარით დაავადებულს ხორცი უსივდება და სიცხეს აძლევს. ამის წამალს ასე ამზადებენ: აიღებენ ხუთაოს (კენჭია) და წყალში გალესავენ. ნალეს წყალში წითელი ძროხის რძეს გაურევენ, შემდეგ მასში გახსნიან ცოტა შაბსა და პურისა ფქვილს, აგრეთვე სამი კვერცხის ცილასაც მიუმატებენ და ამ სითხეს ნელთბილად სიმსივნეზე წაუსვამენ.

8. საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი.

ხევში თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს. ამ ხატში ის წლის განსაზღვრულ დროს ლოცულობს და ხატობას იხდის. მაგრამ მთელი ხევის მთავარ სალოცავ ხატად ითვლება სპარსანგელოზი და წმ. სამება.

ხევში სამლოცველო ხატი მაღალ მთის წვერზეა აშენებული და წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის სამლოცველო ნიშს. წინათ ამ ნიშთან გამართული ყოფილა ხიტის სალუდე, საბერო, სადაც დეკანოზები წმინდობდნენ, ხატის ბედელი, მეხატეთა სადგომი ქოხები და სხვა. დღეს ყველაფერი ეს ნანგრევად ქცეულა. აქაურ ხატებს მამულები უკვე ჩამოერთვა, ხატის საგანძური დეკანოზებს გადაუმაღავთ და ამ ძველ წარმართულ სამლოცველოებს მხოლოდ ჯიხვისა და ირმის რქები შერჩენიათ.

აპასთანავე ხატის მსახურთა რიცხვიც შემცირებულა და აქაური დეკანოზებიც უკვე არ სარგებლობენ წინანდელი პატივითა და მოწონებით.

ხატის დეკანოზებს სოფელი ან თემი გვარის მიხედვით მორიგეობით ირჩევს. მორიგე გვარი დეკანოზად ორ პირს ირჩევს ერთი წლის ვადით. ეს არჩევნები ჩვეულებრივად ხდება აღდგომას, ან იანვარში და ერთ საგვარეულოში დეკანოზობა იმდენ ხანს გატანს, რამდენიც მასში მამაკაცია. როდესაც დეკანოზობის ეს რიგი ერთ გვარში მოთავსდება ის ახლა მეორე გვარში გადადის და ასე გრძელდება, სანამ დეკანოზობის რიგს ყველა გვარები არ მოიხდის. შემდეგ რიგი ისევ თავიდან დაიწყება.

ახლად არჩეულმა დეკანოზმა ლუდი უნდა მოადულოს. ამისათვის ქერი მისმა გვარმა უნდა გაილოს; თუ გვარი მცირერიცხოვანია და მისთვის ეს საძნელოა, მაშინ ხარჯებში მას მეორე მცირერიცხოვანი გვარი მიუღდება. სადეკანოზოდ არჩეულ პირს ხატში მიიყვანენ და უხუცესი ბერიკაცი მას აიაზმის წყლით ასხურებს და დეკანოზობას მიულოცავს. შემდეგ ლუდს ჩამოასხამენ, ყველას ყანწებს ჩამოჭრიგებენ და არჩეულ დეკანოზს დალოცავენ. ბოლოს ახალ დეკანოზს ჩააბარებენ ხატის დროშებს, მის საგანძურს და ის ხატის სამსახურის შესრულებას შეუდგება.

აქაურ დეკანოზებს აცვიათ ჩვეულებრივი მოხეური ტანისამოსი არც ჯვარი ან სხვა რაიმე ნიშანი მათ არა აქვთ. ხატობის წინ ორი-კვირა

დეკანოზები წმინდობენ. ამ მიზნით ისინი თავიანთი ოჯახიდან გადიან, ხატის მახლობლად სადმე ქოხში შევლენ და იქ წმინდობენ. თვითურიან ქალს მოწმინდარი დეკანოზის ახლო გავლა არ შეუძლია, რადგანაც მათი რწმენით ამას ქექა-ქუხილი მოჰყვება და ქვეყანას წაღეკავსო. წმინდობის დროს დეკანოზმა ცოლთან კავშირი თუ დაიჭირა მას ხატი დაამიზეხებო. დეკანოზს ამასთანავე მოეთხოვება დამწყალობნებისა და დალოცვის წესების ცოდნა.

დეკანოზობა ხატის ბეგარაა და ამიტომ დეკანოზებს გასამრჯელო არ ეძლევათ. მხოლოდ ხატში დამწყალობნებისათვის საწირიდან ნახევარ ქადას და საკლავის ტყავს იღებენ.

აქაურ დეკანოზებს ხალხში გავლენა და მოწონება არა აქვთ, მით უმეტეს ზოგჯერ დეკანოზად ირჩევენ 18—19 წლის ვაჟს, რომელსაც თავისი პასაკის მიხედვით და ისიც ერთი წლის ვადით არ შეუძლია საზოგადოებრივი გავლენის მოპოვება. ამასთანავე ხევის დეკანოზებს სრულიად არ ახასიათებთ კულტის მსახურთა კასტურობა და სარწმუნოებრივი ფანატიზმი, ის ცრუმორწმუნე გლეხის ჩვეულებრივი ტიპია, რომელიც სადეკანოზო წესებს უფრო თემური ადათისათვის ასრულებს.

ხევის ამ საკულტო ადგილებს შორის პირველად ჩვენ აქ შევხებით სოფ. გორისციხის მამაწმინდას.

მამაწმინდობას გორისციხელები 13 ივლისს¹ დღესასწაულობენ. მამაწმინდის ხატი გორისციხის კოშკშია მოთავსებული. კოშკი აგებულია თერგის ნაპირას მაღალ და ბუნებრივ კლდეზე. ის ოთხკუთხედი ფორმისაა და თლილი ქვით არის ნაგები. კოშკის სიგანე 6 მეტრია, სიგრძე კი 8 მეტრი. მას მისავალი მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს, კოშკის საფეხურები კლდეზეა ამოჭრილი და ძნელი ასასვლელია. შიგ კოშკში ოთხივე კედელს დატანებული აქვს სარკმლები, რომლებიც ინახება მამაწმინდის ხატები, ჯვრები, ხატის საწირ-შანები და სხვა. ჯვრები ვერცხლისაა, ზოგიერთ მათგანს აქვს მხედრული წარწერა და უბრალო ქვებით არის შემკული.

ხატობის წინ საწმინდრად დეკანოზები ამ კოშკში აღიან და ერთი კვირა რჩებიან. მათ აქ საქმელს უმანკო ბავშვები უზიდავენ. მამაწმინდის ხატობაც ამ კოშკთან იმართება, დეკანოზი კოშკში აღის და მამაწმინდის ხატებს (ჯვრებს) გამოაბრძანებს და იქვე ქვის ჯვართან დაასვენებს.

¹ თვე და რიცხვი ყელგან ახალი სტილით არის ნაჩვენები.

მლოცავები საწირ-საკლავით მიდიან და დეკანოზები მათ დამწყლობნებას შეუდგებიან.

შეხვეწილს მიაქვს „გასტეხელი“ (ქადა), ორი სანთელი, არაყი და საკლავი. დეკანოზი საწირს ართმევს, სანთლებს აანთებს და დაილოცება. შემდეგ ქადას შუაში გაჭრის და ნახევარს პატრონს



სურ. 70. მამაწმინდის ხატი.

უკანვე მისცემს. მაგრამ გასტეხელი თუ ბავშვისაა მას დეკანოზი მთლიანად იტოვებს. ამასთანავე დეკანოზი საკლავსაც დაჰკლავს, მის სისხლს ბავშვს შუბლზე ჯვარულად წასცხებს და არყით დაილოცება. აქაურ დეკანოზებს დასტურები არა ჰყავთ, დამწყლობნების დროს დეკანოზებს ხელში ჯვრები უჭირავთ. საკლავის დახოცვას რომ

მორჩენ ერთი დეკანოზი მამაწმინდის კოშკში ავიდა, ხელში ჯვრები
აიღო და იქიდან ხალხი დაამწყალობნა. შემდეგ ის ჩამოვიდა და
დეკანოზებმა და ხალხმაც „დიდება“ დაიძახა:



სურ. 71. საკლავების დაზოცვა მამაწმინდობას.

„დიდება ღმერთსა და მოწყალესა,
დიდება ჰქონდეს სამებას ერთარსებას,
დიდება ჰქონდეს ბეთლემის ყოლაწმინდასა,
დიდება ჰქონდეს ყირენის წმინდა გიორგის,
დიდება ჰქონდეს ნინოწმინდასა,
დიდება ჰქონდეს ნათლისმცემელს,
დიდება ჰქონდეს კვირე ღვთისშვილსა,

დიდება ჰქონდეს ოხარეშის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს ბახტრის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს შემლის ნათლისმცემლსა,
 დიდება ჰქონდეს ქუშეთ წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს სპარსანგელოზსა, სპარსეთით მობრძანებულსა.
 დიდება ჰქონდეს ახალციხის ყოლაწმინდას,
 დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს არშის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს ღალანგურის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს ზემო სოფლის ყოლაწმინდას,
 დიდება ჰქონდეს გარბნის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს გორისციხის მამაწმინდასა.
 დიდება ჰქონდეს კობის წმ. გიორგის,
 დიდება ჰქონდეს ლომისა მთავარ მოწამესა,
 დიდება ჰქონდეს ღუდას ყოლაწმინდას,
 დიდება ჰქონდეს ღუშეთის სამებასა,
 დიდება ჰქონდეს ქალაქის ღვთიშობელსა.

ამ დიდების მღერით დეკანოზები მამაწმინდის წვერისაკენ გაემართნენ. შეხვეწილები გზადაგზა დეკანოზებს საწირით და საკლავით ხვდებოდნენ. მათ დეკანოზები ამწყალობნებდნენ და საკლავებსაც უხოცავდნენ.

მამაწმინდის წვერი მოთავსებულია მაღალ მთაზე, სადაც პატარა ეკლესიაა აგებული. ამ ეკლესიაში მამაწმინდის განძი თურმე ინახება. წვერისაკენ ძნელი ასასვლელი ბილიკი მიდის, სადაც გზადაგზა აღმართულია მამაწმინდის შესასვენებელი ნიშები. წინათ მამაწმინდობას ამ წვერზე მთელი სოფელი გორისციხე და ფხელზე თურმე აღიოდა, დღეს კი მხოლოდ დეკანოზები და ხატის მსახურნი აღიან.

მამაწმინდა აქ ძლიერ და სასწაულომოქმედ ხატად მიაჩნიათ, მას გორისციხელები გვალვისა თუ სხვა შემთხვევის დროს გამოაბრძანებენ და მფარველობას ევედრებიან.

სოფ. ფხელში ერთ ძველ ნანგრევ კოშკში მოთავსებულია „კვირელვთის შვილის ხატი“, რომელსაც ქალების ხატს უწოდებენ. ეს ხატი წარმოადგენს დედოფალს, რომლის სიგრძე 54 სანტიმეტრია. დედოფალი შემოსილია თეთრი ტანისამოსით და პირისსახეზე მას მიკრული აქვს ლითონის პატარა ხატი, რომელზედაც ქრისტეს სახეა გამოხატული. კვირელვთის შვილის ეს ხატი შემკულია აგრეთვე: მძივის ყელსაბამით, ღრღღებით, საყურეებით, ბეჭდებით და სხვა. მას ყელზე

ზანზალაკიც ჰკიდია. კვირეღეთისშვილის ხატობა ამაღლებას იციან. ამ ხატობას მხოლოდ დედაკაცები იხდიან.

ამ ხატში ქალებს თავიანთი ქალ-დეკანოზი ჰყავთ. დეკანოზს ერთი წლით ირჩევენ და ის უნდა იყოს გაუთხოვარი და უმანკო. ამაღლებას ეს ქალ-დეკანოზი თეთრებში იმოსება და კვირეღეთისშვილის



სურ. 72. მამაწმინდის ნიში.

ხატში ქალებს ამწყალობნებს. შეხვეწილი ქალები მიდიან გასტეხვით, სანთლით და კვირეღეთიშვილს ევედრებიან შვილიერობას, გამრავლებას და კარგადმყოფობას. დეკანოზი ქალი მხვეწარს საწირს ართმევს, სანთლებს აანთებს და დაილოცება.

ზოგი ავადმყოფი ქალი კვირეღეთისშვილს დედოფალას შეუთქვამს და ამ მიზნით ავადმყოფი სოფელს დაუვლის და ყველანი მას ეწე-

ვიან; აძლევენ მძივებს, თეთრ ფულებს, ქსოვილის ნაჭრებს, სამკაულებს და სხვა. შემდეგ შეხვეწილი ფიცრისაგან ადამიანის სახეს გამოჭრის, მას ქალის ტანისამოსით შემოსავს და მძივებით შეამკობს. ხატობა დღეს ასეთი დედოფლები კვირეღვთისშვილის ხატში მიაქვთ და იქ ტოვებენ.



სურ. 73. კვირეღვთისშვილის ხატი.

დამწყალობნების შემდეგ ქალები ხატის ნიშთან სუფრას გაშლიან, ყველანი იქვე დასხდებიან და დროს მზიარულად ატარებენ.

ქალების ამ კვირეღვთისშვილის ხატის თაყვანისცემა წინათ ხევში გავრცელებული ყოფილა, ზოგან ახლაც არის დაცული, მაგრამ კვირეღვთისშვილის ხატი დღეს შედარებით სოფ. ფხელშეში და გორისციხეშია კარგად შენახული.

სოფ. სიონში საყურადღებოა ღვთისმშობლის ძველი ტაძარი, რომლის აგებას ხალხური თქმულება თამარ მეფეს მიაწერს (12 საუკ.) ეს ორნეფიანი ბაზილიკა ორსართულიანია და ქვიტკირით არის ნაგები. ტაძარი შიგ და გარედ შეთეთრებულია. მისი ქვედა სართული წარმოადგენს სარდაფს, რომლის კედლები დიდი ლოდებით არის



სურ. 74. მღვთაების ჯვარი.

ამოყვანილი. ტაძარს გალავანი ჰქონია შემოვლებული. გალავანი უკვე დაშლილა და შიგ სასაფლაოა გამართული. ტაძრის შესავალი კარის მარჯვენა მხარეზე ქვის საჯდომებია გამართული და მას „ჯოჯორის კალოს“ უწოდებენ. სკამების საზურგეებზე ჯვრებია ამოქრილი ამ სკამებზე ბერიკაცები ისვენებდნ და თემის საქმეებზე ბჭობდნ თ

ტაძრის კანკელი ქვისაა და აქვს ექვსი თავმოჩუქურთმებული ბოძი. აქ დაცულ ხატებში აღსანიშნავია „მღვთაების ჯვარი“ და გარბანის წმ. გიორგის ხატი. მღვთაების ჯვარი ხისაა და ვერცხლით არის მოჭედილი. მისი სიმაღლე 98 სანტ., განი 71 სანტ. ამ ჯვრის თავზე ამობორცვილი ხელობით გამოსახულია მაცხოვარი მხედრული წარწერით „მღვთაება“. მისი ქვემო სიმბოლური არწივია „ივანე“, შუაში ჯვარცმაა „მაცხოვარი“. ამ ჯვარცმის მარჯვნივ მხარეზე ანგელოზია გამოსახული წარწერით „მათე“, შემდეგ წმ. გიორგი, მარცხენა მხარეზე ხარია „მარკოზ“ და მხედარი „დიმიტრი“. ჯვრის ქვემოთ ღომია „ლუკა“ და სამ წერტილებით დაყოფილი ასეთი მხედრული წარწერა:

„ქ.: ეჰა:.. დიდება, მადლობა და თაყვანის-ცემა პატიოსანსა და ღვთივ მშვენიერსა სახელსა შენსა, ერთ არსებასა, ერთ ხვთაებასა, სამებით დიდებულსა და ერთ არსებულთა ქებულსა სახიერ და კაცთ-მოყვარეო, ღმერთო ჩვენო, რომელმან მოგვმადლე თაყვანის-მცემლად ცხოველი ხატი შენი და დღითი დღედ და ღამით-ღამად აღვსთქვამთ და თაყვანისცემით უბრუნელსა ხატსა შენსა და ვსთხოვთ მოტევებასა ცოდვათა. ჩვენ მიწდობილმან დასაფარველთა თქვენთა შევედრებულმან მონამამ და სასოებელმან არაგვის ერისთავმან ბაიდურ და თანამეცხედრემან ჩვენმან ფანსკაეტელისა, ციციშვილის ქაიხოსროს ასულმან თამარ ჰოვაქედინეთ ხატი ესე ხვთაებისა; შევამკევით, ვითარცა შევენოდა და შევწირეთ კეცს ჩვენს სამკვიდროსა საყდარსა სიონისასა სთლისა ჩვენისა საოხად, ცხოვრებასა შინა ჩვენსა სადღეგრძელოთა და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად. შეიწირე შენ, იესო ქრისტეო, ღმერთო ჩვენო, ვითარცა მწუხილი იგი ქურივისა და გვასმინე ხმა იგი ღვთივ მშვენიერი მოსვლასა მას შენსა დიდებითა, ვითორმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი პირველი სოფლისა და დაბადებისა და ღირს მყავ ხილვად ნათლისა პირისა შენისასა. ქკსა ტჰა=(381)=1693 წ.).

შე. ხალხური გადმოცემით ეს ჯვარი სიონის ღვთისმშობლისათვის კვირურ არაგვის ერისთავს შეწოდებულია. ბაიდური უშვილო ყო-რისცე.

ფილა და შვილიერობა უთხოვიაო. ეს ბაიდური არაგვის ერისთავად იყო 1687-1693 წ. წ.

სიონელები მღვთაების ამ ჯვარს ტაძრიდან არასოდეს არ გამოასვენებენ, რადგანაც ხალხს მისი გაფრენისა ეშინია. ხალხური თქმულებით მღვთაება ერთხელ თურმე გაფრენილა და ის ანგელოზის სახით სისაურსა და ცოფურს ჩვენებია. ორივე ეს გვარი მას დასდევნება და მღვთაება მარტყოფის კლდეში დაფრენილა და ისინიც აქვე დაბინავებულან. ეს ბერებს გაუგიათ, მარტყოფში მისულან და მოხვედრისათვის უკითხავთ მათი გადმოსვლის მიზეზი. მოხვედრებს უბასუხნიათ, რომ აქ ჩვენი ხატის საბრძანისიაო. ბერები გამოქვაბულში შესულან და აქ მღვთაებისათვის თაყვანი უციათ, შემდეგ მისთვის მალულად ოქროს ძეწკვი შეუბამთ და ეს ღვთაება ტფილისში წაუბრძანებიათო, აქ მის საბრძანისად სიონის ტაძარი აუგიათო. მაგრამ ხატი აქაც არ დამდგარა და ისევ მარტყოფის კლდეში დაბრუნებულაო. ამიტომ ხალხის რწმენით მისი მთავარი საბრძანისი მარტყოფია, შემდეგ კი ხევისა და ტფილისის სიონიო.

სიონშივეა მშვენიერი ხატის ტყე წმ. სამების ტყედ წოდებული. შიგ ტყეში აგებულია ხატის ნიში, რომელიც გერგეტის წმ. სამების საბრძანისად ითვლება. ამ ტყეში ხის მოჭრა აკრძალულია და ვინც ამას ჩაიდენს ხატი მას დაამიზეზებს, გაშტერდება და მოკვდებაო.

ამიტომ ხატის შიშით ამ ტყეში მოჭრილ ხეს ხიდის გასადებადაც არ იყენებენ, რადგანაც მასზე გავლილი საქონელი ნადირის წერა გახდებაო.

სიონის ხატის ტყეში 28 აგვისტოს იმართება სამების ხატობა რომელიც გერგეტის სამების „მარიაშობის“ ხატობასთანაა დაკავშირებული. ამ დღეს აქ მხვეწარი თავს იყრის, სალოცავად მეცხვარეებიც მოდიან და წმ. საიებას ნშვიდობიან მგზავრობასა და ცხვრის ნადირისაგან მფარველობას შესთხოვენ. აქვე მოდიან სიონელი ქალები საწირით და საკლავით, მაგრამ გათხოვილებს ხატის ნიშთან არ უშვებენ, მხოლოდ მცირეწლოვანი და უმანკო ქალები მიდიან დეკანოზთან დასაწყალობებლად.

ხატობას აქ „ვარდობის დღეობას“ უწოდებენ და ამ დღეს დეკანოზი ასე დაილოცება:

„დიდება ჰქონდეს შენს ვარდის დღეობას,
გაუმარჯოს რჯულსა საქრისტიანოსას,
მიეცი მადლი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესს,
გაჭირვებულს ხელი მოუმართე, სნეული ვინც გეხვეწება მოარჩინე
და თავის ჯანზე დააყენე.“

მგზავრსა და ცხვარ-მეცხვარეს ხელი მოუმართე.

ეგრე ვინმე წმ. გულით გეხვეწებოდეს იმასაც დეცხმარე. შინ მშვიდობა მიეცი, მშვიდობის მგზავრობით ატარე, სნეულს ულხინე, გაუმარჯვე ხარსა-გუთანსა, ნახნავ-ნათესსა მიეცი მაღლი და ბარაქა და სხვა“.

სიონთან არის გარბანის წმ. გიორგის ძველი და დანგრეული ეკლესია, რომელიც თლილი ქვითაა ნაგები, სადად უორნამენ-ტოდ. ეს ტაძარი თავის ფორმით და ნაგებობის ტექნიკით საყურად-ღებოა. ამ ტაძარს შესავალი კარი სამხრეთით აქვს დატანებული და მის კარისბჭებზე რამდენიმე ასომთავრული ნიშანია ამოჭრილი:

„ე ს ე ნ ი ნ ფ შ უ მ ...“

აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ხუცურასოებიანი ქვები: „თ ე“ (თედორე), „გ რ ლ“ (გრიგოლ), „წ დ ის გ ვ რ გ ს უ ქ რ უ“ (წმიდის გივარგის...)¹. ხუცურივე წარწერაა აგრეთვე ამოჭრილი ჩრდილოეთით გამოშენებულ სარკველზე, მაგრამ სამწუხაროდ ძნელი წასაკითხია.

გარბნის წმ. გიორგის ხატობა აღდგომის მესამე კვირაზე იცოან. ამ დღეს სიონის ეკლესიიდან გამოაბრძანებენ გარბანის წმ. გიორგის ვერცხლის ხატს, რომელზედაც ამობორცვილი ხელობით გამოსახულია ჯვარცმა, წმ. გიორგი, ღვთისმშობელი და სხვა. ზედ აქვს ბერძნული. წარწერა და ქვეშ შემოვლებულია გრიფონებიანი არშია. ხატის ზომა 34×26 სანტ.

ყოველ მეხუთე წელს გარბანელები საერთო ხარჯით კურატს ყიდულობენ და როდესაც დეკანოზები სიონიდან გარბანის წმ. გიორგის ხატს გამოაბრძანებენ სიონის ტყესთან ამ კურატს მიაგებებენ, მუხლს მოიყრიან და იტყვიან: წმ. გიორგი ეს შენი საწირიაო. კურატს იქვე გაუშვებენ და ის მოხვევების თქმით გარბანის ეკლესიაში თურმე გაიქცევა და იქ ეზოში დადგება ან დაწვებაო. დეკანოზები ხატებით გარბანის ეკლესიაში მივლენ და ხალხს დაამწყალობენ:

„დიდებულო გარბანის წმ. გივარგივ, შენ გაუმარჯვე ამათ ხარ-გუთანს, მოლაშქრე-მონადირესო, შინ მშვიდობა მიეცი, კარს გამარ-

1. გ. ბ-შვილი ამას ასე კითხულობს: „წმინდა გიორგის ოქრო“. მისივე თქმით ზალხური გადმოცემით გარბანის ამ ეკლესიის კედელში ოქროს ფულებია ჩამალული და ეს წარწერაც ამაზე მიუთითებსო. მაგრამ ხატის შიშით მის გამოღებას ვერავენ ბედავსო. (იხ. გარბანის წმ. გიორგი და მისი დღეობა, გაზ. ივერია 1893 წ. № 83).

ჯვება. ამათ ქალ ქენ ვაჟის ზედაო“ და სხვა; შემდეგ კურატს დაჰკლავენ და ხატობაც ჩვეულებრივი წესით იმართება. გაშლიან სუფრებს და სასმელს სვამენ ჯიხვის ყანწებით „გამახარე-გამავგორე“-თი, ლხინობენ და დროს ტაშფანდურათი ატარებენ.



სურ. 75. გარბანის ხატი.

ხევში ცნობილია აგრეთვე „არშის წმ. გიორგის ხატი“, რომლის ნიში არშის ციხეშია მოთავსებული. ნიშის თავი შემკულია ჯიხვის რქებით, შიგ ნიშში წმ. გიორგის ჯვარი ასვენია. ჯვარი ხისაა და ვერცხლით არის შემოსილი, 54×42 სანტ. ჯვრის თავზე და გულზე გამოსახულია მხედარი, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს და

მისი ცხენის ქვეშ წაქცეული მამაკაცია მოთავსებული. ჯვრის შუატანის ორ მრგვალ როზეტში შვილდოსანი მხედარია გამოსახული.

არშელები ამ ნიშთან ახალწელიწადს და აღდგომას გიორგობას იხდიან. სამღვთოს გადახდა ამ დღეს არშის წმ. გიორგის მამულის მოიჯარადრეებს: ბაზალს, სულიაურს და გოგბაიძეს ევალებათ. ეს გვარები სარაებლობენ ხატის სათიბით და სამღვთოსაც მორიგეობით იხდიან.

ხევის სალოცავებში მთავარია გერგეტის წმ. სამება. მისი დიდი და შესანიშნავი ტაძარი აგებულია სამების მაღალ მთაზე, რომელიც



სურ. 76. წმ. სამება.

მელსაც ზედ მყინვარწვერი დასცქერის. სამების ტაძარი ნაგებია ანდეზიტის თლილი ქვით და თავისი არქიტექტურული ფორმით და ნაგებობის ტექნიკით ის უნდა ჩაითვალოს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ საუკეთესო ძეგლად. ტაძარი ქვით არის გადახურული და შემკულია ჩუქურთმიანი ჯვრებითა და ორნამენტებით. მისი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადის კონქზე ყოჩის თავია გამოქანდაკებული.

სამების ტაძარი ჯვრის ფორმისაა და აქვს მაღალი და ლამაზი გუმბათი. ტაძრის სიგრძე 15 მეტ., განი 13 მეტ. ჩრდილოეთის მხ

რეზე მას მიწენებული აქვს ხევის ძველი „საბჭეო“, სადაც წინათ თემის უხუცესები და ხევისბერები სათემო საქმეებზე ბჭობდნენ. თუ რა როლს თამაშობდა ეს საბჭეო თემური ხევის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს კარგად არის მოცემული ალ. ყაზბეგის თხზულებებში: მამის მკვლელსა, მოძღვარსა და ხევის ბერი გოჩაში. ამ ისტორიულ საბჭეოში დღეს დარჩენილია ქვის გრძელი „სასხდომი ყადები“.



სურ. 77. ხევის საბჭეო.

ტაძარს დასავლეთის მხარეზე აქვს შესასვლელი, რომელშიაც შეებმულია რკინა გადაკრული ხის კარი. კარზე ჯვარია გამოსახული და ზედ გამწკრივებულია „საყარაულო რგოლები“.

ტადარი შიგ შეეთეთრებულა. მისი მაღალი გუმბათი დაყრდნობილია თალიან ოთხ სვეტზე. აღ. ყაზბეგის ცნობით ტადარი წინათ მოხატული ყოფილა და საკურთხევლის ცაზე პირიღეთისა იყო გამოსახულიო, მაგრამ შემდეგ ხევის ბლალღოინის უვიცობით ტადარი შეუეთეთრებიათ. ეს ძველი მხატვრობა კანკელის ქვედა ფენაზე აქაიქ ახლაც მოჩანს და ერთგან კანკელზე ასეთი ასომთავრული წარწერაც არის დაცული:

- | | |
|---------------|------------------|
| 1. | და მეოხ და... |
| 2. ..ულლისა.. | ნოშსდა... |
| 3. სა თეთრის | აჲ: ფა დეს შნ... |

ამ ტექსტში გარკვევით იკითხება მხოლოდ ორიოდ სიტყვა: [მე]-ულლისა, თეთრისაი, ფადეს...

თავისი პალეოგრაფიული მოხაზულობით ეს წარწერა ძველია და უნდა მიეკუთვნოს მე-XII—XIII საუკ.

სამეზის ტადარი წარწერებით საზოგადოდ ღიზიზიანია და რაც დღემდის დაცულა ისიც ძნელად იკითხება.

სამეზის საკურთხეველში, ტრაპეზის წინა კედელზე ამოჭრილია ასეთი ასომთავრული წარწერა:

- | | |
|---------------------|---------------|
| 1. მოკსნ | 8. სა საჩა |
| 2. ებლნი | 9. ხურას |
| 3. სხელთა | 10. შეუნდვ |
| 4. ღთ სლს ფ | 11. ნეს ღთ... |
| 5. სადანის | 12. ასა.. |
| 6. სა თ[ო]მსა | 13. რია ი.თ |
| 7. გის (?) ღხმი (?) | 14. ხრია |

იკითხება ასე: მოსახსენებელნი სახელთა ღვთისათ სულის ფარსადანისსა, თომასა (?), გიორგის (?) ლუხუმისა (?) საჩახურას (?) შეუნდვნეს ღმერთმან.

სამეზის ტადარში ბევრია ახალი ფაბრიკული ხატ-ჯვრები, რომელთა შორის დაცულია ორი ძველი ხატი „კუბოს კარად“ წოდებული. ხატი ნახატია ფიცარზე და ვერცხლის პერანგით არის შემოსილი. ორივე ხატს კარის ფორმა აქვს, ზომით $1,36 \times 0,36$ მეტრი. ერთს „საავდრო“-ს უწოდებენ და მეორეს „სადაროს“.

საავდროზე გამოსახულია: ყოვლადწმინდა, ხარება, შობა, მირქმა და ნათლისღება.

„სადაროზე“ გამოსახულია: ჯვარცმა. წმ. სამება, აღდგომა, თომას გვერდის განხილვა, ლაზარეს აღდგენა და ქრისტეს იერუსალიმში შესვლა.



სურ. 78. საედრო ხატი.

როცა ხევში გვალვაა გერგეტელები ამ საედრო ხატს ტაძრიდან გამოიტანენ და წყაროს წყალში გაბანენ, აედრობისას კი „სადარო“ გამოაქვთ.

სამეების ტაძრის გალავანში აშენებულია ძველი სამრეკლო, რომელიც თავისი ნაგებობის ტექნიკითა და სტილით სამეების ეკლესიასთან არის შეხამებული და იმავე დროს უნდა იყოს აშენებული. სამრეკლო ორსართულიანია. ქვეშ ერთი დიდი ოთახია, სადაც სამე-

ბის ყარაული დგას, ზემო კი თაღებიან ბოძებზე გამართულია სამრეკლო, რომელიც ჩუქურთმიანი არშიებით და კოპულიანი როზეტებით არის შემკული. სამრეკლოს სამხრეთ კედელში ჩატანებულია ჩუქურთმიანი ჯვრები და ქვები. დასავლეთის მხარეზე მას აქვს თაღიანი სარკმელი, რომელზედაც გაოსახულია გრძელკუდა ორი ცხოველი.



სურ. 79. სადარო ხატი.

მის მახლობლად გამოქანდაკებულია მდგომარე მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელში რაღაც იარაღი უჭირავს და მარცხენაში კი ჭურჭელი. ამ ბარელიეფური ქანდაკების სიგრძე-სიგანე უდრის 52X55 სანტ., ქანდაკების გარშემო ამოჭრილია ასომთავრული წარწერა:

1 ი ა [გ]	[...]
2 ო ნ დ ს	მ კ ს

3 ძსა	ა..
4 სამ	შ6
5 რე	ლ6
6 კლნი	[...]
7 აშე	გ[...]ლს
8 ნნა	შ6 ლნ

იკითხება ასე: იაგუნდის ძესა სამრეკლონი აშენნა [სულსა] გუკას (?) შეუნდვენ ღმერთმან [სულსა] გ [რიგ] ოლის შეუნდვენ ღმერთმან.

ხალხური გადმოცემით ამ ქანდაკებაში გამოსახული უნდა იყოს ის მწყემსი, რომელიც სამების ოსტატებს რძესა და წყაროს წყალს უზიდავდა თურმე და ამ რძითა და წყლით იზილებოდა სამების ლამკირიო.

რაც შეეხება სამების ტაძრისა და მისი სამრეკლოს აშენების დროს განსაზღვარს, ამის დასადგენად სამების კედლებზე რაიმე დამატარ-
ლებელი წარწერა არ შენახულა, რითაც შესაძლებელი იქნება ამისი გარკვევა. ხალხური თქმულება კი სამების ტაძრის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით წმ. სამების მთა-ზე ანდრია მოციქულს ქრისტიანობა უქადაგია და აქ ჯვარიც აღუ-
მართავს: „ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმინდანმან ამან მოციქულმან აწ არს მასზედა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა, პირველ მოწამისა სტეფანესი“-ო¹.

წმ. სამება წინათ რომ მონასტერი ყოფილა ამას ვახუშტიც ამოწმებს:

„გერგეთს ზეით არს მყინვარის კალთასა ზედა მონასტერი სამე-
ბისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესევნა
ნინოს ჯუარი, შვენიერ ნაშენი, შვენიერ ადგილს“-ო (იხ. მისი გეო-
გრაფია გვ. 87).

ჩვენ ვიცით, რომ მტრების შემოსევისა და შიშიანობის დროს მცხეთის ტაძრის სავანძური იხიზნებოდა სამების ამ მონასტერში, სადაც სხვათაშორის დიდხანს ნინოს ჯვარიც ყოფილა დამალული და 1749 წელს ეს ჯვარი რომან ზიტროპოლიტმა სამების ტაძრი-
დან მოსკოვში გაიტანა და აქ ბატონიშვილ ბაქარს გადასცა. მხო-
ლოდ 1801 წელს ნინოს ეს ჯვარი საქართველოში იქნა დაბრუნე-
ბული.²

¹ თეიმურაზი, ივერიის ისტორია, 1848 წ. გვ. 143.

² Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 146
ს. მაკალათია, ხევი

სამების ტაძრის აშენების შესახებ ხევში ასეთი თქმულება არსებობს: ქართლისა, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ თურმე თუ სად უნდა აშენებულიყო წმ. სამების ტაძარი. მაშინ მცხეთაში ერთი ბერიკაცი წამომდგარა და მათთვის მოუხსე-



სურ. 80. მწყემსის ბარელიეფი სამების სამრეკლოზე.

ნები: „მეფენო, ფურბერწი დაჰკალით და მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დაადეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს სამებაც იქ ააშენეთო“.

მეფეებიც ასე მოქცეულან. ყორანი მართლაც მოფრენილა და წაუღია ეს სამგორველი, მდევრად ყორანს ხალხიც გაჰყოლია.



ანანურის თავზე ყორანს დაუსვენია და აქ სამების ნიში აუგიათ. ყორანი აქიდან ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრენილა და აქაც ჯვარი აღუმართავთ. ბიდარიდან ყორანი გერგეტში გაფრენილა და „ელოგეში“-ს ნიშთან მას ცოტათი შეუსვენია და შემდეგ სამების წვერზე დაფრენილა. აქ ეს სამგორველი მას გამოუხრავს და ძვალაც იქვე დაუგდია.

ახლა მეფეებს დავა იმაზე მოსვლიათ, თუ ვის უნდა ჩაეყარა საძირკველი პირველად. წამომდგარა ერთი კეთილი კაცი და უთქვამს: „წადი ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართულიო და იქიდან ყველანი გამოიქეციო და ვინც სამებაზე პირველად ავა საძირეც იმან გაუჭრასო“.

ასეც მოქცეულან და ყველანი ცხენით თუ ფეხით ბიდარის მთიდან გამოქცეულან. მათ შორის ერთი ხურთისელი კოკლი ბაჩხიძე მთა-მთა მოკლე გზით გადმოსულა, სამების მთაზე ცხენოსნებზე წინ მისულა და სამების საძირკველიც მას გაუჭრია. ამიტომ ახალწელი-წადს გერგეტელები პირველად ამ ხურთისელ ბაჩხიძეს ამწყალობენ-ბენ. ამის შემდეგ ხალხი ტაძრის აგებას შედგომია.

ტაძრის ასაგები ქვა დევ-წიქარა ხარებს ყანობ-ხურთისიდან უზილიათ, კალატოზებისათვის წყალი გერგეტის წყაროდან მეცხვარეს უზილია. ამ წყაროს დღესაც „კალატოზის წყაროს“ უწოდებენ. ამ მეცხვარეს ხალხური თქმულებით თავისი სახე სამების სამრეკლოზე გამოუსახავს, მისი ფარა მთაზე უმწყესოდ ძოვდა თურმე და მას ნადირი არ ერჩოდაო. ამ მეცხვარესაც სამების დეკანოზები ახალწელიწადს პირველად ამწყალობენ.

მაგრამ არც ამ ხალხური თქმულებიდან ირკვევა თუ ვინ და როდის ააშენა სამების ეს ფრიად საყურადღებო ტაძარი.

დ. ბაქრაძეს აქვს სამების ტაძრის ზოგადი აღწერილობა, მაგრამ ამ საკითხს ის არ ეხება.¹ სამების ტაძარი მეცნიერულად ჯერ შესწავლილი არ არის და მისი დათარიღებაც ძნელია. მაგრამ ამ ტაძრის ნაგებობის კონსტრუქცია, მისი ლამაზი და სადა ჩუქურთმები აშკარად მოწმობენ, რომ სამების ტაძარი აშენებული უნდა იყოს დაახლოვებით X—XI საუკ.²

გერგეტელების გადმოცემით სამების ტაძრის დაცვა და მეთვალყურეობა თამარსა და ბაგრატ მეფეს გერგეტელებისათვის მიუზღვიათ

¹ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства.

² რუსულ ლიტერატურაში და თანამგზავრებში სამების ამ ტაძარს მე-IV-V საუკ. მიაკუთვნებენ, რაც აშკარა შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

და ამაზე ბაგრატ მეფეს მათვის სიგელიც უბოძებია. ეს სიგელი წინათ სამეზბის დეკანოზებს ჰქონიათ ჩაბარებული, დღეს კი სიგელი ინახება ტფილისში მ. სუჯაშვილის ოჯახში.¹ სიგელი დაზიანებულია და მას ბოლო აკლია. მისი ზომა 32×16 სანტ. სიგელი ნაწერია ტყავზე, ლამაზი და გარკვეული მხედრული ხელით და ეკუთვნის ბაგრატ V დროს (1360—1395 წ.), ეს ბაგრატი თვით ამ სიგელშია მოხსენებული და ამის მიხედვით ეს სიგელიც მე-14 საუკუნით უნდა დათარიღდეს:

1. ქ: ჩუენ: ღთიე: გუირგუინოსანმა[ნ]

2. მეფეთა: მეფემან: ბაგრატ: ესე: მტკიცე: [და]

3. უქცეველი: ბბა: და: სიგელი: ამისად: ნიშ-

ნად:

4. გიბოძეთ: თქუენ: გერგეტელთა: საყდარი: შვილთა:

5. წმინდისა: სამეზბისა: მოსამსახურეთა:

6. საყდრი: შვილობა: ასრე: და: ამა: პირსა: ზე-

და: და:

7. რომე: თუ ვისმე: თქუენი: განი: კაცი: შე

8. [მოა]კუდეს: სამ სისხლად: აზლუევიანეთ: ამისთ

9. უის: რომე: ძუელი: სიგელიცა: გქონ

10. და: და ჩუენთა: გუართაცა: დამტკიცნეს]

11. ვნახენით: სიგელი: და: გავსინჯეთ

12. და: დიდი: სისხლი: ეწერა თქუენი: [და]

13. ჩუენცა: ახლად: დამტკიცეთ: ასრე

14. და ამა: პირსა ზედან: რომე ვინცა თქ

15. უენის ადგილისა: გერგეტელი: კაცი

16. მოკლას: რა გუ[არი]

სიგელი აქ მოხეულია და ნაკლული, მაგრამ ამ ნაწყვეტიდან მაინც აშკარად ჩანს, რომ გერგეტელები სამეზბის საყდრის შვილებად ყოფილან და მათ მართლაც დაკისრებული ჰქონიათ მეფისაგან სამეზბის საყდრის სამსახური. ამის გამო გერგეტელის სისხლიც სამ სისხლად ყოფილა შეფასებული.

საყდრის შვილობის უფლებებით გერგეტელები დღესაც სარგებლობენ და სამეზბის ტაძარსაც გერგეტელები და მათი დეკანოზები განაგებენ.

¹ ამ სიგელის მოწოდებისათვის მ. სუჯაშვილს დიდ მადლობას მოვასხენებ.

გერგეტელები სამების ტაძარს დღესაც მორიგეობით ყარაულობენ. წმ. სამების ამ სამსახურისათვის წინათ გერგეტელებს მოხვეწები კომლზე ერთ მათარა ქერს (ფუთნახევარი) აძლევდნ და სამების დეკანოზები ამ ბეგარის ასაკრეფად ყოველ შემოდგომაზე ხევის სოფლებს თურმე დაუვლიდნ. სოფლებში ერთ რომელიმე გვარს ჰქონდა დავალებული ამ დეკანოზების მიღება-გამასპინძლება. მაგალითად ხურთისში—ტუჩაშვილებს, ყანოზში—ტატიშვილებს, ფხელშეში—ელოშვილებს, გორისციხეში—ჩქარეულებს და სხვა. ამ გვარში შემავალი ოჯახები სამების დეკანოზებს მორიგეობით ხვდებოდნ და მათ უმასპინძლდებოდნ. შემდეგ ამ დეკანოზებს გაუძღვებოდნ და სოფელში მათარა ქერს აგროვებდნ. დღეს სამების ამ ბეგარას არავინ იძლევა.

სამებაში ხატობა წელიწადში ორჯერ იციან. ერთი ახალწელიწადს და მეორე ზაფხულში „მარიანობა“. ახალწელიწადს სამების დეკანოზებს ევალებათ „სამების საღმთოს“ გადახდა. პური და სასმელი დეკანოზებმა უნდა გაიღონ, საკლავისათვის დეკანოზები კაცზე მანეთს აგროვებნ და ამით ზვარაკს ყიდულობნ. ამ დღეს საღმთოზე დეკანოზები გერგეტელებს დაიწვევენ და მათ ოთხად გაჰყოფნ და თითოეული დეკანოზი წილხდომილ ოჯახებს თავის სახლში მიიპატიჟებს და მათ უმასპინძლდება.

სამების დეკანოზებს ევალებათ აგრეთვე აღდგომის მესამე დღეს წმ. სამების სადიდებლად „დიდ ქაღობის“ გადახდა. ამისათვის დეკანოზებმა უნდა გამოიღონ ფქვილი და 5 ლიტრა ერბო. შემდეგ აცხობნ ერთ დიდ ქადას და მას სახლის ბანზე აიტანნ, დაჭრიან და სოფელს კომლობრივად გაუნაწილებნ.

28 აგვისტოს სამების ტაძარში „მარიანობის“ დიდი ხატობა იმართება. ამ ხატობასთან დაკავშირებით ჩვენ აქ შევჩერდებით ერთ დამახასიათებელ ეპიზოდზე.

1930 წელს მარიამობის წინ ხევში დიდი გვალვა დაიჭირა და გაფიცებული დედამიწა მოსახლეობას ჭირნახულის განადგურებით ემუქრებოდა. ხალხი ამან დააფიქრა და ხატებს ცის ნამს ევედრებოდა. 24 აგვისტოა, კვირა დღე. მზე რომ გადაიხარა, გაისმა სამების ზარების წკრიალი. მოხვევებმა სამებისაკენ მიაშურეს. ტაძრის კარი ღიაა და შიგ გერგეტელები მუხლმოყრით წმ. სამებას ავდარს შეთხოვენ. დაიძახეს „დიდება“ და ბერიკაცებმა „საადგრო“ ხატი აიღეს და მხრებზე შეისვენეს. ხატი წინ დეკანოზი გაუძღვა. დეკანოზი აიაზმის წყალს ასხურებდა და ყველანი სამების წყაროსაკენ გაემართნენ. გზადაგზა ხატი შეასვენეს, დეკანოზებმა ყანწით არაყი შესვეს და ცისნამზე დაილოცნენ.

აი წმ. სამების წყაროც გამოჩნდა. დეკანოზმა ხატს წითელი ფარჩა შემოხსნა და მას წყაროს წყლით პირი მობანა. ყველანი მუხლს იყრიან და ხატებს ავდარს შესთხოვენ.

ცის ტატნობზე ღრუბლები ამოძრავდნენ და ღრუბლის ქულამ ჩამავალ მზეს პირი მობანა და წინწკლები მეხატეებს შეაშხაპუნა. ეს ავდრის ნიშანიაო და აღფრთოვანებული მხვეწარი „დიდების“ მღერით სამებისაკენ გამობრუნდა. აქაც სამებას სამჯერ შემოუარეს, მისი კარების წინ დაიჩოქეს და დეკანოზმა ავდარზე დაილოცა.

ხატი ეკლესიაში შეასვენეს და ტაძრის ეზოში სუფრა გაიშალა. სუფრაზე ყველსა და პურს ერთმანეთს თავაზობენ, არყით სავსე ყანწები ხელიდან ხელზე გადადის და ხატის ძლიერებაზე და სასწაულთმოქმედებაზე დამაჯერებელი საუბარია. ბერიკაცები ამტკიცებდნენ, რომ არასდროს „საავდრო ხატს“ არ უმტყუნია და აი ახლავე დიდად იავდრებსო.

მაგრამ ამის მოლოდინში ცის კამარა მოიწმინდა და მზემ ისევ დააცხუნა. ამაზე მოხევეები შეშფოთდნენ და საგონებელს მიეცნენ: ვაი თუ შეგვეშალა და საავდრო ხატის ნაცვლად სადარო ხატი გამოვასვენეთო და შეიქნა ერთი ალიაქოთი.

სამების ზარები ისევ ააწკრიალეს და ყველანი ტაძარში შევიდნენ. ბერიკაცებმა ახლა მეორე ხატი გამოასვენეს და თან სინჯავდნენ საავდროა ის თუ სადარო.

ორივე ხატი ერთიდაიგივე ფორმისა და ზომისაა და დეკანოზებს მათი გარჩევა გაუძნელდათ. ერთზე ფანქრით აწერია „სადარო“, მაგრამ ის წაშლილია და ქვეშ უწერია „საავდრო“. მეორეზე კი წინააღმდეგ ჯერ წერებულა „საავდრო“ შემდეგ ეს წაუშლიათ და „სადარო“ დაუწერიათ და ეს ორაზროვანი წარწერა დეკანოზების საიდუმლოებას თუ შეადგენს.

ბერიკაცებმა ახლა ამ მეორე ხატს ხელი წაავლეს, მხარზე შეისვენეს და აიაზმის სხურებით და „დიდების“ მღერით ტაძარს სამჯერ შემოუარეს. შემდეგ ისევ სუფრას შემოუსხდნენ, „გერგეტულა“ დაიმღერეს და ბოლოს ფერხულიც გააბეს.

მაგრამ არც ამ ხატის ძალამ გაჭრა, ღრუბლისაგან ცა მოიწმინდა და ჩამავალი მზის სხივებმა ამით ხატის ძალა გააწბილა და ცრუმორწმუნე მხვეწარიც ღუმილით დაიშალა.

მოახლოვდა მარიაშობის ხატობა. ღამის სათევად მლოცველებმა 27 აგვისტოდან დაიწყეს სამებაში ასვლა. მიუხედავად ავდრებისა ბევრი მლოცავი მოვიდა, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან. აქ იყვნენ რუსები, ოსები, ბერძნები, სომხები, ქისტები და სხვა.

ტაძრის ეზოში დეკანოზები ხალხს ამწყალობენ. შეხვეწილი დეკანოზთან მიდიოდა ვასტეხელითა და საკლავით. დეკანოზი საწირს ართმევდა და ამწყალობებდა. შემდეგ ცხვარსა თუ კურატს იჭვე ჰკლავდნენ.

შეხვეწილი დედაკაცები ტაძარს მუხლისკვერა უვლიდნენ, ზოგმა ზელში თეთრი დროშიუ ბავშვი შემოატარა და ტაძარს ბამბის ძატს



სურ. 81. მუხლისკვერა შემოვლა სამების ხატობაში.

არტყამდა და სხვა. დილის ცხრა საათზე დეკანოზებმა დროშები და ღვთისმშობლის ხატი გამოიტანეს, დაიძიხეს „დიდება“ და ტაძარს სამჯერ შემოუარეს. შემდეგ მხევარმა სამების კარის წინ მუხლი მოიყარა და დეკანოზმა ისინი დალოცა.

ამ დღეს ახლად შეძენილი ვაჟების პატრონები საწირით და საკლავით სამების მახლობლად მდებარე ბეთლემის ნიშთან მიდიან, განსაკუთრებით გერგეტელები. აქ პატარძლებს პირველად ალოცებენ და ვისაც პირველად ვაჟი გაუჩნდება მარიამობას ის აქ მოყავთ, რომ კვლავ ვაჟი მოგვეცესო. ამ ნიშთან დეკანოზი ვაჟებს ამწყალობნებს.



სურ. 82. სამების ხატობა.

შემდეგ საკლავს დაკლავს და მისი სისხლით ვაჟს შუბლზე ჯვარს გამოუსახავს. წინათ ქალებისა და საკლავის ნახევარს დეკანოზები იღებდნენ „საუბნო საღმთოსათვის“ და ამას ერთს არჩეულ პირს აბარებდნენ. მეორე დღეს ხორცს გერგეტეში მოხარშავდნენ და მხვეწართა გვარის უფროსებს „საუბნო სამღვთოზე“ დაიწვევდნენ.

ვინც მივიდოდა მას თან მიჰქონდა ხატის პატივი—პური და არაყი. აქ გვარის უფროსები დაილოცებოდნენ და მხვეწართა ოჯახებს ვაჟიანობასა და გამრავლებას უსურვებდნენ.

დამწყალობნებისა და საკლავების დახოცვის შემდეგ სამების ტაძრის ეზოში სუფრები გაიშალა. მოხუცები დაილოცნენ, ცოცხლებს კეთილად ყოფნა უსურვეს და მიცვალებულებს კი შენდობა. მღეროდნენ „დიდებას“ და „გერგეტულას“, რომელშიაც წმ. სამებას აღი-
ღებდნენ:

დიდია წმინდა სამება ცისკიდურამდე ელავსო,
თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსო.
ზღვას იქით დაღვა ბეგარა, ზღვის აქათ მოუდიოდა.
შუა ზღვას დასავა სამანი, ხმელეთი ჩვენკენ დაგდა.

დიდია წმ. გივარგი ცისკიდურამდე ელავსა,
თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსა.
ხელჩი უჭირავს მათრაზი შეიდკეცი, შეიდი მხარია,
რასაც გადაკრა გადასწვდა, მაგის დაკრული მცხარია.

ამას მიჰყვა „სმური“-ც:

პირმა დაგლოცასთ ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამან,
ქალაქჩი სიონისამა დარეკამ ზარებზსამან.
მცხეთაჩი სვეტისცხოველმა, გადმომცქერელმა მტკვრისამან,
ლომისამ თორმეწამემა, პატრონმა არაგვისამან.
მა კობის წმ. გივარგიმ, პატრონმა დიდის მთისამან
მა ბერმა წმ. სამებამ, პატრონმა ხმელეთისამან,
ივანე ნათლისმცემელმან, პატრონმა ბაღვლებისამან,
მა ბახტრის წმ. გივარგიმ, პატრონმა მგზავრებისამან.

ომია ყირვან წვერზედა გაუთენებლი ღამითა,
შიგა ზის ნადიბაიძე შალესილია რკინითა,
ზოგი კრა, ზოგი დახოცა, ზოგნი წაუფლენ ჭირითა.
მადალის ქედზე ჩამორბის კურკუმელთ ქალის ქმარია,
ჩამოასვენეთ ქალებჩი, ჩამოუნოსკეთ, თმანია.

სამების ხატობა ჩქარა დაიშალა, მზის გადახრისას სამების ეზო ხალხისაგან დაიცალა და მისი ზარებიც დადუმდნენ.

წინათ კი აქ ხატობა სამი დღე გრძელდებოდა თურმე და სამე-
ბის დიდ მინდორზე დაუსრულებელ ტაშფანდურასა და ფერხულს
გუგუნი გაჰქონდაო. აქვე იმართებოდა ცხენების დოლი, რომელში-
დაც მონაწილეობას ქალებიც იღებდნენო.

სამების ეს დიდი მინდორი დღესაც ხატის საკუთრებად ითვლე-
ბა და მას გერგეტელები არ ამუშავენ. ხალხური გადმოცემით სა-
მების ეს მინდორი გერგეტელების ღორებს დაუთხრიათ თურმე, ამა-
ზე ხატი გაჯავრებული და მათი პატრონებისათვის ხელფეხი შეუხ-
მიაო. ამის გამო სამების საბჭოში თემი შეყრილა და ხატისათვის
პატიება უთხოვია. თანაც ფიციც დაუდვიათ, რომ გერგეტეში ღო-
რი გაეწყვიტათ და მისი ხორცი არ ექამათ. ამის გამო გერგეტელე-
ბი ღორის ხორცს დღესაც არ ჰამენ და ღორებსაც არ ინახვენ.

✓ სამებიდან გზა მიდის ბეთლემსა და მყინვარწვერისაკენ. გზა
გრძელია და ძნელი გასავლელიც. ბეთლემის მიდამოში მიმოფანტულია
ყინვარობის მორენები, ვულკანური ამონანთხევი ლოდები და ზეცამ-
დის აზიდული ბუმბერაზი მყინვარწვერი.

ეს ველური და ბუმბერაზი ბუნება გაუთვითცნობიერებელ ადა-
მიანში ერთგვარ შიშსა და მოკრძალებას იწვევდა და ამიტომ წინათ
მყინვარის ეს მიდამო წმინდად და ხელშეუხებელ ადგილად ითვლებოდა.

ხატის დამიზნების შიშით მოხვედები დღესაც ვერ ბედავენ მყინ-
ვარ წვერთან მიახლოებას, რადგანაც ამ მწვერვალის გადალახვა
ზოგიერთ ცრუმორწმუნე მოხვევს ბოროტებად მიაჩნია და ხალხის
წარმოდგენით ამას შეუძლია სტიქიური უბედურების გამოწვევაც¹.

მხოლოდ ღვთის მაძიებელ ადამიანს ამ მყინვარწვერის კლდეში
გამოუკვეთია ბეთლემის სამლოცველო, რომელიც მგოსანს ასე გაუ-
ლექსია:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი ვერ შეჰხებიათ,
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილინი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ყრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჰეჰა-ქუზილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰმთენია,—

¹ 1889 წ. პასტუხოვის თქმით, როცა ის მყინვარწვერიდან ბრუნდებო-
და დიდი ავდარი მოსულა და ნიაველარს წაუღეკია მოსახლეობის წისქვილები და
ქოხები. ამაზე გლეხებს პასტუხოვისათვის საყვედური უთქვამს: ეს სულ შენი ბრა-
ლია, ყაზბეგზე შენ ახვედი და ღმერთმა კი ჩვენ დაგვსაჯაო.

უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბამთ მუნ მონასტერი,
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლებს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსამებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კელდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რაჟ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა,—
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

(იხ. ილია ქაუჭავაძის „განდეგილი“).

ვახუშტი ბეთლემს ასე აგვიწერს: „მყინვარის კლდესა შინა
არიან ქვაბნი გამოკვეთილნი, ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ
ბეთლემს, გარნა საჭიროდ (ძნელად) ასავალი არს: რამეთუ არს ჯაჭვი
რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან, უფ-
ლის აკანასა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლო
და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვლუმებ“. (იხ. მისი გეოგრა-
ფია გვ. 97).

1930 წლის 21 აგვისტოს ჩვენ გავემგზავრეთ ამ ბეთლემის დასა-
თვლიერებლად. ბეთლემი ყახბეგიდან ოცი კილომეტრითაა დაშო-
რებული და მოთავსებულია მყინვარწვერის ძირში. ჩემი თანამგზავრი
იყო ახალგაზრდა მოხვეე არჩილ გიგაური. მრავალი სიმაღ-
ლის გადალახვის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ ყინულის უზარმაზარ ტა-
ფობს და დაბანდული ფეხებით ჩქარა ყინულის ამ დახრამულ ველზე
გავცურდით.

ირგვლივ ყინულის ნაპრალებიანი კედლები და კოშკებია, ისმის
წყლის ჩუხჩუხი და ყინულვარდნის გუგუნი. ამ ტაფობის იქით უკვე
ბეთლემის საზღვარია, სადაც იწყება ყინვარობის ღორღიანი მორენა.
მცენარე აქ უკვე ჰქრება და მთელი ეს ადგილი წარმოადგენს ნამდ-
ვილ უდაბნოს.

შორს ერთ მაღალ კლდეზე ბეთლემის ჯვარი მოჩანს, მაგრამ მისი
გზა და კვალი უჩინარია. გათენდა. დილიდანვე შევუღწიეთ ბეთლემის
გზას და მძიმე ნაბიჯით ვარღვევდით ბეთლემის ქვა-ღორღიან მორენას.
შუადღისას ავედით ბეთლემში, რომლის სიმაღლე ზღვის დონედან
4.000 მეტრს აღემატება.

უამთავითარებაში ბეთლემში ყველაფერი წალეკილა. მისი სენა-
კები და გამოქვაბულებები დაშლილა, მხოლოდ ანდუხიტის ერთ დიდ

მორენაზე ქვის ჯვარია შერჩენილი. ანდეზიტის ამ ლოდის აღმოსავლეთ მხარეზე ამოჭრილია ხუცური წარწერა, რომელზედაც გარკვევით მხოლოდ რამდენიმე ასო მოჩანს:

ე დ ე რ

ს ა ს ა

გ ა თ (?) რ (?) ბ (?)

გ რ ნ ს	
---------	--

ამ ლოდს სამხრეთით მიშენებული ჰქონია სამლოცველო, რომელიც უკვე ჩაქცეულია და აქვე ჰყრია მისი კოჭები და სახურავის ფიქლები. მაგრამ მისი სასანთლე და ორი ქვის ბოძი ჯერ კიდევ



სურ. 83. ბეთლემი.

დგას. აქვეა აიაზმის ქვის ჭურჭელი და მარხილის ნაწილი. ამ მარხილით ბერები შეშას ეზიდებოდნენ თურმე. ჩრდილოეთით ორი მრგვალი სენაკის ნანგრევია. აქვეა დაცული რაღაც ძველი შენობის ორი კედელი, რომელსაც ირმის საწველს უწოდებენ. ამ ირმის საწველის გასწვრივ კლდის ძირში მეუდაბნოების სენაკები ყოფილა გამოკვეთილი, ზემოდ კი განდევნილის გამოქცეული, საიდანაც ჯაჭვი იყო თურმე გადმოკიდებული და ამ ჯაჭვით გამოქცეულში ადიოდნო.

ამ რამოდენიმე წლის წინათ ეს კლდე ძლიერ ნიაღვარს ჩამოუწვრევია და ბერების სენაკები და განდევნილის გამოქვაბულიც თან დაუტანია. ნიაღვრებისაგან აქაურობა დღეს ისეა წალეკილი, რომ ნაგებ-ნადგომების ყოველგვარი კვალი წაშლილია.

ბეთლემის აღმოსავლეთით დარჩენილია ეგრედწოდებულ „ამირანის ქოხის“ ორი კედელი, რომლის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: ერთხელ ახალწლის წინა დღით ერთი მონადირე მყინვარისაკენ სანადიროდ წასულა. მას აქ ჯიხვი მოუკლავს, შემოლამები და ბინას თურმე ეძებდა. ის შესულა ერთ ღია ქოხში, სადაც დაუნახავს დაბმული უზარმაზარი ადამიანი. მონადირეს შეშინებია და გამოქცეულა, მაგრამ ამირანს მისთვის დაუძახნია და უთხოვნია იქვე გვერდით მდებარე ხმალი მიეწოდებინა. მონადირეს ხმალი უწევია, მაგრამ ის ადგილიდან ვერ დაუძრავს. მაშინ ამირანს უთქვამს: შენ ხმალს ხელი მოავლე მე კი ხელს ფეხზე მოგკიდებ და ხმალი ისე გამოვათრიოთო.

მონადირეც ასე მოქცეულა. ამირანს მისთვის ფეხი უტკენია და ხმალიც ვერ გამოუწოჩებია. ახლა ამირანს მონადირესათვის უთქვამს: წადი ახლავე, სანამ ახალწელიწადი გათენდებოდეს და სახლიდან საკიდელი უმძრახად წამოიღე, მიაბი ამ ხმალს და მას მე დავითრეო, რომ ძაღლის ლოკვით გათხელებულ ჩემს ჯაჭვს ეს ხმალი დავკრა და გავწყვიტოვო.

მონადირე შინ გაქცეულა, საკიდელი ჩუმად ჩამოუხსნია და უკანვე გამოქცეულა. მაგრამ ცოლს ეს დაუნახავს უკან დასდევნებია და დაუძახნია საკიდელი სად მივაქვსო, მონადირე ბევრს ცდილა უკან არ მოეხედა და ცოლისათვის პასუხი არ გაეცა, მაგრამ დედაქაცი მას არ მოშვებია სანამ პასუხი არ გასცა თურმე. მონადირე ამირანის ქოხს მიუახლოვდა თუ არა მჭედლებმა საახალწლოდ კვერები თურმე დაჰკრეს, ამირანის ქოხის კარი დაიკეტა და მისი შეთხელებული ბორკილიც ისევ გასქელებულაო.

ბეთლემში ძველად მეუდაბნოებს უცხოვრიათ და ის დიდ სალოცავად ითვლებოდა. ბეთლემის პირობებში დღეს ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ამ მეუდაბნოების ფიზიკური გამძლეობა, მაგრამ ღვთის მაძიებელი ცრუმორწმუნე ადამიანი მყინვარის ამ გამოქვაბულშიც დაუღებულა, რათა ასკეტური ცხოვრებით საიქიოს ნეტარება მოეპოვებინა.

მოხევების რწმენით ბეთლემი სასწაულთმოქმედი და მის საზღვრებში მონადირეს თოფის სროლა და ნადირობა არ შეუძლია,

26/2

რადგანაც ბეთლემი მას დააბრმავებსო. დაკოდლი ნადირი აქ ხელ-
 შეუხებელია და ხატის ძალით ის იკურნებაო.

ბეთლემშივე ინახება თორმე ქრისტეს ბავა, მოსეს კარავი, ცის
 მანანა და სხვა. აქვეა ოქროს აკვანი, რომელსაც მტრედი არწევსო.
 ყველაფერი ეს ხალხური თქმულებით ვითომდაც უნახავს მამუკა ბერს,
 რომლის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს:

„ერთ ღამეს მამუკას ძილში ბეთლემის წმ. გიორგი ჩვენებია და
 ტკბილის ხმით უთქვამს: ნუ გეშინია, მამუკავ, მე ვარ ბეთლემის
 წმინდა გივარგი. შენი ღვთის მოყვარული ცხოვრება ღირსადა
 გზდის წახვიდე და ნახო ჩემი საბრძანისი, რომელიც მყინვარწვერ-
 ზეაო. მისი ნახვა ბევრს ენატრება, მაგრამ იქამდის ჯერ არავის
 მიუღწევია. ვერც ვინმე მიაღწევს უწმინდური, თუ არ წმინდანი ჩე-
 მის ნებართვით. გიბრძანებ შენ, წმ. მამაო მამუკავ, წახვიდე და თან
 წაიყვანე ერთი ვინც შენ გინდოდეს, თან საკიდელი წაიღე და წადი.

მეორე ღღეს მამუკა სამზადისს შეუდგა თურმე. ჯერ ილოცა და
 შვიდი ღღე წმ. სამების ეკლესიაში იმარხულა, ყოველ ღღე რძეში
 ბანაობდა და ამგვარად წმინდობდა. შემდეგ გაიყოლა თავისი ახალ-
 გაზრდა ძმის წული და ბეთლემის გზას გასდგომია. ბევრი წვალების
 შემდეგ მგზავრებმა მიაღწიეს ყინულიან დიდ კლდეს, სადაც თუ არ
 ჩაფრენა ჩასვლა არ შეიძლებოდა. აქ მამუკამ საკიდელი მოიმარჯვა
 თურმე. საკიდელის ერთი ბოლო ძმისწულს ხელში დააქერინა, მეო-
 რეზე ხელი თვითონვე წაავლო და ამ კლდეში ჩაეშვა. ის იყო მამუ-
 კა ძირში ჩადიოდა, რომ ძმისწულმა. საკიდელი ვერ შეიმავრა, ხე-
 ლიდან გაუსხლტა და საკიდელიც შიგ ჩავარდა. ამით მამუკას უკან
 დაბრუნების საშუალება მოესპო და ძმისწულმა ტირილი მორთო,
 მაგრამ მამუკამ ის დაამშვიდა და უთხრა: ნუ ტირი შვილო, ალბად
 წმ. გივარგის ნებაა, რომ მე უკანვე არ დაებრუნდეთ. შენ აქ მომი-
 ცადე და მე მალე მოვბრუნდებიო.

ორი ღღის შემდეგ მამუკა გამოჩენილა და ძმისწულისათვის უამ-
 ბია, რომ მან ნახა ერთი მშვენიერი ტაძარი, რომელიც სულ მოლად
 ლეკუმ ყინულის მთის წვერზე დგასო. ეს მთა წვრილის თოვლით
 არის შეფარებული ისე რომ გევინება თოვლის კორკოტი აყრიაო.
 მთის დაბლიდან დაყოლებული სულ მალა წვერამდე ყინულშია
 გამოკრული და მშვენიერი კიბე შეუდის. აქ ვახსენე ხევის მთავარ
 ანგელოზნი, წმ. გივარგი, გაღვიწერე პირჯვარი და ამ კიბეს შეუ-
 დექი და თვალწინ წარმომიდგა უფრო გასაოცარი სანახაობა: მთის
 წვერი საგანგებოდ გადაქრლსა ჰგავს და წარმოადგენს კალოსავით
 მრგვალს და ხელის გულივით სწორ ვაკეს, ამ ყინულის კალოზე

სდგას ბეთლემის ეკლესია—წმ. გივარგის საბრძანებელი. ეკლესია სულ მთლად ყინულისავე არის, მშვენიერის ხელოვნებით გამოქრილი და შიგ ძვირფასად მორთული. შუა იატაკზე ოქროს აკვანი სდგას თვლებით მოქედილი, ზედ მტრედი ზის და არწევს. საკურთხეველში საკვირველება რამ ვნახე, მაგრამ ნება არ მაქვს გიამბოო. ახლა შინ წადი, ჩემო ძმისწულო, და რაც გიამბე არავის უთხრაო.

ძმისწული ტირილით შინ გაბრუნებულა და ყველაფერი ეს დედამამისთვის უამბია, რის გამოც ის მაშინვე დამუხუჯებულაო¹. მაგრამ ეამთა ვითარებაში მეუღაბნოეთა ეს მოჩვენებითი სიწმინდე განდგომილი ადამიანის მიერ ჩქარა წაბილწულა ბეთლემში, სადაც განდგომლის სქესობრივ უმანკობას და ასკეტურობას სძლია ადამიანის საღმა სქესობრივმა ინსტიქტმა და ამის გამო ხალხური თქმულებით ბეთლემის წმ. სავანეს მყინვარწვერი დაეყოდაო.

ამის შესახებ არსებობს თქმულების რამდენიმე ვარიანტი.

პირველი ვარიანტით ხევში ყოფილა ერთი მონადირე, რომელიც მთელ თევებს ნადირობაში ატარებდა თურმე. მისი ცოლი კი უქმროდ სახლში იტანჯებოდა. ერთ დღეს ქალს ქმრის ნახვა მონატრებია და ტყეში მის საძებრად წასულა. აქ მას შეხვედრია ბეთლემიდან მომავალი ერთი ბერი და დედაკაცი ამ ბერის სიყვარულით გამსქვალულა. სულ იმაზე ფიქრობდა და ოცნებობდა, როგორმე ამ ბერის ალერსით დამტკბარიყო.

ბოლოს ქალს ასეთ ხერხისათვის მიუმართავს: მას თავი მოუავად-მყოფობებია და ქმრისათვის უთქვამს: ფითილის დახვევის დროს ბეთლემის ხატის მიზეზი გამამივიდა, მასთან შეხვეწილი ვარ და იქ სალოცავად უნდა წავიდეო. ქმარმა ეს დაიჯერა, მოუშაადებიათ ხატის საწირი და ორივენი ბეთლემის გზას გადგომიან. როცა მონასტერს მიუახლოვდნენ ცოლს ქმარი მოუტყუებია და უთქვამს: ხატის სანთელი სახლში დამრჩა, წადი მოიტანე და მე აქ დაგიციდო. ხატის შიშით ქმარი მაშინვე გაბრუნებულა.

ამ დროს ჭექა-ქუხილი ამტყდარა, წამოსულა დიდი ნიაღვარი და ქალს ბერებისათვის თავშესაფარი უთხოვია. ბერებმა ქალი თურმე შეიბრაღეს, ჯაკვი ჩაუგდეს და სენაკში ამოიყვანეს. ქალმა აქ თვალი მოჰკრა თავის მოწონებულ ბერს და საქმე ისე მოაწყო, რომ მის სენაკში დააწვინეს. ბერი დიდხანს ებრძოდა ქალის მაცდურობას, მაგრამ ქალმა ის მაინც შეაცდინაო.

¹ სოლომონ ყაზბეგი, ყაზბეგის მთა, გაზეთი „ივერია“ 1895 წელი № 197.

გათენებულა. ბერები გარედ გამოსულან ქალის ქმრის ამოსაყვანად და ამ დროს დაუნახავთ თოვლით დაფარული უზარმაზარი მთა-მყინვარწვერი, რომელიც იმ ღამეს ჩადენილი ცოდვის გამო ღმერთს აღუ-მართავსო.

✓ მეორე ვარიანტით ბეთლემის მონასტრის წინამძღვარს ჰყოლია ირმები, რომელთა რძით ის იკვებებოდაო. ამ ირმებს წინამძღვარი „ირმის საწველში“ თვითონვე წველიდა თურმე. ეს წინამძღვარი შეუყვარებია ერთ მწყემს ქალს და მასთან დაახლოვების მიზნით ქალი მონასტერს დასტრიალებდაო.

ერთხელ წინამძღვარი შეუძლოდ გამხდარა, ირმები მოსულან, მაგრამ მწველელი არავინ ყოფილა. მაშინ მწყემსი ქალი მისულა წინამძღვართან და უთქვამს ირმებს მე მოვწველაო. წველის დროს ქალს ირმისათვის ცურში სადგისი უჩხვლეტია და გახელებულ ირემს მისთვის წიხლი მუცელზე დაურტყამს. ქალს ვითომც სიმწარისაგან გული წასვლია. წინამძღვარი ძლიერ შეშინებულა, ქალს მიაღერებია და მისი მოსულიერება დაუწყვია. მაგრამ ქალი განგებ თავს იმკვდარუნებდა თურმე.

შეშინებულ ბერს უფიქრია, ვაი თუ სადმე კრილობა ჰქონდესო და ქალის სხეული გაუსინჯავს. ამ დროს ქალს თავის სქესობრივ ასოზე მიუთითებია და ეს ბერს მართლაც კრილობა ჰგონებია. მაშინ ბერი შეკითხებია: ეს კრილობა რით მოგირჩინოო. ქალს უბასუხნია: შენი სქესობრივი ასო ამ ჩემს კრილობას მოუსვი და მეც მოვრჩებიო. უმანკო წინამძღვარი ასეც მოქცეულა და ამგვარად ის ქალთან შემცდარაო.

მაგრამ ამ წუთიერმა სიტკბოებამ დიდი ცოდვები დაატრიალა თურმე. იმ წუთშივე გამქრალან ბეთლემის მტრედები, რომლებიც ბერებს საზრდოს უზიდავდნენ და ოქროს აკვანს არწევდნო. ცოდვილი დედამიწა მძლავრად შეძრეულა და საშინელი ქექა-ქუხილი ქვეყანას წალეკით ემუქრებოდა თურმე. ბერებმა მაცდური დედაკაცი დასწყევლეს და მეორე დილას ცოდვის ნიშნად ბეთლემს მყინვარწვერი დაეყუდაო.

✓ მესამე ვარიანტის მიხედვით, ბეთლემის წინამძღვარად სტეფანე ბერი ყოფილა. ერისკაცობაში მას ღრუბელა რქმევია და ხევში განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. მას ლამაზი ცოლიც ჰყოლია და ცოლქმარს ერთმანეთისათვის ფიცი მიუციათ: თუ რომელი მათგანი წინათ მოკვდებოდ ცოლი სხვაზე არ უნდა გათხოვილიყო და არც ღრუბელას უნდა შეერთო მეორე ცოლი. ღრუბელასთვის ეს ლამაზი ცოლი

ჩერქეზს ბატონს მოუტაცნია და მღევრობის დროს ეს ქალი კრილობისაგან გარდაცვლილა.

დაქვრივებული ღრუბელა ახლა მეზობლის ქალს შეყვარებია და მას ცოლად შერთვას თხოვდა თურმე. მაგრამ ღრუბელა დადებულ ფიცს მტკიცედ იცავდა და გადაკიდებულ ქალს უარით ისტუმრებდა. ბოლოს ქალმა ღრუბელას შეპტიცა იჟუ შენ არ შემირთავ ქალწულად ვივლიო.

ამ ქალისაგან თავმოგზრებული ღრუბელა ამდგარა და ბეთლემის მონასტერში ბერად აღკვეცილა სტეფანეს სახელწოდებით. ქალიც მწყემსად წასულა და თავისი ფარათი ბეთლემის მიდამოს დასტრიალებდა, რომ სტეფანე ბერი როგორმე მოეხიბლა.

ერთხელ ამ ქალს ბერების აბანოში უბანავნია და ამით ის შეუბილწავს. ამაზე ხატი გაჯავრებულა და დიდი ქექა-ქუხილი ამტყდარა. მწყემს ქალს ფარა გაბნევია და ლამის წყვდიადში ის თავშესაფარს ეძებდა თურმე. ამ დროს მას სადღაც შორს შუქისათვის თვალი მოუკრავს და იქით გაქცეულა. მისულა ერთ გამოქვაბულში, საზარელი ხმით შეუკივლია და დახმარება უთხოვნია. გამოქვაბულიდან განდევილს ჯაჭვი გადმოუშვია და ამით ქალი გამოქვაბულში ასულა. ბერი კი კარში გასულა გაფანტული ცხვრების მოსაკრებად.

ქალმა ლამის აელეში ამ ბერს თვალი მოჰკრა, ის თავის სატრფო სტეფანე ეგონა თურმე და სიხარულის ჟრუანტელმა აიტანა. ქალმა გადაწყვიტა შემთხვევით ესარგებლა და სტეფანე ეცდუნებია; მივიდა კერასთან, გატიტვლდა და იქვე წამოწვა. განდევილმა რომ დაინახა კერასთან მწოლარე ლამაზი ქალი თავის უმანკოებისათვის დიდხანს იბრძოდა თურმე, მაგრამ ქალმა ის მაინც აცდუნა და მისი უმანკოებაც გაჰქრაო.

მეორე დილას მწყემსმა ქალმა დაინახა, რომ ცდუნებული ბერი განდევილია და არა მისი მოწონებული სტეფანე, საზარლად დაიკივლა და ხრამში ვარდებოდა თურმე, მაგრამ განდევილმა ის შეაკავაო. განდევილმა შეცოდების მთელი სიმძიმე ახლა იგრძნო; წინათ მას წყალი კალათით ამოჰქონდა, ახლა კი კალათს წყალი გადიოდა, მზის სხივებზე ჩამოკიდებული საესე ხურჯინები ძირს ვარდებოდა, მტრედები გაფრინდნ და სხვა.

განდევილმა აიაზმის წყალი ისხურა, მაგრამ არა ეშველა რა. მაშინ ბერები შეიყარნენ, რომ ღვთისათვის შეცოდების პატიება ეთხოვათ. აქ სტეფანეც მოსულა და როდესაც ის მწყემს ქალს დაუნახავს მას ფიცის გატეხისა შერცხვა თურმე, დაიკივლა და ქალი იქვე ხრამში გადავარდაო. დედამიწა საშინლად ნძრეულა, ამტყდარა ქე-

ქა-ქუხილი და ბეთლემის უდაბნოს ნიშნათ ცოდვისა მყინვარწვერი დაეყუდაო.

აი როგორ წარმოიშვა მოხევეთა წარმოდგენით დიდებული მყინვარწვერი.¹ მაგრამ ხალხურ თქმულებით ამავე მყინვარწვერზე მეორე ცოდვაც დატრიალებულა: მყინვარწვერის აღმოსავლეთის ფერდობზე ბუნებრივი კლდეა, რომელიც შორიდან თავისი მოყვანილობით ფეხებზე წაწოლილ გრძელ ყურა ცხოველს წააგავს და მას აქ გველაშაპს უწოდებენ.²

ამის შესახებ ხევში ასეთი თქმულება არსებობს; როდესაც გამარჯვებებით გათავხედებულმა ამირანმა ქრისტე ღმერთანაც შეჯიბრება მოინდომა, ღმერთმა ის ამისათვის მყინვარწვერის ფერდობზე მიჰქავაო. ამით უნდოდა ესარგებლა ამირანის დაუძინებელ მტერს გველაშაპს, მყინვარის წვერიდან გადმოცოცდა და დაბმულ ამირანს შეჭმას უპირებდა თურმე. მაგრამ მისი ეს განზრახვა წმ. გიორგის გაუგია და სწრაფად იქვე გაჩენილა, წმინდანს გველაშაპისათვის თითის დაქნევით უთქვამს:

„შეჩრდი, ამირანი ცოდვების მოსანანიებლად დავაბით და არა შენი გასაძლომადო, მანდვე გაქვავდიო“. ამ სიტყვებდთ გველაშაპი იქვე გაქვავებულაო.

დღეს ბეთლემს მლოცველები არ ეტანებიან და აქ არც ხატობა იმართება, რადგანაც მისი გზა მეტად შორი და ძნელია. ბეთლემის მიმართულებით გზა და გზა აშენებულია ბეთლემის ხატის საბრძანისი ნიშებით.

მოხევეებს ბეთლემის ორი ხატი სწამთ და ორივე ძლიერ ხატად ითვლება. ეს არის „მყინვარის წმ. გივარგი“ და „ბეთლემის ყოვლადწმინდა“. მოხევეები ახლად შეძენილ ვაჟს და ახალპატარძალს პირველად ბეთლემის ყოვლადწმინდის ნიშთან ალოცებენ.

ყაზბეგში რამდენიმე სამლოცველო ნიშია. მათ შორის საყურადღებოა ყუროსთან არსებული ერთი ნიში, სადაც 29 თიბათვეს მოხევეები პეტრე-პავლობას იხდიან. ამ დღეს გვარში შემავალი ოჯახები საკლავს მორიგეობით ხოცავენ. მორიგე კომლი ამ მიზნით

¹ თქმულების ეს უკანასკნელი ვარიანტი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მიერ თავისი პოემა „განდეგილი“-ს ფაბულად აღებული.

² მყინვარის ეს ბუნებრივი კლდე თუშეთიდანაც მოჩანს და მას წოვათუშები „ლომწვერილს“ (ნიშნავს ლომდახატულს) უწოდებენ. ივ. ბუჭურაული, ტბათანიდან წოვათამდის. ჟურ. „მოამბე“ 1847 წ. № VIII, გვ. 46.

სოფელს დაივლიდა და თითო პინა ქერს აგროვებდა და ამით ხატი-სათვის კურატს იყიდდა და პეტრე-პავლობა ღლეს მას ხატში დაჰკლავდნენ და ხორცს ყველას გაუნაწილებდნენ. ვინც ქერის ამ ბეგარას არ აიღებდა და კურატს თავისი საფასურით შეიძენდა და ხატს დაუკლავდა მას სოფელი ერთი წლის ვადით ყოველგვარ სასოფლო ბეგარისაგან ათავისუფლებდა.

აქვეა „ხედენიშის წმ. გივარგი“, სადაც 20 მკათათვეს წინათ დიდი ხატობა იმართებოდა, რომელიც აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგს „მამის მკვლელში“. ამ ხედენიშზეა ნათქვამი:

„განჯას თუშნი ცხენებს სკვდნენ იძახიან გალობასა,
ბედრენაი შეესწრება ხედენიშთა ჯორობასა“-ო.

ხალხური თქმულებით ამ ხედენიშში ღვინით წვიმდა თურმე და თეთრი პურით თოვდაო. მაგრამ ერთ უგუნურ დედაკაცს ხედენიშობას ეს ადგილი ბავშვისათვის წაუბილწინებია, ამაზე ხატი გაჯავრებულია და ის მიწაში ჩასულაო. ხალხს იქაურობა გადაუთხრია, მაგრამ ხატი ვერ უპოვნიათ. ბოლოს ხატს მიწიდან ამოუძახნია: ნუ ილღებით რამდენს თოხს დაჰკრავთ, იმდენადაც მიწის სიღრმეში ჩავდივარო. ამ ნათხარს „გორაის ტბას“ უწოდებენ და ღლესაც უჩვენებენ; იგი დიდ ორმოს წარმოადგენს.

ყაზბეგიდან ხუთი კილომეტრის დაშორებაზე დარიალის მიმართულებით ნათლისმცემლის ნიშია მოთავსებული. ეს ხატი სამხედრო გზის მარჯვენა მხარეზეა და აქ 29 მარიამობისთვის (ძველი სტილით) დიდი ხატობა „ივანობა“ იმართებოდა.

საზოგადოდ ივანე ნათლისმცემლის თაყვანისცემა ხევში გავრცელებულია. ის ყვავილბატონების მფარველ ღვთაებად ითვლება. ნათლისმცემლის ეს ხატი თერგის ნაპირას არის მოთავსებული და დაფარულია ჯაგიანი და ჩირგვიანი ტყით. აქ ორი ნიშია აშენებული: ერთი ნათლისმცემლისაა და მეორე ყოვლადწმინდისა. ხატის ამ ადგილს „ნახერეთი“ ეწოდება.

ხატის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხარეზე შენობის ნანგრევია. ეს არის ნათლისმცემლის „კვირიეს ხატი“, რომელიც კლდეშია მოთავსებული და ეკლესიის ფორმა აქვს. მისი ფართობი 10 მეტრია, სიმაღლე კი 4 მეტრი. ეს ძველი სამლოცველო ჩამონგრეულია. მას ერთი პატარა შესასვლელი კარი აქვს, შიგ კი გაჯით არის შელესილი და მოხატულიც ყოფილა. მხატვრობა ღლეს უკვე წაშლილია, მხოლოდ აქა-იქ მოჩანან წმინდანების სახის ნაწილები. სარ

მლის თაროზე ჰყრია ხატში საწირად მიტანილი სადაფის და შუ-
 შის ლილები, მძივები, ვერცხლის ფულები, გახვრეტილი ქვები და
 სხვა.

როცა ბავშვი სახადს მოიხდის პირველად მას აქ ალოცებენ საკლა-
 ვით და ღამის თევით. სახადისაგან თუ ბავშვს თვალი ატკივდებოდა
 ან მას თვალზე თეთრი გადაეკვროდა, მაშინ ნათლისმცემლის ხატს
 წითელ მამალს შეუთქვამდნენ და ამ მამალს კვირიას ეკლესიაში აიყ-
 ვანდნენ. აქ დეკანოზი მამალს დაჰკლავდა, მხვეწარს შარნასაც შეხ-
 სნიდა და ხატის ნიშში შედებდა. ზოგს ნათლისმცემლის ნიშთან უნიშ-
 ნო ცხვარი მიჰყავს და თეთრი ან წითელი დროშაც მიაქვს.

ხალხის რწმენით ეს ხატი უფროს ვაჟს ამიზნებდა და ამიტომ
 მას აქ ბერადაც შეუყენებენ. ამ მიზნით პირველ ვაჟს სამ წლამდის
 თმას არ შეკრევენ და ივანობის ხატობაში ბერად შეყენებულ ვაჟს
 ხატში მიიყვანენ, მას ხელში გრძელ კელაპტარს მიცემენ და ხატს ასე
 შეეხვეწებიან:

„თავის სწორი კელაპტარი, თავის სწორი არკამელი, ბერად იყ-
 ვის სამი წელი ჩემს აღმანზევო“ და სხვა.

თვითრიანი ქალი ნათლისმცემლის ხატში სალოცავად ვერ მივა,
 თუ გზაში მოუვიდა თვითური ის უკანვე უნდა გაბრუნდეს. ხატთან
 ახლოს უშვებენ მხოლოდ უთვითურო მოხუც ქალებს და პატარა გო-
 გოებს.

წინათ ნათლისმცემლის ხატში სალოცავად მთელი ხევი მიდიოდა
 თურმე და მისი ხატობაც სამი დღე გრძელდებოდა.

ნათლისმცემლის ხატობაზე მოხუცებმა მიაშვეს, რომ წინათ ნათ-
 ლისმცემლის ხატობაში მოხუცი დედაკაცები ხატის პატივსაცემად
 თეთრი ტანისამოსით იმოსებოდნენ და ვინც შეხვეწილი იყო თავზე
 დიდი ქვით და ფეხშიშველა მიდიოდა. ქვით შეხვეწილი გზაში პირ-
 ველ წყაროსთანვე აიღებდა მოზრდილ სიბ ქვას, დაიდებდა მას თავზე
 და ხატში გაემგზავრებოდა. მოგზაურობაში მუდამ გაისმოდა დედა-
 კაცების ასეთი საუბარი:

„ბეჩაო ჩემო თაო, ძოღანის ბაღლა შავაი გავგზავნე მთაჩი ნაყო-
 ჩარის ჩამოსაყვანადა, გადმალვარდნიყო. მამრენის როცანისა რომა
 ჩამოვიდა მთელი ღამე ეხვიეწა უფალს შენთვი დაყინებული კურეტი
 დემელუპაო. ვაი ჩემს დანელებასა, კაია კულა ჩემს დანელებასა კუ-
 რეტიო ქალო და ეხლანისინ არ გიწყენე არაცხო გორობით არ გაპა-
 ტიებ, ამბობს მეორე დედაკაცი, რომელიც ისე შეწუხებულიყო მუხ-
 ებით სიარულით, რომ თველები ზედ ამოეყარა“.

ზოგ დედაკაცს ყელზე ჩამოკიდებული ჰქონდა მავთულზე ასხმული სამი ქაჭის ქვა. მისვლისთანავე დედაკაცებმა სამჯერ შემოუარეს მუხლისკვერა ხელში სანთლებით და ქალებით. ამის შემდეგ ყველა „მწყალობნი“ მეხატენი ბრუნდებოდნენ თავიანთ ბინებში. ღამე როცა ვარსკვლავი გადინაცვლებოდა დედაკაცები მიწას ეწაფებოდნენ და იტყოდნენ:

„ვაი შენ დიდებულო და მადლიანო უფალო ცაჩი მასკვლავებთან ანგელოზები დაფრინვენ იმათ უხარიან, რომ დღეს ბედრიანი დღეა“.

ხატის ჩირგვებს ფრინველები ეხვევიან და ხმაურობენ. ამაზე ზოგი შეშინებული წამოიძახებდა: ბეჩაო ჩემო თაო, ჩვენი მკვდარნი გოტანენ, შენდობას გველიან.

აქ ამოიღებდნენ ხურჯინიდან რამდენიმე პურს ხახვიანს და მარილგაცხებულს და სამარხო საკმელზე მკვდრების სახელებს მოიგონებენ. როცა გათენდებოდა, ხალხი შეიკრიბებოდა დავაკებაზე და ფერხისას მართავდა. ერთი არჩეული მოხუცი განზე გადგებოდა და იტყოდა აბა მადით ხალხნო, მადით ფეხისაი გავაბათ.

ფერხულის დროს ერთ მხარეზე ქალებია და მეორეზე კაცები, მაგრამ გადაბმულად. მოხუცი ირჩევდა ერთს ყველაზე ლაზათიან დედაკაცს, რომელიც შუა ფერხულში ჩადგებოდა. მას ხელჩი ეჭირა უშველებელი გრძელი ჯოხი და თავზე ქუდი ეხურა. ფერხულის ხალხი დაიძახებდა:

„არალე ჩვენო დათუაუ, ჩვენო დათუაო, აზნაური როგორია ჩვენი დათუაო?.

დათუა გაიკიშებოდა, ქუდს გვერდით. მოიგდებდა და ამგვარად აზნაურის სახეს მიიღებდა.

ისევ დაიძახებდნენ: არალე ჩვენო დათუაუ, ბეჩავი გლეხი როგორია, ჩვენო დათუაო!

დათუა ახლა ქუდს პირისახეზე ჩამოიწევდა და დაკონკილ ტყაპუქს წამოისხამდა.

არალე ჩვენო დათუაო, ხეზე როგორ გახოლ?

დათუა ფეხებს მოიხრის.

არალე ჩვენო დათუაო, მიწაზე გამოგორდიო!

დათუა ამასაც ასრულებს.

არალე ჩვენო დათუა, ცოლი შაირთე ჩქარაო!

დათუა ქალებს დაერეოდა და ვინც მოეწონებოდა იმას ცოლად ირჩევდა და სხვა.

ეს თამაში გრძელდებოდა მანამ, სანამ არ მოეწყინებოდათ. შემდეგ ფერხული იშლებოდა და ყველანი თავიანთ ბინებს უბრუნდებოდნენ.

აქ შეუდგებოდნენ ცხვრების ხოცვას. დეკანოზი ხალხს ამწყალობნებდა და ხატის საწირს იღებდა. გაიმართებოდა პურობა, მღერა, გარმონის „დაღუღალა“, ტაშფანდურა და სხვა.

ზოგი დედაკაცი ნათლისმცემლის წყაროსთან ბავშვს მიიყვანდა და ნათლისმცემელს შეეხვეწებოდა:

„ღმერთო, წმინდაო ნათლისმცემელო, მოარჩინე ეს საცოდავი ბაღლი, ეს ორი წელია, რომ შენმა ყოვிலამ თავის ტკივილი დააჩემა და მასვენება აღარ მამცა, არცა მე და არცა შავბნელის ემის მამასა“. დედაკაცი აიყვანდა ბავშვს ხელში და მიწას ეწაფებოდა. შემდეგ ბავშვს ცივი წყლით ხელპირს დაბანდა და თან გაიძახოდა, ეს წამალია და ჩქარა მოგარჩენსო. ბოლოს ის საგულიდან ამოიღებდა სამ პატარა ბროლის ქვას და სადაფის ღილს, სამ შუშას წყაროს წყლით გაავსებდა და იქვე ქვიშაში ჩამარხავდა. დედაკაცი ერთხელ კიდეც მიწას ეწაფებოდა, მივიდოდა დეკანოზთან და ეტყოდა:

„შამიხევეწე ბაღლი ღმერთს, ჰა გასტეხელზე აგრემ იფრო ერგოს წამლად ეს წყაროს წყალი“-ო. დამწყალობნების შემდეგ ბროლსა და ღილს დედაკაცი ნიშში შედებდა და სხვა.

ამ ნათლისმცემლის ხატის პირდაპირ თერგის გაღმა სოფ. ცდოა. აქ არის ხატის ნიში, რომელსაც „კვირედვთისშვილს“ უწოდებენ. ხატში დაცულია კოშკის მაგვარი შენობის ნანგრევი, რომლის ჩრდილოეთის კედელზე დგას „კვირეის ყოჩის“ ქანდაკება. ყოჩი გამოქანდაკებულია ანდეზიტის ქვისაგან და ის სამხედრო გზით ნათლისმცემლის ხატს გასცქერის.

ამ ყოჩის სიგრძე უდრის 1 მეტრს, სიმაღლე 52 სანტ. თავზე მას ჩამოკიდებული აქვს ყოჩის რქა და შემკულია ხატის უღლებით. ყოჩის წინ ზანზალაკებია ჩამწყრივებულია. კვირედვთისშვილის ხატობა აღდგომის მესამე კვირას იცოან და ამ დღეს მხევეწარი საწირ-საკლავით ცდოში მიდის.

შეხვეწილები კვირეის ყოჩს აქ ევედრებიან თვალის სისაღეს, ცხვრის გამრავლებას და ნაყოფიერებას და აგრეთვე ვაჟიანობას. ახლად შეძენილ ვაჟს მშობლები პირველად აქ ალოცებენ და მას დეკანოზი საკლავის სისხლით განათლავს.

აქვეა „ჟამის საწირავის“ ნიში, სადაც ცდოელები ხატს სახადისა და ყოველგვარ მოარულისაგან მფარველობას შესთხოვენ. ჟამის ნიშთან ძველი აკლდამებია. აკლდამა ძველია, ფიქალ ქვით არის ნაგები და წარმოადგენს თალიან ოთახს, რომელშიაც ადამიანის ძვლებია თავმოყრილი. ხალხური თქმულებით აკლდამა ჟამობის დროს

აუშენებიათ. მასში ჭირიანებს თურმე ათავსებდენ და ისინიც იქვე იხოცებოდნო.

ცდოს მახლობლად სოფ. გველეთია, სადაც დღეს ორიოდე კომლი ქისტი ცხოვრობს. ძველი გველეთი დანგრეულია, დარჩენილია მხოლოდ ორი თავმოკრეული კოშკი. გველეთშია მოხევეების



სურ. 84. კვირვის ყოჩი.

საზაფხულო ქოხები, სადაც ზაფხულობით მათი ცხვარ-საქონელი დგება.

გველეთის დასავლეთით ერთ გორაკზე აგებულია ძველი ეკლესია „სემხის ყოვლაწმინდა“. ეს პატარა ბაზილიკა ქვიტკირით არის ნაგები, მისი ფართობი 3X6 მეტრია. ეკლესია შიგ მოხატული



ყოფილა, მაგრამ იგი ნიაღვარს უკვე ჩამოურეცნია. მოჩანს მხოლოდ ჯვარცმა, ცხენზე მჯდომი წმ. გიორგი და რამდენიმე წმინდანის თავი. ეს ეკლესია ზაგაშვილების სალოცავია და ისინიც სოფ. ცდოდან ყოველ აღდგომას იქ მიდიან და საგვარეულო სღმრთოს იხდიან. [სნოს ხეობაში კვირიას რამდენიმე ხატია. აღდგომის მეორე კვირას სნოელები კვირიას ნიშთან „კვირეძლობას“ იხდიან და მხვეწარი იქ საწირ-საკლავით მიდის.

დედაკაცს კვირიას მიზეზი თუ გამოუვა, ის ხელში თეთრი დროშით და ანთებული სანთლით სოფელს შემოუვლის, შევა ოჯახში და იტყვის: შეგეწიოს კვირელეთის შეილიო. ოჯახის პატრონი მას გამოუტანს ერთ ჯამ ფქვილს და პარკში ჩაუყრის. ამ ფქვილისაგან დედაკაცი პატარა და თხელ პურებს „ცხრილეულებს“ გამოაცხობს, კვირის ხატში აიტანს, აქ კვირიას შეევედრება და შემდეგ ცხრილეულებს ბავშვებს გადმოუყრის.

ბავშვები ცხრილეულებს ყანებში წაიღებენ იქ დაჭრიან, რომ ბარაქიანი ჭირნახული მოგვივიდესო.

ვისაც თვალი ასტკივა ის კვირიას თვალის სისალეს შესთხოვს და თან შეუთქვამს ყელზე „ჭაქის გროშები“ ატაროს. შემდეგ როდესაც ის განიკურნება დეკანოზი შეხვეწილს დაამწყალობნებს, ჭაქს შეხსნის და მას კვირიას ნიშში შედებს¹.

ღალანგურობა. ქარკუჩასა და ართხმოს შუა ერთ მაღალ მთაზე მოთავსებულია ღალანგურის წმ. გიორგის ხატი. მისი ხატობა 29 ივლისს იციან. ამ დროს მოხვევები და ხევსურები თავს ერთად იყრიან. ხატში ხევსურები პირველობენ და მათი ხუცებიც ხელში დროშებით მხვეწარს ამწყალობნებენ, საწირს იღებენ და საკლავებსაც ხოცავენ.

როდესაც ხუცებმა მხვეწართა დამწყალობნება დაამთავრა ერთ მათგანი დასტურების თანხლებით ხატიდან წამოვიდა. მას ახალგაზრდა ხევსური ქალი მიეგება და მის წინ დაიჩოქა. ქალის მშობლებმა ხუცესს თხოვეს მისი „ხატით დაკოჭვა“. ამ ქალს „მავნე“ აწუხებდა თურმე, მოსვენებას არ აძლევდა და ავადაც ხდოდა, ამიტომ საჭირო იყო ავადმყოფის „დაკოჭვა ან გაღახვა“.

ხუცესი თავის დასტურებით შეუდგა დაკოჭვის წესის შესრულებას. დასაკოჭი ქალის წინ ხევსურმა ცხვარი დააყენა და აქვე მუხლი

¹ ღვთაება კვირიას თაყვანისცემა წარმართულ საქართველოში გავრცელებული იყო. კვირია ჩვენში ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი 1928 წ. გვ. 54—70).

მოიყარა. ქალს თავზე ბალდადის ხელსახოცი გადააფარეს და ზედ თეთრი აბაზიანები დააყარეს. ხუცესმა დროშა დააქლარუნა და დაკოჭვას შეუდგა. ის ევედრებოდა ლალანგურის წმ. გიორგის, ქალისათვის ეშველა, მავნე და ბოროტი სულებისაგან ავადმყოფი გაეთავისუფლებია. შემდეგ ხუცესმა საკლავს ყელი გამოჭრა, ქალმა მას ხელი შეუშვირა და მისი სისხლით ხელი გაიბანა. ხუცესმა ქალს შუბლზე სისხლით ჯვარი გამოუსახა და დროშების ქლარუნით მას გარშემო სამჯერ შემოუარეს. ამით დაკოჭვაც გათავდა.

ახლა ერთმა ხევსურის დედაკაცმა „აიძრახა“. ქალი ჯერ გაშეშდა, შემდეგ მორთო კენესა და წმ. გიორგის პირით ქადაგება დაიწყო. გავიდა ხანი და მოქანცული ქადაგი პირქვე დაემხო, დადუმდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ქადაგს ხალხი მიეხვია, ზოგი ცრემლად იმღვრიოდა და მხვეწარი ლალანგურის წმ. გიორგის ქადაგის შველასა და განთავისუფლებას ეხვეწებოდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ქადაგი წამოდგა, არაყი შესვა და დამშვიდდა. ბოლოს ხატში გაიმართა ტაშფანდურა, ხევსურული დოღი და სხვა.

თერგისა და სნოს ხეობის შუა ერთ მაღალ წვერზე მოთავსებულია ხევის მთავარი სალოცავი „სპარსანგელოზი“. ეს ძლიერ ხატად ითვლება და სპარსანგელოზის სახელით მოხევები დღესაც ფიცულობენ და იწყევლებიან. სპარსანგელოზის მთის წვერი 4.000 მეტრს აღწევს ზღვის დონედან და მისი ბილიკიც ძნელი გასავლელია. სპარსანგელოზში გზა ადის ყაზბეგიდან და სნოს ხეობიდან.

სპარსანგელოზობას მოხევები აგრეთვე „ათანგენობასაც“ უწოდებენ. წინათ ხატობა ყოველ ზაფხულს იმართებოდა და ამ წვერზე სალოცავად შეხვეწილები აღიოდენ საწირით, გასტეხელითა და საკლავით. ჩვეულებრივი მლოცავი კი მის საბრძანისის ნიშთან დგებოდა. ეს ნიში ყაზბეგშია მოთავსებული ყუროს მახლობლად.

სპარსანგელოზობას ზოგიერთი გვარები, მაგალითად, სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) ხეთაგურები, ფიცხალაურები, ჩოფიკაშვილები, ალიბეგაშვილები და გიგაურები სამღვთოსაც იხდიდენ.

სპარსანგელოზობას ჩამოსული სტუმრები სოფლის „ერობაში“ თავს იყრიდენ და აქ მათ არჩეული კაცები სამღვთოს გადამხდელ ოჯახებზე ანაწილებდენ. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ჯერ სამღვთოს გადამხდელ მეკომურთა რიცხვის გამოანგარიშება. მათ რიცხვში არ შედიოდენ ახლად მიცვალებულთა პატრონები და ქვრივ-ობლები. ამ მიზნით არჩეული კაცები აიღებდენ კენჭებს და გამოთვლიდენ თუ რამდენი კომლი იხდიდა სამღვთოს და რამდენი არა. შემდეგ ამ უკა-

ნასკნელთა რიცხვს მოსულ სტუმრებს მიათვლიდნ და მათ ჯამს სამ-
 ლეთოს გადამხდელებზე თანაბრად გაყოფდნ.

ამასთანავე ჩამოთვლიდნ იმათ სახელებს, თუ ვინ ვის ერგო,
 მაგრამ სტუმრებს კი არაფერს ეტყოდნ. მასპინძელი თავის სტუმარ-
 თან თვითონვე მიდიოდა და ის ოჯახში მიჰყავდა. მასპინძელი თავის
 წილხდომილ სტუმარს სადაც არ უნდა ყოფილიყო მოძებნიდა და
 ეტყოდა: „ჩემი ნარგები ხარ“ და წამობრძანდიო. სტუმარს უარის
 თქმა არ შეეძლო, ეს იქნებოდა წესის დარღვევა და მასპინძლის შე-
 ურაცყოფა.

ეროზაში თავმოყრილ სტუმრებს ზოგჯერ ქულებს ხდიდნ და ნაბ-
 დის ქვეშ აგროვებდნ. შემდეგ ამ ქულებს მესალმრთოთა ოჯახებზე
 გაჰყოფდნ. ჯერ ყველას რიგზე გაამწკრივებდნ შემდეგ ქულებს ის-
 როდნ და იტყოდნ: „აი, გიგუა, ეს სტუმარი შენი ნარგებია“-ო და
 ისიც ქუდს მოიტაცებდა. გიგუა ამ ქუდს ხელზე აათამაშებდა და
 დაიძახებდა: ქუდის პატრონი ჩემი სტუმარიაო. ქუდის პიტრონიც მას
 გვერდში ამოუდგებოდა. მაგრამ სტუმარი რომ არ გაპარულიყო მას
 გირაოდ რაიმე ნივთს ართმევდნ. თუ ვინმე მაინც გაიპარებოდა, ის
 მეორე დღეს მასპინძელთან ბოდის მოხდით მივიდოდა და გირაოს
 დაბრუნებას თხოვდა. მასპინძელი მას შეარცხვენდა და თანაც გააფრ-
 თხილებდა რომ მას ასეთი საქციელი შემდეგში არ ჩაედინა.

სპარსანგელოზობას სტუმრის ოჯახში არ დაწვევა წინათ დიდი
 სირცხვილი ყოფილა და სადაც არ უნდა ყოფილიყო მასპინძელს
 სტუმრები უნდა მოერეკა. ამიტომ ზოგიერთი ოჯახები სტუმრებს
 სოფლის თავში უხვდებოდნ თურმე და თავიანთ სახლებში ეპატი-
 ტიებოდნ.

1930 წლის ზაფხულში ჩემს იქ ყოფნაში სპარსანგელოზის წვერზე
 სალოცავად არავინ ასულა, ხალხს დღეს ნაკლებად სწამს ამ ხატის
 ძლიერება და ასეთ შორეულ წვერზე ასვლაც ეზარება. ზოგიერთმა
 ოჯახებმა ეს ხატობა გასტეხელით და საკლავით სპარსანგელოზის
 საბრძანისი ნიშთან გადაიხადეს.

5 აგვისტოს სპარსანგელოზობა დილას მე და ერთი ახალგაზრდა
 მოხვეწი ივანე ფიცხელაური ყაზბეგიდან გავემგზავრეთ წვერის
 სპარსანგელოზში.

პირველად შევისვენეთ სპარსანგელოზის ქვემო ნიშთან, სადაც
 წინათ მლოცავი ისვენებდა, ღამეს ათევდა და მეორე დილას წვერზე
 აღიოდნ. ამ ნიშნით იწყება ძნელი აღმართი და აღამიანს უკვირს
 ხატის საწირ-საკლავით დაბარგული მხვეწარის ფიზიკური გამძლეობა.
 შუადღისას ავედით სპარსანგელოზის წვერზე, სადაც განმარტოებით

დგას სპარსანგელოზის ნიში. სპარსანგელოზის მიდამო შემოზღუდულია თოვლიანი მწვერვალებით, გადაღმა ლეკეთია, შორს მოჩანს სნოსა და არაგვის ხეობა.

სპარსანგელოზის ხატის ნიში ჩვეულებრივი ტიპისაა. ის სიპიქვით არის მშრალად ნაგები და შემკულია ჯიხვის რქებით. ხატის



სურ. 85. სპარსანგელოზის ნიში.

ნიშში აწყვია: ბეჭდები, საყურეები, ზანზალაკები, ხატის უღლები და სხვა. იქვეა ოთახებად დაყოფილი ხატის გრძელი შენობა. წინათ ამ შენობაში დაცული ყოფილა ხატის დროშები, ჭურჭელი, სალუდე ქვაბები და ხატის საგანძური.

აქვე ინახებოდა აგრეთვე „სპარსანგელოზის ყოჩი“, რომელიც შემდეგში გადაუტანიათ სოფ. ყაზბეგში და ის სტეფანწმინდის ეკლეს-



სიაში ინახებოდა. ეს ყოჩი უნახავს უვაროვას, რომლის აღწერით ყოჩი ხისაგან ყოფილა გაკეთებული და ვერცხლის ფირფიტებით შემკული.

ყაზბეგის ეკლესიაში ეს ყოჩი ბევრს უნახავს, მაგრამ დღეს ის იქ უკვე აღარ არის. ძნელია იმის გამორკვევა ყოჩი დაკარგულია თუ გადაშალული. მხოლოდ ამ ყოჩის ზურგის ჯვარი სპარსანგელოზის სხვა ნივთებთან ერთად სოფ. სნოს ეკლესიაში ინახება¹.

სპარსანგელოზის ჯვარი ვერცხლისაა, სიგრძით 20 სანტ. ამ ჯვარს ორივე მხარეზე ჰკიდია თეთრი ლითონის სამკუთხიანი და დაფანჯრული საყურე. ჯვარი წინათ სპარსანგელოზის ყოჩზე ყოფილა მიმაგრებული, მაგრამ შემდეგში ყაზბეგელებსა და სნოელებს ამ ყოჩის დაუფლებაზე დავა მოსვლიათ და ის ასე გაუყვიათ: ყაზბეგელებს ყოჩი რგებიან, სნოელებს კი მისი—ჯვარი.

სპარსანგელოზის ჯვრის საყურეზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც სპარსელებს საქართველოდან ტყვეები წაუსხამთ, მათ შორის ერთი მოხვეე ქალიც ყოფილა. სპარსეთში ამ ქალს შვილი ყოლია. ქალი ათანგენობის წინა დღით აკვანთან მჯდარა დაღონებული და წვერისანგელოზობაზე ოცნებობდა თურმე. ამ დროს მას ჩვენებია ანგელოზი (სპარსეთის ანგელოზი) და უთქვამს:

„ადექ, ნუ ტირი, თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და ხევის გზას გაუდექიო. დღე მე გმაღავ და ღამე ჩემი შუქით გატარებო“. იქვე ხარიც გაჩენილა, სპარსანგელოზი ხარის რქაზე დამჯდარა და ქალს წინ გაძღოლია.

სნოში ქალი ათანგენობას მისულა და მაშინვე წვერისანგელოზში ასულა. მას აქ საყურე ყოჩის ჯვრისათვის შეუბამს, ხარიც დაუკლავთ და სპარსანგელოზიც იქ დაფრენილაო. ამ დროიდან ხალხური გადმოცემით ათანგენის წვერისანგელოზს სპარსეთიდან მოსული ანგელოზის სახელი „სპარსანგელოზი“ ეწოდაო.

მაგრამ სპარსანგელოზი რაღაც მიზეზისა გამო აქ არ დგებოდა თურმე და დაფრინავდაო. ერთხელ ის ყუროსაკენ გაფრენილა, მაგრამ მონადირე გურაპეტს სპარსანგელოზი მოუხელავს და ისევე მოუყვანიაო. ამით გურაპეტს სპარსანგელოზში წილი ჩაუდვია და მას სპარსანგელოზების ხატობაში კურატის „სამგორველს“ (ბეკს) აძლევენ თურმე.

სნოს ეკლესიაში ინახება აგრეთვე სპარსანგელოზის ჯვრები, „ქოში“ (აზარფეშა), რომლის ტარზე აწერია: „ლუღუშაურმა ივანემ სიონის მცხოვრებელმა შავწირე სპარსანგელოზობას“. (იხ. სურ. 86).

¹ Граф. Уварова, Кавказ. путевыя заметки, 1887 г. გვ. 86—100.

წინათ გათხოვილი მოხვევე ქალი თავისი შვილითა და შვილიშვილებით ერთხელ მაინც უნდა ასულიყო სპარსანგელოზობას ამ ნიშთან საწირ-საკლავით და სპარსანგელოზი ელოცა. შეხვეწილები წვერის სპარსანგელოზში ფეხშიშველა ადიოდენ, ზოგი თავზე ქვას იდებდა და ხატის ნიშს ისე შემოუვლიდა. ამასთანავე მას სწირავდენ ბეჭდებს, ჯვრებს, ყელის უღლებსა და სხვა.



სურ. 86. სპარსანგელოზის ჯვარი (შუაშია).

მიხეილ ყაზბეგს, როდესაც ალექსანდრე შეძენია მადლობის ნიშნად სპარსანგელოზში ირემი დაუკლავს. სპარსანგელოზობას სხვადასხვა გასართობებიც იმართებოდა თურმე: ფარხმლობა, გულდურგულურა, ქვის გაწევა, ცხენის რბევა, ტაშფანდურა და სხვა. თამაშობდენ აგრეთვე ფეხისას: „სამაია სამთავანს“ და „აბარბარე-ბარბარეს“.

სპარსანგელოზის ხატობა აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგს თავის „ციკოსა“ და „მოძღვარში“.

9. ხალხური პოეზია.¹

ხევის ბუმბერაზი ბუნება და მოხვევთა გმირული წარსული აღბეჭდილია მათსავე ხალხურ სიტყვიერებაში, განსაკუთრებით ლექსში, რომლის თქმა მოხვევს უფრო ეზარჯება.

მოხვევთა ხალხური პოეზია ჯერ კიდევ ხელუხლებელია. ამავე დროს ეს მხარე მდიდარია ლექსით, რომლის შეკრებას და შესწავლას უალრესი კულტურული მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენ მიერ ხევში შეკრებილი და აქ მოთავსებული ლექსები მთავარი ხალხური პოეზიის მხოლოდ მცირე ნაწილია.

ამ ხალხური პოეზიის თემატიკა და ფორმა მოხვევთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. თანადროულობა ხევში მძლავრად არის შეჭრილი და აქაური მეღლექსეების თემატ დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ ფონზეა გაშლილი. მათი ლექსის ენას და ფორმას ეტყობა ქართული მხატვრული მწერლობის აშკარა ზეგავლენა. აქ მოვიყვანთ ამის რამდენიმე ნიმუშს:

1.

ძმობის ძალას წინ გავსწიოთ, რომ არ შედრკეს ჩვენი გული,
და მკერდს სისხლის დაღი დაესოთ და შუბლს ოფლის ნაკადული.

შევებრძოლოთ მტრების ძალას ჩარხ უკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ცეცხლის აღში გავატაროთ სიმართლის და ძმობის დროშა.
მტერს უშიშრად შევებრძოლოთ, ბრძოლა იყოს ჩვენთვის ღვინი,
გავრაზმოთ და წინ წავიდეს სიმართლის და ძმობის ხეული,
მომავლისთვი ავაყვავოთ შეილებისთვი ტრფობის გული.

ვანო გლახასძე სუჯაშვილი,
სოფ. გერგეთი 1928 წ.

¹ მთავარი ხალხური პოეზია დღემდის შეუსწავლელია. მასალაც მცირეა შეკრებილი და გამოქვეყნებული: ა. ყ ა ზ ბ ე გ ი (მოჩუბარიძე), სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი, გაზ. „ივერია“ 1886 წ. № 8—12; მისივე ცალკე წიგნაკად გამოცემული „სახალხო ლექსები მოხვევთა და მოხვევის სიმღერები“, ტფილისი 1886 წ.

2. ბატონი

რა კარგი იყო ძველი დრო, რა ნეტარებით ვტკბებოდით, გლეხებს ვადგამდი უღელსა ზედ მეხრედ დავაჯდებოდი, გაშმაგებული საცემლად მგელივით ვეტანებოდი. რაი მეგონა იმდროსი, ეს დრო მე მერგებოდა, ზაფხულის სიცხე სიცივედ, ზამთარად დამიდგებოდა, ამატირებდა მდულარედ სანთელი ჩამიქრებოდა და გაჰქრებოდა უეცრად სიბნელედ შეიცვლებოდა და ჩემი უღლის გლეხები უფროსად გამიხდებოდა.

ვანო სუჯაშვილი 20 წლის.
სოფ. გერგეთი. 1928 წ.

3. ოქტომბერი სეკში

ელვამ შემოსა ყაზბეგი განათდა ბერი მყინვარი და მას მქუხარედ შესძახის თერგი ამაყად მდინარი. ზეიმობს მთელი ძალები ყველა აქამდის მძინვარი, მეც იმას ვეხმაურები ოქტომბრის შუქით ბრწყინვარი. მახარებს თავისუფლება მშრომელი მუშათ კლასისა, ადამიანთა ღირება და შრომა ერთი ფასისა. ვახსენებ დიად ოქტომბერს და პროლეტარულ დღეობას, რომ წამოედოს მსოფლიოს, გაუჩნდეს ყოველ ხეობას. მაშ გაუმარჯოს ჩაგრულთ კლასს, რომ საქმე გააძლიეროს, წითელი დროშა ოქტომბრის ყოველგან ააფრიალოს.

მიხა მარსაგიშვილი 18 წლ.
სოფ. აჩხოტი. 1930 წ.

4. ჰირველი მაისი

მზემ ქვეყანას გაულიმა გადმოფინა ცით სხივები, მთებს ჩააცვა მწვანე კაბა და გაუდნო ყინულს ძირი.

შეიქოჩრა ჩვენი მთები, შეიქოჩრა ყვავილთ ტალღა,
 მღერის მწყემსი ხმა მტკბინარი და ბანს აძლევს სალამური.
 თერგი მოდის მოხრიალებს და მოარღვევს არე მარეს,
 მარწყვი ლუვის მის პირებში, მთის წვერები მხარს უმშვენებს.
 მყინვარე კი სიცილს აფრქვევს თეთრსა კბილებს მზეს უჩვენებს,
 გაიღვიძა ბუნებაჲ, აჰა, ეს დღე ტუტფად შლილი.
 ეს პირველი მაისია ნიშნად იყოს ძმობისთვისა,
 მოუაროთ იმ ყვავილსა რაც რო დარგეს გლეხისთვისა,
 არ დააქრო ის სინათლე რო ენთება ლხინისთვისა.
 გაუმავრე მას მკლავები ჩამოსხმული ომისთვისა,
 არ დაზოგო თავი შენი დატანჯული ერისთვისა,
 შიგ გააბი ის წყეულნი რომ მოდიან ძვლებისთვისა.

გ ი გ ა ქ უ შ ა შ ვ ი ლ ი 20 წ.

ყ ა ზ ბ ე გ ი 30/VII—1930 წ.

5. ლენინის სსოვნას

შეირყა მთელი მსოფლიო, ცეცხლი მოედო ქუჩებსა,
 მუშა მშრომელი მსოფლიო ჰკოცნის ოქტომბრის ტუჩებსა.
 სისხლიან გზაზე გამოჩნდა, თავისუფლების მხედარი,
 დაახშო საცა კი ნახა ძველი ცხოვრების მკედელი.
 დაღეწა მონობის ჯაჭვი საქმე ჰქნა გაუბედარი,
 საუკუნებით ჩაგრულნი ანთავისუფლა მშრომელი.
 ამბობდა სწავლა ჩაგრულთა, ზავი მთელ ქვეყანასაო,
 მიწა ეკუთვნის გლეხობას, ვინც კი შეიძლებს ხვნასაო.
 აი რას ამბობს ლენინი, ვით ლომი დაუცხრომელი,
 ჩაგრული ხალხის მოყვარე მჩაგვრელის დამამხობელი.
 ვინა იქმს მისებრ საქმესა ხელთ მოგვცა წუთისოფელი,
 ბევრი სახელი დასტოვა გულიდან აღუფხრობელი.

მ ი ხ ა მ ა რ ს ა გ ი შ ვ ი ლ ი 1929 წ.

6. სატრფოს

სიზმრად გნახე მე საწყალმა ამიღელდა უცბად გული,
 გადავხედე მე უფსკრულში ამერია გზა და კვალი.



ზევიდან მზე დამყურებდა სხივს მესროდა ვით გამწყრალი,
 მაშინ გნახე ცის მნათობო, მაშინ მოგკარ უცბად თვალი.
 და მერმე ვთქვი მე საბრალომ ვერა ვპოვე შენი დარი,
 შენგნით ვიწვი, ვიდაგები, მეკიდება ცეცხლის ალი,
 მოვიარე მთლად ქვეყანა, არ გაუშვი არაგზანი.
 შემოვლახე ტყე და ველი, ფიქალი კლდე, მთა და ბარი,
 უცბად გაჰქრი, დაიკარგე, სად მოენახო შენი გზანი,
 თუ წახველი ზეცას მტრედათ, სად გამოგყვე მე საწყალი,
 და შევნატრი მზეს და მთვარეს ისინია შენი დარი,
 მე საბრალო რათ დამაგდე, ცრემლებსა ვჰყრი დღე და ღამე.

ა რ ჩ ი ლ ქ ი ს ტ ა უ რ ი, 28 წლის
 სოფ. გერგეტი, 1930 წ.

ასეთია განახლებული ხევის თანამედროვე პოეზია, რომელსაც
 ჰქმნის ხევის ახალი თაობა. მაგრამ სხვაა თემა და ფორმა ხევის ძველი
 პოეზიისა, რომელსაც ჰალარა მელექსეები დღესაც ფანდურზე მღე-
 რიან. მათ შორის ცნობილია გახუტა ხეთაგური (83 წ.), ია-
 გორა ღუდუშაური (60 წ.) და გუგუა ღუდუშაური
 (80 წ.).

ამ ძველ მოხეურ ლექსებში ასახულია თემური ყოფა მისი დამა-
 ხასიათებელი მოვლენებით: შურისძიება და სისხლის აღება, თავ-
 დადება და ვაჟკაცობა. ლექსის თქმაში დაცულია მოხეური კილო და
 ფორმა. ხევის ჰალარა მელექსეებმა ძველი ქართული ზოგიერთი პო-
 ემები დღესაც ზეპირად იციან და მათი წაბადვითაც ლექსობენ.

შინაარსის მიხედვით ლექსები ასეა დალაგებული:

1. საყოფაცხოვრებო (ტრფობა, სიბრძნე, სევდა და სხვა);
2. საგმირო.

საყოფაცხოვრებო ლექსები

7.

ქალავ, ქებით გათხოვილო მამისაო და ძმისაო,
 ორივეთ დაწუნებულო მაზლისაო და ქმრისაო.

8.

ქალავ, ნუ სტირი, ნუ სჩივი რად დაგითხრია თვალები,
ადე და ჩემთან წამადი გადმომიარე ბარები.
შიგანით კარი გააღე გარედამ ფანჯარეები
ახადე ძვირფას ფარდებსა, შემომაჰყიტე თვალები.

9.

ქალავ, დედის ნებიერო, გადახრილო თეზოჩია,
ისე მოვისვენებ შენთან, ვითა ხარი ეზოჩია.

10.

ქალავ, ბეჩაო, ბეჩაო, შენც ობოლი და მეცაო
გზაჩი ერთუროთის შეხვედრა შენც გიაშება მეცაო.

11.

ნეტავი ლაშქარს გაგვრეკა, სამნი ბატონის ყმანია,
პირდაპირ ჩამოგვიყენა შეყრილი ქალის ჯარია.
ბევრას-კი შესძულდებოდა ქალის პირაი ქმარია,
ბევრას-კი შეჰყვარდებოდა პირათ ჯულური ქმარია.

12.

სახლო გამშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო ღვინიანობა,
ქალო და რძალო სიტუროფე ერთუროთში გემრიელობა.

13.

არა მწამს რა დიაცისა, როგორც მოწმენდილი ცისა,
დღეს რომ თავზედ გვევლებოდეს ხვალ გახდება უცბად სხვისა.

14.

შავი ბიჭი, შავი ჩოხა შავათ შეგიშვენებია,
ჩემი გული მოგიკლია, სხვისი გაგიმრთელებია.

15.

დალოცვილო ქერის პურო, ანაცერო დიკისაო,
ქალავ გქონდეს შებრალება უცოლოსა ბიჭისაო.

16.

ჩერქეზს გათლილნო ისარნო, ქალაქს ნაღებნო ინითა,
თქვენ უკვდავების წყარონო, მოხვალთ ოქროს მილითა.

17.

წისქვილის ბანზედ შემოვდგი მათარა არაყიანი,
მე კარქი ქალი მეგონე ყოფილხარ ღალატიანი.

18.

თეთრი ფიცარი გავთაღე, წისქვილის ალატისათვის,
ლამაზს ქალს თვალი დაუდგეს გვირგვინის ღალატისათვის.

19.

ჩემობასა ჩემი ქმარი მძულდა არა მყვარებია,
ნამუსისა გულისათვის შიშვლივ მკლავსა მგორებია.

20.

ისეთია ჩემი ქმარი ჩატვინული, ვითა ზოდი,
ისე მიყვარს მისი სახე, როგორც თავში დიდი ლოდი.
მას უყვარდი მე კი მძულდა დამდეგდა და მე გავრბოდი.

21.

ზემოდამ მოდის ღრუბელი, ქვემოდამ წვიმა წყვეტილი,
 ცოლი ქმარს ეუბნებოდა შენგან ვარ ამოწყვეტილი.

22.

ქალავ, უთხარ დედაშენსა რას აპირობს მე და შენსა?
 საკაბესა შენ გიყიდი საჩიქილეს დედაშენსა.

23.

ქალავ, გუშინ და გუშინ წინ დედა რას გესარჩლებოდა,
 ეშმაკო, შენის გულისთვის მცემდა და მემართლებოდა.

24.

ხიდის ყურს იდგა ქალები გარს ეხვეოდა ქალები,
 ერთი შეხედვით შევატყობ ვისაც კი შევებრალები.

25.

მთას ვიყავ გრილი წყარო ვსვი, ბარად ჩამოველ—მაჭარი,
 ქალაუ, შენ რა იცოდი მე ვიყავ შენი ვაჭარი.

26.

მთასა მოჰკიდა თვირთვილი, მწყემსო აყარე ცხორია,
 რად არ მოგწყინდა მთას ყოფნა, რად არ მოგინდა ბარია?
 ლამაზ გოგოსთან დაწვალა და მასთან საუბარია.

27.

გზა სიარულმა დალია, სალი კლდე წყლისა დენამა,
ბიჭი და გოგო ჩალია ერთმანეთისა ცქერამა.

28.

გალმიდან ქალმა ლამაზმა ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა, აქათ მე დამაბნიაო.

29.

შენი ვარ შენთვის მოგკედლები, შენთვის ჩავიცვამ შეესაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგველები თავსაო.

30.

ქალო, ქალო ქეთიაო, თეთრი კაბა გაცვიაო,
გაიხადე მე ჩამაცვი ვითომც გაგიცვეთიაო.

31.

ქალი ვარ გასათხოვარი ღობეზე დავიგლიჯები,
თუ კი არ გამათხოვებენ რისთვისა გავისარჯები.

32.

ვაშლო, შენ გესვრი წითელო, თეთრო, შენ ჩამოვარდები,
ქალაუ, შენ გეტრფი მწითურო, თეთრო, შენ ჩაგიგორდები.

33.

ქალაქი არის ქალო, კაცი არ მოგეგზავნება,
თუ ჩემი თავი შენ გინდა, ქმარი შორს გაგეგზავნება.

34.

ქალი ქვას მოაგორებდა მოაწითებდა ქვიშასა,
ბედრიანაი ჩაიცვამს ქალას დაქსოვილ წინდასა.

35.

ქალავ, წითელს კაბაზედა ნემსი დაგიკიდებია,
ჩემი დაწუნებისათვის ცეცხლიმც წაგკიდებია.

36.

რად მინდა ცოლი ლამაზი, რას ომჩი გამომადგება,
ჩაიცომს წითელ-ყვითელსა, გამოვა ბანზე დადგება,
იმის შემცქერი ვაჟკაცი კელაპტარივით დადნება.

37.

რად მინდა ქინძი ქანძური, ან შინაური მხალია,
მე მინდა ქალი ლამაზი, თოლ-წარბი ჰქონდეს შავია,
წყალზედ ეგრე მიგოგავდეს, როგორც ყანაჩი მწყერია,
სისველეს ერიდებოდეს ფეხები ჰქონდეს მშრალია,
შინაც მოდიოდეს, როგორც აჯილღა ცხენია.

38.

ქალები ჩამოდიოდეს მარიანობას დღესაო,
არ გვინდა ბერი კაცები აცანცარებენ წვერსაო,
ჩვენ გვინდა ჯელი ბიჭები, მაგრა შეგვიკრენ წელსაო.

39.

ქალო, ჩამოხე კიბეჩი, ქიშმიში მიდევს ჯიბეჩი,
ერთი შენ უნდა გაკოცო, გინდა მე ჩამსონ ციხეჩი.

40.

წითელ ხალათს შეგიკერავ, მოგილოცავ აღდგომასა,
 ისე მაგრა ჩეგეკვრები, არც ცდილობდე აღდგომასა.

41.

ქალი იყო ხალიანი, შამიყორდა ძალიანი,
 ღმერთო, იმ დროს ნუ შემასწრობ რომ ის ვნახო ქმარიანი.

42.

ამოიქროლე ნიავო, გადამიტანე თანაო,
 ზღვას იქით საყორელი მყავს, მიმაგდე იმასთანაო.

43.

ნეტავ რა უყო თავსაო, სწოროთ უარიას ქმარსაო,
 არცა აქუს შენახვის თავი, აღარც მანებებს თავსაო.
 ნეტავი დამიწუნებდეს დამანებებდეს თავსაო,
 იქნება შავეყრებოდი ჩემის გუნების ქმარსაო.

44.

რა ქნასო თუ არ ტიროდეს შავი და ბნელი ქალია,
 პირდაპირ ჩამოუჯდება სიკუდილის მსგავსი ქმარია.

45.

ვაი ჩემ ბედის წერასა, შემომავლივეს კერასა,
 ქმარი შემომხუდა ისეთი შეგავს იმ ჭიაყელასა,
 დაწვრილებია კისერი, ვით გაზაფხულის მელასა.

46.

იტირე გულო, იტირე სულო, იტირე ჩემო შეყვარებულო,
 არ სტირის გული, არ სტირის სული, არ სტირის ჩემი შეყვა-
 რებული.

47.

მოჰყევ და მოჰყევ სოფელსა, სოფელი ღონიერია,
 სოფლის წყალობა დიდია, თუ კაცი გონიერია.

48.

ცეცხლი დავანთე ძლიერი, ზედ დავაყარე დეკაო,
 კაცი რომ იხარჯებოდეს, აღარას არგებს ღრეკაო.

49.

სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარევსა,
 გაიგებენ გლოვა უნდა, როგორც გულის საყვარელსა.

50.

გაზაფხულის პირზედა შაშვმა დაიწყო გალობა,
 მე ხომ დამწვი და დამდაგე დაიწვას შენი ქალობა.

51.

აქამდენ ძრიელ გიყორდი, ახლა შეგატყვე ძულემა,
 ნეტავი გამაგებინა ვინ შეგიცვალა გუნება.

52.

მე და ^{ვაძრე} ზე ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა,
 მრგვლები ჯავრი წამყვება სამის ღამაზის ქალისა:
 ერთია მეტათ ღამაზი, მეორე ლერწამ ტანისა,
 მესამე ასეთი არის — გამთენებელი ღამისა.

53.

დედაო, ჩემო დედაო, ქალი ზის წყაროზედაო,
 ჩავიდეთ, ამოიყვანოთ, დავისვით კერაზედაო,

არტყია ოქროს ქამარი უხდება გავაზედაო,
ვაქამოთ ყველი და პური გაუშვათ ნელაზედაო.

54.

დაუძახეს ნიკოლასა ჯაყეთის სუდიაო,
მიუტანეს სახარება, მაიხადე ქუდიაო,
ამის მადლიც გაუწყრება ვინც თქვენი თხის ქურდიაო
ძალის ბეწვი გამოესხას და კატაის კუდიაო,
ვინც ერობაჩი მაგივალს სიტყვა ლა სთქოს ცუდიაო.

55.

ზოგიერთი პატარძალი წამოწვება ძელივითა,
როცა ქმარს შინ დაინახავს კუდს მოიქნევს მელივითა,
ქმარი როცა შორს წაუა დაიწივლებს გველივითა,
მოწივლებს თავს ამადლის გუთნიდელა მხნელივითა.
იმას უნდა იფნის სახრე ჩაეგრინოს წნელივითა,
დილასა და სალამოსა ნაყვა უნდა გველივითა.

56.

გადადი გადაუძრაზე ივანეს ჩემსა ძმასაო,
მოსწერეს საყურ ბეჭედი გამოუგზავნეს დასაო.
ქალავ, მიიღე ეს ძღვნადა გირჩევ მოხვიდე ჭკვასაო,
თორემ შორს გაგათხოვებენ შვიდის თვის სავალ გზასაო.
გვერდზე გაგიკვრენ ფიცრებსა, გაგაცილებენ ზღვასაო,
მაგ შენსა ბროლის თითებსა ანაყვინებენ ქვასაო,
მაგ შენსა მოვის პერანგსა ზედ წახურამენ ზღვასაო,
მაგ შენსა გიშრის თმაშია შიგ აბუღებენ თევზსაო.

57.

ქალავ, შენი სიყვარული მე კი მაქუს და შენ კი არა,
სადამდინ უნდა გელოდე, როდემდისინ ცრემლი ვღვარა,
შემიყვარე, ჩემო მზეო, ნულარ მტანჯავ გულავ, კმარა,
მეც ვიცი რომ გიყვარვარ, რომ იტანჯვი ისაც მჯერა,

თანაგრძნობას ვერ გიბედამ დედას მზემა ვერა-ვერა,
სიყვარულს იმას გაუმხელ ვისთანა მაქუს ბედის წერა,
საუკუნოთ ჩემი იყვეს და მელირსოს ჯვარის წერა,
იგი—ქმარი მე კი—ცოლი, გქვონდეს განუყრელი კერა.

58.

სიონის ციხეც მაღალო, საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო, ვაჟკაცო ლაზათიანო.
შენ გორისციხეც ქვიანო, სულ მუდამ ქარი ჰქრიანო,
არც წყალო, არცა წისქვილო, არც მეზობელო ღვთიანო.

59.

არც ყანობელი გახლავარ შევფრინდე დარაბაზედა,
დაეხარჯო თუნგი და თუნგი თივა ვაწერო ძმაზედა.
არც ხურთისელი გახლავარ ჭკა ჩაურიგო ჯარზედა,
წავიდე მთაზედ ბეგრიტა, ბარი გავიღო მხარზედა.
არც ფხელშელაი გახლავარ ვიცქირებოდე მკლავზედა,
ჯანღონე გამომლეოდეს ვიჭიფებოდე ძალზედა.
არც გორისციხელაი ვარ ბართნი გავსწყვიტო გზაზედა,
გზაზე ფეხისაი გავაბა გოდორ მეკიდოს მხარზედა.
არც ტყარშეტელა გახლავარ ქურთნი ავაგო ბანზედა,
ძმანი წავკიდნო ერთურთსა, თითონ გავიდე განზედა.
არც თოთელაი გახლავარ ვარისაი ვთქოდ ბანზედა.
ბევრისა ვიყო სტუმარი მე არვის დავხუდე კარზედა.

60.

ახალციხე და კარკუჩა ღვთისაგან დაწყველილია,
ზაფხულს მთორე არ მოდის ზამთრის მზე დაკვეთილია.

61. მეცხვარე

მთიელთ მეცხვარის შვილი ვარ, ერთგული მუდმის ძმებთანა,
ბევრი ჭირვარმის მნახველი, ხმა გავარდნილი ყველგანა,
მიცდია სისხლის მორევში გავცურებულვარ მტერთანა,

64. მწყემსის ჩივილი

ჯერ იყო მძიმე ზამთარი თებერვალს მოხყვა თოვლია,
 რასეის გრილმა ნიაფმა აკეთა თოვლის გორები.
 სულ ერთნაირად შეწუხდა ჩვენი ცხვრებისა ფარები,
 მიწა დაფარა წყეულმა გაკეთდა ყინვის ზოლები.
 ქარბუქი ყველგანით ავარდა ამოგვიქოლა ნოლები,
 ფარეხები დოგექცია, მილეწ-მოლეწა კოლები.
 ცხვარიც გარეთ დაგვიცვითა გვეყინება ბატკნები,
 ველარც რო ჯოგი ვიპოვნე ამოგვექოლა კარები.
 სადღა მწყემსები ტირიან, სად წიოკებენ ძაღლები,
 ქუხილი იდგა, გრიალი წარღვნისა შესაღარები.
 აღარც დიადი მზე გვიჩანს დაუხუჭია თვალები,
 ბუნება ჩამოდრუბლულა შეუმბავს რკინის კარები,
 თუ რას მოვიფიქრებდი უდროდ ამინდის წარღვნითა.
 აივსებოდა ღრანტები ნახოცი ჩვენის ცხვრებითა,
 დაიქცეოდა ცისპირი წყემსების ცოდვა ბრალითა,
 ნახოცს მინდვრად დაეხუროდით გულ ავივსებდით ვარმითა.
 ვ ა ნ ო ს უ ჯ ა შ ვ ი ლ ი .

65. ხახარეს სიკვდილი

მინდოროჩი ერთმა მოყმემა სიზმარი ნახა მხრიანი,
 ან ცხორი დამეხოცება, ან ჩემი მწერელი არი.
 ხახარემ ცხორი აყარა მწყემსებს გაუყო ზიარი,
 ადგა და შინ წამავიდა ეს მაღლიანი ღთიანი.
 ლუთხუმის ქალას შამოდის ლურჯაი პიროფლიანი;
 გადმოიციქირეს ქალებმა, ვინ მადის დოვლათიანი?
 ცოლმა გახედა და თქვა სიტყვა რამ ძლიერ ჭკვიანი:
 ჩვენის მეცხორის ცხენსა გავ, ვაიმე თუ დავრჩი ტიალი!
 წინ რძალი შამოეგება ეს მაღლიანი ღთიანი,
 დადეგ და მაზლო მიაშბე, ცხორი რა ამბავი არი?
 გაწივა სახლჩი შავიდა თოლებს დაუწყო ბრიალი,
 ხახარეს გაუცხელეთ რა, ხახარე ნამგზავრი არი,
 —ხახარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცვრიანი,
 თურმე ხახარე კვდებოდა ცა ქუხდა, მიწა კრთებოდა,
 ხახარეს ცოლი და შვილი სულ ცრემლჩი იხარჩებოდა.

გახუტა ხეთაგური სოფ. ყაზბეგი 1930 წ.

66.

დიდ მარხვაში ავად გავხდი იმ ხარებისა დღესაო,
მარჯვენა მხარი ამტკივდა გულმა დამიწყო კვნესაო.
ბეჩაენო ჩემნო ჯალაბნო, წამლებს კითხულობთ ბევრსაო,
წამლები ვერას მარგებს საბრალოს მიწის ტყვესაო.
სამარისკენ წამიღებენ გამიძლოლებენ მღვდელსაო,
სამარესთან მიმიტანენ წიგნს წამიკითხენ კრელსაო,
სამარეჩი წამაწვინენ ლოდს მამაყრიან ბევრსაო.
წამავა წითელი გველი მაიღერებსა ყელსაო,
უწინ მარჯვენა თოლს მომთხრის, მერმე მკლავებსა და ხელსაო.
ნუ ჯავრობთ, ჩემნო ჯალაბნო, შავეთს რა გვიჭირს ჩვენაო,
წინ შუქი გვიდგას სანთლისა, შიგ სუნი ბრუნავს საკმლისა,
გვერდზე წყარო ჩამოგვდის ხელბირ საბანი ქალ-რძლისა.
კარზე გვიმბია ცხენები ლაგამითა და ყაჯრითა,
სადაცა ვინ მოკვდეს, ხმა გატყდეს, ჩვენ წავალთ ჩვენის
საგძლითა,
ძმაო თომაო, ჩემს ცხენსა ქერი აქმიე ბაქნითა.
აგრემც კი ლამაზ გასუტდეს მოჯაბრები მყავს მანდითა,
ჩემზე წინ ბევრი არვინ დგას ერთი დგას ერთი ადლითა,
იქნებ მასაც დაღმეტე იმ დედის ჩემის მაღლითა.

გ ა ხ უ ტ ა ხ ე თ ა გ უ რ ი
ყაზბეგი 1930 წ.

67.

სოფელს ტირიან დედანი, სოფელს კარქი ყმა ჰკვდებო,
ნუ მოჰკლავ გამარჯვებულო, სოფლობა წაგვიხდებო,
მეფესთანა და თემთანა წინ ვერვინ წაგვიდგებო.

68.

დედა არა მყავს ობოლსა, რომ მოვკუდე დამიტიროსა,
არცა მყავს გულის მოკეთე, რომ დამცხეს დამიგრილოსა.

69.

ვიდრე მრთელი ვარ ვიმღერი ვახარებ ჩემსა იათა,
 რა მოვკუდე გაუხარდება ჯერ მტერთა, მერე ჭიათა.

70. ხეთაგენნი

სამნია ხეთაგეეთნი სამნივ მთორესვით ძმანიო,
 დარიალისკენ წავიდენ კლდის პირს შეუკრეს გზანიო,
 შუა ლამის დრო რომ იქნა თავს წამოადგა მტერიო,
 იასე მოხდა ხოკერას, ღმერთო დასწერე ჯორიო,
 იასემ დასცა ხოკერა არწივს მოტეხა მხარნია.
 აი შე სომხის წიწილო, ეფხმა გამოკრა ბჭკალიო,
 ვერც შენ მიუხოლ შენ დედას მშვიდობიანი მგზავრიო.
 — მამკალით ხეთაგეენთო, ვაი დედიჩმის ბრალიო,
 უნამუსოთ კი ნუ გამხდით არ არის სამართალიო.
 გათენებასას მოვიდეს გატეხეს თოფის ხმანიო,
 სუ გამოსცვივდა სოფელი, რალაც ამბავი არიო.
 ბაადურს გადააწოდეს ფარი, თოფი და ხმალიო,
 უთხარით თქვენს ძალუასა ძმას იქ ჩაავლის თოლიო,
 ხოკერას კლდის პირს სძინია, ნაბადი ხურავს შავიო.

71.

წყალსა ალვის ხე მოჰქონდა, ნეტავ დედავ რააო?
 შვილო შენი ტანი არის, ვაი შენ დედასაო!
 ხეს ნეკერი გასცვინოდა, ნეტავ დედა რააო?
 შვილო, შენი თმა წვერია, ვაი შენ დედასაო!
 ხეს ტოტები დამტვრევოდა, ნეტავ დედა რააო?
 შვილო, შენი ხელფეხია, ვაი შენ დედასაო!
 წყალს კიდობანი მოჰქონდა, ნეტავ დედა რააო?
 შვილო, შენი კუბო არის, ვაი შენ დედასაო!
 ლობეს ჩიტნი ჟიჟინებდენ, ნეტავ დედავ რააო?
 შვილო, შენი ობლებია, ვაი შენს დედასაო!
 მინდორს ბატი მოფრინავდა, თავში მოიცემდა ქეასა,
 შვილო, შენი დედა არის ვაი შენს დედასაო!

ხელით მტრედი გამიფრინდა, ნეტავ დედა რააო?
შვილო ცოლი გაგთხოვია, ვაი შენს დედასაო!

72.

ძნელია მამის სიკვდილი, ღამე ბნელია საველედი,
დედის სიკუდილი ძნელია, ზღვა არის გამოსავლედი,
ცოლის სიკუდილიც ძნელია, მთა არის გადასასვლედი,
ძმის სიკუდილიცა ძნელია, რკინაა დასაკვნეტელი,
შვილის სიკვდილი ძნელია ცეცხლია დაუგზნებარი.

73.

შავეთზედ ამოვიარე შვიდ პირად ისხდა ჯარია,
სულ ცალკე დარჩეულიყო კარგი ქალი და რძალია.
ჩიოდენ შავეთელები გველებმა გვიყვეს ძალია,
ჩამოგვიხეთქეს საფლავი ჩამოგვადინეს წყალია.
ბევრს ვაეკაცს ჩამოეშალა როსტომისანი მხარნია,
ბევრს ქალსა ლამაზსა შვიდნივალ ნაწნავ თმიანი.

საკმირო ლექსები

74.

ვაეკაცსა გულად მამაცსა აბჯარი შეენის ხისაო,
თოლნი ქორებულ მხედველნი მუხლები შავარდნისაო.

75.

დედავ, ეხლაც არ გებრალვი მე საწყალი შენი შვილი,
წუხელ ომი გადვიყარე არ მომსვლია თვალზედ ძილი,
ცხრას ლექს ხმლითა თავი მავსკერ, ცხრა გამეჟცნენ იქ
დაკირილი
მოწმათ თვითვე ლეკნი მყვანან, რომ არა ვსთქვა მე ნაცილი.

76.

აფრინდი, შავო მერცხალო, დაჰყევ არაგვის პირსაო,
ომი არ გაუჭირდება შენის დედმამის შეილსაო.

77.

პეტრიავე შავბიჭაშვილო, ხმაღს როდის მოგიშვივდება,
ომი შეხვალ და გამოხვალ გული არ შავიშინდება,
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება.

78.

ხმალი სთქვი გინდა ხანჯალი ორნივ არიან რკინისა,
მაინც ხმაღსა აქუს სახელი, რადგან არს ერთის პირისა,

79.

ხევსურეთს ბასალიონმა სიონს ირჩივა ველნია,
ლურჯავ ნურც მისუქებხარ, ნუმც მიჰმევია ქერია.
ხევს მოხევენი იტყვიან: ხევსურნი გავაქცივეთო,
იმათ ნასროლი ისარნი უკანვე მივაქცივეთო,
წითელ-ყვითელნი დროშანი, მთას იქით მოვაქცივეთო.

80.

კარქს ყმას ნუ შურობთ სოფელო, კარქი ყმა კარქი ფარია,
კარქი ყმა ლაშქარს მოკუდება სწორების ჯობინობაჩი
ცუდაი—ბოსლის კარზედა ქალების ლოდინობაჩი.

81.

თოფი ლეკებმაც იციან საპირისწამლე რქისაო,
არაბელებსაც სცოდნია ომში ბრიალი ხმლისაო.

82.

ყმაწვილო არშის ციხესა არც შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეს ჩამტანი აბჯართა ამომტანელი სხვა უნდა.

83.

საწყალო ხალიაიძე, ღმერთმან გაცხოვნას მკუდარია,
ლეკებს შენ დააყრევინე გარეკილ ჩვენი ცხვარია.

84. შარუმ ხანი და სნოს ციხე

შარუმ ხანი და სნოს ციხე არიან მუქარაზედა,
შარუმ ხანმ შემოუთვალა: შემომეგებე გზაზედა,
საჩქაროთ თავი დამიკარ ნუ აეგები ხმალზედა.
გაწყრა განრისხდა სნოს ციხე, ალამს იბრუნებს თავზედა;
— ვინა სთქვა, ვინ გამიბედა რა დღე იპოვნა ჩემზედა?
ამაზედ შემომიარას წინ უსახლივარ გზაზედა,
ცამდის ვარ ამალლებული, შელესილი ვარ ტანზედა.
გარშემო ბურჯი მავლია, მეთოფეც მისხედს რიგზედა
ჩამშას¹ ჩაგიბი ცხენები, შენ გასტრიალდი ბანზედა,
თუმც ცხვარი შემოაწალე შენც გაგაწითლე ტანზედა,
გაგზავნე სირცხვილიანი ზედ შუა ხევის მთაზედა.

85.

ომია ყინვარწვერზედა გაუთენები დილითა,
იქ არის ნადიბაიძე შელესილია პირითა.
გაუწყვეტია ოსები, ზოგი გაუშვა კირითა
ვინც რომ წასულან კირითა, სისხლს აყოლებენ კირითა.
ვინ შეხდა ყირვანწვერზედა, ვინ შესძრა ჯაჭვის სახელი,
ეგაც იქნება რუხელი მან შესძრა ჯაჭვის სახელი.

¹ ჩამშა — ადგილის სახელია.



86.

ერთაი ორთავან მაკლული საბრალოდ სატირალია,
ერთისგან ორნი მაკლულნი სულ არად სატირალია.

87.

მტერს წინ უდგას მყინვარწვერი და ერთობით ჩვენი ერი,
სანუგეშოდ მოწყობილი დარიალის ვიწრო ხევი,
თამარ მეფეს დაუთესავს ამოსულა სალი კლდენი,
შუბის წვერსვით გაღესილან საქართველოს შვილთა მცველნი.
ძველ ბურჯსავით ჩადგმულია, რას დააკლებს იმას მტერი,
ნაკურთხია თამარისგან რო განედლდეს მუხა ხმელი.
მომავლისთვის რომ არ გახმეს გაუწოდოთ ძმებო ხელი,
მოვიგონოთ ის წარსული წინამძღვარი ხევის ბერი
და თანაც საქართველო და ის მუხა დროსგან ხმელი.
ველნი სისხლით შეღებილი დატანჯული მტრისგან ერი,
მათ მუდმისად მტრის ლაშქრობით დრონი ჰქონდა მუდმის ბნელი,
არა ჰქონდა მოსვენება, ჯავრი ჰქონდა იმათ ჩვენი.
მომავალი რო აყვავდეს, სისხლიანი ჩვენი ველნი,
მოვიგონოთ ის წარსული გაუწოდოთ ძმურად ხელი,
ბურჯად ჩავდგეთ ბრძოლის ველზე, მტერს გავაცნოთ ქართველ-
ერი,
რომ არა თქოს მტრის ლაშქარმა არ ნედლდება მუხა ხმელი.

88.

კარკუჩხით გამოემგზავრა ბალათერაი დილითა,
დედისძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა.
ავსილა ქოთანის ბეგი ქვემო ციხლეების მზირითა,
მარტუამ ბალათერამა ხმალი იბრუნა პირითა:
ზოგი ქრა, ზოგი დაკუწა, ზოგი გაუშვა ქირითა,
თავადაც ბალათერამა არ დაიგმინა ვაჟკაცმა.
გადაუჩნდება დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშლიდა ქოჩორთა გადმოდენილის ტვინითა,
ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი ნუ გაძლეს შენის ქირითა.

89. ნანა თორღაის ქალი

ქიმლას ასტირდა წისქვილში ნანა თორღაის ქალია,
 შენ მამა ჩემო თორღაო, ნუმც შეგიბია ხმალია,
 ჩუმც გიხოცნია ლეკები, ნუმც გიზიდნია თავნია.
 ორშაფათს საგაუენებლოდ, ქალს მე დამეცნეს ცანია,
 შემიკრეს გამოსავალი ლეკთა წისქვილის კარია.
 ძმა მეღანია მომიკლეს მიბრუნეს სისხლის ტბანია,
 ხელნი სჭრეს, კალთას ჩამიწყვეს, ამით დაიჭრენ თმანია,
 ფეხშიშველ გადამატარეს თვირთვილიანი მთანია.
 სალტენი წამოვიყარენ იმით დავნიშნე გზანია,
 ვამტვრიე საყურ ბეჭედი, აგებ მოაგნონ კვალთა.
 ანდაკზე შემომახდინეს, უკულმა ბრუნავს ქარია,
 ეს ქარი არსად ყოფილა, ამ ქალის ცოდო ბრალთა,
 ქალის ქმარს ზეცას უთხარით თოფს დაუბიროს ტალია,
 თუ რომ ბარათ არ ჩახვალთ მთას უდგას იმას ცხვარია,
 თუშებში ხელ უკადრისი ქალი ლეკებში ვარია.

90.

გალეგავ ლეკის ბელადო, თავი ხარ ლეკებისაო,
 შენ დაარბიე კახეთი, ქართლი შენ დავც ძირსაო,
 მჭადისჯვარს საყდარს აქებენ, პატარა გალავანსაო,
 შიგ გალეგავი შესულა ფიქრი არა აქუს მტრისაო,
 დუშეთით მოდის ლაშქარი, ვაჟკაცი ერთის ხნისაო,
 ასე თქვა მუხრან ბატონმა წუთისოფელი რა არის,
 ვინც დღეს მჭადისჯვარს მოკვდება მისთვის სამოთხე მზა არის.

91.

ქოითით გზირი დაიძრა კოხტა ბელადის ჯარია.
 უწინ მივიდეთ გერგეტსა მაკალთ ბოსლის კარები,
 შიგათით გამოვიყვანოთ ფირანთ აბაბის ქალია.
 ქალმა გაიგო ატირდა შინ არა ჩემი ქმარია,
 უკუ იხვინა ძუძუნი მაგრად შეიკრა თმანია,
 მაცალეთ, ძაღლო ქისტებო, ღუღუშაური ვარია.

92. მამუკა ღუდუშაური

გადიდდა ერთი თათარი უბნობენ ხოჯა ხანია,
 რასაც სიმაგრეს მიაღდა სუყველას უყო ძალია,
 ერაკლის შემოუთვალა: შემომეგებე გზაზედა,
 — გაწყრა გაჯავრდა ერაკლი, ალამს იბრუნებს თავზედა,
 მაშინ სად იყო თათრის დროს მე რომ შავები ხმალია.
 გაიგო ღუდუშაურმა ლურჯას მიაკრა ნალია,
 დილითა ჰკმაზავს ლურჯასა თეთრი მთავარი ქორია,
 საით მიხოლი მამუკავ, საით მიგიქრის ცხენია?
 — თათრებთან ომი მწადიან, თუ ღმერთმა მომცა დღენია,
 ვინც ნახა გზაზედ მოვალმა ყველამ დასწერა ჯვარია.
 გავიდა ქალაქის ბოლოს იქ დახვდა მძიმე ჯარია,
 მამუკასა და ფაკოსა ერთურთზედ ჰქონდა თვალია,
 კარგა ხანს თოფით იომეს რიყესვით ჰყარეს მკვდარია,
 მამუკამ ხმაღს ამოზიდა, ახლა ხმლითა სჯობს ომია.
 ამ დროს თათარმა გულსა ჰკრა, შავარდენს მოსწყდა მხარია
 ძმას დაუბარა ბერდიას, მოდი დამავლე თვალია,
 გულმზურვალეთ ნუ იტირებთ ჩემი დედა და დანია,
 მრავალი კარქი აწყვია ჩემთან თათრების მკვდარია.

93. ლექსი ციციონზე (ციციანოვზე)

რუს ხემწიფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
 შუა ზღვას ჩადგეს სამანი ზედ ხომალდები გაჰკიდა.
 ციციონმა დაიკვება: უნდა განჯას ციხე ვნახა,
 — განჯის ხანმა შაუთვალა: „ნუ გონივარ კოჭლი ზაქი,
 კარები დაკეტილი მაქვ ოთხთა კუთხივ ზარბაზანითა“.
 — შენი ციციონი მოკვდება, კარი თუ არ გაგაღებინა,
 ტახტზედით არ გადმოგაგდა რჯულიც არ დავაგდებინა,
 ჩემი ყაზახის შუბები სისხლით არ დავაგდებინა,
 ეგ შენი მაფრაშეები რუსებს არ წავაღებინა.

94. შამილი

დაღესტანში აიშალა შამილი და შამილ ხანი,
 წინ მასკვლევი გამოუძლო, ხელჩი დაიჭირა ხმალი.

რუს ხელმწიფეს შაუთვალა: დაამზადე შენი ჯარი,
 — შენ ჩემს ჯარს რას კითხულობ სავესე არის მთა და ბარი,
 მე ბევრი კაცი მინახავს მკვეხარი და პეიტარი.
 ჩაჩნის ციხეჩი მოასწვრეს დაიჭირეს შამილ ხანი,
 თქვენ, გიაურო რუსებო, შამიკარით ციხის კარი,
 თავის ხელით შამოიხსნა მიაწოდა თავის ხმალი.
 რუს ხელმწიფეს გაუგზავნეს შამილი და მისი ხმალი,
 ერთი კლდეზე გადუფრინდა, ერთი თან გამოყვა ცოლი.

95. გივარგი ღუდუშაური

ბრალია გივარგაისი მამა სტიროდეს შვილსაო,
 ორჯელ ხელთ იგდო ალამი დაღესტნის ლეკებისაო,
 სულ ასახელნა მოხენი, ჯიხენი მაგ სალის კლდისაო,
 შეკრიფეს ახალგაზრდობა ვაჟკაცი ერთის ხნისაო,
 გივარგას ღუდუშაურსა სიცილი მაზდის პირსაო,
 დედაი ომჩი ვერა სთმობს, მამაც ცრემლებსა ჰყრისაო,
 ვაჟას კი არ ეშინიან ზოზი არა აქვს მტრისაო.
 ომჩი გულ და გულ გადადის ლალი არწივი მთისაო,
 სწრაფად იშიშვლა ფრანგული არც ის გაუტეხს პირსაო,
 შამოუქნია ნაიბსა ცხენ-კაცი დასცა ძირსაო,
 მოსტაცა ლეკებს ალამი მაქრის არწივი მთისაო,
 ამბოვი მიაქვთ შამილთან ქება მაგ კაის ყმისაო.
 მაშინ ინატრა შამილმა ძმად გაფიცება მისაო,
 ნეტარ, შენ ღუდუშაურო, ყმა ვინ გქნა ჩვენი მხრისაო,
 მიდიან სახელს ულოცვენ ღუდუშაურის შვილსაო,
 წინითვე მაგათი გორი მოსახელეა. მთისაო.

ი ა გ ო რ ა ღ უ დ უ შ ა უ რ ი
 ს. ყაზბეგი 1930 წ.

96.

ცხენი ვისი სჯობს ცხენებში, ნადიბაიძის სალარი,
 თოფი ვისი სჯობს თოფებში, ჩოფიკაშვილის მაქარი,
 ხმალი ვისი სჯობს ხმლებშია, ღუდუშაურის სამ ლარი.

97. ლექსი გიგოლაზე

ლუდი დუღს პირიმზეშიგა, ქობებს გადმოსდის პირსაო,
 სუ აირია ღრუბელი ნისლი დაეცა ძირსაო.
 შორად ნავალის ამბავი ქება მაგ კარგის ყმისაო,
 გიგოლისთანა ვაჟკაცსა დედა არ გაზღის შვილსაო.
 ტეტიაკამ წიგნი მისწერა მოკითხულობა ძმისაო:
 მე ვნახე, ძმაო გიგოლი, ადგილი შავეთისაო,
 დიდ ხანს ნუ დაავიანებ შური მოიგე მტრისაო.
 მაშინ წამოდგა გიგოლი ბედი ახსენა ლეთისაო,
 ძრიალ ჩქარობდა გიგოლი გადავლა უნდა მთასაო.
 ახოს მთა გადაიარა შუქია პირიმზისაო,
 ნაპირზე იდგა მხვეწარი, ხალხია ყველა მხრისაო,
 და იქვე პირით გიგოლი რა ვეფხი ჩადის ძირსაო,
 იქ სადმე დახვდენ ხევსურნი, კითხეს ამბავი გზისაო:
 „საიდ მოგვიხელ ძმობილო, წოვა თუშების მხრისაო,
 თქვენ თუ არ გინდათ ის კაცი მომკლავი თქვენი ძმისაო,
 თუ ფიქრობთ შარიგებასა ტეტიაკა ძვირად ღირსაო“.
 წყალობა რო ჩამოვიდა ზეციდან მაღლა ლეთისაო,
 დაჯდა დარიგნა მხვეწარი ხალხია ყველა მხრისაო,
 ჯარზედ სამ შახვდა გიგოლის, რომლისა ჯავრი სჭირსაო:
 აქა, შე ცეტო ხევსურო, მზე გიბნელდება ცისაო.
 ხევსურმა ფარი იფარა, ფხა ნახა თავის ხმლისაო,
 უწინ დაასწრო გიგოლიმ მარჯვნითკე ბეჭის პირსაო,
 წამოიწია ხევსურმა პირქვე დეეცა ძირსაო.
 ლომივით იდგა გიგოლი მოლოდინი აქვს მტრისაო,
 სახელიმც ნუ დაელევა ლუჩხუმს ჩოხლას შვილსაო,
 გოგია მცხენი ათხოვა, რომელიც მაგრად რბისაო.
 შაჯექ გიგოლი, იარე, მდეგარი მოგდევს მტრისაო.
 მარდად შეფრინდა გიგოლი, როგორც ჯვრანი ტყისაო,
 თან გაყვა წმ. გიგარგი ხმალი რას უზამს მტრისაო,
 ქვენა მთა გადაიარა კოლი მოყვება მგლისაო,
 სოფლად კარკუჩას ჩამოვა სალამოს ჟამის პირსაო,
 თემსაც აქმიე სახელი სულიმც გიცხონდა მკვდრისაო.

პავლე მოსესძე ხუციშვილი
 ს. გერგეტი 1930 წ.

98. ვასო ღომნიეთი

ქოითათ ნისლი შამოწვა, შამოიტანა ამბავი,
 ივანე ღომნიეთასა ქიშტებმა უყვეს ზიანი.
 ვაიმე, ჩემო ივანე, შვილი გაგიხდა მწუხარე,
 ღომნიეთ გვარეულობა ტიროდა ცოდვა ბრალობა.
 ჩქარი იცოდა მღევარი ვასომა ღომნიეთამა,
 ლურჯაიც კარგი ყვანია იმედიანი მუხლისა.
 ივანეს ქალის შვილია ტირის, ქვითინებს ძალზედა,
 მღევარსაც გადმოუძრაბა ღმერთმა გიმართოს ხელია,
 უსახელოი ნუ მახვალ იქვე მაიკალ თავია.
 გავარდა იმედიანი ვასუა ღომნიეთია,
 ერთი მათრახი გადაკრა ლურჯასა იმედინასა.
 გავარდა ტიალ შინდორჩი მიქროდა, როგორც ქარია,
 ჩქარედვე წამოეწია მამის მკლელ ურჯულოებსა.
 დაკივლა ურჯულოებსა ცდა არი ვაჟკაცობისაო,
 ქალაი ნუ გეგონებით ბიჭი ვარ ღომნიეთია.
 ჩამოხტა უცბად ლურჯაზე ფარ-ხმალს მოკიდა ხელია,
 პირჯვარიც გამოიწერა, ღმერთო მიმართე ხელია.
 ვასომა იმედინამა არ შაარცხვინა გვარია,
 შვიდი დახოცა ურჯულო, შვიდთვე დაჭრა ყურია.
 უფროსი მოლა ყვანია ლექსების წამკითხველია,
 ისიც ლურჯაზე მოიბა აყვირა, როგორც ხარია.
 გამოუქროლა ლურჯასა ჭიხვინებს, როგორც ზარია,
 მოლაი მონა თრევაზედა სისხლის გუბეჩი არიო,
 ამა ლექსისა მათქომი ალიბეგანთ იავგორა ვარიო.



99. ლექსი ალოშკაზე.

ამბობენ სტეფანწმინდასა სოფელი არის გზისაო,
 ორპირად არის ერობა მადლი ტრიალებს ღვთისაო.
 მაგათ უჭირავს სიმაგრე დარიალის და ხდისაო,
 გამოვლენ ახალგაზრდები ანგელოზია ღვთისაო.
 სადაც ვინ მგზოვრი გაცარცვეს ხმად მაგათკენა ყრისაო,
 მაკითხულობა მიართვით ხახარეთ ქალის შვილსაო.
 ალოშკა გოდდეთასა ნუ გეგონებათ სხვისაო,
 დედამ გაზარდოს ეგეთი ერთი ათასად ღირსაო.

ბევრად შაიკაზმება მაილამაზებს პირსაო,
მარჯვენი კარგი ბიჭია, მარხეჩი არად ღირსაო.
შორად გავარდა ამბოვი ქება მაგ კარგის ყმისაო,
ამხანაგებსაც უქებენ არ გაუტებენ პირსაო.
ე მაგათ დააყრევინეს ცხენები მეცხვარისაო,
ამბოვი შემოდოდა თავის დაჭრილის მტრისაო,
ეგ რო ალოშკამ გაიგო სიცილი მოსდის პირსაო.
დედაი უჯავრდებოდა: ეხლაც არ მახვე ჭკვასაო?
— ნუ ჯავრობ, ჩემო დედაო, დედა სულ ბრალობს შვილსაო,
იმისთვის წავე მღევარჩი, აგრემ მოვასწრო ვისაო,
სოფელს სახელი ვაჭმივა გული გავხეთქო მტრისაო.
ოსმალი თუშის ვაჟებსა სანათქმელადა აქვსაო,
ე მაგისთანა ამბოვი არ გადმოსულა მთისაო.
მაგა ლექსისა მათქომი თუში მეცხვარე ცხვრისაო,
ზაფხულჩი თრიალეთზედ ვარ, ზამთრით ალაზნის პირსაო,
მთქმელსა და გამომგონებელსა წყალობა ჰქონდეს ღთისაო.

გაზუტა ხეთაგური
ს. ყაზბეგი 1930 წ.

100. ფაშეტელი ელგუჯა.

ამოვიარე სოფელი დიდისა მზისა პირსაო,
ორ პირად იჯდა ერობა მადლი ტრიალებს ღვთისაო.
ეხლა კი დამგლოვიარდეს აღარვინ იტყვის ლხინსაო,
ძალიან გვიმწუხარებენ ფაშეტს ბუშკის შვილსაო.
შეწუხდა მეზობლებიც ეს რა, წყრომაა ხთისაო,
ზოგთა სთქვეს არა უნდა რა ზოგთა სთქვეს საქმე ჭირსაო.
რა ცოტა ხანი გავიდა ნაბირი მოსტყდა ცისაო,
არ გაგიათ ფაშეტელნო დაბნელები მზისაო.
მანდიდკე მტრედი გაფრინდა რაც ანგელოზი ცისაო,
ანასდელულად წავიდა ვარსკვლავი თენებისაო.
უყვარდა ყველა ვაჟკაცსა ვისაც ცნობა აქვს მისაო,
ტილო, შავო სიკედილო, შენ მგზავრო შორის გზისაო.
არ ეგერეკა ხმელეთზე ვაჟკაცი კარგი ჭკვისაო,
ელგუჯას სადა შემოხვდი მაგ საბაურის შვილსაო.
თვითონაც კარგი კაცია, შიში არა აქვს მტრისაო,



კვლავ ნულარ გავდეს როსტომსა ბეჭნი ადრინდელ გმირსაო,
 ყველას მხარზეა სიკვდილი ვაჟკაცის კარგის ყმისაო,
 მეუფემ გადამიკვეთა სიცოცხლე მოკლე ხნისაო,
 ტიროდა ქალი და რძალი, ცრემლით იბანენ პირსაო,
 კორელი გადადიოდა თავზე ნაწნავის თმისაო,
 დედა ვერ გაზღის ეგეთსა ელგუჯასთანა შვილსაო,
 ბრალი კი არის ძალიან მიწა უშლიდეს პირსაო.
 იმისი ძმა გუგუაი სულ დღე და ღამე სტირსაო,
 დავყარგე ძმაი ელგუჯა ცქერა არ მინდა მზისაო.
 — ნუ სტირი, ძმაო გუგუა, ნულარ იწუხებ გულსაო,
 გარდახდა დიდი ყალანი აწერილობა ღვთისაო,
 სულ ცოცხალს რაი გვამყოფებს საწყალი მიწის შვილსაო,
 დავყარე წვრილი ობლები ჯავრი მიმიდის მისაო.
 — ნუ გეშინიან, ელგუჯავ, ჯავრი ნუ მიგდევს მისაო,
 მაგებს კარგად შაგინახავ სიტყვა მეშოვნის მისაო.
 კაკლის კუბო გაუკეთეს მაგ საბაურის შვილსაო,
 ვერცხლის შულო ჩაუყოლეს, თან შუქი ჩაყვა მზისაო.
 ვეფხია ვეფხის მომკლავი ეხლა სამოთხეს ზისაო,
 წმ. ედემის ბაღჩია ნათელი ადგას ღვთისაო.
 ერთხელ სანადიროდ იყო მაგ ივანწმინდის პირსაო,
 ნადირს ჩახედა ღურბინით შუქი რო დაკრა მზისაო.
 ვეფხსა მავლა თოლია, ქრელია ვარსკვლავითაო,
 თითო ეგეთი ტოტი აქვს, მტკაველ ვერ შეწვდებდისაო.
 მაშინ კი თქვა ელგუჯამა: ეხლაა ჩემის ცდისაო,
 თოფსა საწამლეს აყრიდა, ნიშანი მოსდის პირსაო,
 ვეფხმა რა იცის ტიალმა ელგუჯა აქ სადმე ზისაო,
 კომლი რა გადაეშალა ნისლი ეგონა მთისაო.
 სამჯერ შეფრინდა ოხერი გულს სისხლი გადმოსდისაო,
 სად მისდიოდი ტიალო აქ შახედა შენი ჭკვისაო,
 არ მოვშლი მაგის სახელსა სანამ ხსენება მზისაო,
 ყველამ უთხარით შენდობა კაცია ჩვენის მხრისაო.

კოსტა გოდერძიშვილი. სოფ. სნო 1930 წ.

101. ვეფხის ტყაოსანი

ტარიელმა ჰკითხა მამიდასა, ეს ლაშქარნი ვინ არიან?

— ეგ ლაშქარი ისენია, შენსა ბიძას ქალსა სთხოვენ წასაყვანად
 ელამია,

— ჩემსა ბიძას რომ ქალსა სთხოვენ, ჩემსა რაღას გააგონ.

ტარიელმა დაიმუქრა, რომ მათ ცოცხალს არ გაუშვებო და მართ-
ლაც დახოცა მეფის წულუბი და მათი ამაღაც. მეფე ამაზე გაწყრა
და ტარიელს უთხრა:

„ტარიელ დაგსვი ვეზირად სიტყვა შენ გამაბჰოვინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა რატომ არ შემატყობინე“.

მეფემ თავის ქალი კილობანჩი შეასვენა და ორი მონით წყალჩი
გადაადგო. ტარიელმა ეს ამბავი მამიდისაგან გაიგო და წავიდა ნეს-
ტან დარეჯანის საძებნელად. ძებნიდა სატრფოს და თან ტიროდა:

„წყალო რა უყავ ჩემი მზე, წყარო შე არაგვიანო,
თოფი არ გეკვრის არც ხმალი, არც შუბი შეგეჩხვირება,
ერთი დაგაწვე დაგლიო მის მეტი რა გამოგაკლდება“.

ერთმა მონამ ყური თურმე დაუგდო ტარიელის მოთქმა-ტირილს
და ეს ამბავი როსტოვან მეფეს მოახსენა:

„ერთი რამე ზღვისა პირსა დამტირები გვანდა გმირსა,
დიდი ველი მაერთვილა იმის ცრემლის ნადინარსა,
წვრილად ესხა მარგალიტი ცხენსა, ლაგამს, უნაგირსა,
თქვენმა მზემა ბატონებო, საკვირველს კი რასმეს ტირსა“.

ამაზე როსტევეანმა ბრძანა:

„ადექით აიყარენით, ჩემო ედემ და ომარო,
ის კაცი აქვე მომგვარეთ ვინ არის ველთა მდგომარე.
ადვილი სამსახურია ერთის მოყვანა ორთაგან“.

ორი გმირი წავიდა ასი კაც თ ტარიელის დასაჭერად. მათ წინ
მონა გაუძღვა და შორიდან ტარიელს დაუკივლეს:

„მინდოოჩი ბროლის ციხეო, მეფე გიბრძანებს ვინ ხარო“?
ტარიელმა მათ ყური არ უგდო, მაშინ ისრები ესროლეს.

თქვენ კი მღერით მე კი ვტირი, რაჩი გვევართ ერთმანეთსა,
იქით აქეთ მინდორს შუა თეთრი ქორი ამოფრინდა,
გლეხი კაცო არ იკადრა თავადებზე გადაფრინდა.
ჯამბარას ხელი წამოკრა გააცილა ზღვისა პირსა,
შენი მაგრად მოკვებურნი მოგიმშვიდა მათრახითა,
ზოგი მინდორს გაგიტყორცნა ჯერთა ჯარასავით ბრუნავს,
ზოგი მიწას დაანარცხა გაასწორა მიწასთანა,
მეფემ თასი გადაადგო აღარ არის ემის სმისა,
ვინც ჩემი ასი გაწყვიტა არ ყოფილა კაცი ზნისა.

ახლა თვით როსტევან მეფე და ავთანდილი წავიდნენ ტარიელის დასაქერად. მიუახლოვდნენ თუ არა, ტარიელმა ისინი იცნო, მას მოსწყინდა ადამიანების ხოცვა, ადგა და წავიდა. როსტევან მეფე ხელცარიელი უკანვე გაბრუნდა დიდად დალონებული. მეფემ ახლა სამეფოს სამივე მხარეზე სამ სამი წლით სამი კაცი გაგზავნა ტარიელის საძებრად, მაგრამ ისინიც ხელცარიელები გამობრუნდნენ. მაშინ როსტევანის ქალმა, თინათინმა, ტარიელის საძებრად თავისი სატრფო ავთანდილი გაგზავნა სამი წლის ვადით. თუ სამი წლის ლოდინის შემდეგ ავთანდილი არ დაბრუნდებოდა და ტარიელის ამბავს არ მოიტანდა ქალი გათხოვდებოდა.

ავთანდილი წავიდა ტარიელის საპოვნად.

სამსა წელსა მიეჯარა არ მენახა კაცი გზითა,
 ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოყავდა უწვერული,
 თავი გვერდზე გადაეგდო დიახ გვანდა უსულოსა,
 გაუძრახე: „კაცნო, ვინ ხარ, სიდან მოხვალ ან რა არის თქვენსა
 თავსა?

მოთხრეს მათ: ყმამა ერთმა გაიარა, ზედ იჯდა შავ ტაიქასა,
 გაუძრახეთ კაცო ვინ ხარ, იმან ბაგე არ აძრახა და არც
 ჩვენკენ მაიციქირა.

გავჯავრდით და გავგულისდით, ჩვენ იმას წავეკიდენით,
 მისი შაპყრობა გავბედეთ მან მათრახი გადმოგვკრა,
 მკერდამდი გასაპოხელი.

გაბრუნდა და გაიარა არც ჩვენსკენ გადმაიციქირა.

ავთანდილი: თქვენსა სნეულსა თქვენს ძმასა ღმერთიმცა მისცემს
 შვებასა,

მარდ ახლით მუხათა ძირსა მიეცით მოსვენებასა.

ავთანდილი გაუდგა გზას ტარიელის ბინის საპოვნად. იარა და ერთ ადგილს ქოხი გამოჩნდა. ავთანდილი ბუჩქებში მიიმალა და შორიდან ზევრვა დაუწყო თურმე. ამ დროს მოვიდა ტარიელი. ქოხიდან მას ქალი გამოეგება. ორივემ იტირეს და შემდეგ ქოხში შევიდნენ. ავთანდილი დაფიქრდა: ქოხში პირდაპირ რომ შევიდე, შეიძლება ერთმანეთი დაეხოცოთო. სჯობია დავიცადო და როცა ტარიელი ქოხიდან წავა, მაშინ შევალ ქალთან და მის ვინაობას გამოვკითხავო. ასეც მოიქცა. მეორე დილას ტარიელი ქოხიდან გავიდა და მტირალი ქალი დასტოვა. ავთანდილი შევიდა ქოხში, ქალს თმებზე

ხელი წავიღო: „დაიჭირა თმითაო, ვითა კაკაბი მახითაო“ და დაუწყო ტარიელის ვინაობის გამოკითხვა. ქალი უარზე იდგა და სიტყვას არ ძრავდა. მაშინ ავთანდილმა ხანჯალი იძრო და ქალს ყელზე დააბჯინა. ქალმა მაინც არ აიძრა. სასოწარკვეთილებაში მყოფ ავთანდილს ახლა ტარიელი მოუვიდა და უამბო თავის სამი წლის ვადის შესახებ. სამი წელი გადის და თუ ჩემს სატრფოს ტარიელის ამბავი არ ჩაუტანე გამითხოვდებაო.

როცა ქალმა გაიგო, რომ ავთანდილი სიყვარულის ისეთივე ცეცხლით იწოდა, როგორც ტარიელი, შეებრაღა და უთხრა, ფიცი მომეცი, რომ ორივე გმირს ერთმანეთთან ჩხუბი არ მოგივათო და ყველაფერს გიამბობო. თან ერთუროს დაძმობაც შეფიცეს. ქალმა უთხრა ტარიელი ახლა მოვა, შენ სადმე მიიმალე, მე დაუწყებ საუბარს, შენ ყური დაუგდე და გაიგებ ის შენ მიგიღებს თუ არაო.

ტარიელი მოვიდა, ტაიჭი გაუშვა, იქ ქოხში შევიდა და პური ქამა. ქალმა ტირილით უთხრა: „რა უნდა გაარიგო წყლის პირას ტირილითაო, ჯობია იპოვო ამხანაგი და საქმე გააკეთეო“.

ტარიელმა უპასუხა: „სად ვიპოვნი მე ჩემ სადარ ამხანაგსაო“. მე თუ ვიპოვნი საფერსა მას შეგებრძოლები თუ ძმად გაიხდით. თუ სადარი იქნება მე ძლიერ მესიამოვნებისო.

მაშ ფიცი მომეცი და მე მოგგვრი ამხანაგსაო.

ქალი გავიდა და ავთანდილს უხმო. ორივემ ერთმანეთს ხელი ჩაზოართვეს, აკოცეს და ძმობაც შეფიცეს. დასხდნენ და თავიანთი თავგადასავალი იამბეს. ავთანდილმა უთხრა ტარიელს: სამი წელი მითავდება და ახლა წავალ ჩემს სატრფოსთან. მას პირობისამებრ ყველაფერს უამბობ, ჩქარა დავბრუნდები და შენ აქ მიცადეო.

ავთანდილი წავიდა როსტევეან მეფესთან და მიუტანა ტარიელის ამბავი. მეფემ ავთანდილი არ გამოუშვა უკანვე, მაგრამ ის არ დგება და გამოიპარება. გზათ ავთანდილმა ფრიდონ მეფესთანაც შეიარა და მას ნესტანის განთავისუფლების საქმეში დახმარება სთხოვა. ამ დროს ტარიელი მინდვრად სეირნობდა და ლომისა და ვეფხის შებრძოლებას შეეფეთა (ლომს უნდოდა სქესობრივი დაკმაყოფილება).

„ლომი სდევს ვეფხი მიუბრბის, ფუი შენს მამაცობასა“.

სთქვა მან და ხმალი დაკრა, ლომი მოკლა და დაჭრილი ვეფხი კი ხელში აიყვანა. მაშინ ტარიელს მოაგონდა თავისი სატრფო ნესტან დარეჯანი, რომელსაც ვეფხის ტყავის კაბა ეცვა, ტირილი მოუ-

ვიდა და უნდოდა ვეფხისათვის ეკოცნა, მაგრამ ვეფხმა მას ყელში ბრჭყალი გამოჰკრა და სისხლი აღინა.

ტარიელი გაბრაზდა ვეფხვი მიწაზე დაანარცხა და სული ამოჰხადა. თვითონ მას კი გული წაუვიდა და მიწაზე გაიშხლართა.

ამ დროს მოვიდა ავთანდილიც. დაინახა უგრძნობელი ტარიელი და მეტად შესწუხდა. წყალი არსად იყო და ვეფხისა და ლომის სისხლი ასხურა, რათა ტარიელი გონზე მოეყვანა. ჩქარა ტარიელიც მოსულდგინდა. მას უსაყვედურა ავთანდილმა, რატომ მინდვრად გამოხველიო მე რომ არ შევსწრობოდიო ახლა მკვდარი იქნებოდიო.

ორივენი ქოხში წავიდნენ. აქ ითათბირეს ნესტანის დახსნაზე. პირველად გავიდნენ ფრიდონის სამეფოში. ყარაულებმა აცნობეს მათი მოსვლა ფრიდონს. ფრიდონმა მიეგება და თავისთან მიიპატიჟა. ორივემ ფრიდონს დახმარება სთხოვეს და ისიც ამხანაგად გაყვა. თავისი მამიდა ტარიელმა ფრიდონთან დასტოვა, სამივე ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ.

ავთანდილი ფატმანთან მივიდა, რათა მისგან გაეგო ნესტანის ამბავი და მასთან სქესობრივი კავშირიც დაიჭირა. ფატმანისაგან ავთანდილმა ყველაფერი გაიგო. ფატმანის ქმარს სურდა ნესტანის სხვა მეფეზე გათხოვება და ამ მიზნით იქ იყო წასული საქმის მოსაგვარებლად. ნესტანი ამაზე უარს ამბობდა და ითხოვდა ისევე წყალში გადაგდებას.

ერთხელ მოახლემ შეასწრო ფატმანს და ავთანდილს ერთად მშოლიარეს, რომელმაც დაიმუქრა:

„გაგითენდების განანებ მაგ მოყმესთანა წოლასა
ეგრე გაგიხდი საქმესა, შვილებს დაუწყებ კამასა“.

ფატმანმა უთხრა. ავთანდილს მოალხე მოჰკალი, თორემ გონჯ საქმეს მიზამსო. ავთანდილმა ის მოკლა. როცა ფატმანმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო ავთანდილს, მაშინ ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ ჯარით ქაჯეთის ციხეში გაემგზავრნენ. აქ დაიწყეს თათბირი. თუ როგორ აეღოთ ციხე.

ფრიდონმა სთქვა ციხის კედელზე თოკი გადაადგეთ მე ავალ თოკზე ჩამოვეკიდები და ციხეს შიგნიდან გავალბო:

როცა მზრდილიან, მწვრთიდიან, მცემდიან, მაწვალედიან,
მე ის მეგონა მკლავდიან, თურმე ისინი მჩვევდიან.
ეგრე გავალ კისკალზე (თოკი) თოლიც არ მომესწრებიან.

ავთანდილმა ამაზე უპასუხა: „თათბირებო კარგთა თათბირთა,
 მოყვასნი ვერ გიწუნებენ, მაგრამ მოკვეთენ კისკასო,
 შენ შინ დარჩები და ჩვენც ვერას გავხდებითო“.

სჯობია ასასად გავიყოთ და როცა ციხის კარი გაიღება, მაშინ
 მივსცვივდეთ და ციხე ავილოთო. ასეც მოიქცნენ. გაიღო თუ არა
 ციხის კარები ცხენებით შიგ შეიჭრნენ. მეციხოვნე ჯარი დახოცეს
 და ნესტანი გაანთავისუფლეს. ნესტანი და ტარიელი ერთქმანეთს
 გადაეხვივნენ და ციხიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

გახუტა ხეთაგური 20/VII 1930 წ

102. ამირანიანი

მინდვარ-მინდვარ მიდიოდენ ამირან და ძმანი მისნი,
 მინდვარჩია კოშკი პოვეს, კოშკი მარმარილოს ქვისი.
 სამჯერ გარე მოუარეს, კარი ვერ იპოვეს მისი,
 ამირანმა წიხლი დაჭრა, იქ შეაღეს კარი მისი:
 შეხედეს და შეაზარა მკუდარი იწვა სამსონისი,
 მუხლთა შუა შუბი ედო, წვერი ჰქონდა აღმასისი,
 ორს თითს შუა წიგნი ედო, ნაწერ იყო ქალაღლისი,
 ოთხად კუთხზედ კონჩხოლო ენთო, შუქსა ფენდა მისი სხივი.
 ესე წიგნი წაიკითხეს, სიტყვა იყო დიდის ბრძნისი:
 „სანამ ვიყავ მტერნი ვმუსრე, ჯავრი არა მიმდევს ვისი,
 ერთი ბაყბაყ დევი დამრჩა, მოგკლდი მიმდევს ჯავრი მისი.
 ამა წიგნშივე სწერია: არ მკავს არსად მე ტომ-თვისი,
 არც ისე დაკარგული ვარ, დისწული ვარ უსიბისი.
 ვინც მე მამას დამიმარხამს, ჩემი შუბი ალაღ მისი,
 ვინც მე დედას დამიმარხამს, ჩემი კოშკიც ალაღ მისი,
 ვინც მე ფაშგუნჯს არ შემაჰმევს, ჩემი რეში ალაღ მისი.

გახუტა ხეთაგური,
 ყაზბეგი 1930 წ.

ბიბლიოგრაფია

1. მოჩხუბარიძე ა. (ალ. ყაზბეგი) — მოხუცები და იმათი ცხოვრება, გაზ. „დროება“ 1880 წ. №№ 151—159, 161, 167, 169, 174 და 177.
2. ყაზბეგი ალექსანდრე — თხზულებანი (რომანები და მოთხრობა მოგონებები).
3. ქავჭავაძე ილია — მგზავრის წერილები.
4. დოც. ნიკოლაძე გ. — პირველი ქართული ასკლა მყინვარწვევრზე (საქარ. გეოგრ. საზოგ. „მოამბე“ 1924 წ. № 1).
5. შადური ს. — წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია“ 1901 წ. № 134 და 135.
6. კობაიძე ა. — არშის ციხე, გაზ. „ივერია“ 1788 წ. № 209.
7. კალმის წვერა — შილა ლუდუშაური, გაზ. „ივერია“ 1902 წ. № 124.
8. ვახუშტი — საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი 1904 წ. გვ. 96—99.
9. პროფ. ჯავახიშვილი ალ. — საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეო-მორფოლოგია, ტფილ. 1926 წ. გვ.
10. გროსჰეიმი, სოსნოვსკი, ტროიცკი, საქართველოს მცენარეულობა, ტფილისი 1928 წ. გვ. 105—110.
11. ფრონელი ა. — მთიულეთი 1804 წ., ტფილ. 1896 წ.
12. ასლანიშვილი, ი. მყინვარწვევრზე ასკლა შემოდგომით, ტფილისი 1928 წ.
13. Хаханов А. С. — О мохевцах. (Сбор. матер. по этнографии, издан. при Дашковском музее, III, 1888 гв. 74—82).
14. Муромцев П. П. — Ботаническая экскурсия на Казбеке летом 1871 г. (Изв. Импер. Р. Г. О-ва 1872 г., 6).
15. Хатисян Г. С. — Крат. очерк действий двух комиссии для изследов. Казбекских ледников в 1862 г. 1803 г. (Зап. К. ОРГ. О-ва VI და XI).
16. Левисон-Лессинг Ф. Ю. — Геологическое изслед. в массиве и отрогах Казбека произв. летом 1899 г. (Мат. по геол. России XXXI, 1).
17. Духовский А. — Исследование Казбекских ледников в 1900—13 г. г. (ИКОРГ о-ва, XXV, 1, 1917 г.).
18. Дубянский В. В. — О горных породах Казбека (ЗКОРГО, кн. XXIV, вып. 3-й, Тифлис 1904 г.).
19. Ренгарт, В. П. Геологический очерк района Военно-Грузинской дороги, Труды Всесоюз. Геолого-разведочного объединения В. С. Н. Х. СССР., Москва — 1932 г. Ленинград.
20. Белянкин Д. — О Дарияльском граните (Геол. изсл. в области перев. жел. дороги через глав. Кавк. Хребет СПб. 1917 г. გვ. 1—48).
21. Купцис Р. Д. — Микералные воды Пшавии, Хевсурии и Хевი (Закавказ. Краеведческий сбор. серия А. Естествознание I, Тиф 1930 г. გვ. 222—224).
22. Прображенская М. П. — Четыре восхождения на вершину Казбека (Земледелие 1912 г., 1, 2).

23. Никифоров Н. К. — Экономический быт государ. крестьян Душет. уез. Тиф. губ. (Мат. для изуч. быта государ. крест. закавказского края т. V, ч. II).
24. Вейденбаум Е. — Военно-Груз. дорога, Путеводитель по Кавказу. Тифлис 1888 г.
25. Гр. Уварова — Кавказ, путевые заметки, Москва 1887 г. 83. 87—100; Степанцминда у станции Казбека (Мат. по археол. Кавказа, вып. VIII, Москва 1900 г. 83. 139—151).
26. Филимонов Г. Д. — О доисторической культуре в Осетии (Антропол. выставка 1879 г. т. II, Москва 1878—1879 г.).
27. Антонович В. Б. — Дневник раскопок веденных на Кавказе, осенью 1879 года, Пятый археол. съезд в Тифлисе, Москва 1879 г.
28. Марков Ев. — Очерки Кавказа, Москва 1904 г. 83. 73—100.
29. Dubois de Montpéroux — Voyage Autour du Caucase T. IV, Paris 1840, 83. 259—349,
30. D. Eduard Eichwald, — Reise auf dem Caspischen Meere und in den Kaukasus, B. I Stuttgart 1837 г., 83. 754—766.
31. Merzbacher Cottfried — Aus den Hochregionen des Kaukasus, B. I, Leipzig 1901, 83. 779—804.
32. Klaproth — Reise in den Kaukasus und nach Georgien, in den Jahren 1807 und 1808, Bd. I, 1812 г. 83. 670—691.
33. Freshfield, — The exploration of The Caucasus, Vol. I, London und New — ork 1896, 83. 81—103.
34. Bayer's — „Schatz von Stepan-Zminda“ (Untersuchungen über die ältesten Gräber — und Schatzfunde in Kaukasien. Berlin 1885, 83. 41—46.
35. Tallgren A. M. — Caucasian monuments. The Kazbek Treasure (Eurasia Septentrionalis Antiqua V, Helsinki 1930, 83. 109—182.)

	83-
წინასიტყვაობა	7—8
+ 1. გეოგრაფიული მდებარეობა	9—21
+ 2. ისტორიული მიმოხილვა	22—62
+ 3. ეკონომიური მდგომარეობა	63—89
+ 4. საზოგადოებრივი ყოფა	90—110
+ 5. ყოფის დამახასიათებელი რეალები	111—153
6. ხალხური ჩვეულებანი	154—184
+ 7. ცრუმორწმუნეობა	185—207
+ 8. საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან და- კავშირებული რიტუალი	208—253
- 9. ხალხური პოეზია	254—286
10. ბიბლიოგრაფია	287—288
11. ხევის რუკა.	

ამავე ავტორის მთიელთა ურუა-ცხოვრებიდან დაბეჭდილი
შრომები:

1. მთის რაქა, სახელგამი 1930 წ.
2. მთიულეთი, სახელგამი 1930 წ.
3. თუშეთი, საქარ. გეოგრ. საზოგადოება 1933 წ.
4. ფშავი, საქარ. გეოგრ. საზოგადოება 1934 წ.

იბეჭდება:

5. ხევსურეთი.

წიგნი ააწყო: { ბიორბი არჩილისძე დონაძემ
{ გელევან გრამიტონისძე ჭიჭინაძემ

წიგნი დაიბეჭდა 20/XII 1934 წ.